# სიზმრები

(ვუძღვენი ვ. ა—ძეს)

ვნახე სიზმარი: აღვსულიყავ მას მთას-წმინდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი, ღვთის დიდებასა.
ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა, ჩვენი ივერი,
მაგრამ ივერი უსულდგმულო, ივერი მკვდარი
გარდაშლილიყო ზღვის კიდემდინ ჩემ თვალთა წინა;
სიცოცხლის ცეცხლი გამქრალიყო მის წიაღ-შინა.
მზის სხივნი უხვად მრწყინვალენი მაზედ მნათობდნენ,
მაგრამ უსულოს და გაყინულს ვეღარ ათბობდნენ.
წყალნი სჩნდნენ, მაგრამ შემდგარიყო მათ მდინარება,
ყვავილთ და მდელოთ აღარ ჰქონდათ თვის მცენარება;
აღარ იძროდნენ აღარც სენი და არც ნიავი,
ბუნება იყო სრულათ მკვდარი, სრულათ უძრავი.
ვხედავდი მრავალთ მაგარ სადგურთ, ტაძართ დიდებულთ,
მაგრამ შემუსვრილთ, დარღვეულთ და დატევებულთ.
ეგრეთ უსულო ჩემთ თვალ-წინა იდო ივერი...
მაგრამ მკვდარიც კი იყო ტურფა და მშვენიერი.
ეგრეთ ასულსა, ტურფას, წმინდას, ახლათ მიცვლილსა

გულ-ხელ დაკრეფილს, გაციებულს და ფერ-მიხდილსა
აღარ აცხოვლებს ცა მრწყინვალე და ქვეყნის შვება,
მაგრამ მის სახეს კვლავ უბრწყინავს თვისი შვენება.

ვნახე სიზმარი, კვლავ აღვედი მას მთას-წმინდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებასა.
ვხედავდი ივერს გარდაშლილსა, ჩემთ თვალთა წინა,
სიცოცხლის წყაროს გაეღვიძნა მის წიაღ-შინა.
მზის სხივნი უხვად ბრწყინვალენი მაზედ მნათობდნენ
და მის მთა-ბართა და ხეობათ უხვათ ათბობდნენ;
წყალნი ნაკადნი ფრიალოთთგან ქუხილით სჩქებდნენ,
მოკამკამენი მდინარენი ველებზედ რბოდნენ.
ზურმუხტნი ველნი და ყვავილნი კაცთ და ბუნებას
უხვათ და მდიდრათ უგზავნიდნენ თვის სულნელებას;
მაგარ სადგურნი და პალატნი, წმინდა ტაძარნი
თვის ნანგრევთაგან დიდებულათ იყვნენ ამდგარნი.
მხიარული ხმა წერაქვთ-ბართა, საღმრთო ხმა ზართა
მაღლა შესძახდა განღვიძებულთ მთათა და ბართა...

ვხედავდი ივერს, მის ძეთ ხელით, ძლიერის ნებით
ტურფათ მორთულსა მშვენიერის შენობებით;
ვხედავდი მაღლა ცას ნათელსა და მშვენიერსა,
დაბლა მიწაზედ—ერს მშრომელსა და ბედნიერსა.
განქრა სიზმარი...

ვ. ლ.

# ბედი უბედურთა

## ამბავი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ.

---

უძღვნი ვასო დეკ—ის სახელს.

## I

ამბავი, რომელიც მე მსურს მოგითხროთ თქვენა, მკითხველო, მოხდა წლეულ სოფელს გორიძირაში. ამ სოფელს სახელი, ვგონებ, თვით თვისის მდებარეობიდამ დარქმევია: ეს სოფელი არის მოკრუნჩხული ერთს იმ მომწვარს და მოტიტვლებულს გორის ძირთაგანში, რომლის მსგავსთ ასე ხშირათა ხედავთ რაკი ჩვენს კურთხეულს თბილისს ზემოთკენ შემოსცდებით. მოკრუნჩხულა მეთქი იმისთვის ვამბობ, რომ ამ სოფელს უჭირავს ძიელ პაწაწკინა ალაგი, თუმცა მასში ას კომლამდისინ გლეხობა და სამიოდ კომლი თავად-აზნაურნი სცხოვრობენ. თუ შინაურულად არ იცით ამ სოფლის გარემოება, მის მცხოვრებთა რიცხვის გამოცნობაში თქვენი თვალი უსათუოდ მოსტყუვდება. არც იქნება ეს საკვირველი.! აქაურს გლეხკაცთ მიუსხავთ და მიუკრუნჩხავთ ერთმანერთზედ თავიანთ ღრმათ ჩათხრილი მიწური სახლები, რომ გეგონებათ — აქ ოციოდ მოსახლეზედ მეტი არ იქმნებაო.

— რათ სცხოვრობთ, ძმობილო, ასე შევიწროვებულნი, ასე ერთი ერთმანეთზედ მიმსხდარნი? ვკითხე ერთს გლეხს, როდესაც ამ გარემოებამ პირველად მიიზიდა ჩემი ყურადღება.

რა ვქნათ, შენი ჭირიმე, — მომიგო მან, ჩვენ რო გან-გან-ზედ დავდგეთ, სახნავ-სათესი მინდორი სულ დაგვიპატარავდება. ჯერ ეხლაც არ გვყოფნის მამული და აბა, შენი გვნესა მე, სოფელიც რო გაგვეჭიმ-გამოგვეჭიმა რიღათი გვეცხოვრა!.

მართლაც-და მრიელ ცოტა სახნავ-სათესი მიწა აქვს ამ სოფელს! თანასწორათ, რომ გაუყოთ ამ სოფლის მცხოვრებთ მოხსენებული მიწა, ვგონებ, თვითეულს კომლს ხუთ-ექვს დღიურზედ მეტი არ შეხვდეს. ეს მინდორი მათი სახნავ-სათესიც არის და საძოვარიცა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ გლეხ-კაცის თავგანწირული მუდმივი შრომა მაინც თავისას არ იშლის. თუ ცოტაოდენათ მაინც — არის ამინდი შესწევს, გორიძირელებს სამყოფი ჭირნახული მოსდით ხოლმე. საუბედუროდ, ამ გვარი ამინდიანი წელიწადები ხშირად არ უდგება აქეთ მხარეს! ადამიანის უჯიათობას, მომავალზედ უზრუნველობას და ხალხის უმეცრებას გაუწყვიათ ტყეები იმ მთებზედ, რომელნიც დღეს, მოხრიოკებულნი, მზისგან დამწვარნი და დახურებულნი, შემოხვევიან ამ მხარეს თითქმის ყოველის მხრიდამ. ამის გამოისობით აქეთკენ გვალვა მიელ ხშირი სტუმარია. თქვენს მტერსაც ნუ დაადგება ის დღე, რა დღეც ჩვენს გორისძირას დაადგება ხოლმე თუ გვალვამ რავდენსამე კვირას, ანუ თვეს გასტანა! პატარა რუ, რომელიც ზემოთ სოფლებზედ გამოდის და შემდეგ ჩამოდის გორიძირაშიაც, ყოველ ამ დროს საშინლად პატარავდება: ზემოთ სოფლების სარწყავებსაც ბევრს ველარას გაუხდება ხოლმე ესა!. გორიძირამდისინ აბა ვინღა მოასწრევინებს ამისთანა დროს წყალსა!. მოურწყაობისაგან ვენახები და სიმინდები სულ მთლად ამოვარდებიან ხოლმე; ბალახი ჭკრება მინდორზედ, წყაროები შრებიან! გლეხ-კაცნი სწუხებიან თავიანთ ბედს და გაჩენის დღესა; მალ-მალ ჩხუბობენ ერთმანერთში... მათი და მათი ცოლ-შვილის ვაი-ვაგლახი უერთდება დამშეული, დასიცხული საქონლის ბღავილს და ტრიალებს ხოლმე მრთელს ამ არე-მარეზედ ერთი საშინელი საცოდაობა. ქვეყნად მოვლინებული ჯოჯოხეთია გლეხობისთვის ამისთანა დრო! სწორედ ამისთანა ჭირი დაადგა წლეულ ჩვენს უბედურს გორიძირას —!!

## II

თიბათვის პირველი რიცხვები იქმნებოდა, როდესაც მე, ხუთი-ექვსი დღის მგზავრი, უახლოვდებოდი ჩვენი გორიმირის არემარეს. მზეს თუმცა კარგა დაბლა დაეწია დასავლეთისკენ, მაგრამ მაინც სა-საშინელი სიცხის ბუღი ტრიალებდა პურში. სჩანდა, რომ ამ გვარი სიცხე ცოტა ხანი არ არის რაც აწევს აქაურობას: ხეებსა და ვაზს უდროვოდ დაჰყვითლებოდათ ფოთლები; დაგვალულს სიმინდებს მწუ-ხრად დაეკიდნათ ძირს თავიანთ დამჭკნარი ტოტები, გახურებულს მიწას ვეებ-ვეებერთელად დახეთქოდა ზემოთა პირი... ბევრიც რომ აქეთ-იქით გეცქირნათ, მწვანე ბალახს მაინც ვერსად ვერ დაინახავდით მთელს მინდორზედ. მის ნაცვლად აქა-იქა ეყუნტნენ გარუჯული და გამხმარი ნარეკალები. რამდენიმე სული საქონელი ბღავილით ამაოდ დასტიალობდა ამ მოტიტვლებულს მინდორზედ. გამხმარს მიწაზედ ხოხიალით და ეკლების ჭამით მათ საცოდავათ დასდიოდათ სისხლი ტუჩებსა და ცხვირზედ. შევედი სოფელში. აქ უფრო უარე-სობა დამხვდა! ჩვენი პატარა რუ ისე დამშრალიყო, რომ მის ძირს თითქმის მტვერი ასდიოდა. მხოლოდ აქა-იქაღა დარჩენილიყვნენ პატარ-პატარა გუბეები და ესენიც ადამიანის სასმელად სრულიად არ ვარგო-დნენ: მათში, ზედიზედ მიკრობილნი, ეყარნენ დამშეული და სიცხი-საგან ენა გადმოვარდნილი კამეჩები და კუდების ნელი, ზარმაცული ქნევით იგერებდნენ გუნდ-გუნდათ მათზედ მისეულს ბუზებს. რაც შე-ეხება ადამიანებს, ესენი კარგა ხანს ვერსად ვერ დავინახე სოფელში. სჩანდა საშინელს სიცხეს ისინი შეერეკნა მათს სოროს მსგავს მიწურს სახლებში. სოფელში ისეთი სიჩუმე იყო დამყარებული, თითქო აქ მცხოვრებნი აყრილან და სხვაგან გადასახლებულან სადმეო. მაგრამ, აი ჩავიდა მზე და მისი ცხარე სხივები მოშორდნენ დედა-მიწას. პუ-რი ცოტაოდენათ გაიძრა; გრილმა ნიავმა წამოჰბერა ჩრდილოეთი-დამ; სოფელში ნელ-ნელა გაჩნდა ხმაურობა, ადამიანთა და შინაურ პირუტყვ-ფრინველთ მოძრაობა.

— ჩქარა, ჩემო დედამთილო, ჩქარა, თორემ სხვანი მოგვასწრობენ.. მოისმა ქალის ხმა იქვე ახლო ბაკიდამ.

ცოტა ხანს უკან ამ ბაკიდამ, თითქმის სირბილით გამოვარდა მხარზედ კოკა მოდებული ერთი ახალგაზდა ქალი. ამას ცუნცუხით გამოჰყვა სახლიდამ პატარა, დაბალის ტანის, კარგა მოხუცებული, მაგრამ ჯერ ისევ ჭასხმაკი დედაკაცი; ამასაც ხელში კოკა ეჭირა. ესენი მოუდგნენ ერთმანერთს გვერდზედ და ჩქარის ნაბიჯით გასწიეს სოფლის ზემო ნაპირისაკენ. ამათ შემდეგ მოება კოკიანი ქალი ქალსა, გაჩნდა გაცხარებული მოძრაობა, რომელიც კარგა ხშირ ბინდამდისინ არ შეწყვეტილა. ამ მოძრაობის დენას გავყევი მეცა. გავედი სოფლის ზემო ნაპირას და გადავხედე ჩვენს პატარა „ცაქცაქა“ წყაროს; დედაკაცების სიმრავლისა გამო კარგა ხანს თვალიც ვერ მოვკარ მე იმას. ისეთი მჭიდროობა იყო აქა, ისეთი ყაყანი, ლანძღვა და გინება ისმოდა აქიდამ, რომ თქვენ გეგონებოდათ—ერთი რამ საზინა უპოვნია ამ ხალხსა, მისევია და ახლა თვის შორის იყოფს მასაო. ყველა ეს კი წყლის მოსხმით ხდებოდა.

— ბაბალე, დედაშვილობასა, აგრემც ღმერთი შეეწევა ი შენ ერთ შვილსა, ბარემ მანდა ხარ და აამსე ე ჩემი კოკაც... უთხრა ჩვენს ნაცნობს პატარა ბებერს ერთმა ~~ლამაზმა,~~ შავ თვალ-წარბა, ახალგაზდა გოგომ.

— მოიტა შვილო, მოიტა, — მიუგო მას ბებერმა; აიმსოს ე ჩემი კოკა, მერე შენც აგიმსებ.

— გიჟი ხო არა ხარ ბებერო,—დაიძახა ერთმა მაღალმა, შუახნის დედაკაცმა;—აუმსო რაა იჯარით აგიღია შენ ე წყარო... აიმსე შენა და წადი ჯანაბასა!

— ჯანაბასაც წადი და დოზანასაც,—დაიხითხითა მოხუცებულმა ბაბალემ,—მოგისდია თავზე ლეჩაქი და მთელს სოფელს შენგან მოსვენება არა აქვს... სთქვა/რა ეს, მოხუცებულმა გადასდგა იქით თავისი ავსებული კოკა და მისწვდა ლამაზი გოგოს კოკას.

— ი შვილები არ დამესხოცება, რომ არ აგამსებინებ..—დაიძახა ერთმა ზორბა დედაკაცმა და გადმოსდგა თავისი კოკა წინა.

— ახლა ეს წამომეჩხირა აქა,—დაიყვირა მაღალმა დედაკაცმა და გადახტა წინა, მიაგდო გვერდზედ ლამაზი გოგოს კოკა და თავისი მიუდგა წყაროს.

— მაშ თავზე ლეჩაქი აღარ მეხურება, რო შენც მე დამიბრიყო; ამდენი ხანია აქ ვიცდი და შენც ჩემზე წინათ უნდა აამსო!!. დაიძახა სიანჩხლით ზორბა დედაკაცმა და გადაილაჯა წინ, მიჰკრა ფეხი წყაროსთან მიმდგარს კოკას; კოკა წაიქცა, ეცა ქვას და ზედ შუაზედ გადაიყარა.

ამის დანახვამ მაღალი დედაკაცი თითქო დაამუნჯა: ის კარგა ხანს გაშტერებული იდგა ერთს ალაგას; მაგრამ მისი გაფითრებული სახე და მაგრა მოკუმული ტუჩები კი ცხადათ აჩვენებდნენ მის სულის და გულის მდგომარეობას. ის უცებ გადახტა და გააფთრებული ეცა ზორბა დედაკაცს. უკანასკნელი მომზადებული დახვდა: ჩაავლეს ერთმანერთს თმებში ხელი და კარგა ხანს უძრავად შეჩერდნენ ასე.. შემდეგ გაიქნ-გამოიქნიეს ერთმანეთი. ამ ქნევაში მაღალმა დედაკაცმა დასძლია თვისი მოწინააღმდეგე, წააქცია და ქორივით დააჯდა ზემოდამ. ქვემოთას მიუშველა რძალი, ზემოთას—გასათხოვარი ქალი. ახლა ამათ შუა გაჩნდა ბღლაძუნი: ლოყების კაწვრა, ჩქმეტა და თმის ბდღვნა. დედაკაცები ჩაცვივდნენ შუაში და იწყეს მაჩხუბართა გაშველება. ჩვენი ბებრუხუნა კი გამოძვრა, წამოიღო მხარზედ თავისი სავსე კოკა და ცუხცუხით გამოსწია შინისაკენ.

— ბებერო, ბებერო, სად გაძვერი, სადა? მოსძახეს ქვემოდამ სიცილით,—ასტეხე ჩხუბი და შენ კი მოძურწე შინისკენ!!

— თვალებიჩ გამოგხეთქიათ! ე ჩემი კოკა ხო ავამსე, და ახლა თუნდა ეთმანეთიჩ დაგიჭამიათ; იძახოდა პატარა მოკუნტული ბებერი და თანაც გამალებული გარბოდა შინისაკენ.

— რძალი მოგიკლეს, რძალი, ბაბალე! დაუძახეს გვალად ქვემოდამ.

— უი ჩემ დანელებასა! წამოიძახა ბებერმა რა ეს გაიგონა, დასდგა, მობრუნდა უკან, მიიდო შუბლზედ გაშლილი ხელი და თვი-

სი ბებრუხუნა თვალებით გაიხედა წყაროსაკენ; საჩქაროზედ გაარჩია სხვებისაგან თავისი რძალი, რომელსაც ესარგებლა მოხსენებული ჩხუბით და თავის კოკა მიედგა თითქმის დამშრალ, თითის სიმსხოთ-ღა, გამომავალ წყაროსთვის.

— ვენაცვალე ჩემ მარიამმას! იმაშ ხელ ვინ დააკარებს? მერე ავ დღეს დააყრის იმაშ მაგისი ქმარი! თავისთვის სთქვა ბაბალემ და მიბრუნდა ისევ შინისაკენ. ამ დროს განმავალობაში მოჩხუბარნი დამშვიდდნენ; მარიამმაც აავსო კოკა, შეიდგა მხარზედ და სირბილით გამოუდგა უკან თავის დედამთილს; შუა გზაზედ დაეწია მას და ორთავემ ერთათ სიცილით და ლაპარაკით შეაღეს თავიანთ ბაგის კარი.

## III

„ჰკეი, რა დედა მყავსარ, რა დედაი!.. მამა ჩემიც რო ცოცხალი ყოფილიყო ქქამდისინ, ისიც ვერ მიზამდა შენოდნობას!. ერთ გუთნეულად კი არ მიგცემ-და“!. მოისმა ამათ შესვლის უმალვე დერეფნიდამ ხმა. ცოტა ხანს უკან გამოსჩნდა ამ ხმის პატრონიც. ეს იყო მოსულის ტანის, ოც-და-შვიდი, ოც-და-რვა წლის ახალგაზდა ბიჭი: დამწვარის, მაგრამ ეშხიანის და სწორე სახით, დაბებრებული ხელებით და ძველი შარვალ-ქალამნებით. მას გვერდით ედო გახდილი, ჯერ კიდევ ახალი, მოყვითალო ჩოხა და ეცვა წითელ გულის-პირიანი პერანგის ამარა. მას ხელში ეჭირა თვისი უნცროსი, ორის წლის ვაჟი, მხიარულად ისროდა მას მაღლა და მარდათ იჭერდა ისევ ხელებით. გატკრიაცებული ბავში სტუნაობდა მამის ხელში და კასკასობდა თვისი წმინდა ბავშვურის ხმით. უმფროსს, სამის წლის ქალს, მამის მუხლიძირას დარბაისლურად მოეკეცნა და სიხარულისაგან გაცოცხლებულის თვალებით მესცქეროდა თავის პატარა ძმას, ორთავ პატარანი იყვნენ თავშიშველ-ფეხშიშველნი; მზისგან დამწვარს ტანზედ ეცვათ მხოლოდ თითო გაჭუჭყიანებული პერანგი. ამ გვარს

ყოფაში იყო ჩვენი გიგო სოსიაშვილი, როდესაც მისმა დედამ და ცოლმა შეჰყვეს ბაკის კარებში თავი. მან მიიხედა კარებისაკენ და, რა დაინახა თვისი პატარა მოხუცებული დედა ვეებერთელა კოკის ქვეშ, შესძახა ზემოთ ნათქვამი სიტყვები.

მოხუცებულმა შეხედა თავის მომხიარულებულს შვილს და შვილი-შვილებს; მის ჩაცვინული თვალების კილონი მოიხმუჭნენ და მართლად მის სახეს გადაეფინა გულითადი კმაყოფილების და სიხარულის ღიმილი... მაინც კი არაფერი არა სთქვა რა შვილის მიალერსებაზედ. მან ჩაუარა შვილს წინა, ჩამოიღო კოკა მხრიდამ და მიდგა კედლის ძირას. შემდეგ მოტრიალდა შვილისაკენ.

— შვილო, გიგო, ვერა მორწყევი-რა დღესაც?

ამ კითხვის წარმოთქმა და გიგოს მხიარულობის გაქრობა ერთი იყო, მან ნელ-ნელა დასვა ბავშვი ძირსა და ნაღვლიანის ხმით მიუგო დედას:

— ვერა, დედა; დღესაც ვერა მოვრწყევი-რა! სიმინდი, სიმინდი ამოგვივარდა; მაგრამ რა სიმინდი! ვენახი გახმა, ვენახი.

— „ვენახი გახმა, ვენახი“, განიმეორა, თითქო, დაცინვით ბებერმა.—თქვენ კი გულ-ხელი დაგიკრეფიათ და დაილაჯებით სოფელში. ჩემი სულის ცხონებამა, ე ჩიქილასი რო არა მრცხვენოდეს, დღესვე გავარდებოდი შინიდამ, ან რიყელებს ზედ შევაკვდებოდი და ან წყალს აქეთ გამოუშვებდი!..

— ავსუს რო კაცი არა ხარ, ჩემო დედა! რამდენი ვეჩიჩინე ხან ერთ, ხან მეორეს, მაგრამ ამ ოჯახ-დაქცეულ ჩვენებურებს პირჯვარი ვერავის დავაწერინე! დღეს პირობა გვაქვს: უნდა ლოცვის უკან შევგროვდეთ ხალხი და წყლის თაობაზე გადავწყვიტოთ რამე.

გიგოს ჯერ არც კი გაეთავებინა უკანასკნელი სიტყვა, რომ ბაკის კარებიდამ მოისმა ხმა:

— გიგო, გიგო გამოდი, ხალხი გროვდება საყდრის კარებზე!

გიგო საჩქაროზედ წამოხტა, გადაიცვა ჩოხა და გავარდა კარზედ. მას წინ დახვდა ერთი შუათანა ტანის ჭაღარა შერთული, დაფიქრიანებულის სახის კაცი; ეს გახლდათ ქრისტესია ნაცრიაშვილი—მამასახლისი ამ სოფლისა. გიგომ ერთი კი შეხედა ამასა და შემდეგ გადაუხვია გზასა და სირბილით გასწია პატარა ბალკონიანი ალიზის სახლისაკენ, რომელიც გიგოს სახლზედ კარგა მოშორებით იდგა.

— ვანო, ვანო შინ არა ხარ?. დაიძახა გიგომ, როდესაც ამ სახლს დაუახლოვდა.

— შინა ვარ, შინა... მოისმა სახლიდამ ხმა.. და ცოტა ხანს უკან ბალკონზედ გამოჩნდა თვით ამ ხმის პატრონიც.. ეს იყო ოცდა ოთხი, ოცდა ხუთის წლის ახალგაზდა, მოსწვენილის მაღალის ტანით, მომღიმარე ეშხიანის სახით; ტანთ ეცვა აქლემის ყელის მოყვითალო ჩოხა ზედ გაწყობილის ახალუხით, ქართული განიერი შარვალი კოსტათ ჰქონდა ჩატანილი მაღალ საცვეთიან ყარაბაღულს წაღებში.. თავზედ ეხურა წაბლის ფერი პატარა, ჩატეხილი ქალმუხის ქუდი; გულზედ ლოთიფათურად ჰქონდა ჩამოგდებული, ყელზედ თალხნათ შემოხვეული, ქალაღა. გთხოვთ-იცნობდეთ, ჩემო ბატონო, ეს გახლავთ აზნაური ვანო მხიარულაძე. დასდგა თუ არა ბალკონზედ, ვანომ მიიდო ტუჩებზედ სალამური, ჩაჰყრა აათამაშა თითები და მრთელს იმ არე-მარეს მოჰფინა მშვენიერი მხიარული ხმები. შემდეგ გააჩუმა სალამური და თვით დაიძახა:

ხანა მაქვს ყველი და პური,
„ხანდის ხან მშიერი ვარ;
მაგრამ ბედს არ ვენდური.
ვარ და ბედნიერი ვარ..“ *)

— ჰო, ვიცი რაღაც ბედნიერი ხარ! — გააწყვეტინა ვანოს გიგომ. შენ ი ერთი აზნაურსაეფ მოგდის: ერთ ამპარტავან აზნაურას

(* ეს ხანა არის ამოღებული აკაკის ერთი ლექსიდამ.. ვსარგებლობ აქ ამითი იმის გამოისობით, რომ ამ ლექს ხშირათ მღერის ხოლმე ჩვენი პროვინციალური, ცოტა რისამე გაგებული, ახალგაზდობა.

შიმშილით, თურმე, ცოლ-შვილი ეხოცებოდა, ხალხში კი თურმე ლაპარაკობდა: სახლი და კარი პურითა და ღვინით მაქვს სავსეო, ქონება ბანში ამომდისო...

— მაშ რა ვქნათ, ჩემო გიგო. მიუგო ვანომ, — სულ უბედურობაზედ ლაპარაკმა წაიღო გული და თავი.. ხანდისხან ბედნიერებაზედაც უნდა ვსთქვათ რამე, თორემ ცუდათ არის საქმე..

— ე მაგეებზედ კვლავ ვილაპარაკოთ.. უთხრა გიგომ, — ეხლა ხალხი გროვდება წყლის თაობაზე და წამოდი შენცა..

— მართლა?. აბა, მაშ წავიდეთ... ვანომ საჩქაროზედ ჩამოირბინა პატარა კიბე და, გიგოსთან ერთად, გასწია საყდრის კარებისაკენ..

— გიგო, რო იცოდე, მაშინ რომ ყმაწვილი იყო აქა, იმან ერთი პატარა წიგნი მომიტანა.. „არაკი“ კი ჰქვიან, მაგრამ რაც შიგა სწერია, სრულებით მართალია.. ეხლა ქართულათ ვთარგმნი; როცა სულ მოვრჩები შენც წაგიკითხამ!..

— ოი, იმის ღმერთის ჭირიმე, იმისი!. დაიძახა გიგომ, — რა ბიჭია, რა ბიჭი-და!. აბა, შენი ჭირიმე, ვანო მალე გაათავე და მამეცი: მე თითონ წავიკითხამ.. ამ სიბერის დროს წერა-კითხვაც ხო მასწავლე-და!..

— გათავებას კი მალე იქნება, მაგრამ ამ უსინიდისო კონასი მეშინიან: რაღაც ხმები ისმის მაგაზე..

— გეშინიან? რისა-გაცო?! გინდა ხვალვე ჩაუსაფრდე ე ჩვენ ორღობეში?!

— შენი ჭირიმე, შენი — გიგო, რომ ყოჩაღი ბიჭი ხარ.. წამოიძახა ვანომ და ორთავ ხელებით მოეხვია გიგოს ყელზედ... არა, გიგო, ჯერ ნამდვილი არა ვიცით რა.. უსამართლოდ ადამიანის სისხლში ადამიანიმა ხელი არ უნდა გასვაროს..

ესე, ამგვარის ლაპარაკით მივიდა ეს ორი მეგობარი „საყდრის“ კარებზედ, სადაც ხალხი კარგა ბლომათ შეგროვილიყო კიდეც.

## IV

მიმსვლელთ დიდ ხანს არ მოსდომიათ აქ უსაქმოდ ცდა: ცოტა ხარს უკან მოგროვდა მთელი სოფელი; მოვიდა მამასახლისიც. ხალხმა შექმნა ლაპარაკი.

— აზნაურებსაც, თავადსაც შევატყობინეთ; დაიძახა მოხუცებულმა სოლომანა ფარცხაძემ.

— აზნაური, თავადი და გლეხი სულ ერთია დღეს: ყველამ ერთათ უნდა მოვკიდოთ ხელი სასოფლო საქმესა.. მისძახა მას გიგომ.

— შევატყობინოთ, შევატყობინოთ!. დაიძახეს აქეთ-იქიდამ.

გაჰგზავნეს ორი ბიჭი მათ მოსაწვევლად. აზნაურები შინ არ დახვედროდენ: ისინი სადღაც ხატობაში წაბრძანებულიყვნენ საქეიფოთ. თავადს, კონა ხმამაღალაშვილს, სიცილად არა ჰყოფნოდა გლეხთაგან თვისი მიწვევა. მას ეს მიწვევა თვისი თავადისშვილობის შეურაცხყოფად მიეღო და გაგზავნილი ბიჭი სულ მათრახის ცემით გამოეგდო.

— სახლი შეუკრათ კონას, სახლი.. დაიძახა სიბრაზით ვანომ.

— დედა შეერთოს ცოლათ, ვინც კონასთან სამეზობლოთ გაიაროს; ან ის გაატაროს სამეზობლოთ; დაიძახა ახლა გიგომ.

— ე წმინდა გიორგის მადლმა ამოიღოს ძირიან-ფესვიანათ, ვინც ეგრე არა ქნას!. სთქვა მოხუცებულმა სოლომანმა.

— მაგაზედ გველი და ბრიყვი კაცი თავადიშვილობაშიაც კი არ მინახავს ჯერ მე.. სთქვა ვანომ.—რაკი თავადიშვილის მუცლიდამ გამომძვრალა დიდი რამ ჰგონია მაგას თავისი თავი. ყოველ სასოფლო საქმეში ეგ ჩვენი მოღალატე ყოფილა.

— სახლი შეუკრათ, შეუკრათ.. გაისმა რავდენიმე ხმა.

— სახლი კი არა-და, ა ის არ გინდათ,—დაიძახა მამასახლისმა,—ე მანდ გვიჩივლებს და სულ აი სატუსაღოში ამოგვართმევენ სულსა.

— ნაცრიაშვილო, სულ შენა ხარ ჩვენი მტერი, სულ შენა!. დაუყვირა მამასახლისს მოხუცებულმა სოლომანამ და წამოდგა წინა. ხალხო და ჯამაათო, შეუკრათ სახლი და ვნახოთ რაღასაც გვიზამს ეგ ერთი კაცი მთელ სოფელს.

— შეუკრათ, შეუკრათ.. დაიგრიალა ერთხმად ხალხმა.

— დავარისხოთ, დავარისხოთ!. დაიძახეს აქეთ-იქიდამ.

რამდენიმე ბიჭი გაექანდა საყდრის ზარისაკენ და ცოტა ხანს უკან გაისმა ზარის ხმა.. ხალხმა სანქაროზედ მოიხადა ქუდი.. სულ გამქრალი, წარბ შეკრული მრისხანეთ იდგა ის, სანამ ზარის უკანასკნელი წკრიალი არ გაჰქრა ჰაერში. ზარი დააყენეს; ხალხმა ქუდები დაიხურა და ასტეხა ლაპარაკი.

— ე რისთვინაც შევგროვდით ერთი ეს გავათავოთ-და!. დაიძახა მამასახლისმა.

— აბა თქვი, თქვი.. წასძახეს აქეთ-იქიდამ.

მამასახლისმა თავი დაუქნია გიგოს; გიგო სანქაროზედ წამოდგა წინა და ხმა-მაღლა დაიწყო: აგერ ერთი წელიწადია რაც სულ გვინდა შევგროვდეთ და ე რუზე გადავწყვიტოთ რამე და ვერ მოვახერხეთ ერთათ თავის შეყრა. ესლა ყველანი აქა ვართ და უსათუოთ უნდა გადავწყვიტოთ რამე.

— გადავწყვიტოთ, გადავწყვიტოთ.. გაისმა რამდენიმე ხმა.

— ე სიმინდ-ვენახეში დაგვიხმნენ ამოდენა გვალვისაგან,—განაგრძო გიგომ,—ე ჩვენ რუს სულ აღარ გვანებებენ.. რათა მმაო? ეს რუ ჩვენ მამა-პაპასა და ჩვენც ისე გვიხმარია, როგორც რიყელებს...! გამოვიდეთ კომლზე კაცი, წავიღოთ ბარი, ნიჩაბი და ავიდეთ რიყეში. თუ დაგვანებეს წყალი ხომ კარგი, თუ არა-და, ძალა ვიხმაროთ: თავები დავისოცოთ და წყალი კი გამოვიყვანოთ; თორემ, ე წმინდი გიორგის მადლმა, შიმშილით დავისოცებით წრეულ და ვენახებს სამუდამოთ გამოვეთხოვებით თავათ კალიამ მოგვიძოვა და აგვიოხრა პური, თუ სიმინდებსა და ვენახებსაც არა უშველეთ რა, სულ დავხოცავდებით... წავიდეთ, გამოუშვათ რუ.

— წავიდეთ, წავიდეთ. დაიგრიალა ხალხმა.

— ბარ-ნიჩბები აიღეთ ხელში, თითო-ოროლა პური გამოიხვიეთ კალთაში და ეხლავე წავიდეთ.. დაიძახა მოხუცებულმა სოლომანამ.

— ეხლა დაღამდა, ბიძა ჩემო;—უთხრა მას გიგომ,—ხვალ დილაზე წავიდეთ.

— არა ერთი!.. შეიტია სოლომანამ,—ე ხალხი ძლივ შეგროვდა: ეხლავე უნდა მივატანოთ, თორემ თუ ერთი დავიშალენით ქრისტე-ღმერთიც ვეღარ შეგვიყრის ასე ერთათ თავსა.

— მართალს ამბობს სოლომანა, მართალს! დაიძახა ვანომ,— ეხლავე წავიდეთ.

— ეხლავე ჯობიან, ეხლავე,—მისძახა ვანოს ხუმარა ნინიკამ,— ერთ ღამეს ნუ დავწვებით, შვილოსან, ე ჩვენ დედაკაცებთან, რა არი!.

— ანგრე იყავს, ანგრე... დაიძახა ერთხმად ხალხმა.

გიგო გადასტა წინა.

— აბა, მაშ ჩქარა ბარ-ნიჩბები... დაიყვირა მან.

ხალხი უცბათ დაიფანტა და საჩქაროზედვე, ბარ-ნიჩბებ მხარზედ გადებული შეგროვდა „საყდრის“ კარებზედვე.

— აბა, ვანო, გაგვიძეხ წინ... უთხრეს აქეთ-იქიდამ ვანოს.

ვანო თავ-მოწონებით გადვიდა წინ, გაიდო მხარზედ ერთი უშველებელი ბეტი და ნელის ნაბიჯით დაიძრა. მას მიჰყვა მოხუცებული სოლომანა, მამასახლისი, გიგო და სხვანი. გაჩუმებული, დაფიქრიანებულის სახით გავიდა ეს ხროვა სოფლიდამ და დაადგა რიყის გზას.

## V

მოკრიალებულს ცაზედ თავისუფლად იძროდა სავსე მთვარე. მისი მკრთალი შუქი უხვად მოჰფენოდა ჩვენს ნაცნობს, მზისგან დამწვარს, არე-მარეს. ჰაერი იდგა გაშტერებული: აღარსად იყო ის

ცოტაოდენი ნიავიც, რომელმაც წეღან, მზის ჩასვლისას, დაჰბერა გახურებულს დედა-მიწას. მართალია ეხლა მზე აღარ იდგა, მაგრამ მის სხივთა მაგივრობას ეხლა მოტიტვლებული კლდიანი მთები ჰხადიოდნენ: თონესავებ დახურებულნი ისინი ყოველის მხრიდამ მწუხარედ გადმოიცქირებოდნენ ძირს და არა მზეზედ ნაკლებ ახურებდნენ ჰაერს. ამ ჩუმს სიცხეს, თითქო, ყოველი სულდგმული დაებნიდა, მოეკლა. გაჩუმებულს მინდორს ზემოდამ დასცქეროდა გაშტერებული ჰაერი და იმრგვლივ სუფევდა შეურყეველი სიჩუმე... მაგრამ, აი მოისმა რავდენიმე ადამიანის ფეხის ხმა, შემდეგ—ლაპარაკიც. ჩვენი გორიძირელები გამოიშალნენ მინდორზედ.

— ეიპე, ეიპე, — წამოიძახა ერთმა მათგანმა, — ერთი შეხედეთ — როგორი მოწმენდილია ე დალოცვილი ცაი—და!.

ეჰ, შე დალოცვილო ღმერთო, სთქვა მეორემ—გვეყო ამდენი ტანჯვა, ჩამოგვიგდე ორიოდ წვეთი ნამი.

— ღმერთო წვიმა, ღმერთო, შენი მადლისა და შენი სახელის ჭირიმე... გაისმა რავდენიმე ხმა.

— გაათავე ლეწვაა? დაეკითხა ერთი გლეხი მეორეს.

— რა ჯანაბა მქონდა, რო აქამდის არ გამეთავებინა,—მიუგო უკანასკნელმა,—ერთი ათიოდ დღის ყანა მქონდა: ჯერ კალიამ გამინადგურა; რაც იმას გადურჩა, ძმაო, ამ გვალვამ სუ ამიოხრა. სამი კალო ძლივ გამომივიდა: ცხრა კოდი პური იყო ჩემი წრევანდელი პურის მოსავალი..

— ჰო, ჰო, ჰო, რა არი—და! სთქვა მესამემ—მე რაღა გულს უნდა დამაკლდეს მაშ!. სამიოდ დღის ნახნავი მქონდა; გვალვამ ამომიგდო სული: კოდ-ნახევარი ძლივ-ძლიობისას გამომივიდა. ვარ დაღონებული და დამმარებული! არ ვიცი: ან ხემწიფეს საიდგან გავცე პასუხი, ან ღვდელსა და ან ერსა!.

— ხალხო, ე ვინ მოაჭენებს ცხენსა? უკან ცქერით დაიძახა ერთმა გლეხთაგანმა. ხალხმა მიიხედა უკან, მაგრამ ამ დროს უკან მიხედვა საჭირო აღარ იყო: ცხენოსანმა ჭენებით ამოურბინა ამ ხალხს გვერდზედ და ცოტა ხანს უკან დაიმალა რიყის ორღობეში.

— კაცო, ეგ კონას ცხენი არ იყო? დაიძახა ერთმა.

— ის იყო, ისა;—დაიძახა გიგომ—ცხენიც კონასი იყო და ბიჭიცა. მაგ მოუსვენარს სწორეთ რიყელების შესატყობრათ გამოუგზავნია ეგ ბიჭი.

— და, შეატყობინოს,—სთქვა ვანომ,—გამოვიდნენ თავიანთ ბატონებითა და ჩვენც აქ დავხვდებით რიყელებს, თქვენ მაგრა იყავით, ეგენი ჩვენ როგორ მოგვერევიან!

— თუ ძალაზე მიდგეს, ერთი იქამდინ კი უცადოთ, რო იმათ დაგვარტყან და მერე დაუშინოთ ჩვენცა და სულ გუდით ქვა ვასროლინოთ.. სთქვა მოხუცებულმა სოლომანამ.

ხალხმა იწყო ხმა-მაღლივ ლაპარაკი; გაცხარდა, მოუმატა ფეხსა და წყევლა-გინებით წაადგა გამოსაგდებ რუსა.

— ერთი შეხედე, ამ უღმერთოებს როგორ მოუმსიათ ე ჩვენი რუ მიწითა და ქვითა! სიბრაზით დაიძახა გიგომ.

— ბიჭოს!. წამოიძახა გაკვირვებით ვანომ,—ე ჩვენი რუ სარიყო რუზე კი არ ყოფილა გადაგდებული, სათავად-აზნაურო რუზეა.. მაშ, აბა, მაგრა უნდა ვიყვეთ! კონას ძმები და ყლაპიაანი ამოგვიცვივიან სწორეთ.

— ვინც უნდა იყვნენ,—დაიძახა გიგომ—ჩვენ რომ შიმშილით დავიხოცოთ, მაგათი დიდკაცობა რას გვარგებს ჩვენა? მობძანდნენ და ვნახოთ!. სინამ ისინი მოვიდოდნენ ერთი ჩვენ დავასწროთ საქმის გაკეთებას; მერე ველარას წაიღებენ ჩვენგან.

— რაღასა დგევხართ ხალხო,—დაიძახა მამასახლისმა,—ზოგმა ე ჩვენი რუდამ ამოყარეთ ქვა და მიწა, ზოგმაც იმათ რუში ჩაყარეთ ქვა და ბელტი.

ხალხი გაიყო ორათ. თვითეული ამ ორთაგანი საჩქაროზედ დადგა დანიშნულს საქმეს და მუყაითად იწყო მუშაობა. ვანო თავისი დიდ ბეტით ჩამოჯდა ერთს დიდს ქვაზედ და გლეხთ უწყო წაქეზება. მაგრამ მალე დაინახა, რომ „ბარაქალის“ თქმა გლეხობისთვის საჭი-

რო არ იყო: დააგდო თავის კეტი; ეცა იმ ქვას, რომელზედაც იჯდა და გადაგორ-გადაგორებით წაიღო ის სათავად-აზნაურო რუსაკენ.. საათიც არ იქნებოდა ჯერ გასული, რომ საქმე ბოლოზედ მიაყენეს. სათავად-აზნაურო რუ გაჭყვეს შუაზედ: ნახევარი ისევ ძველ გზაზედ გაუშვეს, მეორე ნახევარი კი თავიანთ სარუეზედ გადმოუგდეს. ამგვარად, თავდებოდა საქმე, როდესაც ერთმა გლეხთაგანმა დაიძახა:

— არიქა, მოდიან!.

ხალხი ცოტა არ იყო, შეკრთა: გლეხთ, შეშინებულისავით, იწყეს აქეთ-იქით ცქერა და ნაპირისაკენ გამოწევა.

— აბა, ბარები და კეტები დაამზადეთ! დაიძახა გიგომ.

— დაიცადეთ ჯერ—სთქვეს ერთხმად მოხუცებულმა სოლომანამ და მამასახლისმა იქნება მშვიდობით დაგვანებონ წყალი.

ამ დროს ცხენ-და-ცხენ მოცვივდნენ რუზედ ორნი ძმანი ხმამაღალაშვილები; სამნი ძმანი, აზნაურნი, ყლაპიაშვილები. ამათ ყველას ეკრათ ხანჯლები და ორს მათგანს მხარზედ თოფებიცა ჰქონდათ გადაგდებული. მათ უკან მოჰყვათ ოცამდისინ გლეხ—კაცობა ამათ ზოგს ეჭირათ კეტები და ზოგსაც— ბარები.

— ე რა ამბავია? დაიღრიალა ჭახმაკმა მოხუცებულმა თონიკე ხმამაღალაშვილმა.—ესეც შეიძლიით, რომ მე ჩემ საკუთარ რუს მიწყვეტამთ, თქვე მამა ძ.... თქვენა! სუ ისე ამოგხოცამთ აქა, რო ერთი თქვენგანი ცოცხალი აღარ დაბრუნდეს შინა!

— არა, შენი ჭირიმე,—წარსდგა ცოტა წინ სვიმონა და კრძალვით მოახსენა,—ჩვენ ჩვენი წილი რუ გამოუშვით აქეთკენ; თქვენი წილი თქვენკე მოგართვით, შენი ჭირიმე!.

— როგორ თუ „ჩემი წილი და შენი წილი"!. დაიყვირა მიხეილ ყლაპიაშვილმა,—მამა-გიცხონდა, დიდი მონაწილე არა ხარ ხმამაღალაანთი.

— აშალეთ ეხლავე ე რაღაც მიგიქარამთ, დაიძახა არჩილ ყლაპიაშვილმა,—თორემ, ი მამი-ჩემის მზემა, სუ ამოგხოცამთ აქა!.

— ვერა, შენი ჭირიმე, ვერ ავშლით! მიუგო სვიმონმა,—სახნავ-სათესი ამოგვიგვარდა უწყლობით! ვენახები და სიმინდები დაგვ...

— აშალეთ მეთქი, აშალეთ, თქვე... დაიღრიალა თონიკემ.

— ვერ ავშლით, ვერა! დაიძახა ვანომ. გორიძირელებმა განიმეორეს ეს სიტყვები.

— ქე თავებ დავიხოცამთ და წყალი კი უნდა გავიყვანოთ.. დაიძახა გიგომ..

— თავებ დაიხოცამთ—და, აბა, დაჰკარით ამ მამა ძ... ბიჭებო!. დაიყვირა რევაზ ხმამაღალაშვილმა და ხანჯალ ამოღებული ცხენ-დაცხენ გაჰქანდა ხალხისკენ. მას მიჰყვნენ სხვა ცხენოსნებიც; მათთან მოსული გლეხ—კაცებიც ნელ-ნელა და უნდომრად წამოდგნენ წინა.

— ხანჯალი რომ იშიშვლე, ბატონყმობის დრო ხომ არ გგონია ეხლა?. უთხრა რევაზს ვანომ,—და კეტ-მოღერებული გადმოუხტა მას წინ.

— ვანო, დაიძახა თონიკემ,—შენ რა გრჯის უმარწყვილო! კეთილშობილი კაცი ხარ, შენ არც კი უნდა გაერიო ემათთანა ღორის ტილებში.

— კეთილშობილი ის არის, ვისაც კეთილი სწავლა და სინიდისი აქვს! ესენი ჩემი ძმები არიან და ეს საქმეც სასოფლო საქმეა.. მისათვის მეც აქ უნდა ვიყვე!..

— იყვე—და, რამდენი შენც მოგხვდეს, იმდენი მე მიშველოს ღმერთმა—დაუძახა მას რევაზმა და მიაგდო ცხენი ზედა. ვანო გადახტა იქით. რევაზი და მისი მომხრენი ჩაერივნენ გორიძირელებში. უკანასკნელნი შეშინდნენ და გაიფანტნენ აქეთ-იქით. ცხენოსნები თავიანთ გლეხებით შემოეხვივნენ ვანოს და მოხუცებულ სოლომანს; შემოეხვივნენ და დაუშინეს მათ მათრახები და კეტები. ვანომ დაატრიალა თავისი დიდი კეტი: შემოჰკრა თონიკეს ცხენს თავში და ჩააჩოქა ის; დაჩოქებულს ცხენზედ გადმოხტა და გაექანა გაფანტული გორიძირელებისაკენ.

— კაცი მოგვიკლეს, კაცი!. დაიყვირა მან:

— არიქათ, ბიჭებო, სოლომანს მოგვიკლეს, სოლომანს! დაიძახა გიგომ და ბარ მოღერებული გაჰქანდა რიყელებისკენ; მას მიჰყვა თორმეტიოდ ყმაწვილი ბიჭი.. გაჩნდა საშინელი კეტების ტრიალი. გორიძირელები შეცვივდნენ შიგ შუა რიყელებში, სადაც სამ-ოთხგან თავ-პირ დანტვრეული და სისხლში მოსვრილი მოხუცებული სოლომანა დაცემულიყო მუხლებზედ და ჯანც მიხდილი იგერებდა მტერსა. გიგომ დასტაცა მას ხელი და გამოიტაცა თავიანთკენ.. გაფანტულმა გორიძირელებმა, რა დაინახეს სისხლი, შემოიკრიფეს გაბედულობა და წამს შეგროვდნენ ერთად.

— აბა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ, მოგვყევით აქა!. დაიძახეს გიგომა და ვანომ და გაექანნენ რიყელებისაკენ. გლეხ-კაცობა გაბედვით მიჰყვა მათ და, სულ განაბული, დაერივნენ მოწინააღმდეგეთ. რავდენიმე წამის განმავალობაში მაჩხუბართ საძრაობა ვერ უყვეს ერთმანეთს.. ვანო ეცა თონიკეს და მსწრაფლად გადმოიღო ის ცხენიდამ; გიგომ შემოჰკრა ბარი რევაზს და შუბლ გახეთქილი, გულშეწუხებული დასცა ის ძირსა. ამის შემდეგ დაიძრნენ უკან რიყელები: თავ-პირ დანსხვრეულმა თავად-აზნაურებმა აფრინეს ცხენები; მათ მიჰყვათ გლეხკაცობაც. გორიძირელები გამოუდგნენ უკან; მაგრამ რა დაინახეს, რომ მათ წინ გლეხების მეტი აღარავინ იყო, უკანვე მობრუნდნენ. მათ წინ დახვდათ ტყვედ დარჩენილი თონიკე.. ბრძოლის ველზედ უგრძნობელად ეყარნენ აზნაური მიხეილ ყლაპიაშვილი და თავადი რევაზ ხმამაღალაშვილი.

— დავხოცოთ, დავხოცოთ ეს ურჯულო თათრები.. დაიძახა სიბრაზით გიგომა და გაექანა რევაზისაკენ, მივიდა და შესდგა ზედ წიხლით.. როგორც მოიღერა მუშტი, იმ დროს ეცა მას ვანო და გადაიყვანა იქითკენ...

— ვაჟკაცი დაცემულ მტერს ხელს აღარ ახლებს. უთხრა ვანომ გიგოსა. მაგრამ, როდესაც თვით გაუარა გვერდზედ თონიკეს, ვეღარ მოითმინა და ერთი კარგი წაუდო კისერში.

— ესეც თქვენ კეთილშობილებას! დაატანა ზედ. ეს დრო ის დრო ნუღარ გგონია, როდესაც კაცებსა ჰჭამდი და ხმას ვერავინ გცემდა.

ამის შემდეგ დაშოშმინდა ხალხი.. გორიძირელებმა იწყეს თავ-პირ დანტვრეულების გაბანვა და მოსულიერება. მოხუცებულ სოლომანას სამგან ჰქონდა თავი გატეხილი და ბეჭებშიაც ხანჯლით იყო დაჭრილი. თუმცა ეს გრძნობაზედ მოიყვანეს, მაგრამ საშინლად იყო დასუსტებული და ამისათვის მის წასაყვანათ ურემი იყო საჭირო. ამ ურმისთვის სოფელში ორი ბიჭი გაჰგზავნეს. ვანოს თავი ჰქონდა ერთგან გატეხილი და მათრახისაგან ერთი ყურის ბიბილო მთლად მოგლეჯილი. გიგო სულ ერთიანად სისხლში იყო მოსვრილი: ხანჯლით ორგან იყო მსუბუქათ დაჭრილი, თავი ჰქონდა გატეხილი ერთგან, მაგრამ ძიელ. ორიოდ-სამ სხვა გლეხ—კაცთაც ჰქონდათ თავები დანტვრეულები. რიყელებიც ყველანი მოასულიერეს, მაგრამ რევაზს ვერაფერი ვერა უშველეს-რა: ამას შუბლი საშინლათ ჰქონდა გახეთქილი. მართალია მოჰბანეს და შეუკრეს შუბლი, მაგრამ სუსტი სუნთქვის მეტი აღარაფერი არ აჩვენებდა, რომ ამ კაცში კიდევ სიცოცხლე იდგა.

— ვაიმე, ძმაო! ვაი ჩემ სიცოცხლესა და ვაგლახი!. თავში ხელების ცემით დაიღრიალა თონიკემ, როდესაც თავისი უნცროსი ძმა ამ ყოფაში დაინახა.

— ე მაგ ღრიალს შენ ის გირჩევნიან — წახვიდე შინა, ურემი გამოგზავნო და წაალებინო ეგა!. უთხრა მას ვანომ. თონიკე სიხარულით გაექანა შინისაკენ; პატარა ხანს უკან მოიყვანა ურემი, დააწვინა ზედ რევაზ და მიხეილი და გაბრუნდა უკანვე.

## VI

მზე კარგა ხნის ამოსული იყო, როდესაც გაგზავნილმა ბიჭებმა გორიძირიდამ ურემი მოიტანეს. ვანომ და გიგომ სიფრთხილით

აიღეს და დაუდვეს მოხუცებული სოლომანს ურემზედ. სოლომანმა ერთი ღრმათ ამოიკვნესა; ვანო ავარდა ურემზედ; დაინახა რომ სოლომანს, შეკრული თავიდამ, სისხლი გადმოსდიოდა კიდევ. საწყაროზედ მოიგლიჯა ყელიდამ თვისი საყვარელი ქალაღა და გულითადის მზრუნველობით შემოახვია ისიც თავზედ ულმერთოთ ნაცემ მოხუცებულს. სოლომანმა გაახილა თვალები და, რა დაინახა ვანო, ნელ-ნელა გააღო პირი და წარმოსთქვა:

— შენი ჭირიმე, ვანო, შენი!. საწყალი კაცი გებრალება; ღმერთი იქნება შენი შემწეცა.

— ღმერთი კი არა, ხატი არ გინდა, უთხრა მას ღიმილით ვანომ, მე ჩემს სინიდისს ვაკმაყოფილებ!. ღმერთთან რა დავა მაქვს მე.

— ნუ ლაპარაკობ ეგრე, ნუ, შენ გენაცვალე ვანო!.. სთქვა სოლომანმა. შემდეგ დახუჭა თვალები და ერთი კიდევ გულიანათ ამოიკვნესა. ვანო დააცქერდა მის სახეს. ეს სახე მომაკვდავის სახესა ჰგავდა: ღრმად ჩაცვინული თვალები უძრავად იყვნენ დახუჭულნი; გაყვითლებულს განზედ აქა-იქა სჩანდნენ ცემისაგან აბურცებული გალურჯებული ხორცები; თითქმის მრთლად გათეთრებულს წვერ-ულვაშიდგან წითლად გამოსჭვიოდნენ სისხლში მოსვრილი თმები. მრთლად სახეზედ ჰქონდა გადაშლილი საშინელის ტანჯვისა და ვაების გამოხატულება. ყველა ამის დანახვამ აუჩუყა ვანოს გული, დიდი თვალები აევსო ცრემლით და მოჰყვა გულ-ამოსკვნით ხმა-მაღალ ქვითქვითს.

— ვანო, რა დაგმართვია კაცო! დაუძახა მას გიგომ, დედა-კაცი ხომ არა ხარ, რო ტირი; გადმოდი აქეთა! ამ სიტყვებით ავარდა გიგო ურემზედ და გადმოიტაცა ვანო ძირსა. შემდეგ აქეთ და იქით სოლომანს მოუსხა ორი გლეხ—კაცი და გამოისტუმრა ურემი წინა.

— რამდენი მეგობრები და ნათესავები დამხოცია, მაგრამ ერთი ცრემლი არ ჩამომიგდია მათზე.. სთქვა ვანომ. მაგ მოხუცებულის სახემ კი დამძლია..

— შე ოჯახქორო, რა დროს ტირილია! კაცები გაგვჭარვიან აქედგან. უთხრა მას გიგომ.

— ჰო, მართლა, კაცო!. დაიძახა ერთმა გლეხმა.—ი რევაზმა რო შემოგვიტია ხანჯლითა, მაშინ მამასახლისი, ხუმარა ნინიკა და ერთი კიდევ ვიღაცა გაიქცნენ და აღარც მოსულან, აღარცა.

— მესამე სოსიკა ბიჭი ყოფილა.—სთქვა გიგომ,—აი ე მეურ-მეებმა თქვეს, რო იმ სამთავეს ე ჩვენი გაყვანილი წყალი გაუყვიათ და რწყამენ თურმე თავიანთ სიმინდებს.

— ეს სოფლის ღალატობაა! დაიძახა სიბრაზით ვანომ.

— აქ კინაღამ დაგვხოცეს, შვილოსან, და იმათ კი ეხლავე თავიანთ სარწყავებში გაუყვანიათ წყალი; სთქვა ერთმა გლეხთა-განმა.

— ძროხები უნდა დაუკლათ იმათ, ძროხები;—დაიძახა გიგომ.

— ასი იქნება იმათზე, დაუკლათ! მისძახა ვანომ გიგოსა.

— დაუკლათ, დაუკლათ! დაიგრიალა სიბრაზით ხალხმა.

— მაშ სოფელში რო შევიდეთ, არ დავითვანტოთ, სთქვა ერ-თიმა ჭაღარ შერთულმა გლეხმა—ესე, ერთიანად ჯერ ერთს მიუხტეთ და დაუკლათ ძროხა, მერე—მეორეს, მერე მესამეს.

— ანგრე იყვეს ანგრე!. დაიძახეს აქეთ-იქიდამ.

ამის შემდეგ დაიფიცა ყველამ—რომ, როგორათაც ჩადენილს ანბავში, ისე მომავალ საქმეში არ უნდა ეღალატნათ ერთმანეთისათვის, უნდა ყოფილიყვნენ ყველანი ერთად და ავისა თუ კარგისათვის ყვე-ლას ერთად მიეშვირათ კისერი.

— ახლა კი წავიდეთ შინისაკენ—სთქვეს აქეთ-იქიდამ.
ხალხი შეჯგუფდა ერთად და ნელის ნაბიჯით დაიძრა სოფლისაკენ. ვანომ ამოიღო ჯიბიდამ თავის განუშორებელი სალამური, დაუკრა და ნაღვლიანის ხმით დასძახა ზედ:

„ყველგან, სადაც გლეხი სცხოვრობს
სუფევს ტანჯვა და ვაება;
ყველა გლეხის ოფლში სცურავს,
ყველა მისი სისხლით სძღება!.

—

მუშა კაცის ოფლმა ცრემლმა
მრთლად ქვეყანა დაალბესა!.
ისა შრომობს და სხვა ჭხაროპს,
დახე ქვეყნის სიმრუდესა!.

—

მაშ ჩვენც ხელი გავიქნიოთ,
ხელი, მუდამ მოცარული;
სიკვდილითა, თუ სიცოცხლით,
მტერთ მიურწყოთ საწყაული.

—

ლაჩარია იგი კაცი,
ვინც ლოგინში მუქთათ გდება..
საყვარლისა ტანჯვას ხედავს,
მღვდლებისაგან იჯიჯგნება.

— შენი ჭირიმე, განო, შენი,—უთხრა მას გიგომ, როდესაც ეს ლექსი გაათავა—შენისთანათ ჩვენი ტანჯვა და ვაება არავინ არ იცის.. აგი იმისთვინაც გებრალებით შენა!.

— ღმერთს ერწმუნე რო ვინც კი ჩვენ ამბავს შეიტყობს, ყველას შევებრალებით! სთქვა ერთმა გლეხმა.

— შენმა მზემ; კონამ თუ იცის შენი ამბავი, აგი იმიტომ ებრალები!. უთხრა მას გიგომ.

— ან კიდევ: ბიძა ჩემმა ილიკომ თუ კარგათ იცის თქვენი ცხოვრება, იმიტომ ტყავს ვერ გაძრობთ ხოლმე, თუ კი შეგხვდათ სადმე; —სთქვა განომ.

— რა ბძანებაა, შენი ჭირიმე განო,—დაურთო ჭაღარ შერთულმა გლეხმა.—ჩვენ დროში ათასში ერთი თუ გამოერევა ღვთისნიერი კაცი და შეგვიბრალებს ჩვენა, თორემ სხვანი სულ ჩვენ დახაგვრას და მტრობაში არიან.

— ფიქრი არ არის!. სთქვა ვანომ—დასდგება ისეთი დრო, როდესაც თქვენ ერთი ორად გადუხდით თქვენს მტრებსა! ჯერ ერთი ე შკოლა წავიყვანოთ კარგათ, მერმე შევაგროვოთ ფული და ბანკი გავხსნათ, ბანკის სარგებლით გავხსნათ დეპო. დეპოს მოგებით ჩვენი შკოლიდამ შეგირდები გავგზავნოთ ხოლმე სხვა დიდ შკოლებში, მომეტებულად სამხედრო შკოლებში, რომ თოფ-იარაღის ხმარება თვით ისწავლონ კარგათ და გვასწავლონ ჩვენცა.. მაშინ...

— უთაურები ვართ, ჩემო ვანო, უთაურები!.. სთქვა გიგომ.. ეს სამი-ოთხი წელიწადია სულ მაგ შკოლაზე, ბანკზე და დეპოზე გვეჩიჩინები და ჩვენ ვერა შევისმინეთ რა! ე ერთი სკოლა ძლივ-ძლიობისას გავხსენით და ეგეც ლამის ისევ ჩაგვეფუშოს: ხო გახსოვს —რასაც აკეთებდა წრეულ ჩვენი ოსტატი? დალოცვილი შვილი, თითქო, ღვინის სასმელათ იყო აქ გამოგზავნილი, ისე ლოთობდა დღე და ღამე. ახლა ჩვენც დაუდევრები ვართ ერთმანეთის მტრები, მოღალატენი; აი დღეს არ იყო—სამმა კაცმა გვიღალატა და გამოგვეპარნენ შინ!.

— გვიღალატეს და ახლა ჩვენც მოგვიცადონ!. სიბრაზით დაიძახეს აქეთ-იქიდამ. გასჩნდა ხალხში ლაპარაკი: წყევლა, ლანძღვა, მუქარა აირია ერთმანეთში. ამასთანავე ხალხმა მოუმატა ფეხსა და საჩქაროზედ ჩაიარა გორიძირის ორღობე, გამგელებული შევარდა სოფელში, ჩაუარა რამდენსამე სახლს და შემოეხვია მამასახლისის კარებს.

— გამოიყვანეთ ძროხა, გამოიყვანეთ! დაუყვირა ხალხმა მამასახლისის ცოლს.

— ძროხა გუშინ ურიამ წაგვართვა ვალშია... სთქვა შეშინებულმა დედა-კაცმა.

— მართალია ხალხო დაიყვირა გიგომ.

— მართალია, მართალია! გაისმა რამდენიმე ხმა.

— მაშ ხარი დაუკლათ, ხარი.. დაიყვირეს აქეთ-იქიდამ.

საჩქაროზედ ორი ბიჭი გაგზავნეს მინდორში ხარის მოსაგდებ-ლად; თვით ხალხმა კი დაიგრიალა და ეცა ხუმარა ნინიკას სახლსა... ნინიკა კარებზედ დახვდა...

— გამოიყვანე ძროხა, გამოიყვანე ჩქარა.. შეუტიეს ნინიკას აქეთ-იქიდამ.

— თქვენი ჭირიმე მაპატიეთ, წარმოსთქვა ნინიკამ თითქმის ტირილით. ხო იცით მაგ ერთი ძროხის მეტი არა მაბადია-რა!. ნუ დამიკლამთ; მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე.

— ერთი ძროხის მეტი არა ჰყავს-რა, მოისმა აქეთ-იქიდამ— საწყალი კაცია!.

— ოღონც ძროხას კი ნუ დამიკლამთ-და, ისეთ ბურვაკ მოგ-ცემთ, რო სუ კუდიდან ქონი გასდიოდეს! სთქვა ცოტაოდენათ მომ-ხიარულებულმა ნინიკამ. აქეთ-იქიდამ მოისმა სიცილი.

— რას იღრიჭებით, თქვე ოჯახ-დაქცეულებო, თქვენა.. დაიყვირა გიგომ.—ეგ არი თქვენი ფიცი? ეს სოფლის მოღალატეა.. ძროხა უნდა დაუკლათ, ძროხა.

— ძროხა, ძროხა!. დაიგრიალა ხალხმა.

— თქვენი ღვთის გულისთვის—ნუ დამიკლამთ ძროხას, სთქვა გვალად ნინიკამ. წვრილ-შვილი ვარ, ჩემ დედა-კაცს ძუძუ გამშრალი აქვს.. აი ჰკითხეთ თუ გინდათ! ერთი კაი ბურვაკ დაგიკლამთ; ეს ერთი ქეციანი ძაღლი მყამს: ემასაც, თუ გინდათ, ზედ დაგაკ-ლამთ.

— შენ მკვდარსა და შენ ცოცხალ დააკალ ეგა!. მოისმა აქეთ-იქიდამ სიცილით... ეს, ძმაო, თავისას არ იშლის! საწყალი, მართო-ხელი კაცია, ვაპატიოთ!.

— გიგო, დაიძახა ვანომ,—ძროხა ვაპატიოთ, ღორი დაუკლათ იმის მაგივრათ.

— არ იქნება, ვანო, არა! გაისმა რამდენიმე ხმა.

— წამოდით, გამოიყვანეთ ძროხა, — დაიყვირა გიგომ, და გასწია კარებ-მოხურულ ბაკისაკენ; მას მიჰყვა რამდენიმე გლეხი. ძროხა საჩქაროზედ გამოიყვანეს ბაკიდამ და დასცეს ძირსა. გიგომ ამოიღო ხანჯალი.

— ნუ დამღუპამთ, თქვენი ჭირიმე; ნუ დამისხამთ ცეცხლზე წყალსა!. მოისმა ნინიკას მომტირალი ხმა.

— გიგო, არ დაჰკლა, გიგო!. დაიყვირა ვანომ.. აი ეს სამი მანეთი და ერთი აბაზი მაქვს და ესეც იმ ღორისთვის დამიდვია, ოღონდ ძროხას ნუ დაუკლავთ ამ საცოდავ კაცსა.

გიგომ ერთი კი შეხედა ვანოსა და შემდეგ დაუსვა ხანჯალი ძროხის ყელს.. ხალხმა სული განაბა. ცოტა ხნის უკან გაისმა დაკლული ძროხის ხრიალი და ფეხების ფართხა-ფურთხი. ხალხმა, თითქო, თავისუფლად ამოისუნთქა. გულ-ხელ დაკრეფილი ნინიკა წყევლითა და გინებით შევიდა სახლში; ხალხი კი აქედამ სოსიკა ბიჭის სახლისკენ გაჰქანდა.

— გამოიყვანე ძროხა, გამოიყვანე!. დაუყვირეს აქეთ-იქიდამ სოსიკა ბიჭს, რომელმაც, ის იყო, კონას კიბე ჩამოირბინა და ერთი ფაცა-ფუცით დაადო კლიტე თავის ბოსლის კარს.

— რათა? რისთვინა? უპასუხა თამამად ხალხსა ლაზათიანად მოსულმა, ახალგაზდა სოსიკა ბიჭმა.

— იმათა, რომ გვიღალატე: გამოიპარე რუდამა და დაუწყე შენ სიმინდს რწყვა მაშინ, როცა ჩვენ თავებს ვისოცამდით იმ წყლისთვინა.. მიუგო ვანომ.

— მე თქვენი ლაპარაკისა არა ვიცი-რა.. სთქვა ამაყად სოსიკაბიჭმა. ჩემი ძროხა აი ბოსელშია და, აბა, ვინც კაცი ხართ და ერთ ბეწვს აუფრენთ იმასა.

ამ სიტყვებმა საშინლად ააღელვა ხალხი!. იწყო მან ხმაურობა, ყლავი-ყლუვი, მაგრამ ვინ რას ანბობდა, გარჩევით არა ისმოდა-რა!.

— გაუტეხოთ კლიტე, გაუტეხოთ, დაიძახა ვანომ. გიგო გადახტა ბოსლის კარებისაკენ; ეცა კლიტეს, მოსწია და მოანგრია ღერო.. რამდენიმე გლეხი შევარდა კარ-ღია ბოსელში და იქიდამ გამოაგდო ძროხა. წაქცევა და ყელის გამოჭრა ამ ძროხისა ერთი იყო! სოსიკა ბიჭის ცოლ-შვილმა შექმნა ერთი საშინელი ტირილი და თავში ცემა. თვით პატრონი კარგა ხანს გაშტერებული იდგა. უნდოდა გაეღიმა, თითქო რაღაც ნიშნი მიეცა მოძალადე ხალხისათვის, მაგრამ დიდს ხანს ვერ გასძლო მან ამ გვარს მდგომარეობაში. მირ-დაცემულმა, ყელ-გამოჭრილმა ძროხის ხრიალმა გასტეხა მისი მოთმინება და მის თვალებიდამ ზედი-ზედ გადმოვარდა რამდენიმე წვეთი ცრემლი. ის გაშმაგებულის სახით გადახტა წინ და ორთავ ხელებით ეცა ყელში გიგოს. უგანასკნელმა იწყო მის მოგერება: მალე გააშვებინა ხელი და მუცელში წიხლის-კვრით გადააგდო იქით. სოსიკა ბიჭი დაეცა მიწაზედ, შეიწუხა გული და მკვდარივით გაიჭიმა უძრავათ. ახლა ამაზედ გაჩნდა მის ცოლ-შვილსა და ნათესავებში თავში ცემა და კაივაგლახი. ხალხიც ცოტა არ იყო, შეკრთა წინაპირველად, მაგრამ რა შენიშნა რომ სოსიკა ბიჭი ცუდლუტობდა, ანება მას თავი და მიბრუნდა მამასახლისის კარებისაკენ. მინდვრიდამ მოგდებული შვიდ-რვა თუმნიანი ხარი დასცეს მირს და გამოსჭრეს ყელი. ამის შემდეგ სამთავ დაკლული საქონელი შეაგროვეს ერთგან, დაატყავეს, დასჭრეს და დაურიგეს სოფელს.

— გონას არა მიუგზავნოთ-რა, გონას.. დაიძახა ვანომ.

— იმას სახლი შეუკარით, გაგზავნა როგორ იქნება.. მოისმა აქეთ-იქიდამ.

ამის შემდეგ ხალხი თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდა. ხუმარა ნინიკამ კი აიარა გონას ბალკონის კიბე და შევიდა მის სახლში.

## VII

ამ სახლში ნინიკას დახვდნენ თვით სახლის პატრონი თავადი კოხა ხმამაღალაშვილი, აზნაური ილიკო მხიარულაძე და მამასახლისი ქრისტესია ნაცრიაშვილი. სამოც წლამდისინ მიხწეული, მომღიმარე პატარა პლუტური თვალებით შემკული, გახუნებული ფარჩის ახალუხის ამარა იჯდა კოხა ტახტზედ და დაბალის ხმით ეპასუხებოდა იქა მყოფთ, რომელნიც მასზედ კარგა მოშორებით ისხდნენ სკამებზედ.

— შენც მე მომმებნე? მოდი შვილო, მოდი. — ალერსიანის ხმით უთხრა კოხამ ნინიკას, როდესაც ამ უკანასკნელმა შეაღო პირველის კარები..

— ღმერთმა შენი ნუგეში და იმედი ნუ მამიშალოს, შენი ჭირიმე! სთქვა ნინიკამ.—დაგვაწიოკეს, შენი ჭირიმე.. ერთი ძროხა მყამდა, ისიც დღეს დამიკლეს...

— დაგვღუპეს, დაგვღუპეს, შენი ჭირიმე, დაიწყო მამასახლისმა, — ათ თუმნიანი ხარი დამიკლეს! ეს სულ კი სოსიაშვილისაგან მოხდა.

— სულ, სულ იმისაგან.. დაუმატა ნინიკამ.

— სოსიაშვილიც ხომ სათოკეა, მაგრამ ის ისე არ არის დამნაშავე, როგორც ვანო.. სთქვა კოხამ.. სულ იმან არია ეს სოფელი. ღმერთი მაგას არა სწამს, საყდარში ეგ არ დადის; მღვდლებს, ბერებს, ჩინოვნიკებს მუქთა მჭამლებს ეძახის; თავად-აზნაურობა დასამრახისი ხარისხიაო.. . . . . . . . . ამისთანა ლაპარაკმა გააგიჟა ხალხი: ოციოდ-სამი კაცის მეტი სოფელში ძალდათ აღარავინ მაგდებს.

— გაირყვნა, კნიაზო, ადამიანი გაირყვნა.. წარმოსთქვა ლაქუცით ილიკომ, — ვერა ქნეს კაი საქმე გლეხები რო გაანთავისუფლეს! მას შემდეგ წახდა ქვეყანა...

— ხემწიფევ მრავალ მოწყალეა, — ბრძანა კონამ, მაგრამ ხალხი არ ვარგა, ხალხი!.

— მართალი ბძანებაა, შენი ჭირიმე.. სთქვეს ერთხმად მამასახლისმა და ნინიკამ.

— აუდევნების სოსიაშვილი და ამ ქალაქ დღე სულ იმასთანა გდია.. სთქვა ვანოზედ აზნაურამ... ეგ ოჯახ-დაქცეული გვარს არცხვენს, გვარსა.

— მე, იწყო გვალად კონამ, — მონდობილი მაქვს მრთელი ე ჩვენი მხარე.. აქ მე თვალ-ყური უნდა ვადევნო — ვინ რა წინააღმდეგობას იტყვის, ანუ ჩაიდენს. მერე უნდა დავასმინო.. მე ეგ ვანო ბევრ რამეში მყამს დაჭერილი. აქამდინ ვითმინე და ახლა კი მოთმენა აღარ შემიძლიან: ჩემ გარდა სხვებიც არიან დანიშნული; იმათ რომ გაიგონ მაგის საქციელები და დაასმინონ, მე მაშინ საყვედურს მივიღებ და მოვაკლდები ჩემს ეხლანდელ ალაგსაც. ამასთანავე, საქმე გაჭირა მაგ შეჩვენებულმა!. მე დღესვე ქალაქ წავალ და, მალე მტერი მე მომიკვდეს, მალე მე ეგ მოგაშოროთ თქვენა!.

ხუმარა ნინიკა შეიშმუშნა, თავი მაღლა აიღო.. თითქო რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვეღარ გაბედა, დაღონებულის სახით გაშტერდა; შემდეგ თავი ჩაღუნა და გულიანათ ამოიოხრა.

— ეგები ე სოსიაშვილი მოგვაშოროთ როგორმე, ბატონო... წარმოსთქვა მამასახლისმა..

— დიახ, დიახ, შენი ჭირიმე, ბატონო.. დაიძახა ნინიკამ — სუ გიგოს ბრალია, სულა..

— მაგას სხვანაირათ მოექვლება, — განაგრძო კონამ. — ჯერ ერთი: იქ ჩემი ძმისთვის ბარით თავი გაუტეხნია!. დილასა ვნახე, ძიელ შეწუხებულია. ჩვენ, რასაკვირველია, ვიჩივლებთ. თქვენ ძალადობით ძროხები დაგიკლათ; სოსიკა ბიჭს ხომ კლიტეც გაუტეხა და კინაღამ გიდეც მოკლა.. ამაზედ თქვენ, სამთავენი, იჩივლებთ.. მე და ეს ილიკო მოწმებათ დაგვწერეთ.. სხვა მე ვიცი.

— ერთი კაი ქეიფი კი გამაწევინეთ-და ვინ მამა ძ... არ გი-მოწმებთ; თუ საჭირო იქნება სუ ფიცილით ავამსებ სუდსა.. სთქვა ილიკომ.

— სოსიკა ბიჭსაც შეატყობინეთ და ხვალ ამოდით რიყეში, იქ მიხეილ ყლაპიაშვილი დაგიწერთ ქაღალდსა და გაგზავნით სუდისკენ.

— სოსიკა ბიჭს რო თქვენ უბძანოთ უფრო კარგი იქნება.. მოახსენა მამასახლისმა.

— იმას ბძანება აღარ უნდა! მე იმას კაი დარიგება მივეცი წე-ღან და კარგათაც აასრულა.. სთქვა კონამ და წამოდგა ფეხზედ.

ყველანი წამოდგენ ფეხზედ, დაუკრეს კონას თავები და მო-ბრუნდნენ კარებისაკენ. ამ დროს ბალკონზედ ამოვარდა რიყელი ერ-თი აზნაურშვილი და, რა დაინახა კონა, შეჰღრიალა მომტირალის ხმით:

— ბატონო კონა! შენი ძმა, რევაზ, გამოგვეთხოვა; ასე დაგ-ვღუპა და დაგვანელა!. ვაი ჩემ თავსა, რო მე ამ დღეს შევესწარი!...

კონა გაშეშდა ერთს ალაგას; მისი გაჭყეტილი თვალები კარგა ხანს უძრავად იცქირებოდნენ ანბის მომტანისაკენ. შემდეგ გიჟივით ხელი გაიქნია და ერთი საშინელი დაიღრიალა:

ვაიმე, ძმაო! ვაი, ჩვენ დაღუპვასა!. დავარდა ისევ ტახტზედ და თავსა და პირში წაიშინა ხელები. მეორე ოთახიდამ გამოვარდა კონას მეუღლე, რიფსიმე, და მივარდა ქმარსა, კარზე მომავალნიც ისევ მიბრუნდნენ უკან. ამათ, ჩვეულებრივ, ჯერ მიუსამძიმრეს და შე-მდეგ დაუწყეს ნუგეშის ცემა. კონამ კარგა ხანს იღრიალა და იცა თავში. ბოლოს, როგორც იყო, დაჩუმდა, შეაკმაზინა ცხენები; გაი-ყოლა თან აზნაურა ილიკო და თავის კნეინით გასწია რიყისაკენ. როდესაც ამ ცხენოსნებმა გიგოს სახლს აუარეს გვერდზედ კონამ გულში ხელი ჩაიკრა და ხმა მაღლა დაიძახა:

— მაშ ამ გულზე მიწა დამეყაროს, თუ მე შენ ციმბირში არ გიკრა თავი.

## VIII

— მე ვიცი მაგათ წვიმა მოუყვათ.. უთხრა მგზავრებზედ მამა-სახლისმა ნინიკას, როდესაც ესენი, ორთავენი ერთად, გამოვიდნენ კონას კარმიდამოდამ.. .ე ღრუბლები როგორღაც აიშალა.

— ნეტა ერთი ღმერთმა ბძანოს და წვიმა მოვიდეს,—ამოო-ხვრით სთქვა ნინიკამ,—მაგათ რა უშავთ, ძმაო; ეხლავე იქ დაიბა-დებიან..

— ღმერთო წვიმა, ღმერთო!.. დაიძახეს თითქმის ორთავემ ერთად—და მოშორდნენ ერთმანერთს.

უცებ ცამ დაიგრიალა და გაისმა ქუხილის ხმა.. ამ ხმამ მთელი სოფელი თითქო ღრმა ძილიდამ გამოაღვიძაო: სოფელში გაჩნდა ხმაურობა, ხალხი გამოიფინა ბანებზედ.

— ღმერთო წვიმა, ღმერთო!.. ისმოდა აქეთ იქიდამ.. ქალი, კაცი, მოხუცი, ბავშვი სულ ერთნაირად შეჰღაღადებდა ღმერთსა და შესთხოვდა წვიმას. თითქო მართლა ღმერთმა შეისმინა ეს თხოვნა: ცა დაიფარა ლურჯ—მოშავო ღრუბლით, გაჩნდა ჰაერში ჭექა-ქუხილი; შხაპუნა წვიმამ დაუშვა კოკი-პირულად. უცებ ჰაერში გაისმა რაღაც —გრიალი, ზუზუნი; გავიდა ორიოდ წამიც და უბედურ გორიძირელებმა ცხადათ დაინახეს გვალვაზედ არა ნაკლები თვისი ამომგდები მტერი—სეტყვა. ხალხი მიიმალ-მოიმალა. ცოტა ხანს უკან საყდრის ზარებს აუყენეს რაკა-რუკი, მაგრამ სეტყვა თავისას არ იშლიდა. ნახევარ სა-ათს განმავლობაში მსხვილ თხილის ტოლა სეტყვას გაჰქონდა შესაზა-რი გრიალი მთელს ამ არე-მარეზედ. მიწა მოიფინა სეტყვით, გას-ჩნდა ნიაღვრები. დაშვებული მთიდამ მოეცა სოფელს წყლის დიდრო-ნი ნაკადულები.

— არიქათ, გვიშველეთ, თქვენი ჭირიმე, ქრისტიანნები ვინა ხართ; გვიშველეთ: ვიხრჩობით;—გაისმა უცებ დედა-კაცის ხმა. ამ დაძახებამ მთელს სოფელში ასტეხა ხმაურობა.

— ხალხო,. უშველეთ, უშველეთ,.. გაციაანი ნიაღვარმა წაიღო. მოისმა ვანოს ხმა. პატარა ხანს უკან გამოჩნდა თვით ვანოც. თავ-შიშველ-ფეხშიშველა ის ყვირილით გარბოდა გაციაანათ სახლისკენ, აი მივიდა კიდეც ამ სახლთან. ნიაღვრის ვეებერთელა ნაკადული მის-ცემოდა ღრმათ ჩათხრილ მიწურს, ჩამოეგდო კარები და გრიალით შედიოდა სახლში. ვანო საჩქაროზედ გადახტა წყალში და ბარბაცით შეჰყვა მას სახლშია, სახლი ნახევრობამდისინ წყლით იყო სავსე. ძაღ-ლი, ქათამი, ინდოური, კასრი, გოდორი და სხვა სულ ერთმანერთში იყვნენ არეულნი: ზოგი ამათგანი იხრჩობოდა; ზოგიც მოეტივტი-ვებინა აქაფებულს წყალს და გაჩქარებით მიჰქონდ-მოჰქონდა აქეთ-იქით. სახლის პატრონ ცოლ-ქმართ ბავშვები ფქვილის გოდრებზედ შეესხათ და თვით, რაც მოხვდებოდათ, აყრიდნენ კარებს.

— გვიშველე, შენი ჭირიმე, ვანო, — გვიშველე!. დაიძახეს ცოლ-ქმართ, როდესაც ვანო მათ წინ გაჩნდა.

— ქვემო კედელი ხევისაკენ არის, აბა მივაწვეთ იმას, ეგები გადავანგრიოთ, სთქვა ვანომ და გაჰქანდა კედლისკენ; მივიდა ამ კე-დელთან, მიაბჯინა ზურგი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიაწვა მას. ცოლ-ქმარნი მიეშველნენ ვანოს; ამ დროს სახლში შემოცვივდნენ შვიდი — რვა გლეხ — კაცნი და ესენიც მიესივნენ ქვემოთა კედელს. კედელმა დაიგრიალა და გადაწვა ხევში. დაგუბებულს წყალს მიეცა გზა, ოჯახობა გადურჩა დაღუპვასა. მშველელნი გამოცვივდნენ აქედამ და გაჰქანდნენ ახლა მეორე გლეხის სახლისკენ, საიდამაც ისმოდა საშინელი ყრიამული.

— არიქა, ბიჭებო, ჩვენ სოლომანას შეავარდნია ნიაღვარი... დაიყვირა ვანომ და მოუმატა სირბილს. უცებ გაუსხლტა ფეხი ვანო-სა, დაეცა ძირს და თავი დაჰკრა ქვასა.. სისხლი თქრიალით ჩამოედი-ნა შუბლზედ; მაგრამ ვანომ თითქო ვერც კი გაიგო ესა: მსწრაფლად წამოხტა ისევ ფეხზედ და ერთს წამს თავის ამხანაგებით მიიჭრა მოხუცებულ სოლომანას სახლთან. აქ უფრო დიდი ნაკადული შედი-ოდა სახლში; მეორე უბედურობაც მასში მდგომარეობდა, რომ ხალხი მრთელად მიწაში იჯდა და არა ჰქონდა გასანგრევი კედელი.

— ნიაღვარი გადუგდეთ იქით, ნიაღვარი!. დაიძახეს აქეთ-იქიდამ.

რამდენიმე გლეხი ეცა ნაკადულს, ზოგნიც შეცვივდნენ სახლში; კარებთან ესენი შეეფეთნენ გიგოს, რომელსაც ხელში ეჭირა სოლომანა და მოიწევდა კარებისკენ, მაგრამ აი მიჰკრა მას მძლავრმა ნაკადულმა, დასცა ძირს და გორაობით წაიღო ქვემოთკენ. ახლად შესულები მიეშველნენ გიგოს და სოლომანა საჩქაროზედ გამოიტაცეს კარზედ, მაგრამ ეს შველა გვიანიღა იყო. დასუსტებულ, ავათმყოფი მოხუცებულისთვის ლოგინში მოესწრო ნიაღვარს, ეყლაპებინა რამდენჯერმე წყალი და გიგოს ხელში დამხრჩვალიყო საწყალი. ამის გამოტანის შემდეგ უვნებელად გამოასხეს სახლიდამ მისი ცოლ—შვილიც.. კარებზედ გაჩნდა ერთი საშინელი ტირილი და წიოკობა. მთელი სოფელი თავს დაედო ამ უბედურთა: ასე გაშინჯეთ ბავშვებიც კი დასტიროდნენ კეთილ, ჭკვიან მოხუცებულ სოლომანას. პატარა ხანს უკან ჩვენმა ბებერმა ბაბალემ წაიყვანა თავის სახლში სოლომანას ცოლ-შვილი, თვითონ გარდაცვალებული კი „საყდარში" წააღებინა მღვდელმა. რამდენსამე სხვა გლეხ-კაცთაც შეუვარდათ სახლში ნიაღვარი: ერთს მათგანს დაუხრჩო ხბო, მეორეს ხარი.. სხვანი მშვიდობით გადურჩნენ უბედურობას; მაგრამ ვენახები, ვენახები!!!

## IX

გავიდა სამი, თუ ოთხი დღე ამ ანბის შემდეგ. ამ დროს განმავალობაში არც კონა და არც მისი მომხრე გლეხნი სოფელში არსად არა სჩანდნენ. გორიძირელებმა ვერ შენიშნეს ესა. მათ გულს სხვა დიდი ჯავრი და სევდა აწვა: იგინი ჰგლოვობდნენ სეტყვისაგან განადგურებულს თვის ვენახებს. იყო კვირა დღე; გორიძირის ტაძარში წირვა იდგა.. ხალხი, არა ჩვეულებრივ, ბლომათ შეგროვილიყო ამ ტაძრის კარებ-წინ და სევდიანის, მწარეთ დაღრეჯილის სახით, იწერდა ხანდისხან პირჯვარს. „ღმერთო მოგვხედე, ღმერთო, შენ

მადლსა და შენ სახელსა!" გაისმოდა ხოლმე გლეხების მწუხარე ხმა ყოველ ამდროს. რა დამართვია ამ საცოდავ ხალხს?! რას დაუხოცნია ასე უწყალოდ ეს უბედურობის შვილნი?! ერთს მათგანს აღარ ედო თვისი ნამდვილი ფერი და სახე.. ჩაცვივნული თვალები საცოდავათ გამოიცქიროდნენ თვის მოროღვეულს ბუდეთაგან; გამხდარს, გაყვითლებულს სახეზედ ისეთი ღრმა სევდა და ვაება ჰქონდათ გადაშლილი, თითქო მასზედ თავის დღეში არც ერთხელ არა ჰქონიყვეს ადგილი მხიარულების გამოხატულებას.

— დავიღუპენით, ძმაო დავიღუპენით... წამოიძახა ერთმა გლეხმა.

— იდიდოს ღმერთო, შენი სახელი!. დაუმატა მეორემ;— თუ გაგვაჩინე, მოგვიმართე კიდეც ცოტა რამ ხელი; თუ არა—და, ბარემ სუ ერთ დღეს მიიბარე ჩვენი სული და მოგვარჩინე ამ წვა-და-დაგვასა!.

— ეს, ძმაო, დაიძახა მესამემ თავის ქექით,—აღარც რა ღმერთი ყოფილა საწყალი კაცისათვის!.

— ე მაგ ლაპარაკსა, შვილოსან,—დაიძახა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა,—ისა ჯობიან, რო ე ჩვენ თავს ჩვენვე რამე უწამლოთ!. თუ ღმერთმაც აიღო ჩვენზე ხელი, ე ჩვენ მაინც ნუ ვახდენთ ერთმანეთსა! ღმერთ ერწმუნე, რო კინაღამ მოვკალი გუშინ ჩემი დედა-კაცი. გაბრაზებულმა სხვა ველარა მოვახერხე რა! ვენახიდგან გამოვედი.. ე წმინდა წირვის მადლმა, რო ძლივ მოვადგამდი ფეხებსა!. შევხედოთ, კაცო—და, ე დათუას უღელი კამეჩი გადასულა ჩემ სიმინდშია და აოხრებს იქაურობას.. გავიმაგროთ, ხალხო, საქონელი.. ე სიმინდები არ არი წამხდარი: თითქო კიდეც არგო სეტყვამა; ეგები ე სიმინდი მაინც მოგვივიდეს რამე.

— ე წმინდი გიორგის მადლმა კინაღამ შემომაკვდა ჩემი ბიჭი ეგ რო გავიგე,—უპასუხა დათუამ,—მა რაა, ძმაო! საქონელი პირუტყვია: თუ ჩვენ არ დავიჭერთ, იმათ რა ჭკუა აქთ!.

— დათუა, დაიძახა ერთმა გლეხმა,—ი შენ ლომა კამეჩს რა დამართვია, კაცო? ფეხი, თითქო, ამოვარდნილი აქვს.

— მარა ჯანაბაა, ამოვარდნილი აქვს!. ი ნიაღვარში გზა ვეღარ გაეგნო და ცალი ფეხი ჩვენებიანთ პატარა ბანში ჩავარდნოდა..— მიუგო დათუამ.

—ჭეი, ჭეი, ჭეი! ამოოხვრით სთქვა ახლა სხვა გლეხმა,—დიდი ცოდო არ დაატრიალა ი ოხერმა სეტყვამ! რიყეში, კაცო, მთელი ყლაპიანთ უბანი სუ წაულეკია ნიაღვარსა: მოეცა, თურმე, მთიდან წყალი და იმათი წივილ-კივილი ცაში ადიოდა. ორი, თუ სამი, ბავშვი დაეხრჩო. ყლაპიაანთ სოფრანასთვინ მთვრალისთვინ მოესწრო სეტყვასა: გუშინ, თურმე, იპოვნეს რიყეზე ლამ ქვეშა.

— ჩვენი სოფლისთანა ზარალი კი არა სოფელს არ მოსვლია ძმაო,—სთქვა მოხუცებულმა გლეხმა ერთი ჩვენი სოლომანა ერთ ქალაქათა ღირდა!..

— მოგვმადლე უფალო; უფალო უფალო შეგვიწყალე შეგვიწყალე!!. მთქნარებით მისძახა დიაკვანს ერთმა გლეხთაგანმა.

— ღმერთო, შენი მადლისა და შენის სახელის ჭირიმე!. ერთხმად დაიგრიალა ხალხმა პიჯვრის წერით.

ამის შემდეგ მობაასეთა შორის კარგა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს უცებ ორღობიდამ მოისმა რავდენიმე ბავშვის ტირილი და ყღავი-ყღუი. ხალხმა მიიხედა იქით. შვიდი-რვა პატარა ბავშვი გულებ დახეთქილები, საშინელის წივილ-კივილით გამოცვივდნენ ორღობიდამ და, ქორისგან შეშინებულ ჩიტებივით, შეიმალნენ, სადაც კი თავშესაფარი რამე დახვდათ. ბავშვები დაჩუმდნენ; ახლა ძაღლებმა ასტეხეს გაბმით ყეფა და ყმუილი ისე, როგორათაც იციან მათ მგლის დანახვაზედ.

— ადე, კაცო გავიქცეთ!. დაიძახა ერთმა გლეხმა,—მა ბავშვებს სწორეთ მგელი გამოუდგათ. რავდენმამე ახალგაზდა ბიჭებმა საჩქაროთ, წამოავლეს ქუდებს ხელი და ის იყო აპირებდნენ ორღობისაკენ გაქცევას, რო ამ დროს იქიდამ გამოვიდა შვიდი-რვა ცხენოსანი კაცი. ზოგიერთს ამათგანს რუსული სამხედრო ტანისამოსი ეცვათ და მხრებზედ რაღაც წითელი ზოლები უჩნდათ. კონას სახლის წინ

მათ ვიღა ცდედე-კაცი დააყენეს, ჰკითხეს რაღაც, და, რა მიიღეს მისგან ჯეროვანი პასუხი, შემოჰკრეს ქუსლი ცხენებს და, თითქმის, ჭენებით მიიჭრნენ ჩვენი ვანოს სახლთან... ამათგან სამნი გადმოხტნენ ცხენებიდამ და გულ-და-გულ შევიდნენ ვანოს ოთახში; დანარჩენთ გამოიღეს ხლმები და შემოეხვივნენ სახლს გარეშემო. ტაძრის წინ მდგომი გლეხობა შეშინდა: ჯერ ვანოს სახლს მიაკერეს თვალები; შემდეგ გაოცებულის სახით შეხედეს ერთმანეთს, მაგრამ რაკი ერთმანერთის სახეზედ შიშის მეტი ვერა ამოიკითხეს რა, წამოავლეს ქუდებს ხელი ზოგი ტაძარში შევიდა, ზოგმაც ვენახებისკენ მოუსვა. ორიოდსამმა გლეხმა კი შემოიკრიფეს გაბედულობა და ქუდ-მოხდილი ნელნელა გასწიეს ვანოს სახლისკენ. მათ იქვე ახლო მიუერთდა ფერწასული გიგოც.

— რა არის, გიგო, რა ამბავია ესა? დაეკითხნენ მას გლეხნი.

— რაღაც ცუდი ამბავი კია-და, რა არი არ ვიცი — მიუგო გიგომ.

ამ გვარის ლაპარაკით მივიდნენ ესენი და დასდგნენ ვანოს ოთახის ფანჯრების პირ-და-პირ. ამ დროს გაიღო ფანჯარა და ერთმა მოსულთაგანმა გამოსძახა გლეხებს:

— აქ მოდით, აქა!.. მოწმებათ დაესწარით.

გლეხებმა ტორტმანით გასწიეს ვანოს სახლისაკენ; აიარეს პატარა კიბე და შევიდნენ ოთახში. ვანო, ცოტა ფერ შეცვლილი, იდაყვით დაბჯინებოდა ფანჯრის ქვემო ფიცარს და გაშტერებული შესცქეროდა ხელებში ერთს გაბერილ უცხო კაცს, რომელიც იდგა მის სტოლთან და ნელ-ნელა შინჯავდა და ათვალიერებდა ვანოს წიგნებს და ქაღალდებს. აი მორჩა გაბერილი კაცი წიგნების შინჯვას, შუბლი შეიკრა და უკმაყოფილოთ მიჰყარა ეს წიგნები იქით. ახლა გამოსწია სტოლის უჯრას და იქიდამ ამოიღო ერთი ბღუჯა ხელთ ნაწერი ქაღალდები, ვანო უცებ გასწორდა, მარჯვენა ხელი წაივლო თმაზედ და ჩუმათ წაიბუტბუტა:

— ვაი, ვაი! ი გოგოც რომ გაიბან! და დააჩერდა ქაღალდებს.

გაბერილმა გაშინჯა ერთი, ორი, სამი, მეოთხე ქაღალდს მიჰკრა ხელი და გადააგდო გაშინჯულს ქაღალდებში. ვანო, თითქმის შეხტა სიხარულით.. ჩვეულებრივი ფერი გადაეკრა მის სახეს და მომცინარის თვალებით შეიხედა კარებისაკენ. გიგო ამ წამს ციურ მანანასავით ნატრობდა.. მისი და ვანოს თვალები შეხვდნენ ერთმანერთს. გიგომ მიიხედ-მოიხედა და შემდეგ თვალებით დაეკითხა ვანოს: ეს რა ამბავია შენ თავსაო!. ვანომ თავი გაუქნია და თვალებითვე მიუგო: არაფერი, რაღასაც ჩირთი-ფირთობენო. ამ დროს გაბერილმა კაცმა ხელში აიღო პატარა ხელთ-ნაწერი რვეული, დაუძახა და მისცა მოწმების დამმასხებელს. მან გადაათვალიერ-გადმოათვალიერა ეს რვეული და რაღაცა დაბალი ლაპარაკის შემდეგ დაუბრუნა ის ისევ გაბერილს კაცსავე. ამან რვეული დაიდო წინ და მოუბრუნდა ვანოს.

— ეს რვეული ვის ეკუთვნის?

ვანომ აუჩქარებლივ გადახედა ამ რვეულს და, ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ, გულ-დამშვიდებით მიუგო:

— ეგ რვეული ჩემია.

— ვისი ნათარგმნია?

— ჩემი.

— რა მიზნით სთარგმნე შენ ესა?

— ფული მომცა სხვამა და გადავთარგმნე.

— ვინ არის ის სხვა?

— არ ვიცი: მანამდისინ არ ვიცნობდი და შემდეგ მე ის აღარ მინახავს.

ეს ლაპარაკი სულ მრთლად დასწერა გაბერილმა კაცმა და ბოლოს მოაწერინა ვანოს ხელი. მოწმების მაგივრათაც „მათის ხელის ჩამორთმევით“ ხელი ერთმა მოსულთაგანმა მოაწერა. ეს ქაღალდი და რვეული გაბერილმა კაცმა ჩაიდო უბეში; შემდეგ ფშვენით წამოდგა ფეხზედ და უთხრა ვანოს:

— თქვენ დაჭერილი ბრძანდებით. სთქვა ეს და გამოსწია კარებისაკენ, გამოირეკა წინ მოწმები და გამოვიდა კარზედ. ცოტა ხანს უკან გამოიყვანეს განოც, შესვეს ცხენზედ და გააქანეს ქალაქისაკენ.

— განო, სად მიჰყევხართ, სადა? დაუყვირა განოს გიგომ.

— ვირის აბანოში!. მოისმა განოს ხმა.

იმავე დღეს, საღამოჟამზედ, პოლიციის ბოქაული, რავდენიმე იასაულით, მობრძანდა გორიძირაში.. მან უცებ დაიჭირა გიგო, შეუკრა ხელები და წაიყვანა სატუსაღოში.

## X

საშინელი შიშის ზარი დასცეს ამ ანბებმა ჩვენს ტანჯულ გორიძირელებს. ყოველს მათგანს ეგონა რომ, აი ან ეხლა, ან ეხლა მოვლენ და ყველას ქალაქს წაგვასხამენო. დედა-კაცების და ბავშვების ბღავილ-თავში-ცემას აღარა ჰქონდა დასასრული. მამა-კაცნი, მწარეთ სულითა და გულით დაცემულნი, დარეტიანებულსავით წელ-მოწყვეტილნი, იმალებოდნენ თავიანთს ქოხ-მახებში და წინათვე გულში ეთხოვებოდნენ თვის საცოდავ მშობელთ და ცოლ-შვილთ. ამ გვარს ყოფაში გაატარეს გორიძირელებმა ხუთი, თუ ექვსი თვე. ამ დროს განმავალობაში კონა და მისი მომხრე გლეხნი სწორეთ თვით-მპყრობელ მეფეებათ გარდიქცნენ: მათს სიტყვას და ბრძანებას ყურ-მოჭრილ ყმასავებ ასრულებდა მთელი სოფელი. ამასთანავე, რაც კი რამ გააჩნდათ გლეხთ,—მიწისა, თუ ხის, მოსავალი, სულყველა კონასთან მიჰქონდათ ძღვნათ და მუხლ-მოდრეკით ევედრებოდნენ მას მოებრუნებინა მათზედ გული და დაეხსნა იგინი მომავალის ტანჯვისაგან. პატიოსანი, ბრწყინვალე თავადი და მისი, უგუნური: წმინდა თავადისშვილური, ამპარტავნებით სავსე, მეუღლე კნეინა რიფსიმე მრისხანეს სახით ხვდებოდნენ გლეხთ და წყობულობდნენ ხარხარს, როდესაც მათგან მიტანილს ოფლსა და სისხლს გვერდს მოუსხდებოდნენ ხოლ-

მე. ერთს დღეს ამ გვარად უსხდნენ ცოლ-ქმარნი ერთს კალათს მშვენიერს ყურძენს, დასცინოდნენ გლეხთა უგუნურებას და თანაც ნელ-ნელა შეექცეოდნენ ამ უგუნურობის ნაყოფს. ამ დროს გაიღო მათი ოთახის კარი და შიგნით ქუდ-მოხდილი შემოვიდა ქალაქიდამ მოსული მოჯამაგირე. ამან რავდენჯერმე გადასდგა ფეხი და ბატონს მიართვა დაბეჭდილი წერილი. ეს წერილი ბატონმა ფაცი-ფუცით გახსნა და წაიკითხა. კმაყოფილების და გულითადი სიხარულის ღიმილი გადაეკრა მრთლად მის სახეს. წაკითხული წერილი თავის მეუღლეს გარდასცა; თვით კი, ფრთებ-შესხმულივით, წამოხტა ფეხზედ, გაექანდა, დაეცა ორთავ მუხლებზედ ოქრო-ვერცხლით მოჭედილის ხატის წინ და ხელ-გაპყრობით შეჰღაღადა მას: „დიდება შენ სიმრიელესა ყოვლად-შემძლებელო ღმერთო, მფარველო ყოვლის ჩემისთანა კაცისაო!. აღგისრულებ, შენმა მადლმა და შენმა სახელმა, რაც აღთქმა დაგიდე". სთქვა რა ეს, წამოდგა ფეხზედ და დაუყვირა ბიჭს:

— ჩქარა,—სოსიკა ბიჭი, მამასახლისი და ნინიკა მომგვარე აქა.

ბიჭი გაიქცა და ათიოდ წამის შემდეგ მოიყვანა სამთავ დასახელებულნი გლეხნი.

— აი რა წიგნი მივიღე დღეს მე ქალაქიდამ.. უთხრა მათ კონამ ბალკონზედ და თვით წერილისთვის შებრუნდა სახლში; გამოარბევინა იქიდამ წერილი და ხმა-მაღლა წაუკითხა:

„თქვენო ბრწყინვალებავ, კნიაზო კონა! პირველად უმდაბლესად თავ გიკრამ და მერმე მოგახსენებთ მას, რისაც გაგება გწადიანთ თქვენ. ვანო მხიარულაძე, მართალია, ძმებმა პირობით გამოაშვებინეს ციხიდამ, მაგრამ ჭლექი ისე გაძლიერებოდა მას ციხეში, რომ ორი კვირის მეტი ვეღარ იცოცხლა: დღეს ასაფლავებენ იმასა. გიგო სოსიაშვილის საქმე უფრო კარგათ წავიდა: კაცი-მკვლელობისთვინ, კლიტის გატეხისთვის და კიდევ რაღაებისთვინაც ციმბირში გაგზავნა გადაუწყვიტეს და ამ თვის გასულს ჰგზავნიან. თქვენი მორჩილი მონა აზნაური მიხეილ ყლაპიაშვილი".

— რახან ეგრეა, დაიძახა სოსიკა-ბიჭმა,—წავიდეთ ეხლავე და ახლა ჩვენ დავკლათ გიგოს ძროხა.

— ანგრე იყვეს,—დაუკრა მას კვერი მამასახლისმა.

— წადით, წაიყვანეთ ე ჩემი ბიჭებიცა და ეხლავე დაკალით; უბრძანა მათ კონამ.

— ეხლა ნახირში ეყოლებათ, შენი ჭირიმე, იმათ ძროხაი.. სთქვა ნინიკამ.

— მაშ საღამოზე მიუცვინდით.. უთხრა მათ კონამ და შევიდა სახლში.

გლეხ-კაცნი წამოვიდნენ და მოჰფინეს მთელს სოფელში კანოსი და გიგოს ამბავი. ახლა ამ ამბებმა ასტეხეს სოფელში ალიაქოთი. შეიტყო ეს ამბავი გიგოს პატარა მოხუცებულმა დედამ... მის ცოლ-შვილმა... ცოფიანი ძროხასავებ, სრულიად არა ადამიანის ხმით, შეჰქმნა ბღავილი საცოდავმა ბებერმა. ამდენს ხანს შემაგრებული ცრემლი ეხლა წასკდა და საღამომდისინ, თითქო, სულ ცრემლად დაიცალა ის. ბუნებით პატარა ტანისა, მოხუცებულობისაგან დალეული, ზაზალე დღეს, რავდენიმე საათის განმავალობაში, სწორეთ, მუშტის ტოლა გახდა. ის იჯდა დერეფანში, მოსთქვამდა შესაზარის ხმით, იბდღვნიდა გათეთრებულს თმასა, იკაწრავდა მკლებზედ შავათ მიმხმარს ლოყებს, იგლეჯდა პაწაწკინა მიმჭკნარ ძუძუებს; ხანაც პირქვე დაცემული ჰგლეჯდა და ჩაბღუოდა მიწას.

„შვილო, მე რო არ წამექეზებინე, იქნება არ წასულიყავ!. მე, აყეფებული, რათ გაქეზებდი!. რათა გჭრიდი, შვილო, ყელსა!. დედის ხელით მოკლულო შვილო! ვის დაუყარე შენი პატარა შვილები!!. დაიქცეს და დაიღუპოს შენი სამართალი........ ოი, ერთი დამანახვა როგორმე შენი თავი, შე სისხლის-მსმელო, შენა!. სად დამიღუპე შვილი, სადა?..... ბებერს მისძახოდა რძალი, ამათ—გიგოს პატარა ქალ-ვაჟი და მთელს იმ არე-მარეზედ ტრიალებდა ერთი საშინელი საცოდაობა. ამ საცოდაობამ კონას გულამდისინაც მიაღწია: მან დაუძახა წელანდელს გლეხებს და უბრძანა, რომ ძროხის დაკვლა მათ

სამი დღის იქით გადაედოთ.. გლეხთ აღასრულეს ეს ბრძანება. სამი დღის შემდეგ, საღამო ჟამზედ, ეს გლეხნი და გონას ორი ბიჭი შეგროვდნენ ერთად და, როდესაც ნახირი მოვიდა, მიუცვივდნენ გიგოს სახლობას; ეცნენ ძროხას და ბებერი ბაბალეს წინ დასცეს მიწაზედ. მოხუცებული ჯერ ვერ მიხვდა — თუ რასა სჩადიოდნენ ესენი; მაგრამ როდესაც სოსიკა ბიჭმა ხანჯალი ამოიღო, ის წამოვარდა ფეხზედ და გამწარებული ეცა ძროხას.

— ბიჭო, რათ მიკლამთ ძროხას!. რა დამიშავებია თქვენთვის?.. დაიჩივჩივა ხმა წასულმა ბებერმა.

— შენმა შვილმა რო ძროხები დაგვიხოცა და მეც კინაღამ მომკლა, შენ აღა, აღა ხო არა გგონია.. დაუყვირა მას სოსიკა ბიჭმა..

— განაცვალეთ, ნუ დამღუპამთ, ნუ დამანელებთ.. ქ ობლების სარჩენათ მინდა ძროხაი...

— დაიკარგე იქით! შეუტია ბაბალეს მამასახლისმა. — და წაავლო მას ხელი, რომ იქითკენ გადაეგდო. ბებერმა მოხვია ორთავ ხელები ძროხის კისერს და აღარა შორდებოდა მას.

— მე დამკალით, მე, თქვენი ჭირიმე!.. დაიძახა ბებერმა...

— გაგვეცალე, ბებერო, გაგვეცალე... დაუყვირეს აქეთ-იქიდამ.

— ნუ დამღუპამთ, თქვენი ჭირიმე! ოღონც ძროხას ნუ დამიკლამთ და აჰა, მე დამკალით... სთქვა ბაბალემ და მართლა, გადაუღო კისერი ხანჯალ-ამოღებულ სოსიკა ბიჭს..

— შენ თუ დაგკალით, შენმა მზემ, ასეთ წვენ კი გაიკეთებ, რო იმის ჭამით ვეღარ დავძღეთ... დაიძახა ხუმარა ნინიკამ.

ბებერი გადააგდეს იქითკენ და ძროხას საჩქაროზედ მოსჭრეს თავი. ამ თავს ტირილით მოუსხდნენ გვერდზედ გიგოს პატარა შვილები. ჯერ ისევ თბილმა თავმა ყურები გაანძრია და პირი დააღო. ეს შენიშნეს ბავშვებმა, უცებ გაჩუმდნენ და სიხარულით შესცინეს ერთმანეთს.

— ჩვენი დედო ცოცხალია სიდა, აღაა?

— ჭოდე, დილილმე, ცოცხალია ჩვენი დედოი!.

— სიდა, პილი ლო აღალ გაგო!

— ქმლა გაგგებტ.. დაიცა...

პატარეები გაშტერდნენ და დაუწყეს ძროხის თავს ცქერა.. მაგრამ ძროხის თავმა აღარც პირი და აღარც ყურები აღარ გაანძრია.. პატარეები დაღონდნენ და ცოტა ხანს უკან, იწყეს ისევ ტირილი. ამ დროს მოვიდა მათთან მათი დედა და წაასხა ისინი სახლში.

— დაიცა, მოვიდეც მამაი... იცე მოგკლამს ლოო!.. უკან მოხედვით უთხრა ვიღასაც გიგოს პატარა ბიჭმა.

ამ ანბავმა სულ ბოლო მოუღო საცოდავ ბებერს. იმ ღამესვე გააცივა ისა და მეორეს დღეს ისე შესწუხდა, რომ აზიარებინეს კიდეც. ბევრი აღარა უცოცხლია-რა მას ამის შემდეგ.. ვახშმობის დრო იქმნებოდა როდესაც დაიძახეს—ბაბალე მოკვდაო. დიახ, ჩემო ბატონო, ბაბალე მოშორდა ამ „ძაღლ წუთისოფელს“; წამოიკიდა, მკითხველო, თქვენი ჭირი თავის ბებრუხუნა ზურგზედ და გაუდგა იმ გზას, რომელზედაც გავლილი ბევრი გვინახავს და გამოვლილი კი აღარა ვინა!..

ლევ. ცაველი.

1879 წ.

---

# დავით გურამიშვილი და მისი დრო.

## წერილი პირველი

1722 წელს რუსეთის იმპერატორმან დიდმან პეტრემ ომი ატეხა კავკასიელ ხალხებთან, რომელნიც ყოველს შემთხვევაში ეცემოდენ რუსეთის სამზღვარს, სტაცებდენ და აოხრებდენ მოსამზღვრეთ. იმპერატორმან მიუსია ჯარი აღმოსავლეთის კავკასიას ზღვიდგან და ხმელეთითგანაც. დაამარცხა მთიულები, დასწვა და შემუსრა მათი სოფლები, აიღო დერბენდი, სოლაღი და დააყენა ამ ადგილებში თავისი ჯარი. ამავე წელს იმპერატორმან განიზრახა ბაქოსი და საზოგადოთ კასპის ზღვის ნაპირების დაჭერა აღებ-მიცემობის აღსაღორძინებლად. ამ უკანასკნელი აზრის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელი იყო შეტაკება სპარსელებთან, რომელთაც ეპყრათ კასპის ზღვის ნაპირები.

იმპერატორს კარგათ ესმოდა მთიულებთან და სპარსელებთან ომის გაწევის სიძნელე; რადგან რუსის ჯარმან კარგათ არ იცოდა არც ადგილები, რომელიც უნდა დაეჭირათ, არც მოპირდაპირე მხედრული წყობილება და ხელოვნება და მასთან ძნელად იტანდა კასპის მონაპირე ადგილების ცხელსა და ნოტიო ჰავას. ქართველი ჯარი კი ამტანიც და დახელოვნებული იყო სპარსეთთან და მთიულეთებთან ომიანობაში და მასთან განთქმულიც მხნეობით. ამიტომ იმპერატორმან საჭიროთ დაინახა და მოინდომა თავის განზრახვის მისაწევათ შეერთება ქართველ ჯართან, და ერთი წლის წინეთ ომის ატეხამდი (1721 წ.) გამართა კიდეც მიწერ-მოწერა მაშინდელ ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან. რუსის ხელმწიფე აქეზებდა ვახტანგს საომრათ

ლეკებთან და სპარსელებთან და მასთან იმედს აძლევდა რომ თავის რუსის ჯარით გარდმოვა საქართველოში ვახტანგის დასახმარებლად; დაიხსნის ყველა მის მოწინააღმდეგე შინაურ და გარეგან მტრებთაგან და დააყენებს მთელის საქართველოს მეფედ. იმპერატორი სწერდა (1722 წ.) ვახტანგს აგრახნის მდინარიდგან (სოლაკის ახლოს), რომ მას აელო განჯა (ეხლანდელი ელისავეტოპოლი) და შემახია, მოემხრო სომხები და შეერთებულ იყო რუსის ჯართან ბაქოსა და დერბენტის შუა (**Пер. Груз. Цар. съ Российск.** გვ. **LXXVI** და შემდგ.) რუსის მეფე აიმედებდა ქართლის მეფეს, რომ იმ დროს-რა დროსაც ის შემახიას მოადგება, რუსების ჯარიც ახლო იქნება ამ ქალაქზე და ორივე ჯარების შეერთება ადვილად მოხდება. ეს შეერთებული ჯარი სპარსეთს დაამარცხებს და ქართველებს იხსნის გარე შემორტყმულ მტრებთაგან. ქართლის მეფემ დიდი იმედი იქონია იმპერატორის სიტყვებზე; იმედოვნებდა, რომ რუსის ჯარი დღეს თუ ხვალ, ამ წელს თუ შემდეგს უთუოდ გარდმოვა საქართველოში მის დასახმარებლად და ამ ჯარის შემწეობით დაიჭერს მთელს საქართველოს, იმ დროს განაწილებულს ნაკუწ-ნაკუწად. ეგრეთ დაიმედოვნებულმან ვახტანგმან მიიღო რუსის ხელმწიფის რჩევა და მოემზადა საომრად ლეკებთან და სპარსელებთან; შეყარა ხალხი და გამოუცხადა თავისი აზრი.

„შეკრბენ ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მაიყარეს,
„დასხდენ რიგით, ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს.
„ვინც ხედავდა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს“...

რჩევაში ხმები ორად გაიყო. ზოგს მოსწონდა მეფის აზრი რუსებთან შეერთებაზე და ამბობდნენ:

„ქრისტიანის ხელმწიფესა ხელდებულნი შევიქმნებით,
„ჩვენ მაგაზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გავკეთდებით?“...

მაგრამ ასე არ უყურებდენ ამ საქმეს შორს მჭვრეტელნი მამულის შვილნი; მათ არ მოსწონდათ მეფის აზრი და ჰკიცხავდენ ყველა ვინც

კი მეფის აზრის მომხრე იყო; მათ ესმოდათ და იტყოდენ, რომ რუსის ჯარის გარდმოსვლა საქართველოში ისე ადვილი არ არის და ისე მალე ვერ მოხდება, როგორც ფიქრობდა ქართლის მეფე. მათ პირდა-პირ ჰკადრეს მეფეს რომ რუსის ჯართან შეერთება და მისი მოწვევა საქართველოში წამოაყენებს საქართველოზე სპარსეთს, ოსმალოს, ლეკებს და საზოგადოთ ყველა კავკასიის ხალხებს, რომელთაც არა სურდათ რუსეთის განძლიერება, და ბოლომდინ დასცემს უმისოთაც გაწეწილ მამულს. მეფის თანამოაზრენიც გაჰკიცხეს და —

„მათ მიუთხრეს, თუ უჭკუვო ვართ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების...
„ამას მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების
„ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხვდების"...

ამიტომ ყველა ვისაც ჭკუა უჭრიდა და გული შესტკიოდა მამულისთვის, მეფეს ურჩევდა სპარს-ოსმალოსთან კავშირი არ დაერღვია. მაგრამ მეფე არა ვის არ უჯერებდა და ვინც არ ემოწმებოდა მის გულის წადილს, მას ორგულობას ჰსწამობდა. კახეთის მეფე კონსტანტინე სცდილობდა დაეჯერებინა ქართლის მეფე ვახტანგი იმაში, რომ რუსებზე დანდობა ვითომც, საშიშია საქართველოსთვის; ის სწერდა ვახტანგს:

„ერიდე, ნუ შლი, ნუ ფუტკნი სახით არწივთა ბუდებსა,
„იყავ ვით ტრედი უმანკო, უფრთხილდი შენსა ხუნდებსა,
„თორემ კლანჭს გიკვრენ არწივნი, ჭირნახულს გაგიცუდებსა"...

კახის მეფე ურჩევდა მას ურთი-ერთის თანხმობის და სიყვარულის შემოღებას ქართველთ მეფეებთ შორის; უშლიდა სპარს და ოსმალოსთან მამულის კეთილ-დღეობისათვის საშიშის ომის ატეხას და სწერდა:

„ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ, გაფრთხილდი, ნუ მოსტყუვდები,
„გასწყერ, გასჭერ და დახივე ტყუანთ ტყუილის გუდები;
„თუმცა ლომი ხარ, ვეშაპთა ვერ სძლევ, გრძელი აქვთ კუდები"...

მეფე ვახტანგს კარგათ ესმოდა, რა საშიშარია მამულის და თვით მისის ტახტისთვის სპარსებთან და ოსმალოსთან კავშირის გაწყვეტა, მაგრამ ისე დაიმედოვნებული იყო დიდებულის ძლიერის და განთქმულის რუსის იმპერატორისაგნ, რომელიც გაუწყვეტლად გზავნიდა ჩაფრებს საიმედო პასუხებით და მოწერილობით, რომ არ მიიღო არც ქართლელთ რჩევა, არ უსმინა არც გახთ მეფეს, ყური არ ათხოვა არც ხალხის მდურვას და გმინვას ეგრეთ მეფის გარდაწყვეტილობის თაობაზედ. ვახტანგი თავისას არ იშლიდა;—

„მეფემ აღარა ბრძანა რა, ინება თვისი წადილი...
„გათავდა რჩევა, გარდასწყდა, მან მოითხოვა სადილი,
და „ბოლოს მხედველთა საცრემლედ გაშალეს ხელის მანდილი"...

მეფე სცდილობდა მხოლოდ იმაზე, რომ სპარსეთის ყეენი (რომლის სპასალარი იყო ვახტანგი) და ხონთქარი დროებით დაემშვიდებინა გარეგანის მოყვრობის განცხადებით, სანამდის ის შეურთდებოდა დიდებულის იმპერატორის გაწვრთნილ ჯარს. ხალხის დრტვინვა და ჩივილი ეგრეთის მეფის საქციელზე ხელოვნურათ აქვს აწერილი დავით გურამიშვილს, ვახტანგის თანამედროვე პოეტს, რომლის თვალწინ გაიარა ამ ამბავმა.

„ტიროდენ, ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დავსება!
„ვერ მოგვიხდების კარგათა ამდენი წყვეტა ტმნასება.
„მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება,
და „სამი ვეშაპი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება!

„მეფეს სძრახევდენ, იტყოდენ ეგე ვითარსა გმობასა:
„სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!
„ყეენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა,
და „რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!

„ჩვენ ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი:
„რა სამთავ ცემა შეექმნასთ, ჩვენზედ მათ შექნან ონარი,

„გარს მოგვეჭირის მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსათონარი,
„ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი...

„ზევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
„მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა“!..

ტყუილად სცდილობდა ვახტანგი, რომ დაემალა ყეენისაგან ნამდვილი მისი გულის წადილი რუსების ჯარის მოწვევაზე. რა მისმა მტრებმან გაიგეს ეს, შეასმინეს ყეენს: „დიდი ხელმწიფე მოუყვარსო“; ამასთან გამოუჩინეს სხვა ღალატობაც. უკუღმა დასტრიალდა ვახტანგის ბედი. ყეენი გარისხდა. ვახტანგს ჩამოართვა სპასალარობა და მეფობა; ქართლი კახეთის მეფეს კონსტანტინეს (ერეკლეს შვილს) მისცა; ერევანი, შამშადილი და ყაზახი ერზრუმის ფაშას უბოძა და უბრძანა, რომ მტრობა გაემართა ვახტანგთან. ხონთქარიც შემოსწყრა რუსის მოწვევაზედ და ჯარი შემოუსია. ლეკებმაც, რომელთანაც ომი ჰქონდა ვახტანგს გამართული, ისარგებლეს ამ ნაირის ქართლის მეფის გაჭირვებულ მდგომარეობით და აეშალნენ. კახეთის მეფეს სურდა შერიგება და შეერთება ვახტანგთან მამულის დასაცველად, თანხმა იყო ამ პირობით ქართლი ისევ დაეთმო ვახტანგისთვის; მაგრამ ზოგიერთი შურის მეძიებელთ განხეთქილება და სიძულილი ჩამოაგდეს მათ შორის. ვახტანგი წაეჩხუბა კონსტანტინე მეფესაც და მით კიდე უფრო შეიკრა ხელები. ჩამოვარდა ომი და მტრობა ქართლის და კახეთის მეფეებს შორის. გარისხებული კახეთის მეფე ძლიერის ჯარით შემოადგა თფილისს, დაიჭირა ავლაბარი; შეება ქართლელ ჯარს ციხის ასაღებათ; ციხე ვერ აიღო და დამარცხებული მიემართა ჯარს (საინგილო), შეისყიდა ჭარელთ ჯარი და ამით განძლიერებული ხელ-მეორედ მოადგა ქალაქს და მიაყენა ჯარი ციხეს. მოხდა ფიცხელი ბრძოლა ქართლ-კახელებთ შორის; ქალაქი აიღეს, ააოხრეს, აიკლეს და დაანგრიეს;—

„დანამარცხეს ქართველთ ჯარი, ვახტანგ მეფე გააქციეს
„და თეთრს მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დააქციეს“...

დამარცხებული ქართლის მეფე მთებში გაიქცა, კახელებმა დაიჭირეს თფილისის არე-მარე. ამის შემდეგ ორივ მტრები უფრო-ფიცხლად და სიძულილით გარდაეკიდნენ ერთმანეთს. ორივე ეძებდნენ უკანასკნელ საშუალებას, რომ სრულიათ გამოეფხვრათ ერთმანეთის ძირი. ამ სიძულილმან უკანასკნელ სრულიად დასცა საქართველოს ბედი.

„ვით მამალი სხვის მამალსა დამტერდეს და წაეკიდოს,
„მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
„რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,—
„ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს"...

სწორეთ ეგრე დაემართათ ორსავ გამძვინვნებულ მეფეებს. ვახტანგს არ მოუვიდა ის შემწეობა, რომელსაც ყოველ დღე მოელოდა რუსეთიდგან. იმედ გარდაწყვეტილმან ქართლის მეფემ მიმართა ოსმალოს ჯარს, რომელიც გამოგზავნილი იყო ქართლის დასაპყრობლად და იდგა არზრუმის ახლო-მახლოს; დაუმორჩილდა ხონთქარს (1723 წ.) და მოიწვია ოსმალოს ჯარი კახის მეფის წინააღმდეგ, თფილისის ხელ-ახლა დასაპყრობად. კახეთის მეფემ, გაიგო რა ეს, თავის მხრით მოუწოდა ლეკის ჯარს. ლეკებმა, მოვიდნენ თუ არა თფილისში, დაიწყეს ცარცვა და აკლება. კახის მეფეს ბევრს არას უჯერებდენ: დიდი ხანი არ გასულა, რომ კახელებმა შეიტყეს, ძლიერი ოსმალოს ლაშქარი მოდის თფილისისაკენ კახეთის მეფესთან შესაბმელათაო. კახთა მეფემ დაინახა, რომ ომის გაწევა ოსმალოს ჯართან არ შეუძლია და განიზრახა დამორჩილება. როგორც გაიგეს ეს ლეკებმან, შევარდნენ ქალაქში, აიკლეს და ააოხრეს თფილისი, სიონის ღვთის-მშობლის ხატი დასწვეს, მერე დაიფანტნენ აქა-იქ, მონასტრები აიკლეს და დასწვეს, საყდრები დასცარცვეს და წავიდნენ. კახის მეფე დარჩა მარტო კახელებით; ბევრი ამ უკანასკნელთაგანნიც სტოვებდნენ მეფესა. ამ დროს მოახლოვდა ოსმალოს ჯარი, რომელსაც არზრუმის ფაშა წინ მოუძღოდა. ამ უბედურ მდგომარეობაში მეტი არა დარჩა-რა კახთა მეფეს; მივიდა ოსმალოს ჯართან, დაჰმორჩილდა; ყეენის ხა-

ლათის მაგიერ ოსმალოს ქურქი ჩაიცვა. არზრუმის ფაშა ქალაქს შევიდა, იქ დაიბანაკა; „ვინც რომ ბატონები იყვნენ, ან თავადები ხელში ჩაიგდო“ (переп. გვ. 153). აქედან ჯარი გაგზავნა ქართლში და ადვილად დაიჭირა გორი და სურამი. მეფობა არ მისცა არც ქართლის და არც კახთა მეფეს. ამ ნაირათ ქართლი დარჩა ოსმალოს, კახეთი კი დაიპყრო გაბრუნებულ ლეკის ჯარმან. ორივე ერთმანეთზე გაქეზებული ქართველთ მეფეები ცარიელზედ დარჩნენ. თათრის ჯარის უფროსობა მიანდვეს იესე მეფეს, რომელმან მაჰმადიანობა მიიღო. თურქის ჯარმან არ დაინდო არც კახის და არც ქართლის მეფე; სცდილობდა ორივენი ხელში ეგდო, თუმცა კი ცდამ ცუდად ჩაუარა. (переп. გვ. 167). ვახტანგი მთიულეთში წავიდა, იმერეთის სამზღვარზე და აქიდგან სთხოვდა რუსის იმპერატორს, რომ ან ჯარი მოეშველებინა მალე და ან ნება მიეცა მაინც რუსეთში გარდასვლისა, რადგან მეტი არა დარჩენია-რა საქნელი. მისი შვილი ბაქარი თათრების ჯარში ერია თფილისში; ეტყობა, სცდილობდა, რომ ქართლი მისთვის არ წაერთმიათ, მაგრამ ვერა გააწყო-რა და ისევ მამასთან მობრუნდა. კახეთის მეფე კონსტანტინე, ეგრეთვე თვის სამეფოს, მოკლებული იმალებოდა ფშავ-ხევსურეთის მთებში რამოდენიმე ჯარით. ეს ამბები მოხდა 1723 წელს. იხსენიებს რა ამ სამწუხარო განხეთქილებას ორივე ქართველთ მეფეთ შორის და ამისთანა სამწუხარო შედეგს, დ. გურამიშვილი აბოლოებს:

„სჯობდა იდუმალ ენუკათ ქორთ თვისი სანუკარია,
„წილად ერთს მხარი ეწიწკნა, მეორეს საწიწკარია;
„სრულ არ მიეცათ მტრისათვის თავიანთ საკენკარია
„თუ ამას ავად ვამბობდე, პაღური ამომკარია“...

ეხლა, როცა ორივე ქართველ მეფეებმა იგემეს სიმწარე ერთმანეთთან მტრობისა და განხეთქილებისა, ეხლა კი დარწმუნდნენ რომ მათთვის და მათის ქვეყნისათვის ერთობა უფრო საჭიროა, ვინემ უცხო ხელმწიფეებზე მინდობა. ჩამოაგდეს ერთმანეთთან მორიგება

და შეერთდენ (переп. გვ. 165). მაგრამ გვიანღა იყო. მათი ჯარი იყო დაბნეული, ქვეყანა აკლებული და აოხრებული, მცხოვრებნი გალატაკებულნი. ამასზედ დაემატა ისიც, რომ წინანდელის ქცევით ორივ მეფეებმა დაკარგეს ხალხის ნდობა, ზოგი არ ემორჩილებოდა მათს ბრძანებას, ბევრი უგულოდ და ორგულობით შედიოდენ მათს ლაშქარში. ამ ნაირ შევიწროებულ მდგომარეობაში, როცა ორივე მეფეები ჯარს აგროვებდნენ სალაშქროთ, 1724 წლის დამდეგს, მოვიდა ამბავი, რომ რუსის ჯარი (2000 კაცი) სოლაღს მოვიდაო მოსაშველებლად. ვახტანგს მოუვიდა იმპერატორის პეტრესგან წერილი. რუსის მეფე სწერდა, რომ ვახტანგი, გამოსულიყო კახეთში. ამ ამბავმან გაამხნევა ორივ მეფენი და ხალხიც. სამღვდელოებამ ცალკე და მეფეებმა ცალკე დასწერეს სათხოვარი წერილები, რომ რუსის ჯარი მალე მოშველებოდათ. მტრებმა გაიგეს თუ არა ეს ამბავი, უფრო გაფიცხლდნენ და შეავიწროეს ქართველ-კახელები.

მაგრამ მოშველება მაინც არსაით სჩანდა. ზაფხულს 1724 წლის სხვა შათირმან (კურიერმან) მოიტანა სხვა ამბავი: იმპერატორი პეტრე ვახტანგს რუსეთში იწვევდა. იმპერატორი თხოულობდა, რომ ქართლის მეფეს თან წამოეყვანა რამოდენიმე ათასი ჯარი და შეეგროვებინა ქართველთათვის, რომ გარდასახლებულიყვნენ რუსეთში, თერგზე.—ამ გაჭირვებულ ყოფაში ვახტანგს ძალიან გაუხარდა ეს მიწვევა. მტკიცე და მაგარი იმედი ჰქონდა, რომ მალე მობრუნდება რუსეთიდგან, რომ იქიდგან ხელ-ცარიელი არ წამოვა. სწამდა და სჯეროდა, რომ თან წამოიყვანს არა ერთს ათას რუსის გაწვრთნილ ჯარს და ამ ჯარით მიაღწევს იმას, რაც იყო მისი გულის წადილი, მისის ოცნების საგანი: საქართველოსი ერთ სამეფოდ შეერთება თავის სკიპტრის ქვეშ, ევროპიულ წყობილობის შემოღება ლაშქარში, განათლების და ხელოვნების აღორძინება სახელმწიფოში.

რუსეთში მეფის მიწვევის ამბავი ზარივით დაეცა ქართველ ხალხს. არავის მოსწონდა, რომ მეფე ამისთანა გაჭირვებულ დროს სამშობლოსა ჰტოვებდა ხალხი ეხვეწებოდა მეფეს, რომ დარჩენილიყო ან

ერთ ერთი თავისი შვილი მაინც დაეგდო საქართველოში, „ეგების მოშველებამდის (ხალხი დარწმუნებული იყო, რომ მეფე მალე მოეშველება რუსის ჯარით) სულ არ წავხდეთო". ხალხი პირობას აძლევდა მეფეს, რომ თავგადადებულად იბრძვიან მტრებთან და არავის თავს არ დაახაგვრინებენ, რომ ყოველ გვარ ჭირს და უბედურებას პირის-პირ დაუდგებიან, თუ მეფე მათთან იქმნება და წავლენ ყოველგან, სადაც თვითონ მეფე წინ წაუძღვება. არაგვის და ქსნის ერისთავი ეგრეთვე ცრემლით ევედრებოდნენ ვახტანგს, რომ დარჩენილიყო საქართველოში, შეიცოდენ, რომ არც ქონებას და არც სისხლს არ დაზოგვენ მისის ერთგულობისთვის და სხ. მეფე მაინც მტკიცედ იდგა იმპერატორის ბრძანებაზე, მოემზადა და გაემგზავრა რა რუსეთისკენ. ხალხის ვაებას საზღვარი არ ჰქონდა. გზაზე ორჯერ მოეწია მეფეს ქსნის ერისთვის ძმა იესე; ეხვეწებოდნენ დაბრუნებულიყო. მეფე რაჭის გზით გაემგზავრა; ცოტა ხანი რაჭაში დაჰყო; იქიდან დიგორს გარდვიდა, დიგორიდან ყაბართოში. აქ ყაზახის (რუსის) ჯარი მიეგება, თერგის მდინარეზე სხვა ჯარი დახვდა. ამ ჯარის წინ გამოძღოლით მეფემ (16 აგვისტოს 1724 წ.) მიაღწია კასპის ზღვის პირს მდებარეს ჯვარის ციხეს (სოლაღის და თერგის შესართავთ შორის). ამ მოგზაურობის და ჯვარის ციხეში მყოფობის დროს ვახტანგს კიდე რამოდენიმე შათირი მოეწია საქართველოდგან; ხალხი (არაგვის და ქსნის ერისთავი) სთხოვდა მეფეს, რომ დაბრუნებულიყო, ან მისი შვილი ბაქარი რომელიც თან მიჰყვანდა მაინც დაებრუნებინა: „ამ ქვეყანას ეშველება შენი შვილის აქ ყოფნითო; ამიტომ რომ ღონე მოსტყუდა იმ თავ-ლაფიანს ოსმალოსაო". სხვათა შორის ხელმწიფეს არწმუნებდნენ, რომ თუ შვილი მაინც არ დააბრუნა საქართველოში, მაშინ უსათუოდ ტახტი დაეკარგება საშვილიშვილოდ. მეფეს დიდი იმედი ჰქონდა მალე მობრუნებისა და ქართველთ ხვეწნა-ტირილს ყური არ ათხოვა. მცხოვანი მეფის გული აღვსილი იყო მხოლოდ იმედით; რომ მალე, მალიან მალე მისის ხელით საქართველო განთავისუფლდება მტრებთაგან, შეერთდება, განძლიერდება,

განათლდება, განმდიდრდება. მან რა იცოდა, რომ ბედის ჩარხი უკუ-ღმა დასტრიალდება და მის თვალწინვე დაარღვევდა მის ოცნებას, იმედს, ტახტს და თვის მის სიცოცხლესაც ბოლოს მოუღებდა!..

ვახტანგს გაჰყვა რუსეთში 1186 კაცი ქართველი (მათში 3 ეპისკ., 5 არხიმანდ., სხვა ჯარი და მოსამსახურენი). მეფეს, როგორც მო-ვიხსენიეთ, ბრძანება ჰქონდა რუსის იმპერატორისაგან, რომ თან წა-მოეყვანა რუსეთში რამდენიც შეიძლება მეტი ჯარი (Переп. გვ. 186188). მთავრობას აზრი ჰქონდა დაესახლებინა ისინი კავკასიის და რუსეთის სამზღვარზე (როგორც ეს უყვეს არჩილ მეფესთან გარ-დასახლებულ ქართველებს). რუსის მთავრობა ჰფიქრობდა, რომ თუ ერთჯერ დაარსდა ქართველობა თერგის და ყუბანის პირებზე, მათთან გარდმოვლენ ცოტ-ცოტათ არევ-დარევით შეწუხებული და ბრძოლისგან დაღლილი და გაჭირვებული ქართველობა, რომელნიც შეადგენდნენ ძლიერ და სანდო ზღუდეს კავკასიის საზღვრებზე. მაგრამ მეფემ ვერ შეასრულა იმპერატორის წადილი; ქართლიდგან მას გაჰყვა მხოლოდ თავ-განწირულად მისი ერთგულნი პირნი. ხალხმან მეფის წინადადება-ზე პირდაპირ გამოაცხადა, რომ მისთვის უფრო ადვილია მტრებთან ბრძოლა და გაჭირვების ატანა, ვინემ სამშობლოს დატოვება და სამშობლოდამ გახიზვნა (переп. გვ. 188). სამღვდელოებამაც უპასუხა მეფეს, რომ სამშობლო ღვთისმშობლის ხვედრია, რომ მათ უნდა დაიცვან მისგან მობარებული ქვეყანა, საქრისტიანო წმიდა ნივ-თნი და ადგილნი, რომ მათ ურჩევნიათ მიიღონ სისხლით წამება, სამშობლო საქრისტიანო სიწმიდის დაცვისათვის ვინემ რუსეთში გადასა-ხლდნენ და იცხოვრონ გაუჭირვებლად და ფუფუნებით, „რა სიტყვა უნდა მივცეთ, (იტყოდნენ ისინი) ყოვლად წმიდას ღვთისმშობელს და წმი-დანებს, რომ ეს საქრისტიანო ქვეყანა დავტოვოთ და სხვა ალაგას წავიდეთ?“....

იმ დროიდგან, რა დროს მეფე ვახტანგმან მიაღწია ჯვარის ცი-ხეს და იმედით აღვსილი ოცნებდა, რომ დადგა მისი გულის წადი-ლის აღრულების დრო, სწორეთ იმ დროითგან მის ბედმან ხელმ-

ორჯეთ იწყო უკუღმა ტრიალი და ბოლოს სრულიად ძირი მოუთხარა მის იმედებს და სიცოცხლესაც. ჯერ ჯვარის ციხეში და შემდგომ ასტრახანში მეფე გააჩერეს კარგ ხანს, ისე რომ მან ძლივს მიაღწია მოსკოვს 1725 წელს. აქ მოსწყდა მეფის იმედს უმთავრესი ძარღვი: გარდაიცვალა იმპერატორი პეტრე დიდი (1725 წ.); მეფეს, პეტერბურღში მისულს, იმპერატორი სასიკვდინეთ ავათმყოფი დახვდა და მისი ნახვაც ვეღარ მოასწრო. (ვახუშტი. გეოგრაფ. **introduction. P. II**). ამ დიდებული იმპერატორის განზრახვაზედ და დაპირებაზედ იყო დამყარებული მეფის ნატვრა და იმედი. იმპერატორს უნდოდა მრთელი კასპის ზღვის დაჭერა და სპარსეთის დამარცხება, ამ განზრახვისათვის ვახტანგში ის ეძებდა ძლიერს მომხრეს. ვახტანგსაც სურდა სპარსეთის დამარცხება და მასთან დაიმედებული იყო, რომ რუსის ჯარის შემწეობით შეაერთებს ქართველთ ტომებს და განამტკიცებს თვისს შერყეულ ტახტს. ძლიერი და უშიშარი იმპერატორი მოკვდა; გაუქმდა მისი დიდი აზრი და მასთან უნდა დაშლილიყო ქართველ მეფის გულის ნატვრანი და იმედები.

მაგრამ ვახტანგი მაინც იმედს არ იკარგავდა; გამართა მიწერ-მოწერა ჯერ იმპ. ეკატერინა, მერე პეტრე **II**-სთან და სხვა უმთავრეს სახელმწიფოს მინისტრებთან; მაგრამ თვისს წადილს მაინც ვერ მიაღწია. პეტრე დიდის სიკვდილის შემდეგ მას მოაკლდა გავლენა და პატივი. მაღალს ტიტულს, რომლითაც აქამომდე იწერებოდა მისი სახელი ოფიციალურს ქაღალდებში, არ იწონებდა მთავრობა და მეფის მაგიერ უბრალო პრინცად იხსენებდნენ თუმცა ღირსების ამ ნაირად დამცირებაზე მეფე უკმაყოფილობას აცხადებდა (**переп.** გვ. 186 — 188 და **LXXIX**). 1726 წელს რუსის მთავრობამ გარდასწყვიტა ვახტანგის გაგზავნა სპარსეთის შახთან, „რადგან იგი (ვახტანგი) ამ დროს სხვა არაფერში გამოგვადგებაო“ (**переп. LXXXII**); მეფეს უნდა მოერიგებინა სპარსეთის მმართველობა რუსეთის ტახტთან, გაეჩინა მათ სახელმწიფოში ძლიერი რუსეთის მომხრე დასი და წაექეზებინა სპარსელები თურქებთან საომრად და სხ. მაგრამ სრული რწმუნება

მაინც არ მისცეს მეფე ვახტანგს. მასთან ერთად გაგზავნეს ამხანაგად დოლგორუკოვი, რომლის უკითხავად და დაუთანხმებლად მეფეს ნება არ ეძლეოდა რაიმე მოქმედებისა სპარსეთში. მეფემ სიხარულით მიიღო ეს მინდობილობა, რადგან, ვგონებ, იმედი ჰქონდა, რომ ამ მინდობილებასთან ის გააწყობდა თავისსა და საქართველოს საქმესაც შახის სასახლეში. რუსეთის მინდობილობა ჩინებულად აღასრულა მეფემ, მაგრამ თავის ქვეყნისათვის კი ვერა გააკეთა რა, რადგან დოლგორუკოვი ნებას არ აძლევდა ელაპარაკნა სხვა რაიმეზე, გარდა რუსეთის პირდაპირ მინდობილობაზე და ინტერესზე. თუმც მეფე დოლგორუკოვზე უკმაყოფილობის და საჩივრის ქაღალდებს აგზავნიდა პეტერბურგში, მაგრამ ვერა გააწყო რა. 1727 წელს მეფე მობრუნდა ასტრახანს და იქიდგან 1728 წელს მოსკოვს. აქ, მოსკოვს, დახვდა ხელმწიფე ჩვენს პოეტს დავით გურამიშვილს, უბედურად, ბედის ტრიალით რუსეთში გარდმოგდებულს. დავტოვოთ აქ ჩვენი მეფე და მოვუყვეთ იმის ამბავს, თუ რა მოხდა საქართველოში მეფის წასვლის შემდეგ და რომელ შემთხვევამ გარდმოაგდო ჩვენი პოეტი რუსეთში.

---

ვახტანგ მეფის რუსეთში გარდასვლის შემდეგ კიდევ უფრო აირივ-დაირია საქართველოს ბედი. თათრებმან უფრო მაგრა მოიდგეს ფეხი საქართველოში, დაემყარნენ და გამაგრდნენ გორის ციხეში, სურამში, სცარცვიდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. ის შეერთების და შველის სხივი, რომელიც აღმოჩნდა ვახტანგის რუსეთში გარდასვლის წინ, ისევ გაჰქრა, როდესაც მეფემ დასტოვა თვისი ქვეყანა. ქართველთა და კახელთ ერისთავები ცალ-ცალკე, თვის-თვისად იმალებოდნენ სხვადა-სხვას საქართველოს მაგარ კუთხეებში; თვის-თვისად მტრობდნენ მტრებს და ემოყვრებოდნენ მეგობრებსა; ერთმანეთზე ნდობა კი არ ჰქონდათ. მაგრამ ამ ნაირის განკერძოებით მტრებიდგან თავი ვერ დაიცვეს, პურ-ღვინო ვერ მოიყვანეს, საქონელი დაფანტეს, დაღა-

რიბდენ. საქმე ძალიან გაჭირდა. გაჭირვებამ გამოაღვიძა, თვალები აუხსნა ქართველ-კახელობას და შეაერთა ორივენი, თუმცა დროებით. შეერთებულ ქართლ-კახელთ ჯარმან გარდასწყვიტა გორის ციხის აღება და იქით გაემგზავრა კიდეც.

„შეწუხდენ კახნი-ქართველნი, მიადგათ რა ეს ჭირები;
„შეითქვნენ, შექნეს ფიცები, ერთმანეთს მისცეს პირები,
„არჩიეს, გორის ციხესა გამოუთხაროთ ძირები
„კახმან ბატონმან მომართა დაბ-დაბნი და საყვირები"...

გორს შემოადგა ქართლ-კახელთ ლაშქარი; აპირობდენ იერიშით აღებას, მაგრამ სანამ ციხეს დაეცემოდნენ, თფილისიდამ მოასწრო ძლიერმა თათრის ჯარმან, რომელიც დაბანაკა ზედავლზე, გორის ციხისა და ქართველთ შუა. ეს ჯარი გამოგზავნა იესე მეფემ გორის საშველათ. თითქმის მთელი ოსმალოს ძალა, რომელიც საქართველოში იპოვებოდა, აქ შეიყარა. მოხდა ომი, რომელსაც უნდა გარდაეწყვიტა საქართველოს ბედი. ზედავლზე დაბანაკებულ და გამაგრებულ ოსმალოს ჯარს მიუხდა შეტევით ქართველთ ლაშქარი. აი როგორ აწერს გურამიშვილი ამ ომს, რომელიც მოხდა მის სასახლეს ახლო:

„მოხვდენ ერთმანეთს, დაიქცა რა მაშინ სისხლის-ღვარები
„აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები...
„ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიხდა მწკალტევით,
„არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით;
„მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შეტევით,
„მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნაღალატევით"...

ეს ომი მოხდა შემოდგომას ან ზამთარს 1724 წ. ქართველები დამარცხდნენ, ამიტომ რომ არ იყო შინაური, გულწრფელი, ნამდვილი ერთობა ქართველ-კახელებთ და ერისთავებთ შორის და ძნელი დასაჯერებელი არ არის, რომ დამარცხება მოხდა „შინათვე ნაღალატევით".

ამ დამარცხებამ სრულიად დაშალა ის ერთობა, რომელზედაც ქართლელთ და კახელებთ ერთმანეთს შეჰფიცეს; ერისთავები ისევ განაწილდენ, განცალკევდნენ, როგორც წინეთ; ყველა მხოლოდ თავის-თავზე ფიქრობდა, ყველა თვის-თვისად ჰმაგრდებოდა. ამ დამარცხებამ კიდევ უფრო განაძლიერა მტრები—ოსმალო და ლეკები. თათრებმან აოხრეს საქართველო, ლეკებმა — კახეთი. უკანასკნელნი გარდმოდიოდენ მთებიდგან კახეთში და იქიდგან ჯგუფ-ჯგუფად იფანტებოდნენ მთელს საქართველოში, ქურდულად სცარცვიდნენ და აოხრებდენ ქვეყანას, სტყვევნვიდენ ხალხს.

აი ამ დროს, ერთ ამ გვარ ლეკებთ ავაზაკებმან წარსტყვევნეს, მაშინ ახალგაზდა, საკვირველი ჩვენი პოეტი დავით გურამიშვილი და სამუდამოდ მოაცილეს მისს სამშობლოს, მისს ქვეყანას, ხალხს და ნათესაობას. უნებურად გარდმოგდებული სხვის ქვეყანაში, ეს პოეტი აღიზარდა და გავაჟკაცდა სხვა გარემოებაში, სხვის ქვეყანაში, სხვა ხალხში; მაგრამ ვერც სხვის ქვეყანამ და სხვა გარემოებამ, ვერც ბედმან, ვერც უბედობამ ვერ ამოუღეს გულიდამ მამულის სიყვარული და ვერც გააქრეს მის გულში ის პოეტობის ლამპარი, რომელიც აღნდებულ იყო მის სულში შობიდგანვე. ძალ-უნებურად სამშობლოს მოშორებული ის ყოველთვის გულ-მტკივნეულობდა მამულისათვის, მამულის მოშორების ჯავრი არ ეშვებოდა არც ლხინში და მხიარულებაში, არც ჭირში და უბედობაში ეს ჯავრი მას გულში, შერჩა ღრმა სიბერემდინ, ოხვრით და ვაებით თან ჩაიტანა საფლავში... მან, ვეღარ ინახულა თვისი ქვეყანა, მაგრამ ჯავრით შეპყრობილის დატანჯულის გულის ოხვრამ, ღრმათ დაჩნეულმა ყველა მის ნაწერებში, მოაღწია მის სამშობლომდინ და ჯერაც გულს უღელვებს მამულის შვილსა... ის იმედი სამშობლოში დაბრუნებისა, რომელსაც იგი არას დროს არ კარგავდა, რომლითაც იგი სცხოვრობდა და ნუგეშობდა სხვის ქვეყანაში, რომელიც ხან მზეებრ გამოუნათებდა, ხან ისევ მიეფარებოდა ღრუბელს და ბნელდებოდა, ის იმედიც თან ჩაიყოლია სამარეში და ამ სამარეში საუკუნოდ დაიმარხა მასთან ერთად.

ერთი რამ განსაკუთრებითად შესამჩნევია და საკვირველი ამ კაცის ხასიათში. რამდენჯერ წაღმა-და-უკუღმა დატრიალებულა ამ კაცის ბედი, რამდენი ვაი-ვაგლახი დატრიალებულა თავზე, რამდენჯერ მოწმენდილა და ისევ მოღრუბლულა მისის ბედის ცა, რამდენჯერ საწუთროს ჩარხს ზეცამდინ აუყვანია ის და ზეციდანვე ქვესკნელში ჩამოუგდია, ქვესკნელიდამ კვლავ ამოყვანილი და ბედისგან ისევ შეუვარებული, ხელ-ახლა ძირს დაუცია, ერთის სიტყვით რამდენ გვარი საწუთროს მუხთლობა გარდაჰხვედია, მაგრამ ვერას შეუცვლია მისი ხასიათი, ვერ დაუჩაგრავს მისი ბუნება, ვერ დაუბნელებია გონება, ვერ მოუტეხნია მისი სიმტკიცე გულისა. ვერც ჭირმა დაიმორჩილა, ვერც ლხინმა გადიბირა. გურამიშვილი დარჩა შეუცვლელი და შეურყეველი:

„იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის ქვეყნისა“...

უმთავრესი ძალა ამ საკვირველის შეურყეველის ხასიათისა იმყოფება იმ ღვთის შიში, რომელიც დანერგული იყო პოეტის გულში სიყმაწვილითგან, იმ ღრმა სარწმუნოებაში, რომელიც ყოვლადგვარ უბედურობაში არამც თუ ეკარგება კაცს, არამედ უფრო უძლიერდება და ამხნევებს სულსა და მთელს ბუნებას კაცისას. როდესაც უკუღმართის და ულმობელის ბედის ქარიშხალი ჰსუსხავს ცხოვრების ზღვაში მცურავსა, როდესაც წარწყმედის კიდეზე მიყენებულს, ყოვლის იმედის მოკლებულს თვალწინ ედუშება ყოველივე ცხოვრების ნატრა და სურვილი, როდესაც ამ ნაირად ცხოვრებისგან განწირული, ჰკარგავს ყოველ ღონეს, მხნეობას და ყოველს ძალას,—მაშინ ღრმად მორწმუნე კაცს რჩება კიდე ერთი დიდი ძალა და ღონე, რომელიც ამხნევებს და აიმედებს, სულს უდგამს, გონებას უწმედს და ნამდვილი წარწყმედისაგან საშველს უჩვენებს და იხსნის: ეს ძალა იმყოფება თვით სარწმუნოებაში, გამოიჩინების ლოცვაში... სწორეთ ეს იყო ის ძალა, რომელმანც ყოველს ჭირში შეუცვლელად და დაუჩაგრველად შეინახა ჩვენი პოეტი, რომელმანც მიაღწევინა მას მისი მწარე სიცოცხლე ღრმა სიბერემდინ. როდესაც მას ყოველი იმედი განქარვებული ჰქონდა,

როდესაც სიცოცხლე თვისს შხამით სავსე ფიალას ძირამდის ასმევდა, მაშინ ერთი მხურვალე ლოცვა, ერთი ზეცისკენ ახედვა, ძალ-გულოვნობას უბრუნებდა, ნუგეშინს ეუბნებოდა. ეს ღრმა სარწმუნოების ცეცხლი, რომელიც ჩვენს პოეტს წამოყვა სამშობლოდგან და რომელიც არ გამქრალა მისს გულში ღრმა სიბერემდინ, არის მეორე ელემენტი, რომლისაგან შესდგა მისი საკვირველი რკინის ხასიათი და ეს ელემენტი ადვილად შესამჩნევია ყველასთვის, ვისაც კი გარდაუთვალიერებია მისი ნაწერები.

---

დავით გურამიშვილი იყო ერთი თავადშვილთაგანი, გორის უბნის მცხოვრები, როგორც თვითონვე მოგვითხრობს. ჩვენი პოეტის წინაპართ ძველი, ნამდვილი გვარი იყო ზედგინიძე (ვახუშტი. გეოგრ. გვ. 46). გურამიშვილები იმ დროს გამოჩენილი, ღონიერი და შემძლებელი თავადიშვილები იყვნენ. ჩვენი პოეტის ოჯახობას როგორც ეტყობა, ნათესაობითი კავშირი ჰქონია ქსნის ერისთავებთან, რომელთაც იმ დროს ეპყრათ ერთი კუთხე საქართველოსი, ქსნის ხეობა და მისი არე-მარე და ყოფილან ისე ძლიერნი, რომ ხშირათ ეჭიდრებოდნენ არა თუ განთქმულთ არაგვის ერისთავებთ, არამედ თვით მეფეებსაც.

როდის დაიბადა ჩვენი პოეტი, სად და როგორ აღიზარდა, ამაზედ ძალიან ცოტა ვიცით. ერთი მის სიბერის დროსი მისგანვე დაწერილი ლექსიდგან სჩანს, რომ ის დაიბადა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყის, 1705 წელს. ამ ლექსში პოეტი საწუთროს ემუსაიფება, ემდურება; სწყინს რომ მას „საწუთროდ“ უწოდებენ და სხვათა შორის ამბობს:

„დასაბამიდგან მოგითხრა რიცხვი ჩემისა ხნისაო,
„შვიდ-ათას ორას ოთხმოც და ორისა მე ვარ წლისაო,
„შენ მე „საწუთროს“ მეძახი წლისა სამოც-და-ცხრისაო
„მე კიდევ ბევრს ვძლევ, დრო არის შენის საფლავის თხრისაო“..

აქედგან სჩანს, რომ ეს ლექსი დაწერილია 1774 წ. და მაშინ პოეტი იყო სამოც-და-ცხრა წლის მოხუცი კაცი. თუ პოეტი არ სცდება რიცხვში, ის დაბადებულა 1705 წელს. როგორც სჩანს დედ-მამას ძიძისთვის მიუციათ თავისი შვილი გამოსაზრდელად:

„რად მშვა დედამა, შავმა ბედამა,
„გამზარდა ჭირით, მუმუთ და პირით,
„სხვას მისცა ქირით, ფასითა ძვირით"...

სად მიიღო სწავლა-განათლება გურამიშვილმან, ესეც არ ვიცით ნამდვილად. მაგრამ ეჭვი არ არის იმაში, რომ შვილის გაზრდისათვის დედ-მამას ყურადღება მიუქცევიათ თუმც პოეტი ბედს შესჩივის, რომ მან დატოვა ის „სწავლა უხვედროდ", „უმეცრად", „უცებად", მაგრამ როგორც სჩანს მისის ნაწერებიდგან, პოეტს მიუღია იმ დროის შედარებით კარგი განათლება. რასაკვირველია, ეს განათლება იყო იმ თვისებისა რა თვისებაცა ჰქონდა საზოგადოთ ჩვენს მაშინდელს განათლებას. მას კარგათ შეუსწავლია საღვთო წერილი; შეუსწავლია ჩვენი მწერლობა და მწერლები. მწერლებში მას მოხსენებული ჰყავს შოთა რუსთველი, მეფე თეიმურაზ, არჩილი, მეფე ვახტანგი, იაკობ, ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონნა, ბარუქი, ყარან, მამუკა და სხ. ამასთანავე ჰცოდნია ზოგიერთი ბერძნების მითებიცა.

„ბედს საქოჩრითგან თვალთ უჩანს, ქალის სახე აქვს ბრმისათ,
„დაიარების ქვეყნადა, ხელით მძებნელი ქრმისათ,
„ვისაც ხელს მოჰკრავს, აიყვანს, ნახავს, გაუჩხრეკს პირსათ
„თუ მოეწონა, დაიჭერს, თუ არა, დასცემს ძირსათ".

პოეტი იცნობს ზოგიერთს ბერძენთ ფილოსოფოსებს, მაგ. ეპიკურს, პლატონს. მისი შეხედულობა ცნობაზე სრულიად ემსგავსება პლატონ ფილოსოფოსის შეხედულობას ამ საგანზე. იცის იონიელ ფილოსოფოსების აზრი ქვეყნის წარმოდგომაზე:

„ღმერთმან რომ კაცი დაბადა, ოთხ ნივთათ აღაშენაო,
„მიწა წყლით, ცეცხლი, ქარითა, ჩაბერვით მისცა ქშენაო".

მაგრამ საფიქრელია, რომ ბერძნების მწერლობისა, პოეტმან იცოდა მხოლოდ ის ნაწყვეტი აზრები, რომელნიც ყველას შეეძლო გაეგონა ყოველ მაშინდელ ძლივს ნასწავლ ქართველისაგან, და მისი განათლება, საზოგადოთ, სამშობლო მწერლების წრეს არ გარდასცილებია. ამ მწერლობის შესწავლამ მისცა მას ის საკვირველი მჭრელი, მოსწრებული ენა, ის საკვირველი ლექსთ-ხელოვნება, რომლითაც იგი ჩვენის აზრით, ყველა ჩვენს მწერლებზე მაღლა დგას. მაგრამ მისი სწავლ-განათლება მაინც სრულიად არ შეშვენის იმ საკვირველ ნიჭს და ტალანტს, რომელიც ბუნებას დაუნერგია მის გულში, იმ პოეტობის ცეცხლს, რომელიც ენთო მის სულში. უსწავლელობამ დაფანტა მისი ბუნებითი ნიჭი მწვრიმალ და შეუმჩნეველ საგნებზე, აატილებინა თვალი უფრო მაღალ და ღირსს საგნებსა... უსწავლელობამ უსარგებლოდ მიწაში დაფლა ის ტალანტი, რომელიც მას უნდა ექწარმოებინა ღირსეულად და ნაყოფიერად. ბედმაც უღალატა მას; უჟამურად მოსწყვიტა ეს მშვენიერი, ჯერ კიდევ გაუშლელი, ჩვენი თვილი და ნორჩი ბუნების ყვავილი და გარდაიტაცა სუსხიან, ცივს ჩრდილოეთში, სხვის ქვეყანაში, სადაც იგი თუმცა არ დაჭკნა სრულიად, მაგრამ მის გაფურჩქნილ კოკობს დაეკარგა მაინც ის სიტურფე და ნორჩი ფერი, რომელთაც იქონიებდა, თუ რომ გაშლილ-გაბიბინებულიყო სამშობლოს თავისუფალ ცის ქვეშ.

ჯერ კიდე ყმაწვილი კაცი იყო, როდესაც ჩვენი პოეტი ტყვეთ იქმნა წაყვანილი ლეკებისაგან. ეს მოხდა შემდეგ ვახტანგ მეფის რუსეთში გარდასვლისა (1724 წ.), სწორეთ იმ არევ-დარევის და ცარცვა-ტაცობის დროს, რომელიც ამ მეფის წასვლის შემდეგ დაუდგა ჩვენს მამულს შინაურ და გარეგან მტრებთაგან. ეტყობა ჩვენის პოეტის თვალწინ მოხდა გორის ციხის ძირს ომი ოსმალოს ჯართან, რომელშიც მოქმედებდა შეერთებული ძალა კახეთის მეფის და ქართლელ ერისთავებისა. პოეტი მწვრილ ფაქტებს გარდმოგვცემს ამ ომის შესახებ, თითქო თვალით ენახოს, ან თვითონ მიეღო ომში მონაწილეობა. მწარის გულის ტკივილით იხსენიებს ქართველების დამარცხე-

ბას ამ ომში. დამარცხება მისის აზრით, შინათვე „ნაღალატევით" მომხდარა და მის მიზეზით დარღვეულა ის ერთობა, რომელმაც უცებ გამოანათა, მაგრამ იმ წამსვე მიეფარა ღრუბელს. ამ დამარცხებამ ყვე-ლაზე წინ დაექცია გორი და მის არე-მარე და საზოგადოთ მთელი მტკვრის ხეობა ოსმალოს ხელში ჩააგდო.

„ვაი იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ,
„საცა შეხვდისთ მუშა კაცი, გლახა, მწირსა თავსა სჭრიდენ,
„გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ
„ტანთ მმარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოხვრიდენ".

ეს ომი მოხდა 1724 წლის შემოდგომას. მაშინ პოეტი მე-ცხრამეტე წლის ჭაბუკი იქნებოდა, თუ ის დაბადებულა 1705 წელს, როგორც წინეთ ვსთქვით.

ამ დამარცხების შემდეგ პოეტს და მისს ოჯახობას მტრისგან აკლებულ გორის უბანში დარჩენა არ შეეძლოთ. პოეტი გარდასახლე-ბულა ქსნის ხეობაში, სოფელს ლამისყანაში, რომელიც მდებარეობს ქსნის მდინარის მარჯვენა პირზედ, გორის და დუშეთის მაზრების საზღვარზე. ამ მაგარ საქართველოს კუთხეში გახიზნული გურამი-შვილი სცხოვრებდა მოყვრის სახლში, რადგან იმ არეულ-დარეულო-ბის დროს შიშობა იყო ერთის მხრით ოსმალოებისგან, რომელთაც ეჭირათ ქართლი და მეორეს მხრით ლეკებისგან, რომელთაც დაიჭი-რეს კახეთი და იქიდგან გროვ-გროვად გარდმოდიოდენ და იფანტე-ბოდენ ქართლში, იგლეჯდენ და აოხრებდენ ქვეყანას. ეგრედ ყაჩაღად წამოსულ ლეკებს რიცხვით ხუთმეტს კაცსა მოესწროთ ჩვენის პოე-ტისათვის, ტყვეთ წაეყვანათ და სამუდამოთ განეშორებინათ სამშობ-ლოს. ეს მოხდა ზაფხულს, ივნისის დამლევს, ან ივლისის დამდეგს, მკის დროს, როცა პოეტს ყანაში სამკალად მოყვრის მუშა ჰყოლია და იარაღ-ჩამოხსნილი, დილით ადრე წყალზე მისულა პირის დასა-ბანად. აი როგორ მოგვითხრობს ამაზე თვით პოეტი:

„მო ყური მიგდე მოგითხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანსა.
„ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრებდი სხვის ქვეყანასა
„სადაც უხმობენ სახელად ქსნის ხევზე ლამისყანასა
„და მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას უპირებდით ყანასა.

„დილაზე ავდექ, წინაწინ წაველ კაცითა ორითა,
„ვსთქვი, მუშას სადილს უმზადებთ ძროხით, ცხვრითა და ღორითა;
„არშეურილიყო ჯერ მუშა, იყვნენ მოსასვლელ შორითა
„და ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს ლეკთა ირტოზის გორითა.

„მუნ ახლოს წყალი დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო,
„იქ მოგვეპარნენ, დაგვესხნენ თხუთმეტი კაცი მზირადო;
„ავიხსენ თოფი და ხმალი, მივუყდე მუხის ძირადო
„და იმ წყალზე პირის საბანად მე მივილ თავის ჭირადო.

„შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდგეს გენია,
„გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია“...

პოეტის მოყვარე ვიღაც განთქმული თავადისშვილი ყოფილა. ეს სჩანს იქიდგან რომ ამ პოეტისთვის უბედურ დღეს დიდ-ძალ მუშას მოელოდენ; მკაზე უნდა მოსულიყვნენ არა თუ ლამისყანის და მახლო-მახლო მყოფ სოფლების გლეხობა, არამედ შორიდგანაც დ მათთვის სადილის მომზადების განკარგულება და საზოგადოთ მუებზე თავს დადგომა მიენდოთ ჩვენის პოეტისთვის.

არ საიდგან სჩანს, თუ რომელ წელს შეემთხვა პოეტს ეს უბედურება; მაგრამ უეჭველია, რომ ეს მოხდა ზედაველის (გორის ახლო) ომიანობის შემდეგ, ე. ი. შემდეგ 1724 წ., ზაფხულში. მაშასადამე 1725 წ. ან ერთი თუ ორი წლის შემდეგ. უფრო დასაჯერებელი კია რომ ეს მომხდარიყოს 1725 წ., როდესაც პოეტი ალოცე წლის ჭაბუკი იყო.

შეპყრობილი, მხარ-შეკრული ჩვენი პოეტი ლეკებმა წამოიყვანეს, როგორც ჩანს დუშეთის და თელავის მაზრებით ზემო დაღისტანში, სოფელ ოსოქოლოსკენ *).

„მე ეს მიმძიმდა მხარ შეკვრით მოვყვანდით ოსოქოლოდა,
„ვაი რათ დარჩი ცოცხალი, შენ თავო ჩასაქოლოდა!

ოსოქოლო მდებარეობს ეხლანდელი ანდიის ოკრუღში, ანდიის მდინარის სათავის ახლოს, უმთავრეს კავკასიის ქედზე. გზაზე პოეტს, როგორც თვითონ ამბობს, მდუღარე ცრემლების ნაკადული არ შესწყვეტია. გარდა იმისა, რომ თავის ქვეყნის ჯავრი უწულავდა გულს სხვა სორციელი ტანჯვაც მიაყენეს: ფეხით გადაატარეს მთები მხარ შეკრული და მშიერი. პოეტი ჩივის, რომ აჭმევდნენ დუმას, მხალს და ხინკლის წვენს (ლეკებთ საჭმელია) და ესენიც მაძღრად არ ეძლეოდა თურმე. პოეტი ოსოქოლოსკენ მიჰყავდათ ავაზაკებს, მაგრამ არ ვიცით, ოსოქოლოში მიიყვანეს და იქ დატოვეს, თუ აქედგან შუა დაღისტანში გარდაიყვანეს. უფრო დასაჯერებელია პირველი აზრი. პოეტი პირველ დროს ლეკებს ორმოში ჰყოლიათ დატყვევებული როგორც ჩანს შემდეგის ვედრებიდგან ღვთისადმი და ლეკთა ჩვეულებისაგანაც.

„ბნელსა გზივარ, გეაჯები სასინათლო ამომსვრიტო,
„ამოვძვრე და გამოვიქცე, მოვიდე და შენა გჭვრიტო".

ტყვეობაში პოეტმა დიდი გაჭირვება და ტანჯვა გამოიარა. ლეკებმა მოსამსახურეთ დააყენეს პოეტი და ყოვლისფრით ავი დღე დააყენეს.

„მიმიყვანეს არა ღირსთა, ღირსეულად მიმსახურეს;
„არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს".

---

*) ასაქო, ან ოსოქო, რუსულ რუკებში ასახო.

ერთი ლექსი პოეტს დაუწერია შემდეგის სათაურით: „ლოცვა ოდეს დავით ტყვეობასა შინა მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა“.— მეორე — „ოდეს დავით ტყვეობასა შინა სტიოდა“. უკანასკნელ ლექსში ღვთისაგან თხოულობს თეთრს ქურქს:

„მასხია ცივი ნაბადი, არა მაქვს თეთრი ქურქია“.

მაგრამ სორცის შევიწროებაზე, უფრო სასტიკად სტანჯავდა პოეტს მამულის გაყრის ჯავრი, დედ-მამის მოშორება, ძმების და დების დაკარგვა.

„გულს მიკოდს სევდის ლახვარი, ალმასის დანის სადარი,
„დედ-მამა, ძმანი დავკარგე, არ ვიცი დანი სად არი“...

პოეტი ხშირად გულ დაკოდილი ისხენიებს საყვარელს; ნაღვლობს და სტირის რომ მოგშორდიო. ნატრობს და იმედიანობს მასთან ხელ-ახლად შეყრას. ამ გვარი ლექსები იგავით აქვს პოეტს დაწერილი და საყვარლის სახელით პოეტი იგულისხმებს, როგორც ქრისტიანობას, ისეც სამშობლოს.

„სახით სიტყვა მშვენიერო, სხიო, მზეთ-მზის სახეო,
„ვემებე და შენი მსგავსი მე აქ ვერსადა ვნახეო,
. . . . . . . . . . . . .
„ვამე ჩემო სასსავო ტკბილო ცხოვრებისა წყაროო,
„გავეყარე შენს სახესა, ვა თუ ვეღარ შაგეყაროო!
„აწ შენვე გთხოვ, შენ შემყარო, ვინც გარდასთხენ ცა სამყაროო,
„და მასაც გვედრებ, ვინც გამყარა, მისი ჯავრიც ამოშყაროო!

ერთის მხრით შიმშილობა, შიმშილი და ჯაფა, რომელსაც ითმენდა პოეტი ტყვეობაში, მეორე მხრით მამულის სევდამ, რომლითაც ის იტანჯებოდა ყოველს ჟამს, აიძულეს პოეტი გასაქცევად. გაქცევა ტყვეობიდგან ძნელი გასაბედი იყო. პოეტი კიდე რამდენსამე ხნის წვალებას აიტანდა უცხო ქვეყანაში, თუ რომ ლეკებს არ მოე-

ნდომათ მისი გაყიდვა. მაშინ კი გურამიშვილმა გარდასწყვიტა გამოპარვა და კიდეც გამოიპარა. მაგრამ გამოუდგნენ, დაიჭირეს და უარსი ყოფა მიაყენეს. „რათ წასველო, დამპალდურეს" ამბობს პოეტი. ჭკუაზე ახლოა, რომ პოეტი ამ პირველ ჯერ საქართველოსაკენ გამოიქცა და არა რუსეთისკენ და იმიტომაც ადვილათ დაიჭირეს ლეკებმა, რომელთაც ალბათ შეუკრეს საქართველოში გარდმოსავალი გზა. ეს სჩანს აგრეთვე იქიდგან, რომ მეორეთ გაქცევის დროს, როდესაც რუსეთისაკენ მიემართა გასაქცევად, სწუხდა და გზაზე სტიროდა (როგორც თვითონ ამბობს) იმაზე, რომ ეთხოვებოდა თავის ტომმოყვასსა და სამშობლოს.

„გული ტიროდა, ცრემლითა თვალები მეგუბებოდა,
„ვიტყოდი, ვაი მოყვასნო, ჩემთვის დაკარგულებოდა."

აბა რა აატირებდა პოეტს, როდესაც ასე კარგად გადურჩა ლეკების ბრჭყალებს და სახსნელს გზაზე დაადგა? ეტყობა, რომ პოეტს ბევრი უყოყმანია, ვიდრე გადაჰსწყვეტდა რუსეთისკენ გაქცევას და არა საქართველოსკენ.

როდესაც პირველი გაქცევა საქართველოსკენ ვერ ებედა პოეტს, მაშინ გულში გაივლო რუსეთისკენ გაქცევა. იმ დროს რუსეთის ჯარი დაღისტნის სამზღვარზე იდგა სოლაღზე და თერგის წყლის პირას. პოეტს ეს ჰცოდნია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოში ყოფილა. დაღისტანშიაც შეეძლო გაეგო დაწვრილებით ეს ამბავი. პოეტმა გულში გაივლო რუსის ჯართან გაქცევა თერგისაკენ. თუ კი ამ წადილს ის აასრულებდა, შეეძლო იმედი ჰქონოდა თვის ქვეყანაში მობრუნებისა, რადგან იცოდა, რომ ქართლის მეფე ვახტანგი (რომელიც იმ დროს რუსეთში იყო) მალე თუ გვიან რუსის ჯარით გარდმოვა საქართველოში და ამ ჯარს გამოჰყვებოდა.

პოეტს ხელოვნურად აქვს აწერილი რა ბრძოლა გადიხადა მისმა გულმა სანამდის გარდასწყვეტდა რუსეთისაკენ გაქცევას. უკანასკნელი მომენტი ამ ბრძოლისა იყო ხმა, რომელიც მას სიზმარში მოესმა:

„ხმა მესმა ძილსა შინაო, რას ხვრინავ, რასა ფშვინაო!
„აქ რას უწევხარ საძილოდ, რატომ არ შახვალ შინაო?
„ფეხი წამომკრა წყნარადა, ჯოხითა დამიშინაო,
„რატომ ვერ ბედავ წასვლასა, აგრე რამ შეგაშინაო?
„დამაწყვენელმან აქ შენმან აქ აღარ დაგაწვინაო,
„მასთან გიბძანა დაწოლა ვისთანაც გაქორწინაო
„და ადექ, იარე, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო!“

ამ სიზმარმა გაამხნევა პოეტი, მის გულში დამყარდა იმედი, რომ თვით ზეციერი ძალა იწვევს მას გასაქცევად ქრისტიანთა მტერთ საზღვრიდამ და დაუყოვნებლივ გამოიქცა კიდეც რუსეთის საზღვრისაკენ.

„მარტო ვიყავ, არ ვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,
„არცა მაქვნდა საიმედოდ საჭურველი სამხედრონი,
„ღმერთს მივენდევ, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი
„და ხელ-მეორედ გავიპარე, რაკი ვპოვე ჟამი-დრონი“.

პოეტმან არ იცოდა გზები და ამიტომ თავისი ბედი მიანდო მზეს და ვარსკლავებს და პირ-და-პირ ჩრდილოეთისკენ მიემართა.

„დღისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით უჭვრეტდი მთვარესა
„მივენდევ შვიდთა ვარსკვლავთა, მას ჩრდილოეთის მხარესა“...

პოეტს ლამაზათ აქვს აწერილი მწუხარება, რომელიც ამ გაქცევის დროს შეემთხვა, სანამ თერგის პირამდინ მიაღწევდა. იმ დღის საღამოს რა დღესაც გაიქცა გურამიშვილი, მიადგა შიშველ მთებს შუა დაღისტნის მხარეში. ამ უმისოთაც ცივს მთებზე ასტყდა ქარი, დაიწყო ელვა-ქუხილი და სეტყვა. წყვდიადს ბნელს ღამეში არა სჩანდა რა თავის შესაფარებელი; თითქმის შიშველი, სარტყლით თავ-შეკრული (სეტყვის თავში დაცემის შიშით) პოეტი პირქვე წაწოლილა ამ მიუფარებელ ადგილზე. მეტათ შეწუხებული სიცივით და სეტყვით პოეტი, როგორც იყო სიკვდილს გადურჩა იმით, რომ ელვის სი-

ნათლეზე მოსძებნა გამოქვაბული ადგილი და შიგ შეძვრა. როდესაც სეტყვა-ქუხილი გარდილო, პოეტი გამოვიდა, ღმერთს მიანდო თავი, გული განიმაგრა ლოცვით და განაგრძო მგზავრობა.

„კოჭამდის სეტყვას გაპობდი, ფეხები მაქვნდა შიშველი,
„ყველაზედ გული მაგრობდა, არაზედ ვიყავ მშიშველი.
„ვსთქვი თუ რას მიზამს მაცთური, ან მგელი, ან დათვი, შველი?
„და შევეპოვები არავის, თუ, ღმერთო, შენ კი მიშველი“.

როდესაც გათენდა, პოეტს წინ გზის შეკვრის შიშით მგზავრობა ვერ გაუბედნია, სამი დღე შამბში წოლილა და მოუთმენია სასტიკი შიმშილი, რადგან საგზალი არა წამოეღო-რა.

„ჩემს უკან მდევართ გადურჩი იმ წოლით დღითა სამითა,
„სუთი დღე-ღამე ვიცხოვრე შვიდის ტყემლის ჭამითა,
„დღისით ჯაგნარში ვსძვრებოდი, მინდვრად ვიდოდი ღამითა
„და დღე თერთმეტამდე ვიარე ყოფა-ქცევითა ამითა“.

ამ მგზავრობაში პოეტს ტანისამოსი შემოეცვითა, მუხლ ქვეით გარდა სრულიად შიშველი იყო. სიშიშვლეს მიემატა სასტიკი შიმშილი. პოეტი ბალახით ირჩენდა თავს. შეწუხებული ღმერთს სთხოვდა:

„ქვეყანასა ვარ უცხოსა დაკარგული ტყვეო,
„ზედა მთასა ავართასა აწ მომეშველეო,
„პური არა მაქვს, მიბოძე, მშიან, მაჭამეო,
„ . . . . . . . . . . . “

„დღეს სადილათ არა მაქვს-რა, გამომიჩინეო,
„დავიკრიფე ყვავის ფრჩხილა და ისი ვჭამეო!
„დამბადებელო, მიბოძე ეს რაც ვითხოვეო.
„ვერ მოგეშვები ცოცხალი, თუნდა მაწამეო“.

„კიდევ შემმოსე, სიცივით სულ ვკრთი ამ ღამეო.
„ბალახ-ჩალაში დავსძვრები ვითა ღალღა მეო“.

შემდეგ მგზავრობაზე პოეტი განაგრძობს:

„მეთოთხმეტეს დღეს მოვადექ წყლის პირსა მე უჭალოსა,
„შამბში ვსძვერ, ვითა ნიბლია, ვსთქვი, არვინ არ ამბჭადოსა;
„შავხედე გაღმა ლეწევდენ მათრახის ცემით კალოსა,
„და ვსთქვი, თუ აგების უფალმან აქ მიხსნას საკანკალოსა.

„ცოტას ხანს უკან მომადგა მე ორი კაცი ნავითო,
„მეგონა ამას მკითხევდენ, მანდ რას აკეთებ, დავითო,
„ისევ გაბრუნდნენ, შეშინდენ ჩემის უქოჩროს თავითო
„მუნვე დავრჩი, დავღონდი, ვსთქვი, თუ წავიდე საითო?

„რა მნახეს, მათის შიშითა მეც ხმეშალა ბალანი,
„მუხლი მომეჭრა, წამერთო ტანში ღონე და ძალანი,
„შორს ვეღარ წაველ, უკუ-ვსწევ, მუნ ახლოს იყო ჩალანი
„გარდავიხადე იქიცა, რაც ღვთისა მედვა ვალანი..

უჭალო წყლის პირი, რომელზედაც აქ უჩვენებს პოეტი, უნდა იყოს ან ანდიის წყალი (ანდის კოისუ), ან ერთი უმთავრესი თერგის შტოთაგანი, მაგ. არგუნის წყალი. ის ღამე პოეტმა გაატარა ჩალა-ში. მეორე დღეს, როდესაც ნახა, რომ არა ვინ სჩანდა მდევარი, ადგა და განაგრძო მგზავრობა. შიმშილისგან ძალა-მოკლებულმა და დაღონებულმა მგზავრმა გზაზე იპოვა ორი კიტრი და ნახევარი სა-ზამთრო. კიტრები უბეში ჩაიწყო და საზამთროს გასარეცხად მდინარეზე მივიდა. კიტრები უბიდამ გამოუცვივდა და ჩქარმა მდინარემ წაართო.

„საზამთრო სიცხით დამჭკნარი ხელში მეჩვენა მე ცხლადა.
„წყალი ახლოს მხვდა მდინარე, ვიკამბე გასარეცხადა;
„კიტრი უბიდამ გამცვივდა, გულზედ მამედვა მე ცხლადა
„ჭ რომ მომეყიდა მიღირდა ას ოქროდ ათას ვერცხლადა.

„წყალმან წაიღო, მივდივე, ვეცადე, ვერ დავიჭირე,
„ზეწვი მწუდა მისის დევნით მეც წყალში არ დავიძირე
„ღვთისაგან გულსა შემაგლდა, გაუვედრე, ასე ვიტირე:
„თუ მომეც, რაღათ წამართვი, აწ ასე რად გავიწირე?!“...

ამ უბედურებისაგამო დაღონებული პოეტი უეცრად წააწყდა მშვენიერ ბაღით მოფენილ ალაგს. პოეტი ვენახში გადასცა და შიშშილ-წყურვილი მოიკლა ყურძნის ჭამით. უცებ მოესმა ზარის ხმა. ეს ნიშნავდა, რომ მან მიაწია თერგის ნაპირაზე, სადაც რუსის ჯარი და მოსახლობა იყო. ამ ზარის ხმამ, მოგვითხრობს პოეტი, —

„მკრა სიხარული გულისა, ანაზდათ ჭკვაზედ შემცვალა,
„ასე მიამა, პირიდამ გავყარე ყურძნის მარცვალი.“

პოეტმან ბაღიდგან გადმოიხედა და დაინახა საყდარი, ხალხი, პირჯვრის წერაც და ჯვარი. მაგრამ სიხარული მალე შეეცვალა ეჭვად, გაი თუ ეს მოჩვენება იყოსო? როდესაც ამ შთაბეჭდილების ქვეშ კიდევ გარდმოიხედა პოეტმა საყდრისკენ, ხალხი დევებათ მოეჩვენა და ქალების თავთ იალქანი — დევების რქებად. ამიტომ პოეტმან აქედგან გაქცევა დააპირა. საგმლად ბაღში ხილი დაკრიფა, უბე და კალთები აიმსო, მაგრამ მერე ისევ დაფიქრდა და საღამომდის იქ დარჩენა გარდასწყვიტა.

„აგვლავ სვინიდისმან მამხიბლა, ბინდამდის მოიცადეო,
„დღისით ნუ წახვალ, არამცა მოგიდგას ვინმემ ბადეო;
„წაველ უგუვსწევ ხალასა, სად უფრო იყო ხშირია.
„ღმერთმან თქვენს მტერთა შეუაროს, რაც მე ამიტუდა ჭირია;
„წამოდგა კოდოს ლაშქარი, რა შევსძარ ხალის ძირია
„მე დამარჩობდენ უცილოდ, თუ არ დამეცო პირია““

ამ შეწუხებამ პოეტს ასევ შეაცვლევინა აზრი და გაბედვინა პირ-და-პირ მოსვლა იმ უცხო დევებთან. აი რა ნაირად აუწერია პოეტს ეს მომენტი:

„რა შემაწუხეს მეტადრე, ვიტყოდი გაჯავრებული:
„ვინც უნდა იყოს, მივიდე სიცოცხლე გამწარებული,
„აღარ დავდივე, წამოვხტი, წამოველ გაჩქარებული,
„მუნ ახლოს კალოს ლეწევდენ, მიველ ვით დაბარებული.

„მიუცხოვეს და შემოკრბენ მუნ ჩემი გამშინჯავარები;
„შემომეხვივნენ გარშამო კაცთა და ქალთა ჯარები,
„მარტო პერანგით მოსილთა ყელზედ ეკიდათ ჯვარები
„მიველ და ჯვარსა ვემთხვიე, ვიწერე ზედ პირჯვარები.

„ერთმან მიუთხრა მეორეს: „დაი ხლებაო, ლაზარი“!
„ხლება რა მესმა, დამეცა მე სიხარულით თავზარი;
„მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზედ ტანმა შექნა ზანზარი,
„ვეღარ დაიდგნეს სვეტებმან და გარდაიქცა ტაზარი.

„რუსულად ხლება პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო;
„სანამდის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო,
„რა რომ თქვეს პურის სახელი მე იმან მომიყვანაო
„ამ სიხარულმან დამშალა ჯავრით შეკრული გონაო“.

პოეტს თარჯიმანად მოჰგვარეს ვიღაც „ფხოველი იანვარა“ და გამოჰკითხეს ვინაობა. მერე ხელ-ახლა სამდივანოში წაიყვანეს და იქაც გამოკითხეს ყოველივე დაწვრილებით.

„წყალს გამიყვანეს ნავითა, საყდარში შემიყვანესო,
„დამაწერინეს პირ-ჯვარი, ხატებსა მათაყვანესო,
„კვლავ მიხმეს სამდივნოშია, მაყვირეს, მაყაყანესო,
„მკითხეს: ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ღამის-ყანესო“...

(შემდეგი იქნება)

9

ხოლო რაიცა შეეხების თქმად მადანთათვის საქართველოსა შინა მყოფთა, რომელიცა არს ოქროისა, ვერცხლისა და სხვათა ნივთთა ესე არს რომელ წინა-წარუდგენთ ნებასა ქვეშე მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რათა გამოცხადებით მუშაკობისათვის მათისა ებრძანოსთ წარმოსვლა განსწავლულთა კაცთა, და მუშანი გამოცდილნი იპოვებიან სამეფოსა მას შინა საკმაო რიცხვნი, რომელიცა შესაძლო არს რათა მოიხმარებოდენ სამუდამოდ თეთრის მიცემითა.

10

ვითარცა მეოთხესა პუნკტსა შინა მორთმულსა ჩვენგან სახელსა ზედა მეფისა და ყოვლისა საქართველოსა სამეფოსა უმაღლესის მისის იმპერატორობის მინისტრისადმი ნოტი, იყო ესე რომელ ვითხოვეთ ჩვენ სამყოფად საქართველოსა შინა ექვსი ათასი კაცი მაღალ დიდებულის რუსეთის იმპერატორის მხედრობა. ესრეთვე აწცა კადნიერი ვიქმნებით ყოვლად უმორჩილესად მოხსენებად რომელ აწინდელისა ამის მდგომარეობისათვის პირველსა ამას შეხდომილებასა შინა რიცხვი მხედრობისა საჭირო არს [25]) ვითარცა საზოგადოსა განსვენებისათვის ეგრეთვე დამყუდროებისათვის აღმოკოთერჯებათა ჩვენთა მეზობელთასა, ხოლო შემდგომად ოდესცა განწესებულ იქმნების მუნ შესაბამი მყუდროება, და ყოველივე მოიყვანების შესაბამობასა შინა, მაშინ თუ რაოდენიცა რიცხვი მხედრობათა ჯერ არს, ამას მივანდობთ სრულებით განხილულობასა მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რომელიცა შესაძლო იქმნებისცა, რათა სახელდებით საიმპერატოროსა აქტისა შინა დაინიშნოს, და უკეთუ კეთილ ნებებულ იქმნების, რათა ზემოხსენებულისა ამის მდგომარეობისათვის აწ მყოფსა

---

[26]) იგივე თუ უმე ესი მიუწერია, მიუწერია თვით გარსევან ჭავჭავაძეს, რათა არა დაუმძიმონ რუსთა მფარველობითი კავშირი.

მას საქართველოსა შინა მხედრობასა მოუმატოს, მაშინ ყოვლად ქვეშე-
ვრდომობით ვითხოვთ, რათა უკუნქცევისათვის სიძვირეთასა მოსყიდ-
ვასა შინა პრავიანტისასა, ებრძანოს მუნ მყოფს რუსეთისა მხედართ-
მთავარსა განმზადება მათი კეთილ-ყამიერად მუნ მყოფისა ბაზრის
ფასისაებრ.

11

რაოდენიცა შეეხების დაწყებასა განსწავლულისა მხედრობისასა
საქართველოს ერთასა, რომელნიცა შეკრებად შესაძლო არს ესე არს
რომელ ჩვენ მოხსენებად არა რა ძალგვიძს, და ოდესცა წარიგზავნე-
ბის უდიდებულესისა მისის იმპერატორების უმაღლესის კარისაგან
რომელიმე გვამი საქართველოსა შინა, და იგი ჰყოფს მუნებურისა
ერისა სამხედროსა აღწერასა, მაშინ დროსა მას წოდებული მეფედ
ითხოვს, რაოდენცა სახმარ არს მოხმარებასა შინა მსახურებისასა ერთ-
ბამად რუსეთისა ძლევა შემოსილისა მხედრობისათა, და სადაცა იგი-
ნი თანამდებ იქმნებიან წარსვლად, და მსახურებად მისის იმპერატო-
რების დიდებულებისა, თვისისა ყოვლად მოწყალისა, და შთამამავლო-
ბით ხელმწიფისადმი უმწვერვალესითა ძალითა მსახურებისა თვისისათა,
ეგრეთვე განწესებულისა ჯარისაცა შესაძლო არს ოდესმე აღმსრულე-
ბისათვის რუსეთის საიმპერატოროსა მხედრობასა მოხმარება მარ-
ტოდ, განხილულ იქმნების საკმაოდ აღსრულებისათვის საქმი-
სა და ეგრეთვე სამზღვართა ზედა მოსახლეთა არა ძვირად
შეხვდების თავ-დასხმა და ოხრება მტერთაგან სხვა და სხვათა;
და ამის დაყენებისათვის არა კეთილ-ნებებულ იქმნებისა, რათა მუნ
უფროსად მყოფად დანიშნულსა ებრძანოს, რომელ ყოველთა მათ,
რომელთაცა ძალ-უძსთ მსახურება საჭურველითა აიძულოსთ მათ რათა
იქონიონ იგინი, და ამით საკუთრად თვისთა დაცვათა თავს იყვნენ
შემძლებელ მარადის მზაყოფად:

ან ჩვენ ჩვენითა სუსტითა განზრახვითა კადნიერ ვიქნებით ყოვ-
ლად უმონებრივესად წინ წარდგინებად ამისა, რომელ მყოფნი გლეხნი

სხვა და სხვა სამფლობელოსა ტყვედ წარყვანილნი, ანუ განშენებულნი სხვა და სხვის მიზეზით სპარსეთს, ანუ თუ თურქს, თვისავე მამულსა მოქცეულ არა სათნო იქმნების, რათა საკუთრითა მაღლის მონარხობითისა მოწყალებისათა ებრძანოსთ სახალხოდ გამოცხადება ამისი საქართველოსა რომელ ყოველნი, რომელნიცა მოიქცევიან პირველსავე თვისსა სამკვიდრებელსა აქამდე განშორებულნი, იგინი დაშთენ თავისუფლად, და აღირჩიონ წადილისაებრ თავისისა საცხოვრებელი ადგილი, რომლისადმიცა ენებოს აღრიცხვა თავისა თვისისა სახელსა ზედა სახელმწიფოსა, ანუ სხვისა უფლებისა ქვეშე და რომელიცა მსგავსიერითა სურვილითა თვისითა, სადაცა იქმნების აღწერილი საცხოვრებელად იგინი მუნ სამარადისოდ დაშთებიან თვინიერ უცხოს ქვეყნის კაცთა, რომელთადმიცა თავისუფლად მეოფობა ესე არა შეხებით, რომელნიცა დაშთებიან პირველთა მებრ თავისუფლად, მას ჟამამდის ყოველივე აღიწერებოდნენ, და ესე არა მიეხდებისთ ესე ვითარისა მოწყალებისათა, რომელ არცა ერთი მათგანი არ დაშთებიან, და ყოველივე კვალადცა მოსურნე იქმნებიან, რათა მოიწივნენ სამკვიდრებელსა შინა თვისსა, და მისგან ექმნების სამეფოსა მას არა მცირე სარგებლობა.

ესრეთვე ყოვლად ქვეშე ვრდომებით წინა-დადებულ ვყოფთ გლეხთათვის საქართველოსათა, რომელნიცა იმყოფებიან სამფლობელოსა შინა თვისსა მებატონეთასა, რომელთადმიცა გლეხნი იგი ძველადვე მუნებურითა სჯულითა ვერ განშორდებიან ესრეთ, რათა იგინი აიყარნენ, მისგან და მივიდნენ მეორისადმი. და ეგრეთვე მებატონენი იგი ვერ მიიღებენ მათ, და ვჰგონებთ ესე იქმნების შემსგავსებული წესთადმი მაღალ დიდებულისა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსათა, რათა ვითარცა აწ სამეფო საქართველოსი შეერთებულ იქმნება ამის იმპერიისთანა და ამისთვისცა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმდაბლესად თხოვნად ამისა, რომელ მიეცეთ ბრძანება უდიდებულესობისა, ვითარცა წალადემდრე, ეგრეთვე შემდგომადცა იგი გლეხნი, და ვაჭარნი, რომელნიცა იჩვენებიან მიწერილად, რომლისადმი მებატონისად

ან თუ ქალაქისად მუნვე სამეფოსა შინა დარჩეს და დაეყენოს, რათა მუნიდგან არა წარსრულ იქმნას თვისისა სურვილისა-მებრ სხვისადმი და რათა არცა გამოსახლებულად შემძლებელ იყვნენ რუსეთისა შინა, ეს-რეთვე მსგავსად ამისა დაყენებულ იქმნეს, რათა გლეხნი რუსეთისანი-ცა არა ვიდოდნენ, და ესე დაეშალოსთ მათ აღთქმითა საშინელისა, და ფიცხელისა დასჯისათა.

ესრეთვე ვიდრე ამ დრომდე იყო საქართველოსა შინა ჩვეულება, რომელ მუნებურნი მებატონენი გლეხთათვის ჰყიდნენ ვინ როგორ რაოდენსაცა ინებებდა, და ამისთვის არაკეთილ-ნებებულ იქმნებისა, რომელ ესე ვითარი მსყიდველობა აწ დაყენებულ იქმნეს და ებრძა-ნოსთ, რათა განყიდონ არა სხვა გვარ, არამედ ერთბამად სახლეუ-ლობით, და უძრავით მამულით თვისითა, უკეთუ აქვსთ მათ; და ეგრეთვე არა მიჰყიდოს თუ არ ქართველთა და დიდის რუსეთის მებატონეთა და ეგრეთვე ტყვენი, რომელთაცა თურქთა, სპარსთა და სხვათაგან ერთა საჭურველითა სახელმწიფოსათა ბრძოლასა შინა გამოხსნილ იქმნებიან, მათდამი მოიქცნენ ესრეთ, ვითარცა ეს გვარსა შემთხვევასა შინა იქ-ცევიან რუსეთისა ტყვეთადმი, და რომელნიცა ესე გვართაგან გამოხ-სნილ იქმნების ვისგანმე, და პირველი იგი მებატონე მისი ინებებს მისა თვისადმი კვალად მიღებასა, მაშინ იგი თანამდებ იქმნების, რა-თა უკუ ზღოს დახარჯული იგი თეთრი გამოხსნასა ზედა, და ამის წინა-აღმდგომსა შემთხვევასა შინა სათანადო არს რათა დაშთეს უფ-ლებასა ქვეშე მისსა, რომელმანცა გამოიხსნა, და ექმნეს ნება მისყიდ-ვად ამისა სხვათადმი შინაგან სამეფოსა შინა, და არა მეზობელთა უცხო ქვეყნისა კაცთადმი:

13

ვითარცა მეფის ძეთა და ძის-ძეთა მეფის ფამილიისათა, რომე-ლიცა მდგომარეობასა შინა თვისსა პირველისა მებრ დაშთებიან ეგრე-თვე თავადნი და აზნაურნი, ექმნესთ სარგებლობა ყოვლითა ამით პა-ტივითა და ჩინებულებითა, რომლითაცა სარგებლობენ აზნაურნი რუ-სეთისა იმპერიისანი, და მიიღონ ეგევრივე სახელსა ზედა თვისსა

ღრამატა და ღირსებისათვის დიპლომი, და იმპერატორისა მსახუ-
რებასა შინა მიღებულთა ჩინისათვის პატენტი, ეგრეთვე სამღვდელო-
თა წესთა მქონთა ეპარხიისა და მონასტერთა აქვნდეს იგივე პატივი,
ვითარცა სარგებლობენ რუსეთისა სამღვდელონი ერნი:

14

ვაჭართა, მედუქნეთა და ხელოსანთა ერთა აქვნდეს იგივე სარ-
გებლობა კომერციასა შინა, ესე იგი სრულსა ვაჭრობასა შინა, და შე-
მატება მოძრავითა და უძრავითა საქონლითა თვისითა, თვით რაიცალ
აქვსთ სარგებლობა მისი სხვათა ამათ იმპერიათა შინა მყოფთა; ხოლო
ძველთაგან მოყვანილნი შეიწროებისაგან მტერთა მათ მეზობელ-
თასა სიღარიბესა შინა, რომელთაცა არა მცირედი მიუღიეს შეიწრება
მათგან მათ პირველსა შემდგომილებასა შორის აემსუბუქოს რომელ-
სამე განწესებულებასა ჭირის პირ ზემოხსენებულისა მის რუსეთის
მემკვიდრეთა:

15

ყოველივე სახელმწიფონი სათხოვარნი აწინდელნი ან თუ შემდ-
გომნი, და ეგრეთვე სხვათა მებატონეთა გლეხთა გამოსაღებნი სხვა
და სხვანი სახემწიფოდ თვინიერ რომელისამე საჭიროსა სახმა-
რისა მხედრობათასა წარუდგენთ დიდსა მონარხობასა გასხივებულობა-
სა, და ყოვლად მოწყალებისა მხნებრებელობისა ჩვენისა ხელმწიფის
იმპერატორისასა, რათა მიეცესთ თავისუფლება, რაოდენცა დროსა
კეთილ ნებებულ იქმნების, და ესრეთვე ებრძანოსთ მებატონეთა უნე-
ბისა ებრ ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა ჰსჯულთა ზედა განაწესებისა
რიცხვი მათ მხედრობათა, რომელთაგანიცა შესაძლო არს, რათა გან-
სწავლულთა აფიცართაგან, და რიადოვისაგანთა ისწავლონ სამხედრო
ეგზერციცია, და დისციპლინი, გარნა ჩვენ კადნიერ ვიქმნებით თხოვ-
ნად მისის იმპერატორების დიდებულებისაგან სახელსა ზედა ყოვლისა
საქართველოსა ერთასა, რომელთაცა თვისისა ნებით შთავრდომილ

ჰყვეს თავი თვის მონებასა მას. რათა ყოვლად მოწყალებით თავისუფ-ლად ჰქნენ იგინი მსუბუქ გონებობისა ებრ მათის რეკრუტისა მოკრები-საგან და ეგრეთვე არა იხმარებოდენ იგინი მსახურებასა შინა ამას მხარე-სა აქეთ კავკასიისა მთისასა ესე იგი შვეიცარიასა, პრუსიასა სამზღვართა ზედა სადაცა დაუჩვეველის ერის ძლით თვინიერ დიდისა შრომისა იგინი მსახურებისა განგრძობად არა შემძლებელ არიან, და იხმარებოდენ იგი მხედრობანი შეერთებით მათთანა, რომელნიცა იმყოფებოდენ საქარ-თველოსა შინა რუსეთის პოლკთა თანა უდიდებულესისა მსახურებასა შინა მხარესა მას წინა აღდგომად ყოველთა მეზობელთა მათ მტერთა თათართა, სპარსთა და მთის ერთა და ეგრეთვე გამოწრთილთათვის შინაგან სამეფოსა პიკეტთა და ყარაულთა და ეგრეთვე ყოვლად უმო-ნებრივესად გარდნიერ ვიქმნებით თხოვად ამისა. რომელ შემოსრულნი ამას ახლად მოკრებულსა მხედრობასა შინა თავადთა, და აზნაურთა შენი ყოვლად მოწყალებით მიღებულ იქმნენ ობერ და უნდერ ოფი-ცრობის ჩინით და უკეთუ რომელიმე მეფის ფამილიისაგანი მამაკაცისა ანუ დედათაგანისა შენი მასვე რიცხვსა შინა მსახურებისასა მოსურნე იქმნებიან შემოსვლად, და უიჭოიცა ჰყოფენ ამას, მაშინ იგინი ყოვლად მოწყალებით პატივის-ცემისათვის გვართა მათთასა მიღებულ ქმნესი შტაბ-ოფიცრობისა ჩინითა, და მიღებისა ებრ შტაბ-ობერ-უნდერ ოფიცარნი ქართველთაგანი, რომელნიცა მხედრობასა შინა იქმნებიან მსახურად მათ მოემატებოდეს ჩინი განწესებისა ებრ იმპერიისა ამისა ხოლო ჯარის კაცთა ყოვლად მაღლისა მონარხობითისა მოწყალებისა-გან დაენიშნოს, რაოდენიმე დრო მსახურებისა, რათა მათ კეთილ-ყამიერად იცოდნენ, რომელ მსახურონ რა 10 ანუ 15 წელსა მისის იმპერატორების დიდებულებასა წინააღმდგომად მტერთა რუსეთისა, და ქრისტიანობისა სახელისათა, ესე იგი პირის-პირ სპარსთა, თურქთა ლეკთა და სხვათა ესე ვითართა, შემდგომ შემძლებელ იქმნებიან, რათა მოიქცნენ სახლად თვისად, და წინაშე ერთ ქვეყნიერთა ერთა თვისთა თანა განადიდონ ქება მისის უმაღლესის დიდებულების მსახურებითა, ერთგულებისათა, და აღავსებს მათ მონებრივისა ქვეშევრდომობითა, ტახტისადმი ყოვლისა რუსეთისა, და ამით არა თუ მხოლოდ შემძლე-

ბელ იქმნებიან ყაჲისაებრ რათა განამრავლონ რიცხვი კაცთა სამხედროთა, არამედ ესე დაადგინებს მათ მხიარულებით წარსულად უკეთუ ებრძანების თვით კიდრე სამზღვარამდე ინდიისა. ხოლო უკეთუ მდგომარეობა საქმისა მოითხოვს, რომელ შემდგომად მოკრებისა საქართველოსა რეგულისა ჯარისა ანუ კვალადვე თუ შემდგომად დამჭირნეობასა კვალადცა შემოკრებისა რაოდენთამე ქართველთა განუსწავლელთა ჯართასა, მაშინ შესაძლო არს რათა მუნ მყოფმან მეფემან აუწყოს ესე ხელმწიფისა მოადგილესა და სამღვდელოთა, რათა ემსგავსონ ამას შინა დიდისა მონარხიასა სიმდაბლით მოქცევასა, და სამზღვარულდონ მოკრებასა მას თვისთაგან გამოსაღებთასა, და მუშაკობასა მსახურებისა მათისასა, რათა ამით მოწყალებითა მოყვანებულ იქმნენ იგინი სრულს გლეხკაცობის მდგომარეობასა შინა;

16

ყოველთა სასამართლოთა პირველთა და უკანასკნელთა ადგილთა შინა განმგეთა და მოხელეთა ქართველთა, და რუსთა ღირსებისა და თანამდებობისა მათისა ებრ განეწესოსთ შესაბამი ულუფა მუნ მოკრეფილისა სახელმწიფოსა შემოსავლისაგან, ხოლო ესრეთვე უმცირესთა მოხელეთაცა მიეცეს ულუფა მისვე შემოსავლისაგან განწესებულისა სამეფოსა მისგან და განსრულთა სახლოსა მისგან, და ნებით თვისით მუნ დაშთომილთა;

17

ვითარცა მრავალ გვარნი კნიაზნი, და აზნაურთაგანი საქართველოსათა იმყოფებოდენ აქამდე მსახურებასა შინა კართა ზედა მეფისათა და სხვათაცა ადგილსა შინა სამეფოსათა, და აქვნდათ სხვა და სხვანი ადგილნი სამოხელონი, რომლითაცა სარგებლობენ თანამდებობითა პატივითა, და მსახურებდენ მეფესა და ქვეყანასა თვისსა გულსმოდგინებით და ერთგულობით, ამისთვის უკეთუ მათგანთა რომელთა აწ მოხუცებისა. გამო წელთასა და ანუ სხვათარე მიზეზითა

ჭკალადცა მსახურებასა შინა არა ინებონ შესვლა, არა კეთილ-ნებებულ იქმნებისა, რათა პატივ ეცესთ პირველთა მათთა მსახურებათა, და მოხუცებულებასა, და რათა დაშთენ პირველსავე მას პატივსა შინა, და მიეცესთ მათ პატივი თანად-სწორად მათ თავადთა, და აზნაურთადმი, რომელნიცა დიდებულებისა მისის იმპერატორების მსახურებასა შინა იმყოფებიან.

18

მოყვანებისათვის მყოფთა მუნ უშიშოებისა მდგომარეობასა შინა, პირველ საქმედ ვრაცხავთ ამას, რათა მივიღოთ სახმარი განთხილება მეზობელთა მათ ჭარელთაგან, რომელნიცა შთამომავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი და ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს აწცა კახეთისა, გარნა მათ შეურაცხ-ჰყვეს ჰსჯული ქრისტიანობისა, და ემორჩილებიან მახმადის ჰსჯულსა, და საშვალ მათსა არს დასახლებულნი ლეკნიცა; ესე ერნი არცაღა მცირედ არიან საშიში და არც რიცხვითა არიან უმეტეს სამი ათასიდგან ვიდრე ოთხი ათასადმდე: გარნა ვნება მათგან არს ესე პირველისა-მებრ, რომელ კახეთსა ზედა არიან დიდად მახლობელ და ცხოვრებენ პირის-პირ თვით კახეთისა სამფლობელოსა ქალაქისა ქისიყისა, და საშვალ მათსა არს მდინარე ალაზანი, რომელსაცა შინა გამოდიან ცხენიანნი და ქვეითნი, მარადის მდგომარეობენ ერთი მეორისაგან ქვევითისაგან ერთის დღის სავალსა და ადგილსა მას შინა თვინიერ მოხსენებულისა მის წყლისა არა რომელიმე მთა და ბოცვი არ იპოვების ესრეთ, რომელ თვით მძიმითა ურმითა მსუბუქად შეიძლების სვლა. ესე ჭარელნი არიან ესრეთნი, რა იყონ საშინელ საქართველოსათვის, არამედ წარმოდგომილ არიან შესავედრებელად, და სადგურად ყოველთა ლეკთა ავაზაკთა და თვით ომარხან ჰავარიისაცა ესრეთ, რომელ ოდესცა იგინი განიზრახვენ მორბევასა საქართველოს მიწათასა, მაშინ მოიწევვიან ჭარელთადმი და მიიღებენ თვისადმი მოსყიდვით მათგან საგძალთა; და ყოველივე სახმართა ნივთთა, და თვით მათცა

თვისთან შეიერთებენ, და ამით განიმრავლებენ ჯართა თვისთა, და წა-
რიყვანენ მათგან გზის-მცოდნეთა, და ყველა უგზოთა, რომელთაცა
მახლობლად მოსახლეობითა უწყიან, სადა ანუ თუ რომესაცა ადგილსა
სცხოვრებენ ქართველნი გაუფრთხილებელად, და მოულოდებელად თავ-
დასხმისა მის მტერთასა, და ესე არა უცნაურ არს, რომელ უკანას-
კნელი იგი შემოსვლა ომარხანისა საქართველოსა შინა იყო იმათზედ
გამოვლით, და მხედრობაცა მათი იყო მასთან. ესე თვით მცირე სამ-
ყოფი ჭარელთა მოქმედებს უმეტეს ამასცა, რომელ შემწყნარებლო-
ბას ორგულთა ქართველთა სამართლით სასიკვდილოდ დასასჯელთა
და სხვათაცა, და ეგრეთვე ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიცა წარმოვ-
ლენ საქართველოსა შინა მორბევისა, და აოხრებისათვის ოსმალოს
მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწევიან ჭარელთადმი, და მუნიდ-
გან სწორედ მივლენ ახალციხეს.

19

ხსნისათვის ამის სუსტისა და უპატიოსა ერისაგან ვითხოვთ
ყოვლად მოწყალისაგან რათა მოგვეცეს ნება ჩვენ, რომელ წარვიდეთ
სამკვიდროსა შინა მათთა და ავყაროთ იგინი, და დავჰყოთ სხვათა-და-
სხვათა შინა ადგილთა საქართველოსა მოსახლეთა შორის, დარწმუ-
ნებულ-ვჰყოთ, რომელ შეერთებით ერთად უძლეველთა იმისის იმპე-
რატორების მხედრობათა თანა. ამას აღვასრულებთ მსუბუქად დროსა
ზამთრისასა, და ადგილთა მათთა დავასახლებთ ქრისტიანეთა ნებით
თვისით მოსურნეთა, რომელთაგანიცა თვინიერ იჭვისა მოიპოვების
მრავალნი მოსურნენი, ამის მიზეზისათვის, რომელ ადგილი იგი არს
ნაყოფიერ, სადაცა მოდის პური მრავალ გვარი და უმჯობესი სხვა-
თაგან, და ბრინჯი, და ესრეთვე ხილი, და აბრეშუმის ხე, რომლი-
საგანაც ხელოსანი საკმაოხი რიცხვით აკეთებენ აბრეშუმსა, და ესეცა
შესაძლო არს, რათა თვით, მათ ჭარელთა აღვირ-ესხათ და დაწყნა-
რებულ იქმნენ, გარნა ვინაიდგან დიდი ხნიდგან შთაცვივდენ მახმადის
ჰსჯულსა შინა, ამისთვის, ვრაცხთ უმჯობეს ვითარცა ზემო ვსთქვით,

რათა განიყვნენ სხვა და სხვათა შინა ადგილთა, რომელ ვნება რაიმე მათგან ყოფად შესაძლო იყოს, არა არს იჭვი ამას შინა, რომელ, ოდესცა მიიწევის მთადმი ზამთარისა დროსა შინა რუსეთისა, და საქართველოსა მხედრობა, რაოდენიც წარივლინების კეთილ-განჯისამებრ, მაშინ იგი ყოველივე და თვით უპირატესნიცა მათნი არა დაუტევებენ ამას რომელ არა ჰქონ აღთქმა ფიცისა, ამისთვის რომელ იქმნენ იგინი მონად ქართველთა უკეთუ მხოლოდ მიეცესთ მათ ნება, რათა დაშთენ იგინი ადგილთა შინა თვისთა, გარნა ესე პირობა რომელიცა არა ერთ გზის მათგან ქმნილ-არს, არამედ დიახ მცირედ აღუსრულებიათ, და უფროსღა ყოველთა თვის გარდასხდომილან რჩევისამებრ ზემოთქმულთა მეზობელთასა, თურქთასა, და ამისთვის ვითარცა არა მოსანდობელთა არს საჭირო რათა გამოყვანილ იქმნენ და დაესახლენ სხვა და სხვასა შინა ადგილსა; ხოლო რომელნიმე უმეტესნი მათ ერთა კეთილ-ნებებულ იქმეს წარმოგზავნად უმაღლესისა კარისადმი, ესრეთ რომელ გამოვლონ მათ მოზდოკსა და ყიზლარსა ზედა, და განიხილონ მდებარენი იგი ადგილნი. და უკეთუ მოეწონოსთ მათ იგი ერით თვისით დასახლდენ მუნ, და ამასზედა უკეთუ თანახმა იქმნებიან იგინი, ჩვენ ვითარცა მონანი იმისის იმპერატორების დიდებულებისანი ნოტსა ამას ვჰყოფთ მოხსენებასა, რომელ შემძლებელ იქმნებიან ფრიად მცირესა ჟამსა, რათა ჰქმნან კეთილი ზაოდი აბრეშუმისა, ვინადგან ვუწყით ჩვენ რომელ ერი ესე ამის საქმისადმი უფროსღა გამოსადეგი არიან ვიდრეღა სხვანი."

20

„ხოლო ჩვენ ვითარცა ახლად შემოსრულნი დიდისა იმისის იმპერატორებითის დიდებულისა მონებასა შინა, შესაძლო არს რომელ უცნობელობითა რუსეთისა განწესებულებისა და ჩვეულებისათა საკუთრად ქვეშევრდომობითა ჩვენითა ვსთქვათ რაიმე ნამეტნავი და უშესაბამო ამის ყოვლად უმონებრივესად ვითხოვთ შთამამავლობითა ჩვენის დიდისა ხელმწიფისა იმპერატორისაგან, რათა მოგვეტეოს ჩვენ

მისითა სარწმუნოთა მონათა, რომელნიც შემოსრულნი აღსრულებასა შინა ყოვლად მოწყალებით აღთქმულისა მმართველობისა უდიდებულესისა ჴსჯულთა ყოვლით თურთ ვრაცხთ საქმედ, რათა ვაჩვენოთ მოსწრაფება ჩვენი თვით საქმით. ხოლო პირველსა ამას შეხდომილებასა შინა არავისგან არს შესაძლო ყოველივე განრჩევით გამოცხადებად, და უფროსღა ჩვენგან თქმად, თუ ვითარ არს სარგებლობა სახელმწიფოსა, და ესე გვარივე ყოველთათვის სახმართა სამეფოსა საქართველოსათა აწ ქვეშე კურთხეულისა იმისის იმპერატორების დიდებულების მპყრობელობისა შეერთებული იმპერიასთან ყოვლისა რუსეთისა. ხოლო ოდეს მივიწევით ადგილთა მათ მისის დიდებულების ჯარისაგან წარმოგზავნილი თურთ, მაშინ უცილებელად ნაკლულევანებას ჩვენთაგან მოხსენებულთასა შევასრულებთ, დამთომილსა მუნ ნამესნიკისა ანუ მეფისათა რუსეთისა უფროსად მყოფისადმი არა დაუტევებთ; ყოველთა მათ ნაკლულევანებათა, ვინადგან მყოფნი ადგილთა მათ შინა უფროს სუბუქად შესაძლო არს დანიშვნად მისიცა რაივეცა იქმნების ნაკლულევანება, და სხვებრ ვითხოვთ რათა ყოველივე ესე ღირს იქმნეს მაღლისა მონარხობითის მისის იმპერატორობითის დიდებულებისაგან კეთილ-განხილვასა [27]).“

ესრეთი იყო დაწყობილება ქვეყანისა სურვილისა-მებრ თვით მეფისა. მეფის-ძეთა დავით და იოანე განიხილეს და დაამტკიცეს წესდებანი ესენი. თავადთა ვითარცა თანამზრახველთა მეფისა (უიმათოთ არა რასა საქმესა საქვეყნოსა არა იჭერდნენ მეფენი, რეცა ფეოდალთა მთავარნი) მიიღეს და დაინახეს კეთილად მმართველობა რუსეთისა, კანონთა ზედა ამათ დაფუძნებული მხოლოდ მეფის ირაკლის-ძენი იულონ, ვახტანგ, ანუ იგივე ალმასხან, მირიან და ფარნაოზ,— მრისხანებდნენ მათთვის ვითარცა დასაღუპავთათვის ქვეყანისა. მეფის-ძე

---

27) ნოტანი ესენი, ელიაზარ ფალავანდის-შვილის ნაწერნი აქვნან დღეს უგანათლებულესსა ირაკლის, მეფის ძის ალექსანდრეს-ძესა.

ალექსანდრე ადრევე იყო ლტოლვილი სპარსეთისა და მუნით ექადოდა, სპარსთა ძალითა, მათ დარღვევასა.

პირი ესრეთისა წესდებისა წარუვლინეს იმერეთის მეფესა და მთავართა, კათოლიკოზსა ანტონის და რავდენთამე მღვდელ-მთავართა. ამათ ესე ვერ მიიღეს სიამოვნით, თუმცა პასუხი ქაღალდით არ აცნობეს, გარნა მოუსმათ მაშინვე სიტყვით უსაფუძვლობა საქმისა. ვიეთნიმე იტყოდენ ქართველნი ჰსტყუვდებიანო; ვიეთნიმე ერთმანეთს ღალატობენო და სვანი იტყოდენ: ვითარცა წყალ-წაღებულნი ხავსს ეჭიდებიანო.

ძმათა მეფისა აცნობეს ესე ქსნისა არაგვისა და კახეთისა მცხოვრებთა. განთქუეს ყოველგან ჰაზრი ესე, რომელ დასაღუპავად მეფისა ირაკლისა ოჯახისაო, ჰქმნეს ესეო; განსყიდეს ვითარცა გაცემულთა, ქვეყანა და მეფობაო და მოელიანო სასყიდელსა განსყიდულისასაო,— სახარების სიტყვიდან იტყოდენ ესრეთ მტერნი მეფისა გიორგისა და მოხელეთა მისთა მდივანთა და დესპანთა!

## LXX

### მოვიდეთ პირველისადმი საგნისა.

ჰსცნო პეტერბურღისა იმპერატორმან პავლე აღსვლა საქართველოსა ტახტზედა მეფისა გიორგისა. გარსევან ჭავჭავაძემან აუწყა მინისტერსა, რომელ გვირგვინი სამეფო ბოძებული იმპერატრიცისა ეკატერინა მეორისაგან ირაკლისადმი, დაიდგრა თბილისის გაოხრებისა და ძისა სპარსთაგან. მაშინ ბრძანა იმპერატორმან პავლე უქმნან სხვა გვირგვინი და წარმოუდგინეს კოვალენსკის ხელითა [28]) და თვით ჭავჭავაძისა თანა მოსვლითა თბილისს სამეფონი ნიშანნი. აჰა წერილიცა ვიკტორ კოჩუბეისა მეფისადმი 22 აპრილს 1799 წელსა წამოგზავნილი;

28) ესე კოვალენსკი 1803 წელსა კნიაზმან ციციანოვმან დიდის შეურაცხებითა განდევნა თბილისიდამ რუსეთად.

უგანათლებულესო მეფეო

ჩემო პატივის-საცემო კეთილ-მოსურნევ!

„განსაკუთრებითითა სიამოვნითა ვჰგზავნი უმაღლესობისადმი თქვენისა, უოვლად უმაღლესსა მისის იმპერატორებითის დიდებულებისა, ჩემისა უოვლად მოწყალისა ხელმწიფისა გრამატასა სხვათა თანა იწვეს ტიტულისა ნიშნებითა დასამყარებელად თქვენისა, ტახტსა ზედა სამეფოსა და შემდეგ თქვენსა უგანათლებულესისა მემკვიდრისა თქვენისა. ნიშანნი ესენი მოვართმევთ უმაღლესობასა თქვენსა დანიშნულისა კარსა ზედა თქვენისა მინისტრისა მიერ მისის იმპერატორებითის დიდებულებისა უძლისა სტატსკის სოვეტნიკის კოვალენსკისა, რომლისა დასწრებითა აღსრულდება უოველივე სიწმინდით წეს-დება მეფობასა ზედა დამტკიცებისა. მასთანავე ერთად მომგზავრობს სრულისა უფლებისა მექონი მინისტრი თქვენი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, რომელმანცა ისურვა რათა იქმნეს თანაზიარი ერთისა მხიარულებითისა თქვენთვის შემთხვევისა. ამასთან მოვალეობად ჩემდა მივიღებ, წერილთა გამო თქვენთა მისას უგანათლებულებისადმი განსვენებულისა კანცლერისა კნიაზის ბეზბოროდკისადმი, მოვართვათ პასუხი რომელ უოკლოთა თხოვათა თქვენთა ზედა სიკვდილადმდე თვისისა გამოითხოვა მისის იმპერატორებითის დიდებულებისა კეთილ-ნებობა. ამათ გამო ვაცნობეცა ნოტა მინისტრსა თქვენსა და მე არღა ვრაცხ საჭიროდ განვამეორო. გულის სიწრფელითა მოვილოცავ, თქვენო უმაღლესობავ, მიღებასა გამო მათ. მისის დიდებულებისა უოვლად მოწყალებისა ხელმწიფისა, მოწყალებათა, გარწმუნებ, რომელ განსაკუთრებითისა მისის დიდებულებისა თქვენდამი განწყობილებისა გამო შემდეგცა არს მოელებით მოწყალებათა. დასამტკიცებლად ამისა საჭიროდ ვჰხედავ მოვახსენო უმაღლესობასა თქვენსა, რომელ უოვლად ქვეშევრდომობითითა ჯვარისა თქვენისა წარმოდგენითა, რათა არღა განაგრძობდეთ შემდეგთა დროთათვის თქვენ მიერ საპირად შეწერ მოწერათა შესამზღვართა მეზობელთა ზედა დადგინებულთა მოხელეთადმი, მისი

იმპერატორებითი დიდებულება მოანდობს თქვენსა ნებასა, უფრორე ამისთვის რომელ ყოველნივე მიწერ-მოწერანი თქვენი შეიძლება იქმნებოდეს მინისტრისა მიერ მისის დიდებულებისა, რომელიცა იმყოფება თქვენთან.— უკანასკნელ სურვილითა ვჰმოწმობ საუწყებელად თქვენის უმაღლესობისა, რომელ დესპანი თქვენი კნიაზი გარსევან ჭავჭავაძე ყოველსავე დროსა ყოფნისა მისისა აქა, იქცეოდა სახითა მით, რომლისათვისცა მისის იმპერატორისა დიდებულებისა იქმნა ღირსი პატივისცემისა. ამასთან დამმატებელი სიისა ნივთთა წარმოვლენითა მისის იმპერატორებითისა დიდებულებისა ბრძანებითა,—ვჰგიე უმაღლესობისა თქვენისა მარადის კეთილ-მოსურნე და მზა მსახურებისა.

ღრაფი ვიკტორ კოჩუბეი. 29).

ს.-პეტერბურღით. აპრილსა 22 დღესა.

1799 წელსა.

აგვისტოს 10-ს, 1799 წელსა შემოვიდნენ თბილისსა კოვალენსკი და თვით გარსევან ჭავჭავაძე; წარდგნენ წინაშე მეფისა, მიულოცეს წყალობაები და დანიშნეს დღე დაფიცებისა და წყალობითა გამოცხადებისა. 1 დეკემბერს სასახლიდამ ანჩის ხატისა ეკკლესიამდე იყო დადგენილი ჯარი ორპირად და შუა მათსა განვლეს მეფემან, დედოფალმან და ყოველთა, გენერალი ლაზარევი განაგებდა ჯარსა. კათოლიკოსი ანტონი, მთავარ ეპისკოპოსი იუსტინე, არსენი თბილელი, იოანე ბოდბელი, სტეფანე რუსთველი იყვნენ მას დღეს ანჩისხატის ეკკლესიასა შინა მწირველნი. აქა დაესწრნენ ყოველნივე კარის კაცნი, სარდალნი და მოხელენი, თვით დედოფალი მარიამ, მეფის სახლის-ძენი, რძალნი და ასულნი, რომელნიცა გარდა დედოფლისა დარეჯანისა იმყოფებოდენ თბილისს. თვით მეფე გიორგი და დედოფალი მარიამ თხო-

29) აჰა პირი წერილისა ამის რუსულად რომლისაცა ნამდვილი აქვს დღეს ირაკლი მეფის ძის ალექსანდრისძეს:

ვითა კოვალენსკისა წარდგენ წინაშე სწიგნისა, წარიკითხეს ფიცითი აღთქმა. რუსეთის იმპერატორისა ერთგულობასა ზედა, მოაწერეს ხელი მაშინ კათოლიკოსმან ანტონი დაადგა მეფესა გვირგვინი, გარდაიკიდა თვით ლენტი წმინდისა ანდრიისა. იპყრა ხელსა სკიპტრა, შემოირტყა, ხმალი გარემოიდვა ყარყუმის პორფირი და დასჯდა ტახტსა მორ-თულსა, თვით დედოფალმან დაიკიდა ორდენი პირველისა ხარისხისა ეკატერინასი და ვარსკვლავი ორდენისა; ჩაიცვა კაბა ძვირფასი გორ-ნოსტაით გარემოდებული, დაიდგა თავსა ჯიღა გვირგვინისა ძვირფასი. მასვე დროსა მემკვიდრემან დავით მიიღო 1-ლი ხარისხი ანას ორდე-ნისა. ოდეს არხიდიაკონმან დომენტი და მგალობელთა იწყეს ხელ-მწიფე იმპერატორისა და მეფის გიორგისა მრავალჟამიერისა გალობა, მაშინ იქმნა ნარიყალიდამ სროლა ზარბაზანთა. ესრეთ დამტკიცებუ-ლი რუსეთისაგან მეფედ საქართველოისა მეფე გიორგი, და მემკვიდ-რე დავით წარვიდენ სასახლესა ქვევითად; ეკკლესიიდამ სასახლემდე ორპირად იდგა ჯარი რუსისა და იკვროდა მუზიკა. ცხოვრებნი თბი-ლისისა უმღოდენ ზურნითა, დაფითა და სავირითა. ყოველნივე ეხა-როდენ მეფესა განმხიარულებულსა რუსთა ძალითა. მეფე ქრისტიანე ადიდებდა მეფესა ერთ მორწმუნესა, მართლ-მადიდებლობისა მისაუჭ-დნობელსა. აწ განისვენა გულმან ჩემმან, უბრძანა მეფემან ევთიმის მოძღვარსა თვისსა: მივის მცველად მეფობისა იმპერატორი მართლ-მადიდებელიო. მისრულთა სასახლესა, ულოცვიდენ სარდალნი და მო-ხელენი. ტრიფილემან მწიგნობარმან წარსთქვა იამბიკო ქებითი [30].

---

30) ტრიფილი, დიდი მწიგნობარი, გარდამწერავი მრავალთა წიგნთა, მეგობარი გერასიმე ლოდბარისა, რომელიცა ნიშნავს «სული მგალობელი» მოკვდა 1803 წელსა და დაასაფლავა დომენტიმ ნათლის მცემლის მონას-ტერსა.

თვით გ ე რ ა ს ი მ ე იყო გურული გვარითა ანთაძე. ამან და ძმამან მის-მან ოთარ და შვილმან მისმან გიორგი, შემოიტანეს იმერული ეკკლესიური გალობა საქართველოს, ესენი მეფემან ირაკლი მოიხმო თბილისად და კათო-ლიკოსმან ანტონი პირველმან უბოძა მათ მამული სოფელსა ალიანში, და ესრეთ დაასახლა იგინი აქა. გერასიმე გარდაიცვალა 1805 წ.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

ხელ-ჯოხიანმან თავადმან გიორგი ერისთოვმან მოახსენა სიტყვავე მებითი [31]). მეფემან გიორგიმ უბოძა თვითოსა სალდათსა ორი აბაზი და მასვე დღესა თვითვე უბოძა სადილად, მარხვისა დღეთა გამო, ერთი ურემი დოში და ზურგიელი და ერთი ურემი ღვინო; ათა კოდი სისირი და მრავლად წნილი კომბოსტოსი.

მეორესა დღესა მინისტერმან რუსეთისა კოვალენსკიმ მოითხოვა რათა ოფიცითისა აღთქმასა ზედა მოაწერონ ხელი სარდალთა და კარისკაცთა, კათოლიკოსმან და მღვდელთ-მთავართა. ჰქმნეს ესე ყოველთა თანახმად ბრძანებისა მეფისა, ჯერეთ 26 ნოემბერსა ამასვე წელსა თფილისს ჯარი რუსისა და ღენარალ ლაზარევი იყვნენ მცველად მეფისა და სატახტოისა ქალაქისა. ვჰგონებ ამავე დროსა იმპერატორმან პავლე უბოძა კათოლიკოსს ანტონის თეთრი ბარტყულა ანუ კუნკულა შემკული ძვირფასად სერაბიმ ქერუბინებითა.

## LXXI

მტერნი მიჩუმდნენ და იდუმალ დრტვინვიდენ; მაშინ გაიქცა ალექსანდრე მეორედ სპარსეთსა და ბაბახანის შვილსა აბაზ მირზას და სარდარს მისსა სულეიმანს ეახლა ყარაბაღსა. აქა იდგა ჯარი სპარსეთისა და ერევნის ხანისა მაჰმად ხანის დასაპყრობად საქართველოისა. მეფემან აცნობა ესე რუსეთსა და ესე იყო მიზეზი, რომელ მოვიდა თფილისს სხვაცა პოლკი რუსეთისა, რომელსაცა განაგებდა ღენერალი გულიაკოვი. ხოლო თავათ და განმგედ ყოველთა საქმეთა,

[31]) ესე სიტყვა ქართულად ვერ დაიბეჭდა თვისსა დროსა; და მე ვსთარგმნე რუსულად და დავბეჭდე 1846 წელსა (Закавк. вѣстникъ № 1 за 1846 годъ. რომლისაც რედაქტორი ვიყავ მე). ესევე დავბეჭდე მეორედ იკორთისა მონასტრისა აღწერაში, დაბეჭდილსა ცალკე წიგნად: Описаніе Икортскаго въ карталиніи монастыря. Тифлисъ 1865 года და ჟურნალში საქართველოს სასულიერო მახარებელში.

შემდგომად მეფისა განმხნევებულისა, რუსთა ჯარისა მასთან ყოფნითა, ნაცვლად მოწოდებულისა რუსთად კოვალენსკისა, იყო ღენერალი ლაზარევი.

სპარსთა, დროთა ამათ, აღრეულთა თვისსა ქვეყანასა შინა, ვერ იგდეს დრო საქართველოდ შემოსვლისა, და რუსთა განდევნისა. ბაბახანი განმზადებული ჯარებითა უკუ-იქცა ხოლოთ დანარჩენით, რათა ჰსძლიოს შეამბოხესა ძმასა თვისსა ჰუსეინსა, გაუენებულსა ქვემო სპარსეთისა. ესრეთ უკუ-ქცეულმან შეიპყრა ძმა თვისი, დასთხარა მას თვალნი და საქართველოსა მიეცა დრო განმტკიცებისა რუსთა ჯარისა მფარველობითა.

## LXXII

ამასვე დროსა მოვიდა აბრაიმ-ბეგი ახალ-ციხის ფაშისაგან გამოგზავნილი თხოვითა რათა მეფე შევიდეს ხონთქარის სელიმის მფარველობასა და აღუთქმიდა ახალ-ციხისა და სრულიად სამცხისაცა შეერთებასა სამეფოსათანა მეფისა, ვითარცა იყო ძველად. მეფემან იწყინა და უბრძანა სრულიად უარი. რუსეთისათვის გზისა გასაკეთებლად დარიალიდამ იყვნენ გაგზავნილნი შანშე ერისთვის შვილი, გლახა ბაბანას-შვილი და ნაცვალი ქალაქისა მიკირტუმა სურგუნა-შვილი. მაშინ ჩერქეზულმან კაცმან სიტყვა-მარჯვემან და ახალციხის ფაშის მახლობელმან მოახსენა მეფესა: პატრონო მეფევ და კარის-კაცნო დარბაისელნო: რომ აღებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთა თვისსა დროსა დახშვასა მისსა? დახშვა კარისა ამის, უბრძანა მეფემან, იქმნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა: ამისთვის ჯუარი ქრისტესი, რომელსაცა ვესავთ, იქმნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩინს საჭიროდ.

## LXXIII

რუსეთის ჯარს მოუძღვა ღენერალ-მაიორი ლაზარევი სახელით ივან პეტროვიჩი. ოდეს იხილა მან მინისტერი რუსეთისა კოვალენსკი დაახლოვებულად მეფისა, შეჰსწუხდა შურითა და არ აღასრულებდა არა რომელსამე მისსა ბრძანებასა და არც თვით მეფისა სურვილსა. სულგრძელებითა სავსე მეფე მეცადინებდა ჰქმნას ყოველივე სათნოდ მისსა, უგზავნიდა საჩუქართა მას და დედოფალიცა მარიამ უმაწვილსა 20 წლის ცოლსა მისსა ქსენია სტეფანოვნას და ორსულსა, მეფის ასულნი მივიდოდნენ სანახავად და დროისა გასატარებლად მისის ცოლისა, და ესე გულ-გრილად მოექცეოდა მათ. 24 ნოემბერსა ეყოლა ცოლსა ქალი, მეფემან თვით ინება ექმნას მას მიმქმელად. უბრძანა განუცხადონ სურვილი ესე მეფისა თვით ლაზარევსა და ცოლსა მისსა. გარნა ცოლი მისი დეკემბერსა გარდაიცვალა და ქალსა ახალშობილსა ექმნა მიმქმელად არა მეფე, არამედ დედოფალი მარიამ და უწოდეს სახელად ალექსანდრა, რომელიცა საუბედუროდ მამისა, ხასიათით დაუწუნარებელისა, მოკვდა 7 დეკემბერს.

მრავლად მეცადინებდა მეფე მისსა პატივის-ცემასა. ბრძანა დაასაფლავონ გვამნი ცოლისა და ქალისა მასისა სიონის ეკლესიასა; აღასრულონ ყოველივე სათხოვარი მისი მსწრაფლ და დაუყოვნებლივ. რაოდენცა მეფე მეცადინებდა მისსა დაკმაებასა, ეგოდენ ღენერალი უჩვენებდა უსიამოვნებასა მეფესა და მხლებელთა მისთა. გამოიყვანა მოთმინებიდამ მხლებელნი მეფისა დარჩია მელიქი, სულხან თუმანიშვილი ქალაქის მოურავი და თვით მინისტერი კოვალენსკი. ვერ ააჩქარა ვერავინ სულ-გრძელი მეფე გიორგი.

მეფეს უნებდა წარვლენა რუსისა ჯარიდამ 400 კაცისა გორსა, დასასუსტებლად მუნ მეფის-ძისა იულონისა განძლიერებულისა. ურჩებამამ ლაზარევისა ვერ მოიყვანა აღსრულებასა ესრეთი ჰაზრი მეფისა დასამშვიდებელად აღრეულებისა. უნებდა მეფესა ჩამორთმევა-

საუფლისწულოებისა რომლითაცა იყო დაგლეჯილი სამეფო, თვით სალდათნი ჯარისა ჴსნუხდენ ღენერლისა თვისისა უგვანობასა და სიფიცხლესა და რადგანაც ეძღეოდენ სალდათნი, ამისთვის გამოსცა მეფემან ბრძანება ფიცხელი, ყოველგან შეუკრან გზა გაქცეულთა სალდათთა.

მემარხულე მეფე ურმობითა უგზავნიდა ჯარსა მართ-მადიდებელსა დოშსა, ზურგიელსა და ღვინოსა, ლაზარევი ყველას იწუნებდა. მხოლოდ მეფე ყოველსავე მოითმენდა და უბრძანებდა: „არა რაი აწყინონ გულ-ფიცხელსა, გარნა საჭიროსა ღენერალსა: არც წყენითა მისითა, ვაწყენინოთ ლინიაზედ კონორრინგსა და ამისით თვით უმაღლესსა იმპერატორისა გვამსა. მომდურავსა ღენერალსა, მიუჩინა შვილი თვისი მეფის-ძე იოანე, და ვერცა ამან დაამშვიდა ამბოხი და მეშფოთე და მოუსვენებელი გული მისი.

ესოდენი აქვნდა სულ-გრძელება მეფესა, რომელ არ მიხედა ლაზარევისა აღშფოთებასა და თვით დასწრო ცოლისა მისისა დასაფლავებაზედ თვით სიონის ეკკლესიასა შინა და უბრძანა სასახლის კაცთაცა პატივი-ჰსცენ და ნუგეშად მისსა მივიდნენ და დაესწრნენ მუნ. დღისა ამისთვისცა კვალად უბოძა სალდათთა მისისა ჯარისა თევზითა და პურითა ხორაგი მარხვისა დღეთა გამო დეკემბრისა თთვეში. მეფისა თხოვითა თვით კათოლიკოსმან ანტონი აუგო ანდერძი გარდაცვალებულსა ცოლსა მისსა ქსენიასა. ვერცა ამით, ვერცა მრავალგვარითა ალერსითა, ვერ მოიგო მეფემან გული განფიცხებულისა ლაზარევისა. ესე მისი გულ-ფიცხელობა იყო მიზეზი, რომელ 1803 წელსა, მოიკლა უბედურად ღენერალი ესე დედოფლისა მარიამისა მხლებელისა ნიკოლოზ ხიმშიაშვილისაგან.

ეს ლაზარევი მოიკლა არა დედოფლისაგან, რომელსაცა მიაწერეს ესე, და არც ჯაბრაილისაგან. დროსა მას, როდესაც ლაზარევმან ციციანოვისა ბრძანებითა შემოარტყა ჯარი დედოფლისა სასახლესა და. შევიდა თვით ლაზარევი გამოსაყვანად მისსა, იყო დილა და 8 საათი დილისა დედოფალმან მოითხოვა დრო და მოთმინება: „შვილებსა წვრი-

ლებსა სმანამთო." ლაზარევმან ეს თხოვა არ მიიღო, გაბედა და სტაცა ხელსა და მრისხანედ უთხრა ეხლავ გამოდითო: ჯარი ვერ მოგიცდისთ დიდ-ხანსაო, მაშინ, მის მეოიჯმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი, დაჰსცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა, და თვით ხიმშიაშვილი მეორეს ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდამ და გაიქცა ახალციხეს, და მუნ მოკვდა 1807 წელსა.

შეესივნენ ჯარის-კაცნი და გამოიტანეს მოკლულის ღენერლის გვამი. თვით დედოფალი დაჰსჭრა ხმლითა მკლავში სომეხმან......კაჭკაჭაშვილმან პოლიციის კვარტალმან, ჩასვეს ტრახტრევანსა იგი და შვილი მისი მეფის-ძე ხუთის წლისა ირაკლი და წარიყვანეს რუსეთად, და დაასადგურეს ნოვგოროდსა. მოკვლა ლაზარევისა ხიმშიაშვილისაგან ცნობილი სხვათაგანცა მრავალთა, თვით მაამბო დედოფალმან მარიამ.

## LXXIV

1797 წელსა გაჩნდა ჭირი თბილისის ქალაქსა. მცხოვრებნი გაიხიზნენ და მოედვნენ სოფლებსა. განსრულთა სოფლებად, განთესეს მომსვრელი სენი ქართლსა და კახეთსა. მეფე ირაკლი, დედოფალი დარეჯან წარვიდენ კახეთსა; მეფის-ძე გიორგი და მეფის რძალი განვიდენ ავჭალასა და შეჰკრეს იგი ყოვლის გზით. ესე დრო იყო სეკდემბრის თთვესა და განსრულთა ქალაქიდამ ადვილათ ჰპოვეს ბინა ტყეთა შინა, მთის ძირთა და ხეობათა ახლო თბილისისა. დიდი იყო დროთა ამათ ტყვეობა და კვება დიდთა და მცირეთა, ობოლთა და ქვრივთა, მონასტერნი და უდაბნონი, რომელთაცა წინ უძღოდა ევთიმი მოძღვარი მეფისა [32]) მოეშველნენ განბნეულთა პურითა და ღვინი-

32) ევთიმი, შემდგომად სერაპიონისა წინამძღვარი ნათლისმცემლისა მონასტრისა გვარით მჭედელა-შვილი, ყმა თავადის გარსევან ჭავჭავაძისა, ანუ მისის მამისა სულხანისა, წინანდლისა სოფლიდამ. შევიდა ბერობასა მეფის

თა, საჭმლითა და საქონლითა, მეუდაბნოეთა ჴელნი გარდაიქცნენ ჴელად ღვთისა და განგებულებისა მისისა. მეუდაბნოენი და მემხოლოენი, შთამოსრულნი მათგან თვისთ უჳაჳთა, გამოსრულნი კლდეთა ნაპრალთაგან, ვითარცა მერცხალნი ბუდეთაგან თვისთა. ექმნებოდენ მსახურად და ნუგეშინის-მცემელად ლტოლვილთა სახლთაგან თვისთა, ვითარცა ანგელოსნი მფარველნი, ეჩვენებოდენ იგინი მათ მოვლენილად ღვთისაგან. ლოცვა და ვედრება მათი, განწმედდა ქრისტიანეთა

---

ირაკლისა დროსავე და იყო საყვარელი თვით ირაკლისა მეფისა, გარდაიცვალა შემდგომად მეფისა გიორგისა.—ევთიმი იყო დიდი მოღვაწე მეუდაბნოე, სიწმინდით სავსე. გამოსული მონასტრით მისასვლელად ხაშმისა სოფელსა, წარიტაცეს ლეკთა ტყვედ. მასთანავე წარიყვანეს სხვაცა ბერი ამფილოქე, ესე ამფილოქე ტანით მაღალი, გრძელ-წვერი და მხნე სხეულითა, ლეკთა მიიღეს პატივითა: ჰგონებდენ მას თავად მონასტრისა და ძვირ-ფასად საგონებელად. ამისთვის შესვეს იგი ცხენსა და პატივითა მიჰყვანდათ, ევთიმი ტანით მკირედი, არა სახიერი და სუსტი, მიჰყვანდათ ქვეითად და იტყოდენ მისთვის უპატიოდ: მაგისთვის რას მოგვცემენო შემდგომად ერთისა თთვისა ჰჴსცნეს ლეკთა, რომელ ევთიმის გამოსახსნელად წარუვლინა მეფემან გიორგი ოც-და-ათი თუმანი და მეორისა ბერისათვის ოთხი თუმანი: ლეკთა მოიხადეს ბოდიში და ესრეთ პატივით მოიყვანეს თვისსა უდაბნოსა.

შემდგომა ევთიმისა იქმნა წინამძღვრად დომენტი შანშეს-შვილი გვარით დავითის-შვილი ბაგრატიონი. იყო არხიდიაკონად კათოლიკოზისა, ოდეს მეფემან გიორგი მიიღო სამეფო რეგალია.

წინათ ამისა და ამის დროსაცა, იტყვის დღესაცა ცოცხალი ნათლის-მცემლის წინამძღვრად ყოფილი არხიმანდრიტი იოანე ჯორჯაძე 78 წლისა, იყოო ნათლის-მცემლის უდაბნოში 8 გადამდგარი არხიმანდრიტი, 18 მღვდელ-მონაზონი, 6 არხიდიაკონი და 30 მსახურნი და მორჩილნიო.

თვით დავით გარეჯისა მონასტერში, რომელსაცა ეწოდებოდა ლავრა, იყვნენ და 1799 წელსა 3 გადამდგარი მოხუცებისა გამო ეპისკოპოსნი: დანიელ მანგლელი, ტიმოთე ნეკრესელი და კონიფანტე მოქული იმერელი; 6 არქიმანდრიტნი; 28 მღვდელ-მონაზონნი; 14 არქიდიაკონნი და 60-მდინ მსახურნი, წმინდის დოდოს უდაბნო, თუმცა იყო დროსა ამას ცარიელი, გარნა

გონებასა და განამხნევდა მას, რათა უძლოს განსაცდელსა. ესე მიამ-
ბო დედამან ჩემმან, ლტოლვილმან სახლობითა დროთა ამათ კახეთად;
სადაცა მიმართეს საფარველსა მეფის-ასულისა ბარბარესა მეუღლისა
კახთა თავადისა სვიმონ ენდრონიკა-შვილისა სოფლის ვეჯინსა, კაცი-
სა გარდამატებულად მდიდრისა ყმითა და მამულითა, მებატონისა 400
კომლის კაცისა.

## LXXV

ოდეს მეფე ირაკლი მწუხარე გარდაიცვალა თელავსა, ჭირი ესე
იყო მიზეზი, რომელ მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით
გარდაიტანეს გვამი მეფისა მცხეთას დასასაფლავებელად. არაგვის
პირსა დადებული კუბო მეფისა მიიღეს მცხეთელთა და დაასაფლავეს
და კახნი არღა განსრულნი არაგვსა, უკუ-იქცნენ კახეთად. გამეფებულ-

---

ლავრასთან. 1811
წირვა-ლოცვა იყო ხოლმე სიახლოისა გამო გარესჯისა
დასუსტდა გარესჯა თუმცა მოღვაწენი ღირსნი არ აკლდა და არცა მწიგნო-
ბარნი. აჰა ერთი წერილთაგანი. რომლისა ნამდვილი მე მაქვს მოწერილი
მემკვიდრის მეუღლისა ელენესთან.

უგანათლებულესსა საქართველოს მეფის სძალს

უმოწყალეს ხელმწიფასა.

მდაბლად თაყვანის მცემელნი და მმადლობელნი, მლოცველნი ღვთისადმი დღეგრძელობისა თქვენისანი. ვინადგან ჩვეულხარ მოწყალებისა უღონოთა და გლახაკთასა კეთილ.გონიერებითა. აწ ჩვენ მდაბალთა და უღირსთადმი განცხადნა მოწყალება უგანათლებულესობისა თქვენისა, მცნებისათვის საუფლოისა და ბრძანებისა ძველსა და ახალსა თეატრსა. კვალად «მიეცით მოწყალება და აჰა ყოველივე თქვენი წმინდა არს» და კვალად «რომელი ჰსწყალობდეს გლახაკსა, ავასხებს ღმერთსა,» და კვალად იტყვის: «წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი.» ამათსა აღმასრულებელსა, ღმერთმან აღგისრულოს თქვენც. აღნათქვამი თვისი, თქვენებრთა გვამთათვის განმზადებული სიხარულითა წმინ-

მან მეფემან გიორგი 1798 წელსა მოინება რათა ძველთა ჩვეულებათა გამო მოსთხოვონ სომეხთა კათოლიკოსისა ლუკას მოსვენება ლახვრისა. წარგზავნეს კაცნი და შოჯსცეს იგი გარნა სიფრთხილითა დიდითა და შიშითა, რათა ქართველთა მეფემან არ მიითვისოს თვისად საუნჯე ესე ეჩმიაწინისა. ვართაპეტმან გიორგი ოშაკანმან და ათთა სხვათა მოასვენეს და დაასვენეს იგი პირველ სიონისა საკათედროსა ეკკლესიასა ნუგეშად ერისა. დღისით დაშთებოდა აქა და ღამით მიასვენებდენ ვანქისა სომეხთა ეკკლესიაში. ინება ღმერთმან და განქარდა ჭირი. მეფე ვერ ბედავდა შესვლასა ქალაქად და ლახვრისა მომტანნი ეჩქარებოდენ წასვლასა, მოვიდა ბრძანება მეფისა, რათა დაშთეს იგი თბილის მოსვლადმდე მისსა. სომეხნი ჰსთხოვდენ ქალაქისა მელიქსა დარჩიას უშველოს მათ ესრეთსა გაჭირვებაში. ამან დაალოცნა მელიქი, მოქალაქენი სომეხნი თბილისელნი და თვით ვართაპეტი მათი თბილისისა დროთა ამათ ეპისკოპოსი ოჰანეზ თვით წარვიდა მეფესთან და ევედრებოდა რათა ინებოს დაუბრუნოს ლახვარი ეჩმიაწინსა. მეფემან დაარწმუნა იგი, რომელ არა რაი აქვს ბოროტი გულსა შინა განზრახვა ლახვრისათვის წმიდისა და უბრძანეს პატივითა ჯეროვანითა, საჩუქრისა ბოძებითა და მადლობისა წერილისა მიწერითა კათოლიკოსისადმი წარუვლინოს თვისსა ადგილსა, მა-

---

დათა თანა ამინ, და ამას საწუთოსა შინაცა აღვისრულოსთ ყოველი სათხოველი გულისა ნებისაებრ თქვენისა. ესე ვუწყით დამტკიცებით ნამდვილ, რომელ ყოველივე საწადი, თქვენი. ნებაცა ღვთისა იქმნების.

თქვენი მოწყალება ფილონი და ერთი თუმანი თეთრი გვებოძა, რომლისათვისცა კუალადცა ფრიადსა მადლობასა აღვიარებთ.

თქვენის უგანათლებულესობის მარად მლოცველი, მდაბალნი და უღირსნი ერთობით წმინდასა დავით გარესჯისა მონასტრის სავსება.

აპრილს კგ.
წელსა ჩყია.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

შინ, ოდესცა თვით და სახლობა მისი ნახვენ მას, ილოცვენ და ემთხვევიან. ეპისკოპოსმან ოჭანეზ მოსულმან მოიტანა ესრეთი ამბავი სამწუხარო სომეხთათვის, რომელნიცა დიდად ამბოხებდნენ, თუმცა ვერა ჰბედავენ ცხადად თავისა გამოდებასა მეფისა რიდითა. დღე და ღამე ჰსწუხდა მელიქი შესრული თვითცა დიდსა ეჭვსა, თუმცა არწმუნებდა ყოველთა, რომელ მეფე არ ინებებს ლახვრისა მიტაცებასა. კათოლიკოზი ანტონი, თხოვილი სომეხთაგან, რათა ინებოს და მოსთხოვოს მეფესა ძმასა თვისსა და ითხოვნა მათი ლახვრითა, უარჰყოფდა შუამდგომელობასა რათა არა აწყენინოს მეფესა. ამისთვის მიმართეს არსენი თბილელსა და მანცა ვერ ჰბედა მისვლა მეფესთან, რომელსაცა ვერ ჰსწყალობდა. დაღონებულთა და მოთმინებისაგან დაღალულთა მიმართეს ევთიმის მეფის მოძღვარსა და ესე მოქალაქეთა თხოვნითა განღვიძებული წარვიდა და მოახსენა ვედრება ეჩმიაწინელთა მამათა, ლახვრის მომსვენებელთა. მეფე განრისხდა და უბრძანა ევთიმის უბრძანოს მელიქსა ჰშთაგონება ვართაპეტისა, რათა შეიცადოს ერთიცა კვირა. შეძრწუნებულმან [33]) მელიქმან მიჰსწერა მეფესა წერილი თავისა თვისისა განსამართლებელი, აღუწერა ეჩმიაწინელთა მოუთმენელობა და სულ-ჰსწრაფელობა მათი და დაარწმუნა მეფე, რომელ მარადის ეცდინის მათ მათსა მიუნდობლობასა, რომელსაცა შეაჩვიეს სომეხნი მზაკვართა და მატყუართა სპარსთა.

სწრაფად განვიდა ხმა ყოველგან, რომელ მეფე გიორგი იღებს თვისდა ლახვარსა, შეიპყრეს ექვსნი მარჯვენი კაცნი სომეხთაგანი და ორი ერევნელი თათარი ვაჭარი და შეითქვნეს იდუმალ წარიღონ ლახვარი ეჩმიაწინსა. მელიქმან დარჩია ჰსცნო ესე, შეჰსწუხდა ფრიად; მისცა საპყრობილესა შეთქმულნი მეამბოხენი და უჩინა მცველად ლახვრისა ქართველნი და სომეხნი აზნაურშვილნი, და მასვე დროს აცნობა მეფესაცა გიორგის ამბავი ესე.—ესე იწყინა მეფემან მეო-

---

[33]) მელიქსა ამას დარჩია ბებუთაშვილსა კუზიან მელიქად უწოდებდენ დიდსა კუზისა გამო. მოკვდა 1836 წელსა,

რესა დღესა ქალაქისაგან განმზადებულმან ტივითა, რომელიცა ელოდა მას მტკვრისა პირსა ავჭალას და უბრძანა თვით დასაჯონ შეამბოხენი ქალაქისა ლაშქრისა გამო ვითარცა სურს და ელოდეს მას. 15 აგვისტოს დღესა მიცვალებისა ღვთისა დედისა დღესასწაულსა, მობძანდა თბილისს სახლობით, შევიდა პირდაპირ სიონის ეკკლესიასა და მოისმინა საღმთო ლიტურღია მუნ სადაც ესვენა ლაშქარიცა საშუალ ეკკლესიისა წინაშე ამბიონისა. შემდგომად წირვისა მივიდა ლაშქართან, თაყვანის-ჰსცა, ემთხვია დიდისა ღმობიერებითა, ილოცა მხურვალებითა და მასვე დროსა ჰსთქვა ქადაგება დეკანოზმა სიონისა იოანე ოსესქმან, მცოდნემან სომხურისაცა ენისა მწიგნობრობითა.

მეორესა დღესა უნებდა განემგზავრებისა, ლაშქარი სომხეთა კათოლიკოზისადმი საჩუქრებითა, გარნა მოახსენეს ჯვარისა გამოჩენა ახლო თბილისსა. მეფემან ბძანა შეაყენონ ლაშქრის წარვლენა. მხოლოდ მისწერა წერილი ოქევარტერს ეჩმიაწინსა, გაუგზავნა იაგუნდის ბეჭედი და აღუთქმიდა ლაშქარსა. დროსა მას მოერთვა მეფესა გიორგის ეჩმიაწინიდამ წერილი შემდეგი, რომლისა ნამდვილი მაქვს მე სომხურად, დაწერილი 29 იანვარს 1800 წ. [24]).

ბატონო მეფევ! თქვენმა უმაღლესობამ 1798 წელსა ითხოვა წმინდა ლაშქარი განსაკურნებლად ჭირისა და უწმინდურმან პატრიარქმან ჩვენმან აღიღეს იგი საშინელისა მის ადგილისაგან ნოემბრისა თთვესა დაწყებითსა რიცხვებში ხელითა საყვარელისა ძმისა ჩვენისა იოანე არქიეპისკოპოსისა და ოდეს მოაწია მან თქვენდამდე, ქრისტეს მოწყალებითა განქარდა ჭირი. წარსულთა დროთა ჟამსა სულ განათლებულისა მეფისა მამისა თქვენისაცა რავდენჯერმე იყო წარმოვლენილი იგი და შემდგომად ჭირისა განქარვებისაცა უკუ მცემულიცა მსწრაფლ ჩვენკენ. ამისთვის თქვენის უმაღლესობისადმი ჯერ იყო რათა ენება დაბრუნება მისი ლაშქრისა შემდგომად განქარვებისა მის ჭირისა. თუმც რავდენჯერმე მოიწერა თქვენის უმაღლესობისადმი სულ-განათ-

[34]) აჰა პირი თვით ნამდვილისა. (35 აკლია).

ლებულმან პატრიარქმან, და თქვენ აღუთქმიდით და არა უგზავნიდით ესრეთ, რომელ აღსრულდაცა თვით კათოლიკოზი. ჩვენ დაშთომილნი ობლად, მწუხარედ და შემუსრული გულითა, გვეჭირებიან ვითარცა წმინდა ლაშქარი, ეგრეთვე მცველი მისი ძმა ჩვენი ოჯანეზ არხიეპის-კოპოსი, რომელმანცა ჩინებულად იცის უცხოთა ქვეყანათა ენები და სიტყვა ნიჭებული დიდ სახმარია წმიდისა ამის სადგურისათვის და ჩვენთვისაცა გაჭირებულთა დროთა ამათ გამო აგერ წელიწადი და სამი თთვეა რაც მოდიან მლოცველნი შორის ქვეყნებიდგან და ვერ მხედველნი წმინდისა ლაშქრისა ტირიან და უკუნ იქცევიან. დღითი დღეთ განიფინების ხმა ყოველგან, რომელ წმინდა ლაშქარი დატყვევდა თბილისსა. ესრეთისა ანბავისა მიზეზად არა ხართ თქვენ, თქვენო უმაღლესობავ: ამისთვის რომელ არა ეთანხმება მეგობრობასა და მფარ-ველობასა თქვენსა, რომელნიცა მამა-პაპათაგან თქვენთა გაქვსთ მო-ცემულნი ერთადმი ჯასოსიანთა და წმინდისა ეჩმიაწინისა. ამისთვის მე მწუხარე მოხუცი მინას ეპისკოპოსი და კრება სულიერი წმინდისა მონასტრისა ეპისკოპოსნი, ბერნი, და სხვანი ძმანი ვედრებითა და ცრემლითა გთხოვთ თქვენ ჯვარ-გვირგვინოსანსა, სიყვარულისათვის ქრისტესისა, ნუ დაგვიტევებთ ნურცა ჩვენ, ნურცა სახლსა ჩვენსა უნუ-გეშოდ. სასიხარულოდ ჩვენდა გვიბრუნეთ წმინდა ლაშქარი იოანე ეპისკოპოსითურთ, რომელიცა ესოდენსა დროსა ტყვეობასა შინა არიან. ესრეთ აღსრულებისა თხოვისა ჩვენისა, ყოვლად ძლიერი ღმერთი წყალობითა აღასრულებს თქვენსაცა თხოვნასა და დაგიცვამსთ თქვენ და შვილთა თქვენთა მშვიდობითა და კეთილ-ცხოვრებითითა მფარვე-ლობითა. იყვენით სიმრთელით, დიდებულო მეფევ, სადიდებელად მე-ფეთ მეფისა ქრისტესსა და სასიხარულოდ მორწმუნეთა, და ნუგეშად გულისა კეთილად მავედრებელისა თქვენისა ღვთისადმი უმდაბლესი მინას არხიეპისკოპოსი, მსახური ნათელ-მოსილისა წმინდა ეჩმიაწინი-სა ტახტისა 1800 წელსა 29 იანვარსა.“

ლაშქარი ვერ წარუვლინეს, წარუვლინეს იმედის წერილი დაუ-ფარველობისა საუნჯისა ამის წმიდისა ეჩმიაწინისათვის.

ესრეთ დასცხრა დროებით ყოველივე ამბოხი ლაშქრისა გამო, რომლითაცა გონებენ, განიგმირა უბრალი ჯვარსა ზედა. ხოლო მე ვიტყვი მისთვის მასვე, რასაც იტყვიან სომეხთა მეისტორიენი და თვით ჩამჩიანი თვისისა წიგნისა ტომსა მეორესა, გვერდსა 344. წერილთა ამათთაგან ჩანს, რომელ ლაშქარი ესე იყო თვით, იგი, რომლითაცა განიგმირა დავით დვინელი 693 წელსა და არა ქრისტესი. ვრცლად დავსწერე მას ზედა რუსულად წიგნსა ჩემსა Жизнь святыхъ Грузинской церкви. Тифлисъ 1850 года.

შეიმეცნონ ესეცა მათ, რომელნიცა ზღაპრობით უწოდებენ მას ლახვრად ქრისტესსა: ოდეს ჰპოვეს ჯვარი ქრისტესი და ლურსმანნი იერუსალიმსა, მწერალთა მღდელთა და თვალით მხილველთა, აღირიცხესცა ნივთნი ნაპოვნი მიწისა ქვეშე და რიცხვთა ამათ შორის არა არს მოხსენებული ლახვარი და გარდა ამისა არცა ერთი ძველთა მწერალთაგანი არა მოიხსენებენ ლახვარსა ამას ლახვრად ქრისტესა. ხოლო მწერალნი სომეხთა და თვით ჩამჩიანი აღწერენ ლახვარსა ამას ვითარცა მას, რომლითაცა განიგმირა და მოიკლა წმიდა დავით დვინელი და არა თუ ქრისტე.

მრავალი რამე აქვსთ სომეხთა ეკლესიასა, მიღებული წესდება და არა ჭეშმარიტი წმინდათათვის მოთხრობა. არა არის განსაკვირველი! ესრეთ განბნეულთა სომეხთა არ შეუძლიანთ სხვად ყოფა, ეძიებენ საგნითა მრავალთა დამტკიცებასა და ვერ დაუკავშირებიათ, რამდენადაც არ არის მათ შორის ერთობა არცა ეკკლესიისა, — ერთისა მეორისაგან დაშორებულისა, არცა ხალხთა ერთობისა, რამდენადაც არა აქვსთ დგომა ერთსა სამეფოსა და ანუ ქვეყანასა. დაკავშირებისათვის ქართველთა თანა სომეხთა მეფემან გიორგი მისცა ნება ვართაპეტსა მათსა, რათა იორდანეზედ განსვლა მათი იყოს ერთობით ქართველთა თანა, ესე იყო მეფობისა მისისა ო ბსა წელსა. შემდგომადცა 1803 წლამდენ კნიაზმან ციციანოვმან განმგემან საქართველოისამან სომეხთა მოძღუღემან ბრძანა რათა სომეხნი არა აღირეოდენ ქართველთა მართლმადიდებელთა თანა და ამისთვის სრულიად განაშორა იგინი.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

## LXXVI

ამავე დროსა გარდაიცვალა სომხთა კათოლიკოსი ლუკა. აცნობეს ესე მეფესა გიორგის იოსებ მიშვარბაშისა ხელითა, რომელიცა იყო მამა ვასილისა ბებუთოვისა ღენერალ ოტინფანტერისა ჩინისა გარდაცვალებულისა 1859 წელსა. ამავე წერილითა უბრძანებდა მეფე სომხთა ეჩმიაწინისა (კრებასა ძველთა მეფეთა ჩვეულებითა ქართველნი დაამტკიცებდენ მათსა კათოლიკოსსა) აღირჩიონ იოსებ არღუთაშვილი რუსეთსა მყოფი. აჰა ნამდვილი წერილი სომხურად და თვით თარგმნილი ქართულად, ვითარცა წარუკითხეს მეფესა გიორგის. ესე თვით მამისა ჩემისაგან იყო თარგმნილი და მისგანვე დაწერილი ქართულად.

„ნათელ აღგებულისა სასწაულ აღდგომულისა საყდრისა წმინდისა ეჩმიაწინისა მსახურთა სამღვდელოთა მოწესეთა. კრებულთა ძმათა, ესე იგი ეპისკოპოსთა, მოძღვართა და მოწესეთაგან დიდისა წადილისა ქრისტეს მიერ ლოცვა და კურთხევა უხვ-მოწყალება და დამცველობითი მადლი, და წმიდათა ამათ ნაწილთა შეწევნა მოგვხსენდესთ, ყოვლად უპატიოსნესო, უმაღლესო მეფეო ყოვლისა საქართველოისაო გიორგი, იყავნ კურთხევა წმინდისა ამის საყდრისა ძეთა ასულთა და ყოველთა სახლეულთა თქვენთა ზედა, იცოდეს კეთილ მსახურებამან თქვენმან რომელ დასწერს ბრძენი სოლომონ: ვითარმედ გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღვთისათა და რომლისა მიერ კერძოსა ენებოს, მიერ მიმსდრიკოს. ეგრეთვე თქვენისა უმაღლესობისა გული მნებებელობას ჩვენ მტირალთა და მგლოვართათვის ნუგეშინისცემასა; ვინადგან უმაღლესობა თქვენი დამდაბლებულა ჩვენდამდე და გვბოძებინათ ჩვენ უმეცართა მონათათვის წერილი სიყვარულისა და მოწყალებისა ხელითა სარწმუნოთა თქვენისა მარიშქარბაშისა იოსებისთა და ტერ-არაქიელ დეკანოზისათა, რომელიცა ჩვენ წერილი იგი თავსა ზედა ჩვენსა მივიღეთ და სიხარულით წარვიკითხეთ და ნუგეშინის ცემა იგი

მიცვალებისათვის სანატრელისა მამათ მთავრისა ჩვენისა უფლისა ლუკა
უწმინდესისა კათოლიკოსისა, და ფრიად ნუგეშინის ცემულ ვიქმენითა,
და ვითარმედ ნიშნად ჩვენისა სიყვარულისა და ნიშნად თქვენისა მწყ-
ხარებისა გებოძებინათ მშვენიერი ნათხზი გარდასახურავი, რომელიცა
დიდის მადლობით მივიღეთ და მისთვის საკრებულოდ წავსთქვით
კურთხევა თქვენისათვის უმაღლესობისა; რომლისათვის ვსთხოვეთ და
კვალად ვთხოვთ, რათა მეუფემან მეფეთამან, და უფალმან უფლებათა-
მან მოგანიჭოს თქვენ ცხოვრება გრძელი და ნაცვლად ამა ჩვენდამო
ბოძებულისა ნიჭისა, მოგანიჭოს ნიჭი საუკუნო, მარადის კურთხევი-
თა და განძლიერებითა თქვენითა და გყოსთ საშინელ მტერთა ზედა
ჯვარისა თვისისათა. ხოლო რომელიცა სულიერისა მამისა იოსებ არ-
ხიეპისკოპოსისათვის გებრძანად კათოლიკოსად წმინდისა ამის საყ-
დრისა, ეგრეთ ვითარცა მამათ-მთავრისა საყვარელისა არხიეპის-
კოპოსისა მინასისა თუმცა მოგვეწერათ, სამართლად ფრიად კეთილ-
არს ბრძანება თქვენი და თან კმაობა არს ნებისა ჩვენისა. ვინადგან
ორ-გზის ვიქნებით ჩვენ კრება წმინდასა ამას შინა ტაძარსა გამორ-
ჩევისათვის კათოლიკოსისა, და მას შინა აღვრიცხეთ დიდ-პატივით
იოსებ არხიეპისკოპოსი და ღირსად ვსაჯედ საჯედ მპყრობელად წმი-
დისა ამის საყდრისა. გარნა შემდგომად შეშინებულთა რაოდენთამე სა-
შინელთა მიზეზთათა, ვერღარა ვიკადნიერეთ ჩაწერად მეჯალამსა ში-
ნა; მაგრამ შემდგომად თქვენისა ბრძანებისა, შევმზადეთ მეჯალამა
იოსებ არხიეპისკოპოსისათვისცა და კონსტანტინოპოლის პატრ..არხი-
სა დანიელისათანა. ესეცა ჩავსწერეთ ვითარცა დაგვეწერა მინას ვარ-
თაპეტისათვისცა. აწ ჭეშმარიტებით ჯერ არს თქმა რომ იოსებ არ-
ხიეპისკოპოსი არს კრებული წმინდისა ამის საყდრისა, და ეჩმიაწი-
ნისათვის მრავალსა შინა წელსა მრავალ-გზის შემატებული და ყო-
ველთაგან აქ მოწონებული არის მაგისი კათოლიკოსობა. რომ არა
აქვს ყოვლითურთ ნაკლებობა რაიმე არც კეთილის მოქმედებითა, არ-
ცა ასაკითა და არცა გვაროვნებითა; მაშა კურთხეულმან გვარმან ჩვენმან
მოუწოდონ მას და დაპატიჟონ კათოლიკოსობა. უკეთუ მასცა არა

აქვნდეს შიში რაიმე განსაცდელნი ანუ მიზეზად, მოვიდეს, ინებოს, მობრძანდეს, მიიღოს ჩვენი საჭურჩინებო და სანებებელო და შესაწუნარებელი არის.“

„უკანასკნელ გევედრებით, რომ ქრისტეს შემხები წმიდა ლახვარი ეგე ოჭანეზ ვართაპეტით-ურთ გვიბოძოთ.“

მლოცველნი თქვენნი ქვემო აღმბეჭდველნი

მინას, გრიქორ, სიმონ ალექსანდრე ლოც- იოაკიმ არხი-
არქიეპ. ათურაკალ; ვის დამწყებით; ეპისკოპოსი
სტეფან არხი- ასტვა- ანდრია ბარსილ, თადეოზ.
ეპისკოპოსი წატურ

1809 წელსა, იანვრის კთ, ეჩმიაწინინს. [35]).

პასუხად ესრეთის თხოვნისა ლახვრისათვის, აცნობა მეფემან რომელ წარიღებს მას ახლად დანიშნული ოქევარტერი იოსებ ეჩმიაწინს, რომელსაცა ელოდნენ ქალაქსა თბილისს, რუსეთისა გზით. ვერცა ამან იოსებ, არ მნახავმან თვისისა ტახტისა, ვერცა სხვათა,—ვერ წაიღეს ლახვარი იგი. მხოლოდ შემდეგ გარდაცვალებისა მეფისა, მინისტერმან რუსეთისა კოვალენსკიმ სომეხთა თხოვითა უბრძანა ანუ ურჩივა წარვლენა მისი ეჩმიაწინს.

## LXXVII

ვითარცა მეფეთა ტომი და მეფის-ძე და მეფე, იყო მეფე გიორგი ღირსებითა აღსავსე. მრისხანე ბოროტთათვის, მძლავრი ამათთვის და მეშფოთთა, მდევნელი მდევნელთა, მცემელი მცემელთა, მასვე დროსა ტკბილი კაცთადმი ტკბილთა, მშვიდი მშვიდობისა მოყვარეთადმი, აუჩქარებელი მყუდროთადმი, ნუგეშინის მცემელი მწუხარეთადმი, ობოლთა და ქვრივთა შემწყალებელი; მცირედთათანა იყო მცირე, მდაბალთა თანა მდაბალი; მღვდელთა პატივის-მცემელი, დიდთა კაცთა-თანა ყოვლად დიდებული, მეტადრე მაშინ, როდესაცა როგორმე განარისხებს მას ანუ მომატყუებულითა და განუზომელად თქმული-

თა სიტყვითა ანუ უკადრისითა ლექსითა, ანუ უზდელობითა. მოკლედ და მრიელად უბრძანებდა სიტყვასა მდაბალთა კაცთა მოჩივართა; ღიმილითა მოისმენდა მათთა თქმათა ოდესმე უჯეროთა და უგონოდ მოხსენებულთა. რისხვასა მისსა ესე ვითართა თვის შეამეცნებინებდა მათ დაფიქრებულისა და უპასუხოისა დუმილითა. იყო ვითარცა ლომი, რომელიცა არაოდეს არა იცვლის პირისა სახესა თვისსა საპატიოსსა მეფურსა და დიდებულსა. დიდთა საგანთა ზედა საღმთოთა ზედა საქვეყნოთა მაუბარი, ხშირად გარდავიდოდა შესაქცევთა გარნა არა უშვერთა, საქმეთა ზედა და ოდეს სრულყოფდა თქმასა და მოთხრობასა, თვითვე ბრძანებდა ლექსად მველადვე თქმულსა სიტყვასა: აი ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო.“ მეფის-ძე მიხაილ, შვილი მისი, ხშირად მეტყოდა ამასვე და მიბრძანა ძალი მისი: თეიმურაზ მეორესა მეფესა ახლდა ბერი მანასე სახელით და მას სადამე უბრძანებდა ამასაო ლექსად, ვითარცა თვით მოლექსე.

მცოდნე ზეპირად ექვსთა დღისა რომელიცა აღწერა ვასილი დიდმან და გარდამოიღეს ქართულად ე. საუკუნესა, და ეგრეთვე ეპისტოლეთა მისთა, რომლისა სრული თარგმანი გვაქვს გაიოზის ასტრახანის არხიეპისკოპოსისა,—ხშირად მოიგონებდა მაღალთა და დიდთა ვასილისა თქმულობათა: „ყოველივე მოვალსო თვისსა დროსაო, ესე მისწერა ოლიმპიას ვასილმან[36]) ყვავილი გაზაფხულსა, ეკალი ზაფხულსა, ნაყოფი ხილისა შემოდგომასა; ხოლო ნაყოფი ზამთრისა არს საუბარი მასვე დროსაო, ბრძანებდა მეფე, მისწერა ვასილმან ხუმრობითი, დაცინებითი და შექცევითი სიტყვა ეპისტ. 267.) კომბოსტოსათვის, რომლისა სადამე ჭამითა განიკურნა სნეულებისაგან, გარყვნილი ცხოვრებითა და არაწმინდებითა განმგე (ვგონებ, პონტოის) ანტიპატრე.

დიდად ხშირად ეტყოდა და განუმარტებდა განმარტებითსა ფსალმუნიდგან იოანე ოქროპირისა სიტყვასა: „აღმოსთქვას გულმან

36) ეპისტოლე 13.

ჩემმან სიტყვა კეთილი: „აღმოსთქუს გულმან სიტყვა ქ. ი. რათა იცოხვნიდეს ვითარცა საჭმელსა სიტყვასა კეთილსა ოდეს ვსჭამთ. ვხარშამთ საჭმელსა და რომელიცა ჰსჭამს ანუ მიიღებს საზრდოდ სულსა საღმრთოსა, მასვე ამოიცოხნის ქ: ი, აღმოსთქვას [37]) ეს ვპოვე ლათინურსა ენასა ზედა დაბეჭდილი და მუნ სწერია *) (

) — ნუ ვიქმნებით უმადლონი ღვთისა, ეტყოდა მონოზონთა და კარის-კაცთა, რათა არა მივიღოთ უკედრებითი სიტყვა მოსე წინასწარ-მეტყველისა: ისრაილმან სჭამა, განძღა, განსუქდა და კრა წიხლი მას, რომელსაცა უყვარდა (მეორე სჯჯს 32. 15) ზეპირად ტკბილად და ნელად ესაუბრებოდა უდაბნოისა მემხოლოეთა და ეტყოდა წმიდათა თვის, მოწამეთათვის, მემარხულეთა·თვის, წერილთაგან, რომელნიცა წარეკითხა ყურად-ღებითა და ახსოვდა მეხსიერებითა ძლიერითა. კასიანე მწერლისა თქმათა, მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე კლემაქსისა სინაიტელისა მოძღვრებათა წარმოსთქვამდა ესრეთითა ძალითა და ესოდენ მადლიანად, რომელ მსმენელთა აღატირებდა და აღადნებდა ცრემლთა. თვით მოძღვარი მისი და მეგობარი, წინამძღვარი ნათლის-მცემლისა უდაბნოისა ექვთიმი უწოდებდა სულიერსა თვისსა მოწაფესა მეფის-ძეს გიორგის, მოძღვრად თვისსა. განკვირვებასა შინა შეყვანილი ექვთიმი ღირსი, მოახსენებდა პატივად მეფისა მოძღვრებათა სიტყვასა მოხსენებულსა იესოსადმი იოანე წინამორბედისაგან: მე შენგან ველი ნათლის-ღებასა, და შენ მთხოვ რათა ნათელი გცე შენ?

ვითარცა მიწა წვიმითა დამთვრალი და განპოხილი, ეგრეთ იყო მეფე გიორგი, იტყოდა მამა ჩემი ეგნატი, საღმრთოთა წერილებითა დაუნჯებული და ვითარცა რიტორი მათთა აზრთა და თქმათა წარმომთქმელი.

---

37) ფსალმუნთა განმარტება 145.

*) აქ დედანში აკლია.

## LXXVIII

სტეფანესა რუსთველსა (არხიეპისკოპოსსა) ახსოვდა წარმოთქმული მეფისა გიორგისაგან სიტყვა ოქროპირისა ღირსებისათვის კაცთა გონებისა. მე მოვიძიე ნამდვილი თქმა ესე ოქროპირისა წერილისაგან, მიწერილითა ანტიოქელთა მცხოვრებთადმი (სწავლა 2.) და აზრთა მიხედვითა, თვით სტეფანესაგან თქმულთა, დავსწერე აქა მკითხველთა საცნობელად:

„მრავალნი პირუტყვთაგანი სჩანან უმეტეს კაცისა: ლომი ძლიერებითა, ცხენი სიმწრაფლითა, არწივი ფრინვითა, გარნა კაცმან დაიმორჩილა ცხენი თვისად მოსახმარად. ხოლო არწივი? კაცმან მოიძია საშუალობა და ღონე შესაყენებელად მფრინველთა, კაცთა აქვსთ თვისნი ფრთენი, დიახ! დიახ, მე მაქვს ფრთა ერთი უმსწრაფლესი არწივთა ფრთთისა, რომლითაცა აღვიწევი არა ათსა სტადიონსა, არცა ოცსა სტადიონსა, არცა ცადმდე მხოლოდ, არამედ უმაღლეს ცისა ადგილადმდე, სადაცა სუფევს ქრისტე მარჯვენით ღვთისა.“

ერთსა და მასვე უკეთუ ვიტყვით ორ გზის და სამ გზის, იტყოდა მეფე, საჭიროებისათვის, რათა არა დამავიწყდეს აზრი და იყოს უმეტეს სრულად და მტკიცედ გონებასა ზედა დანერგულად. იტყვის ოქროპირიო კაცისა ანუ გვამისა სხეულსა ჯერ არს რათა აქვნდეს თავი, ხესა ძირი, მდინარესა წყარონი, საუბარსა დაწყებითი რაიმე საგანი.“

თქვენ-ხართო, იტყოდა მეფის-ძე გიორგი ოქროპირისა სიტყვასა, მიკრულნი რეცა ბაგეთადმი ჩემდა და ვითარცა მერცხალთა ბარტყნი, მიაგებებთ ბუდიდგან ნისკარტსა, რათა მიიღოთ მსწრაფლ მისგან საზრდელი.

დღესა ერთსა, საუბრისა დროსა მათთვის, რომელთაცა სურდათ სიკვდილი მეფისა ანუ მოკვლა მისი, ღიმილითა წარმოიტყოდა იოანე ოქროპირისავე სიტყვასა: „დღესაცა იპოებიან იეზაბელისა გვარისანი.

იროდიადა კვალად განცობდა, როკავს და მოითხოვს თავსა იოანესსა."
ესე სიტყვა იყო თქმული არა დარეჯან დედოფალზედ, დედი-ნაცვლი-
სა თვისისა. ბრძანებდა მას მეფის-ძულისათვის დედოფლისაგან მიჩნე-
ულისა, და თითქმის სასახლისა მბრძანებელისა მიბრძანა ესე არა ერთ-
გზის მეფის-ძმან მიხაილ.

## LXXIX

მეფის-ძმან თეიმურაზ მომითხრა, მეფისაგან გიორგისა მამისა
თვისისა არა ერთ გზის გაგონილი თქმითა და არა წარკითხვითა სიტ-
ყვა იოანე ოქროპირისავე ღამითისა ლოცვისათვის და სიტყვა ესე
მაღალი ვჰპოვე საქმე მოციქულთა განმარტებაში (სწავლა 26) და
მოვიღებ აქა საცნობელად მკითხველთა: ღამე არა არს დაწესებული,
რათა განატარებდენ მას სრულიად ძილითა და განსვენებითა. ხელო-
სანი, ვაჭარნი და მსყიდველნი და თვით ეკკლესია ღვთისა, განიღვი-
ძებენ შუაღამესა. განიღვიძე შენცა ვითარცა ეკკლესია ღვთისა; განი-
ხილე წყობა ვარსკვლავთა, დუმიალ ყოვლადი აერისა და წესი ქმნუ-
ლებათა, ღამისა ჟამსა სული კაცისა არს უმეტეს განწმენდილი, მსუ-
ბუქი და მოცლილი. აღიწევის მაღლად გონებითა თავისუფლად. სიბ-
ნელე ღამისა და სიღრმე დუმილისა შეიყვანს ფიქრსა და მსჯელობა-
სა. უკეთუ აღიხილავ ცად, ვარსკვლავებითა მორთულად, ვარსკვლავე-
ბითა, რომელნიცა არიან ცისა თვალნი, მიეცემი დიდსა სიხარულსა
და დატკბები შვებითა, ოდეს აღიწია აზრი შენი და გონება ღვთი-
სადმი. მიხედე კაცთა, რომელნიცა დღისით კივიან, უვირიან, როკვენ,
იცინიან, ბოროტობენ, მტაცებლობენ და იქმონენ მრავალთა უგვან-
თა და უკეთურებათა,— არა რაითა არა განირჩევიან მათგან, რომელ-
ნიცა მდებარებენ საფლავთა შინა; და მაშინ შეურაცხ-ყოფ სოფლისა
ამისა ამასა ამაოსა ამბოხებასა. მოვალს ძალი და ესე მათ აგონებსთ
რა არიან: ძილი სახვა სიკვდილისა, სახე და მსგავსება არა-რაისა.—
განვედ ქუჩასა და იხილე რომელ არღა ისმის არავისი ხმა. მიხედე

სახლსა შენსა; ყოველნივე მწოლარებენ ვითარცა საფლავთა შინა ესე ყოველი განაღვიძებს სულსა და გაგონებასა სოფლისა ამის არარაობასა...... ღამისა ჟამსა მღვიძარებენ: მცენარენი, და ესრეთვე სული შენი, უმეტეს მცენარეთა რეცა მოფშვინავთა, მიიღებს ზეცისა ცვარსა.“

სოფრონ არხიმანდრიტი, არაგვისა ერისთვის-შვილი აღზრდილი ნათლის-მცემელისა მონასტერსა, მოიგონებდა მეფისა სიტყვათაგან ვასილი დიდისა, ბრძანებასა ევთიმესთვის წინამძღვარისა, რომელიცა იყო მდაბალთა გვართაგანი, გარნა მაღლად მაღალთა ზედა გვაროვანთა მდგომარე მონაზონებისა სიწმიდითა და ღირსებითა: „კაცი დიდებული და გამოჩენილი, გარნა არა მქონი ჩინებულთა მამა-პაპათა არა ემსგავსების წყლისა ნაკადთა, რომელნიცა განდიდდებიან მაშინ, ოდეს შეიერთებენ სხვათა წყლისა ნაკადთა; ესრეთი კაცი მიემსგავსების წყაროსა, რომელიცა თავით თვისით მოდის და თვით არის გემოვანი კეთილი და სასმელი...... იტყვიანო, არა ხარ დიდისა გვარისაო და არცა დიდებული: მივუგე; შენ ხარ ნაცარი და მტვერი; არა ხარ უმეტესი აბრაამისა მამისა ჩვენისა, რომელიცა ესრეთ იწოდებოდა.“ ამა სოფრონისა თანა მყოფი, დროსა ამბავისა ამის მოთხრობისა, ბერმან სერაპიონ (მოკლული ლეკთაგან 1855 წელსა მონასტერსა დავით გარეჯისა უდაბნოისა), კაცმან მცოდნემან ძველისა და ახლისა ფილოსოფიისაცა დაუმატა ესე: მე ვიყავ 18 წლისა ჯერეთ მორჩილად, ოდეს მეფე მობრძანდა დავით გარესჯას დიდისა ამალითა და ინება, რათა სატრაპეზოსა სადილსა ჟამსა წარეკითხათ ექვსთა დღისა რაიმე. წინამძღვარმან მიბრძანა გამორჩევა წიგნიდამ, ვითარცა მე თვით დავინახამდი ღირსად, რათა მოესმინა მეფესა. აღვედ მკითხველთა სადგურსა და წარვიკითხე სრულიად მეცხრე სწავლა ვასილისა დაბადებისათვის ქვეყანისა ცხოველთა და თვით კაცისა. ოდეს დავასრულებდი კითხვასა, შევსცვალე, ხმა ჩემი და ვიტყოდი წიგნისა ამისა დასასრულსა ამასა: „ესრეთ მწუხრი ესე და დრომდისა და სულისა, გვიბრძანებს დუმილსა, შევსდგეთ და მივცეთ შესვენებასა საუბარი ჩვენი...... წარვედით აწ სიხარულითა, აქა, შეკრებილნო მე-

გობარნო ქრისტჳსნო, და ნაცვლად საზრდოთა მდიდართა, და საჭმელთა მრავალ-გვართა, განაშვენეთ და განწმიდეთ ტრაპეზი თქვენი სიტყვათა ჩემთა განსვენებითა. ესე იყო, ვგონებო, 1794 წელსა წინათ აღა-მამად ხანისაგან თბილისის აოხრებისა, დღესა ხუთშაბათსა დღესასწაულსა თჳით დავით გარესჯელისსა ამაღლებისა სწორსა. მეორეს დღესა შემდგომად წირვისა დილითისა და პარაკლისისა გამოეთხოვა ძმათა და წარვიდა მტკვრისა მხრით ბორჩალოს და თანა უძღოდენ ყაზახისა და ბორჩალოს თათარნი.

პირველი იყო ჩემგან მეფის-მის ნახვაო და ჭეშმარიტად ვიტყვი დღედმდე მომხსენებელი მისი, ვჰკვირვები მისსა ღრმად სწავლათა საღმრთოთა წიგნთა შინა, წმიდათა მამათა წერილთა დახელოვნებასა მისსა, ბრძნად მსჯელსა. ტკბილად და რიტორულებ მოუბარსა, ნამდვილ, მეფესა ტანითა ახოვანითა, ჭკუითა, ზრდილობითა, მოთმინებითა, აუჩქარებლობითა, დიდსა მორწმუნესა, ქრისტეს ეკკლესიის მოყვარესა და ვიტყვი მონაზონთათვის მაგალითსა.

კითხვა ჩემი დიდად მოეწონა მეფესაო; — გამომკითხა ვინაობა ჩემი, სადაობაი, წელი ცხოვრებისა და წელი უდაბნოსა შინა შესვლისა. ერთისა კვირისა შემდეგ შემაყენეს ბერად; მიკურთხეს ჩოხაო და მიწოდეს სახელად ნაცვლად სვიმონისა სერაპიონი, სახელი წინამძღვრისა ჩემისაო, რომელმანცა მაღალითა სიწმინდითა განატარა ქვეყნიერი ესე ცხოვრებისა სარბიელი.

## LXXX

დროსა გამეფებისა მეფე გიორგი მწუხარე ქალაქისა თბილისისა გაოხრებისა გამო სპარსთაგან და მცხოვრებთა თვის, რომელნიცა კვალად შემოვიდოდნენ თვისთა სახლთა გარდამწვართა მისწერა თხოვითა წერილი სომხეთა კათოლიკოზსა ლუკას, რათა ასესხონ მას ფული. კათოლიკოსმან მოართვა სესხად ათასი თუმანი, და ფული ესე განანაწილა მათზედ, რომელნიცა იყვნენ მოკლებულნი ღონეზედ

აღშენებისათვის ანუ განახლებისათვის სახლთა თვისთა:— ქალაქი ტფი-ლისი, მეცადინებისა მელიქის დარჩიასათა ამაღლდა ამა დროსა. სამე-ფოდ დღეში 18 მანეთსა, ვითარცა მიამბო ღენერალმან ვასილი იო-სების-ძემ ბებუთოვმან, დიდი მოღვაწე ქალაქისა განახლებაზე, არა ზოგავდა არარასა ობოლთა, ქვრივთა და შეუძლებელთათვის. ჯიბე მი-სი, იტყოდენ მხლებელნი მისნი, არის შიოს მარანიო."

დღესა ერთსა მეფე ბრძანდებოდა ჩარდახზედ სასახლისა თვი-სისა წმიდისა გიორგისა ეკკლესიის გვერდზედ და იხილა მუნ ყმაწ-ვილი 15 წლისა, რომელიცა სდგას შორს და უმზერის მეფესა. მეფემან მაღლის ხმით ჰკითხა მას, ვინა ხარ ყმაწვილო? იგი წარსდგა მსწრაფლ და მოახსენა: ვარ შვილი სიონის კანდელაკისა იოანესი...... ოჰ, უბ-რძანა მეფემან, მოკლულისა სპარსთაგან, წამებულისა ქრისტესთვის, შენ ხარ შვილი ჩემის ნათლი-დედისა. მოდი, მოდი, რა გქვიან სა-ხელი? გაბრიელ, შენი ჭირიმე, — მოდი დაჯექ, სადა დგეხარ ეხლა? მეზობლისა სახლში;— მაშინ შევიდა ოთახში, გამოიტანა თვით პატარა თალათინისა ყუთი, ამოიღო ჯიბიდან გასაღები, გააღო ყუთი და ლურჯის ქისიდამ თვით თავის ხელითა იწყო თვლა აბაზებისა. ოც-და ათის მანეთის აბაზი მიბოძა და რადგანაც არ მქონდა ხელსა-ხოცი, თვით ამოიღო მისივე, ყუთიდამ ქაღალდი ლურჯი და ნახე-ვარ თაბახში გახვია და მიბრძანა: მიუტანე ეს ფული ჩემსა ნათლი-დედასა, დედასა შენსა და უთხარ ეხლავ, ეხლავ გაიახლოს სახლი სად-გურად ობოლთა. ამა ფულითა დროთა მათ, მეტყოდა სიონის დე-კანოზი გაბრიელ ქართველოვი, გარდაცვლილი 1866 წელსა, აღვაშე-ნეთ სახლიო, რადგანაც იყო დიდი იეფობა მასალისა, მუშისა, კალა-ტოზისა და აგურისა.

## LXXXI

მეფის ძმან და მემკვიდრემან დავით რუსეთსა ყოფნისა დროსა გაიცნა და მოინება შერთვა ცოლად, რომლისადასცა ტატისჩევის ქა-

ლისა. მობრუნებულმან საქართველოდ, იწყო მიწერ-მოწერა წერილთა გარსევან ჭავჭავაძის მესთან და ვარლამ მიტროპოლიტთან ერისთვის შვილთან. დროთა ამას. პ. ბ. ჩლენად სინოდისა მცხოვრებთან. მეფესა გიორგის დიდად სურდა შერთვა ქალისა მისთა რუსთა გვარისა და აჩქარებდა საქმისა ამის დაბოლოებასა, რა მაგალითითა ამით დაკავშირდეს რუსეთთან თვით და ერი დაუმალველად, ერთი ესე ვითართა წერილთაგანი ნამდვილი, რომელიცა მე მაქვს არის მოწერილი მეფის მეს დავითთან ვარლამისა: აჰა პირი ნამდვილიდამ ამ 1-ლისა ამის წერილისა.

„მათს უგანათლებულესობას. მეფისძეს და საქართველოს მემკვიდრეს დავითს, ჩემს მოწყალე ხელმწიფეს!

ქვევრდომით თაყვანის მცემელი, მათს მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.

ხელმწიფეო ჩემო! თქვენი წიგნი მებოძა. და როგორც მმართებდა ისე ვიხარე თქვენის მშვიდობის ამბის სმენისათვის, ბატონს მეფეს წიგნი მივართვი, და მათს უმაღლესობას მოვახსენე, და თქვენც მოგახსენებ: ტატისჩოები ჭეშმარიტს პასუხს ითხოვენ, ამისთვის რომ ბევრნი თხოულობენ, და გათხოვება უნდათ. და თქვენ ბრძანებას ელიან.

აქაური ამბავი ეს არის, ევროპაში დიდი ბრძოლაა. სუვოროვსა შვეიცარიაში საშინელ მთაში ღამეს და უვალს ადგილებშიდ, რომ ის იმპერატორის ღენერალთ ცხენები დაუგდიანეს და ოთხი დღე იქ მოუხდა დგომა; იმ დღეებში საშინელი ქუხილი, ელვა, და მძაფრი წვიმა თურმე იყო, და იმ დროს ფრანცუზნი განეწყვნენ, და დიდს სიმხნით და ძლიერებით იმ საშინელის ადგილიდგან გამოვიდა სუვოროვი, მოკლედ მოგახსენებ, სუვუროვი ასე სწერს ხელმწიფეს, რომ ახლა რომ მოვიგონებთ იმ დღეს, ჩვენი სული შეძრწუნდება ხოლომე. ხელმწიფის შვილი კონსტანტინე პავლოვიჩიც იქ ყოფილიყო. და ამისთვის ხელმწიფემ სუვუროვს ღენერალისიმუსობა უბოძა, და თავისი შვილი ცესარევიჩად გამოაცხადა. კნიაზ პეტრე ბაგრატიონიც

დიახ კარგა გაისარჯა და ვიდეც დასწრეს. ბუნაპარტემ ჯარი მისირში დააგდო და თითონ ფრანციაში მივიდა.

სხვებრ გევედრები მოწყალეო ხელმწიფეო არ დამივიწყო მონა ერთგული თქვენის უგანათლებულესობისაგანა ერთგული არხიერი ვარლამ.

გუმბრის 18 წელსა 1799.

რავდენისამე წლითა წინათ.

## LXXXII

წერილისა ამის ვარლამ მიტროპოლიტისა რომელიცა იქმნა 1811 ექსარხად საქართველოისა გარსევან ჭავჭავაძემან აცნობა მეფესა მიწერილი პეტერბურღსა ამბავი დავითისათვის მემკვიდრისა, დანიშნულისა ოთარ ამილახვრისა ქალზედ ელენეზედ, მეფე, მოსურნე რძლად ტატიშჩევისა ქალისა, სწერს სხვათა შორის შემდეგსა პასუხსა, ჯერეთ მეფის ძეობაში და მემკვიდრობაში.

„მათ ბრწყინვალებას

ჩემს საკუთარს მეგობარს,

რა აქედგან თქვენი ბრწყინვალება წავიდა, მას უკან თქვენი წიგნი არ მოგვსვლია და თქვენი ამბავი გარჩევით არ გვისმენია და თქვენმა გონებამ უწყის, რომ თქვენის წიგნის დაგვიანება და ამბავის უცნობელობა დიდად მოგვაწყენს, და ვინც წამოვიდეს თქვენს წიგნსა და ამბავს არ უნდა დაგვაკლებდეთ ხოლმე, მშვიდობა არის ღვთის მოწყალებით პეტერბურღს რომ მიხვიდეთ იქ დიახ კარგისაგან ურჩეულესი იშოვება თეთრი კაპლი, რომელსაც ანადიინო ქვიან. ამისი სამი ანუ ოთხი სტოლის კოვზის ოდენი უნდა გვიშოვნოთ და კაის ჭურჭლით და

თქვენის ბეჭდით უნდა ფოშტით გამოგზავნოთ, ან ასეთით კაცის ხელითა, რომ აქ ჩვენ მოგვივიდეს; მაგრამ დიახ კარგისაგან პირველი და ურჩეულესი უნდა იყოს, რომ ცუდი არ იყოს და ვიცით ცუდს არ გამოგვიგზავნით და ამას გარდა სიცოცხლის წამალი რომ ჰქვიან იმ წამლისაც თორმეტი მინა გვიშოვნეთ და ესეც თქვენის ბეჭდით დაბეჭდილები და კაის კაცის ხელით გამოგვიგზავნეთ რომ უეჭველად აქ ჩვენ მოგვივიდეს და ის ორივ კი ჩვენთვის საჭირო არის და ამისთვის გთხოვთ და ვიცით თქვენც გამოიმეტებთ და კიდეც იშოვნით და მაგიერს თქვენს რგებას და სიამოვნებას ჩვენც ვეცდებით: ჩვენთვის დოხტურსაც გამოეგზავნა ცხოვრება არსებისა ჰქვიან, რომელიცა რომ მათის დიდებულებას უთარგმნინებია ის წამალი და იმისი ორი რიგი თურმე იქმნება, ერთი დიახ კარგისაგან გვიშოვნოთ იმ ცხოვრება არსების წამლისა და თორმეტი წვრილის მინებით იქნება და ესეცა და ეს ზემოხსენებული თეთრი კაშლიცა ოთხი სტოლის კოვზი გვიშოვნოთ და გამოგვიგზავნოთ და ასეთს კაცს გამოუგზავნეთ ამ ჩვენი მხრისაკენ რომ საეჭვო არა იყოს რა და აქ ჩვენ მშვიდობით და უნაკლულოდ მოგვივიდეს და შემდგომად თქვენს სიკეთეს, ამბავს და წიგნს ნუ დაგვაკლებთ, რომელიც ჩვენთვის ნიადაგს სასიამოვნო სასმენელი არის. დავითის ცოლის შერთვა და ქორწილის ამბავი გვეკითხათ, იოანე ფეტიაშვილმა გვიანბო და თქვენი გული ამაზედ სარწმუნო ბრძანდებოდეს რომ ჩვენ დავითს არც ცოლი შეერთოს, არც ქორწილი ექმნას და ვისზედაც დავითისაგან შერთვის ეჭვი არის არც დავითისაგან იმისი შერთვა იქმნეს და დიდი სიცრუჲ და ტყუილიც არის და დაჯერებულიც ბრძანდებოდეთ, ამაზედ ასე შორს არის დავით აქედგან პეტერბურღი შორ არის ისე ის საქმე. და უჩვენოთ ხომ ვერ დაიჭერდა დავით ამ საქმესა და ჩვენგან სარწმუნო იქმნ რომ სიცრუისა და ჭორის ამბავის მეტი არაფერი არ არის, და თქვენვე

დიახ კარგათ იცით, რომ ტყუილის მეტი არა არის რა და გთხოვთ შენგან დაუვიწყებელნი ვიყვნეთ ყოველს საქმეში.

თქვენის ბრწყინვალებისა საკუთარი მეგობარი საქართველოს მეფის ირაკლის პირმშო მე გიორგი.

წელსა ჩღჟდ. მარტის კჲ.

თბილისსა.

იმერეთის საქმითა რაღა გეხვეწო ამის მეტი; ახლა შენ იცი, რომ ის საქონელი არ დაგვეკარგოს. შენი ალალი თეთრი რომ მომცე შენის ჯიბიდგან, ესრე იქმნება.

## LXXXIII

1799 წელსა მეფის-ძე და მემკვიდრე დავით, ურჩი მამისა, თვით-ნება და მგონებელი ბრძნად თავისა თვისისა, უმეტეს მამისა, ვითარცა მხილველი რუსეთისა, —შევიდა განსაცდელსა ძნელსა. სიხარბემან ფულისა და ნივთთა და მოლოდებამან, სნეულებისა გამო მამისა თვისისა უკურნებელისა, მეფობისა, რომლისა ძალითა ადვილად დახსნიდა ქორწინებასა, —აქმნევინა ესე, რომ არღა ინება შერთვა დანიშნულისა მასზედა ელენეს ამილახვრის სარდლისა ოთარის ქალისა არცა ტატიშჩევის ქალისა რუსეთს, და შეირთო სურვილისამებრ მამისა სვიმონ, აღად წოდებულისა აბი მელიქის ქალი ხამფერუან, რომელსაცა ნათელ-სცემს მართლ-მადიდებლისა ეკკლესიის წერითა *) და

---

*) მონათლვა კანონისა ებრ ანტიოქიისა კრებისა სომეხთა და მირონცხება იყო წმ. გიორგის სასახლის ეკკლესიაში. თვით მეფე სკამზედ მჯდომი დაესწრო მუნ. ნათლიად ანუ მიმქმელად იყო თავადი დავით თარხნის შვილი მიმბაში. ესე ამბავი მითხრა შვილმან მისმან ვითარცა მამისაგან გაგონილი ლენ. ლეიტენანტმან. იოსებ თარხანოვმან. პლ. იოსელიანი.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

უწოდეს სახელად ელენე. — ქალსა ამას აქვნდა ფულად 8,000 მანეთი, ფული დროთა ამათ დიდ-ძალი და ესოდენისავე ფულისა ნივთნი და სამკაულნი. მეფე თვით დასწერა რძლისა თვისისა მირონ-ცხებასა სასახლისა წმიდის გიორგის ეკკლესიასა შინა. თანაშემწეთა აღსრულებისათვის ესრეთისა საქმისა იოანე ანდრონიკა-შვილსა, რომელიცა ასწავებდა მას ქალსა ადრევე ქართულსა წერასა და საუბარსა, უბრძანებდა მეფე იდუმალ დაახლოვონ მისდა შვილი მისი დავით.

დღესა მესამესა შემდგომად ქორწილისა მეფემან, რათა მტერთა არა მისცეს მეტად მიზეზი დღესასწაულობისა, დასუსტებისათვის მეფობითისა ღირსებისა, — თვით წარვიდა, ნახა რძალი თვისი, ამბორს უყო, და აკურთხა და უბოძა პირის სანახავად ქარვასლა სახასო ქ. თბილისს და სოფელი გურჯანი სახასო ყმებითა და მამულითა და ოქმისა ბოძებითა, მასვე დღესა მეფისაგან დამტკიცებულითა. გონებდა მეფე, რომელ ესრეთითა ქორწინებითა ძე მისი დავით გამოვიდოდა ცოდვიდამ და განუტევებდა ბაყალ აკეტიქას ქალსა, შეყვარებულსა ადრითვე, რომელიცა შემდეგ წაიყვანა რუსეთსაცა და მუნ მოკვდა. მტერთა სდუმნეს. გარნა, თვით დავით მოსული გონებასა, შევიდა სინანულსა. არცა თავის გვარი დობისა, არცა სიძველე და ჩინებულება გვარისავე, არცა კავშირი რაიმე დიდკაცობათა ქვეყანისა, არცა მეფობითი აღზრდა აზრითა და ქცევათა, — არა აქვნდა მეფის რძალსა და მემკვიდრისა ცოლსა სადედოფლოდ ბაგრატიონის ტახტისათვის მომზადებულისა. მეფემან განსადიდებლად გვარისა მისისა, მიუბოძა მისსა გვარსა თავადობისა ღირსება.[39]) გარნა რასა ეკმაებოდა ესე სომეხთა

39) მამა მისი ალა ანუ სვიმონ ცხოვრებდა ასტრახანსა და ვაჭრობდა შვილთა შეწევნითა. შვილნი ესე იყვნენ ზურაბ, სვიმონ, დავით და იოანე, თუმცა უხაროდათ მეფისთანა მოყვრობა და გვარის შოვნა, გარნა შესწუხდენ ასე მდიდრად გათხოვებისა გამო დისა თვისისა, შევარდნენ ვალში და დასუსტდნენ ქონებითა. აჰა ერთი წერილთაგანი სვიმონისაგან მამისა ჩემისადმი მოწერილი 19 მარტსა 1800 წელსა, შემდეგ ჯვარის წერისა, რომელიცა იქმნა 1799 წელსა.

ქალსა, რომლისა მოყვარენი და ნათესავნი იყვნენ ვაჭარნი და დაბალი-სა ხელობისანი, დაიცა ერთი მისივე მეფის რძლისა, სახელად მაია სომხადვე დაშთენილი, ყვანდა ცოლად მოქალაქესა თბილისელსა... გულასპოვსა ვაჭარსა. ამილახვარი ოთარ, ეცნოდა მეფის სახლსა დაწუნებისათვის მისისა ქალისა, შეიძულა ოთარმან იუსტინე მთავარ ეპისკოპოსი, რომელსაცა პატივს სცემდა მეფის რძალი ელენე და სწყალობდაცა დიდად [40]).. ამისთვის მე-

---

40) აქა ვიტყვი რავდენთამე მთავარ ეპისკოპოსთათვის, რაიცა გავიგონე მეფის-ძის მიხაილისაგან.

1.) კირილე, გვარით ციცი-შვილი, ბიძა გიორგი სარდლისა სიმამ-რისა თვით მეფის გიორგისა. დროსა დომენტის ტყვეობისასა ოსმალოსა, მიანდვეს მას კათოლიკოსობა, ოდეს მოვიდენ ოსმალნი ასაკლებელად მცხე-თისა და სხვათა ეკკლესიისა საუნჯეთა, ჰსცემეს მას მრავლად რათა აჩვენოს მას სამკაულნი და თაბალითა დააყრევინეს ფერხთა ფრჩხილები. შემდგომად დაბრუნებისა დომენტისა სტამბოლიდამ ჩააბარა მას კათოლიკოზობა და თვით იწყო ცხოვრება მარტივისა ბერისა. იყო მცოდნე სპარსულისა და თათრულისა, საყვარელი მეფისა, ნასწავლი მჭერმეტყვი და სიტყვა მარჯვე, მიწერ-მოწერა მისი ანასტასიასთან (წიგნმან ამან არ მოაწია ჩვენადმდე) მეფისა ირაკ-ლისა დედი-ნაცვალთან, მოწმობს მის სიბრძნესა. იტყოდა სადმე, მეფისა ვახტან-გისა დაი ნათესავი მისი მასწავებდა დიაკონობისა დროსა კმევასაო. რავდენჯერ-მე აღიყვანეს ხარისხსა და გამოძიესო დროთა ამბოხისა გამო. გარდაიცვალა 90 წლისა 1774 წელსა. მის შემდეგ იყვნენ:

2.) ტიმოთე.

3.) იოასაფ ყაფლანის-შვილი, ძმა დავით სარდალისა.

4.) ბესარიონ გოსტაშაბის-შვილი. ალმასხან ბატონის შვილის ნათ-ლია (ძმა დავით სარდლისა) რომელიცა კიტრისა ჭამითა დაირჩო და განით-ქო ეშმაკებმა დაარჩვესო.

5.) პაისიოს გარსევანა-შვილი, ნამღვდელავი, რომელსაცა ჰსწამებ-დენ ფრანგობასა; — მეფე გიორგი არ მიენდობოდა მას ფრანგობისათვის.

6.) იოანე ქარუმიძე, ონოფრე ბერის-შვილი კაცისა დიდად წმიდისა და მოღვაწისა გარესჯას გარდაიყვანეს წილკნიდამ.

7.) იუსტინე მალალა-შვილი, უკანასკნელი, გადაიყვანეს რუსიდამ.

ფემან ინება და შერთო უმცროსსა, პირველის ცოლიდამ,
შვილსა თვისსა თეიმურაზს თვით მეფის რძალი ელენე იყოფოდა
გარდაცვალებამდე მეფისა თვისა ქმართან არა პატივცემულად მისგან
და შემდეგ გარდაცვალებისა განამიაცა თვისგან და გონებდა გაშვება-
სა. იწყო საქმემან კონსისტორიაში და არღარა გამოცხადებულმან მიიღო
საქართველოსა კონსისტორიდამ, კათოლიკოსის გარდაწყვეტილებითი
უარი დახსნისათვის ქორწინებისა. დავით წარვიდა რუსეთს 1803
წელსა და მეფის რძალი ელენე, ბრძანებითა იმპერატორისა ალექსანდ-
რესა, მივიდა პეტერბურღსა 1810 წელსა და გარდაიცვალა მუნ
1836 წელსა. თვით ელენე მეფის რძალი და მემკვიდრის ცოლი იყო
ემბაზით მიმქმელი ჩემი, ამისთვის ვიცნობდი მოკლედ მას, მოარული
მასთან 4 წელსა ს. პ. ბ. (1831—1835); იყო პატიოსნებითა სავსე,
მოშიში ღვთისა, მორწმუნე ქრისტიანე, გარნა არა დამტკებელი სრუ-
ლიად რომელთა სარწმუნოებისა: საუბარი მისი, მიქცეული სომხუ-
რად, არა იყო დიდ კაცური ქართული; ქცევა არა ქართველთა დიდთა
გვარისა ქალთა ჩვეულებრივი; არა მოყვარე მეფისა სახლისა წევრთა
და არცა მათგან ყვარებული; — უნებდა მას დასაფლავება თვისი... სო-
ფელსა *)... მდებარეთა პეტერბურღით ცარსკი სელოსა, ამისთვის
მოჭედა მან მკურნავისა ოქროთი ხატი ღვთის მშობლისა და ამ-
კობინებდა მას მრავლითა თვალითა და მარგალიტითა და ნებავდა
დადებულიყო ხატი იგი თვით მასვე ეკკლესიასა კრძალვით მისდა და-
ნიშნულთა. მისმანა და გავუშკეთე რუსულად და ქართულად ზედა წარ-
წერა. წარმოსულმან რუსეთიდამ, ვერ ვსცან, სადა დადვა ხატი ესე;
რადგანაცა თვით დასაფლავდა ნევსკის მონასტერსა.

---

*) მგონია პულკოვო ერქვა სოფელსა ამას. მუნ არის ეკკლესია ბორ-
ცვსა ზედა. აქა უნებდა დასაფლავება.

პ. ი.

აჰა ორიცა მისი წერილი, მოწერილი მამისა ჩემისადმი:

მაღალ ღირსო, უფალო ეგნატი, წელსა ჩყიგ ღვინობისთვის კვ. სანკტ-პეტერბურღით.

ჩემო სულიერო მამავ!

მერმეთ ჩემს მაკურთხეველ მარჯვენას ამბორს მოვახსენებ და თქვენ მშვიდობისას და თქვენის ცოლშვილის ღმერთისა ვთხოვ. ვიცით რომ ჩემს ამბავს იკითხავთ, ესრეთ იცოდე ჩემი ამბავი. მარიამობის თოთხმეტს აქეთ, მე ჩემს ძმა დავითთან ვარ. თავისის ხასების რჩევით ისრე ინება ჩემმა ქმარმა. ახლა კი დიდად სწუხს და დიდათაც მეხვეწება რომ შევურიგდე, მაგრამ არ ვურიგდები. ამ დღით მოციქულების გზავნით და წიგნების წერით ილაჯი აღარა მაქვს, მაგრამ მე არ ვერიდები, ღვთითაც, თუ ხელმწიფე მშვიდობით მობძანდება, ღვთით ჩემი საქმე ყველა კარგათ მოხდება. ამას კი თვისი ხასები ველარას უშველიან. ესრეთ იცოდე ჩემი ამბავი. ამაზედ მეტს ვერას მოგწერ მერეთ გთხოვ, ჩემო ეგნატი, დიდათაც დაგიმადლებ: ეგ ჩემი ოცი თუმანი ბატონიშვილს თეკლეს გამოართვი. და დუქნების ქირა ვანელ გეურქას მიეცი მანდ და იმას აქ ფული აქვს არტემ ბულდანიჩთან, ის მე აქ მომცემს თავისის ანგარიშით, როგორც მანეთი გადის. ხომ იცი და მომიწერია კიდეც მე რომ აქ ვალი მქონდა ოთხასი თუმანი, ზოგი მივეცი და ზოგი კიდეც დარჩა მისაცემი. კიდევაც ამას გეხვეწები რომ დუქნების ქირა და ეგ ოცი თუმანი გამოართო და გეურქას მისცე და საჩქაროდ მოაწერინო, რომ მე აქ არტემ ბულდანოვიჩისაგან მამბარდეს. ამას მაგისი თეთრი აქვს აქ და მალეც მამცემს. ამას გარდა კიდევ ამას გეხვეწები, რომ გურგინ ბეგასშვილს სტეფანეს ეგ ჩემი თამასუქი და გიორგის თამასუქი გამოართო და გამოგზავნო.

ორკეცი ფასი მიეცი ფოშტისა და არ დაიკარგება. თუ სტეფანე სახლში გავლილის თვეების ქირაც გამოართვი, ისიც გამოგზავნე.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

ახლა შენ იცი როგორ გაირჯები ჩემს მამულებზედა გურჯაანზედ ან ქარვასლაზედ როგორც კაის ფასსათ გასცემთ. ამ იანვარში უნდა ეცადოთ რომ კაის ფასსათ მიიცეს, რომ არ დავიღუპო. ჩემი სიცოცხლე მაგაზედ კიდია თუ ცოტად გაიცემა აქაც ისე იფიქრე იმ ანგარიშით მომეცემა და მეტად გაიცემა იმის ანგარიშით მომეცემა. ესრე იფიქრე ამაზედ მეტს ვერას მოგწერ. მაგაზედ ეცადეთ რომ სამ-ასამდინ ეგებას ავიღეს მაგისი იჯარა რომ არ დამღუპოთ. თუ ესრეთ არა საუკუნოდ დავიღუპები, მინისტერი მისწერს ვასილიევს გურჯაანისთვის და ქარვასლისთვის, ახლა თქვენ იცით როგორც კარგათ მოსწერთ და ან მოაწერინებთ ვასილიევს: იმის ცოლს ჩემ მაგიერ შეეხვეწე რომ კარგათ მოაწერინოს თავის ქმარს. მასუკან მე ვიცი როგორც გემსახურები. ასრე არწმუნე, ეგ რომ ეცადოს კარგათ მოწეროს, ახლა შენ იცი როგორც გაირჯები მეტადრე ქარვასლაზედ რომ ცოტას ფასსითა არ გასცეთ და არ დამღუპოთ საუკუნოდ. თქვენი ქრისტეს გულისთვის ჩემი სიცოცხლე ხომ იცი მაგაზედ კიდია; ახლა შენ იცი, ამაზედ მეტს ვეღარას მოგწერ ახლა და ამის იქით სხვას წერილით მოგწერ ჩემს ამბავს.

თქვენი მშვიდობის მოსურნე მეფის რძალი ელენე.

მაღალ ღირსო უფალო მღვდელო ეგნატი ონისიმოვიჩ!

ჩემო სულის მამავ!

მერმეთ დიდი ხანია თქვენი ამბავი არა შემიტყვია. მგონია რომ მემდურებით. ჯვარი გეთხოვნა არ გამოგიგზავნეთ. შენც იცი რომ ერთი დღე შესვენება არა მქონია მწუხარებისა გამო ჩემის მეუღლისაგან: ცოცხალი იყო მტანჯვიდა; მკვდარი უარესად მტანჯავს. მგონია რომ შენც შეიტყობდი კაჭკაჭოვის ჩივილსა, აქ მინისტრისათვის მოეწერა ერმალოვს; რომელიცა იმის პასუხი მოუა. ახლა იქმნება კიდევ სასამართლოდ შეიქნას. ჩემთვის დიდად საჭიროა, რომელს

წელიწადში დაიკარგა ან რომელს ჩისლოში ერთ თით ქაღალდზე დანიშნე და გამომიგზავნე რომ ჩემთვის დიდად საჭირო არის, მინდა ლითვინოვისაგან მოწმობა მოვატანინო. საჩქაროდ მომწერე. ამათ გარდა გაჭკაჭოვმა რომ წიგნი მომცა ის წიგნიც გამომიგზავნე. მე რომ ასი თუმნის თამასუქზედ ხელი მოვუწერე თავდებობისა, მანამ იმან ხელ წერილი არ მოგცა მე ხომ არ ვუწერდი. მას უკან იმან ერთი წიგნი მომცა რომ თუ იმ ასი თუმნის თამასუქს თეთრს მე ვინმე მთხოვდა იმის ყიზლარის ვენახი უნდა გაყიდულიყო და იმ თამასუქის ფული იქიდამ უნდა მისცემოდა. თუმცა იმ წიგნის პირიც მე მაქვს. ის რომ შენ გედავებოდა შენს საჭიროდ გამოგიგზავნე, იმისი ასლი ვინც ის გადიღო თარიღი დავიწყებია. თუ ქრისტიანი ხარ ეს ჩემი თხოვნა საჩქაროდ ფოშტით მიბოძე; რომ მალე ლითვინოვისაგან მოწმობა მოვიტანო. ის ციხეში დასმას უპირებდა და მე დავიხსენ და ახლა ამის მაგიერია რომ მიჩივის. ღვთის მალით მამის სიმტყუნე მალე გამოაჩნდა. სხვა რაღა გეხვეწო ჩემი სათხოვარი შეისმინე; სხვა იყავ მშვიდობით.

თქვენის მშვიდობის ამსის მოსურნე ელენე.

დიდათ ავათ ვარ. ეს წიგნი ავათ-მყოფმა დავსწერე. ამ საჭიროებისათვის თორემ არ შემეძლო წერა.

დეკემბრის ი-ს, წელსა ჩუვ-ს.

## LXXXIV

თვით მეფის-მე დავით ესრეთისა ქორწინებითა ჰგონებდა დაკავშირებასა სომეხთა მდიდართა, ქართველთა-თანა, და მოყვანასა მათსა ერთობისადმი ეკკლესიისა, გარნა შესცდა. სომეხნი განბნეულნი სპარსეთისა, ოსმალისა და სხვათა ადგილთა არიან ყოვლად

დაცემულნი ზდილობითა; — უქონელნი მამულისა არიან, უქონელნი სიყვარულისა თვით კეთილის მოქმედთადმი შამისა; დამვიწყებელნი თვისისა ენისა და მოსაუბრენი სხვათა ზედა ენასა, რომელთა იგინი ემორჩილებიან, ვერ სცნობენ რასათვის არს მშვენიერება ლექსთა და აზრთა გამოხატვისა; არა უწყიან, რა უყვარდეს, ვინ უყვარდეს; რად უყვარდეს რას ეტრფოდეს: განვარდნილნი ერთობისაგან სარწმუნოებისა აღმოსავლეთისა და კვალად შეხიზნული ლათინთა, ეკკლესიისა არა უწყიან თვითცა რასა შინა მდგომარეობს მათი ეკკლესიის ღირსება. მილთონიდგან განბნეულისა სომეხთაგან ერისა კნინღა ნახევარი წარიტაცეს ლათინთა; დანაშთენი ერთ ნახევარნი დაცინებულნი ყოველგან, გინებულნი სპარსთა და თურქთაგან, არიან სრულიად ცივად მხედველნი გულგრილნი, სახლი მათი სხვათა ადგილზედ, ვაჭრობა მათი უცხოსა ნათესავთან, მეგობრობა სიცრუითა, შესაძინებელად რისამე; ვერსად განიზრახვენ მეფობასა თვისსა, ვერ ვისთან იტყვიან მეფეთა თვით ტახტისათვის; თვით მწყემსობა მათი, ლათინთა მოძღვართაგან ნამუშავები, არის მათთვის ანუ ვერ გასაგონი, ანუ სავნოდ მათის ეკკლესიისა მისაღები. სომეხთა ეკკლესიისათვის იტყოდა ბესარიონ კათოლიკოსი, — სირცხვილიც არის ვისაუბროთ და რადა ეკკლესია ესე და რა ღირსება უნდა აქვნდეს მას, სადაცა ორი დიდი ეკკლესია აღმოსავლეთისა და დასავლეთისა საუბრობს, და მესამეცა ეკკლესია დიდი ლუტერისა ჭყვავის მეტობითა მათვე ორთა დიდთა ეკკლესიათა, თვით გონიერნი სომეხნი ხშირად სადამე მოიხსენებდენ ანუ მართლისა გულითა ანუ ცბიერობითი თავთა თვისთათვის: ნუ უკვე ვინცა საჯინიბოსა შინა დაიბადებოდა, არის იგი ცხენი? ესრეთ სძაგთ სხვათათანა თქმა რომელ არის იგი სომეხი.

## LXXXV

მეფის-ძესა გიორგის არ უყვარდა სომეხნი, ვითარცა დამკარგველი ძველადვე მეფობისა, ვითარცა არღა მქონი მამულისა და გან-

ზნეული ქვეყანად, ვითარცა ენისა არღა მქონი და სხვათა ენათა ზე-და ცუდად მოუბარნი, ვითარცა განზნეულნი ადრითვე მართლ-მადიდე-ბელის ეკკლესიიდამ, ერი ესე ახალ ისრაილად წოდებულ იქმნა. ვაჭა-რი მსყიდავი და მამსყიდავი, ცრუ, მტყუანი, უპირო და უპურო, ერთ-გული მისი ვისგანაც აქვს გამოსარჩენი და რომელიცა მას შეიყიდვის ანუ ფულითა, ანუ პატივითა, ანუ სხვითა საჩუქრითა. დავით აღმა-შენებელი, რომელმანცა შემოიხიზნა იგინი და დაასახლნა გორსა, თვით ინანო და ოდეს იხილა გარყვნილი თესლი, მეფობისა დამკარ-გველი,—კრებისა კახონთა შინა, რომელიცა იქმნა ქალაქსა მცხეთას მის დროს, იტყვის სხვათა შორის: რათა ერი მისი ქრისტიანე იყოს მო-მულე ცოდვისა მის სოდომელთა, რომელმანცა წარწყმიდნა ბაბილო-ნი და რომელმანცა დაუკარგა მეფობა სომეხთა. თამარისაცა დროსა ქართველნი. გონებდეს ერთობითა სარწმუნოებისა, მოეყვანათ სულისა ერთობასაცა ქართველთა თანა.

აზრსა ამას გამოხატავს მოლექსე დედოფლისა თამარისა შავ-თელი... ოდეს იტყვის:

სომეხთა მეფენი, მტერთა სისხლთ მჩქეფენი
ღმერთმან არ ღირს-ჰყო უფლებათასა:

(მუხლი 85)

## LXXXVI

მეფის-მე გიორგი ხშირად იტყოდა ორგულობითსა მოქცევასა ყორღანაშვილისაგან, აღწერილისა ვახუშტისაგან. მწუხარისა ხმითა მოუთხრობდა ვითარ განსცა მან მეფე სვიმონ და შთააგდო თურქთა ტყვეობას და ვითარცა მემკვიდრემან მისმან ამოწყვიტა ყოვლადი გვარი ყორღანაშვილთა დიდითა მცირემდის და ვითარცა ერთისა ყრმისაგან, მა-მასთან გაზარებულისა კვალად გაზეკრდა გვარი ყორღანაშვილთა. ყორღანა-

შვილისას მილახურის-გამო, დარეჯან დედოფალი იტყოდა შემდეგსა: გაიგონე, რა გიამბო! დღეს ერთსა გროვამან ათასმან მგელთა მშიერთა, ვერ ჰპოვა საზრდელი, ერთმან მათგანმან ჰპოვა მძოვრი მინდორსა.—წარვიდა და აცნობა ძმათა მგელთა. შეშინებულთა მგელთა დაფრთხილთა გაგზავნეს ერთი გამბედავი თვისაგან აცნობოს რა არის ეს მძოვრი მყრალი უმაგალითოდ უჩვეული მათდა. მისულმან მგელმან იხილა მძოვრი. დასუნა და ნახა მძოვრი კაცისა მყრალი: უკუმოიქცა და უამბო: ეს მძოვრი ყოროღლანაშვილისა არისო. გაექცნენ მგელნი და მოერიდენ მძოვრსა ცუდსა.

## LXXXVII

სომეხთა შეაწერდა ხარჯსა ოდესმე მძიმედ; და ოდეს გაახსენებდენ შეუძლებლობასა მათსა მაშინ ეტყოდა: გაიგონე, რა გიამბო! სომეხსა შეარჩინე ერთი ბისტი; ერთს თვეზედ გახდის ერთ თუმნად. ერთსა ბისტსა, როგორ? ბატონო მეფეო? ჩვენვე, იტყოდა მეფე, მოგვატყუებს და ჩვენითვე გამდიდრდება.

## LXXXVIII

ვითარცა მართლ-მადიდებლობისა მოყვარე, ერთობისათვის ეკკლესიისა, მრავლად მეცადინებდა მათს მოქცევას. არა ჰსძაგდა ეკკლესია მათი, არცა წესი მათისა გალობისა.—მოქცევა მათი საჭიროა, ეტყოდა რუსეთისაცა ელჩსა კოვალენსკისა, ქვეყნისათვის. ადვილად გამცემი ქვეყნისა სომეხი, ერთს გროშზე გაჰყიდის მეფესა და მეფობასა. აქა და სხვათაცა ქვეყანაში არა აქვს რა შესატკივარი გულისა, არცა კოშკი მამა-პაპათა, არცა ციხე ძველი, არცა ხმალი. წინაპართა არც დროშა, არც მატური მეფეთა. დღესაც მოსაცთუნებლად სპარსთა და თურქთა, სადაცა არიან განბნეულნი მათნი რომელნიმე,

მარადის მოვისყიდით ყაიმუშად სომხთა უნებურთა, და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომხეთა. ასეა მათი ბუნება. დიდად სავნოა ჩემის სამეფოსათვის თესლი ესე განხრწნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოითა ნათესაობითა.— ვითარცა ვაჭარნი, საჭიროანი არიან. ქვეყნისა მცხოვრებნი დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი; არა მეომარნი, მხდალნი და მაყურებელნი საწუთროისა, სადა და ოდეს დაედევნენ და ვისა მიემხრონ: ოსმალსა ანუ ყიზილბაშსა. თვით უპატივცემულესი მათ შორის ჩემს კარზედ, პატივ სცემს ფულსა და გამოსარჩენსა. ეს არის მათი ღმერთი და მას თაყვანსა ჰსცემს. ეკლესია სომხთა არის ანაწყობი რაიმე მკვლად დაწყობილისა შენობისა; ნეშტი გოდლისა დაცემულისა, რომელიცა ჯვარეთ არ იყო შესრულებული.— დროთა მათ ოდეს სომეხნი განვარდნენ ერთობისაგან მართლ-მადიდებლობისა ე. ი. რომაელთა და ბერძენთა ანუ აღმოსავლეთისა და დასავლეთისა,—დიდნი ეკლესიის სვეტნი ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგორი ღვთის მეტყველი და სხვანი აწყობდენ ეკლესიასა 318 წლიდამ განთავისუფლებულსა დევნისაგან იმპერატორთა და წარმართთაგან.—ეკლესიასა მიეცემოდა წესი და რიგი, მშვენიერება და სამკაული შენობათა გარე და შინაგან; მოიმკობდენ მკვლად მოციქულთაგან დროთაგან მიღებულთა კანონთა და მცნება დღესასწაულთათვის! აღიწერებოდენ მოთხრობანი მოწამეთა და ღირსთა და სხვანი.—ესე ყოველი იყო მიზეზი, რომელ სომხთა ეკლესია დაშთენილი გარე ერთობისა დიდ ეკლესიათა თანა მღვდლისა, ვითარცა შვილი უძღები, ჰრბის ველსა ბრმად ა უპატრონოდ, უპირია წესდება მველისა დაუფუძნებელისა ჯვარეთ ეკლესიისა, ე. ი. შობა და ნათლის-ღება დღესა ერთსა, მარხვათა დღენი ნებსითნი და მოვალეობითნი; და ბეჭედი მღვდელ-მთავართა ხელთა-ზედა, ვითარცა აქვნდათ არიოზელთა ოდესმე: უცომოთა ზედა შეწირვა, სამწმინდაობისა ზედა გალობის დამატება: „რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის.“ ლიტურღია არცა ვასილისა, არცა ოქროპირ ა. არცა გრიგორისა ღვთის მეტყველისა, დიდსა შაბათ-

სა განსხნილებსა თევზითა და ერბოთი, ერთის სიტყვითა აღარ ესმათ
ხმა და სწავლა აღსარებათა, რომლითაცა დაფუძნდა ეკკლესია მსოფ-
ლიო ქ. ი. აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. განშორებულმან ქრის-
ტიანობისა დედა-ქალაქთა,— რომსა, კონსტანტინოპოლს, ანტიოქიას,
ალექსანდრიას და იერუსალიმსა. სომხითმა არღა ისმინა რამე, და
ვითარცა ყრუ, დაშთა ბრმად მჯდომი შორის ორთა: სამეფოთა სპარ-
სეთისა და საქართველოისა. შემდეგ გახბნეულმან ჰირსა ქვეყანისასა,
ვითარცა ახალთა ისრაილთა, არღარა მიიღეს მათი და მხოლოდ დრო-
თი დროთ დასუსტების გამო თვით საბერძნეთისა,— წარიტაცეს ლა-
თინთა მისარში, ლიბანსა, ტურციასა და თვით ევროპიის ნაწილებ-
შიაც, სადაცა იგინი შეიხიზნეს პაპის მოსავთა. დღესაცა ჰგალობს
შარავანთა შინა თვისთა ქ. ი. საგალობელთა გალობასა და შეურაც-
ყოფასა ხალკიდონისა კრებისა კანონთა; უწოდებს მას მგელთა
ხროვად; ფლავიანეს მოწამესა გონებს მწვალებელად; ადიდებს და აღია-
რებს წმიდა დიოსკორესა და ევტიქისა. და რად? თვით სომხთა
ეკკლესიამან არა უწყის. მაგინებელი ხალკიდონისა კრებისა, აღიარებს
სწავლათა და დოღმატთა, მუნ დამტკიცებულთა; აღმსარებელი წმიდა
დიოსკორესა და ევტიქიასა,— არა აღიარებს დღეს მათთა წვალებათა,
რომელთათვისცა განიდევნენ იგინი და შეჩვენდნენ.— ესე ვითარნი
უწესობანი აქვს სომხთა ეკკლესიასა,— ობლად, გარედ დაშთენილსა
და მტერთა მათ შინაგანთა (ნახევარ სომხთა ქ. ი. გაფრანგებულ-
თა) და გარეგანთაგან დაჩაგრულსა და დაცინებულსა სიმცირისა გამო
სარწმუნოებისა მათისა აღმსარებელთა. თვით რაცხ ესე არის განბნეუ-
ლი, მიფანტული სხვათა და სხვათა ქვეყნისა კერძოთა, არა მქონი
მამულისა და დედა ქალაქისა; არცა კათედრის ერთობისა. სხვა არის
კათოლიკოსა ეჩმიაწინისა, სხვა არის კონსტანტინოპოლისა და სხვა
მისისა ადგილისა, რომელნიცა ერთი მეორესა არა მორჩილებენ და
არცა ვისგანმე დამოკიდებიან. კატეხიზმოსა ანუ სისტემაცა ღვთის-
მეტყველებისა მათისა ეკკლესიისა არს კათოლიკეთაგან შედგენილი
რომისა ეკკლესიისა წესდებითა, და საკუთარი რაიცა აქვსთ, ანუ

რუსთაგან შედგენილი, ანუ არა სრულიად და ნათლად გამომეძიებე-
ლი მათთა დოღმატთა.

## LXXXIX

მეფემან გიორგი გამეფებისა შემდგომად მისწერა წერილი მეფეთა ჩამომავალსა, ვახტანგ მეფისა შვილსა, გიორგი ალექსანდრესძეს გრუზინსკის, რომლითაც ევედრებოდა მოჰხსცეს და დაუბრუნოს ქვეყანისა ჯვარი წმიდისა ნინასი. წერილი ესე იყო მესამე, მიწერილთა შორის მეფეთაგან თეიმურაზისა და ირაკლისა. ვაჭარსა სომეხსა მიმავალსა ასტრახანს, გაატანა იგი და უბრძანა გარდასცეს მუნით ნიჟნი ნოვგოროდსა, სადაცა სადგურობდა თვით გიორგი ალექსანდრესძე. კოპიო წერილისა ამის, დაწერილისა მამისა ჩემისა ხელითა, არის ესე: უგანათლებულესო და დიდებულო ძმად და ბიძად საგულებელო გიორგი თანა-მოსახელეო ჩემო, (ეს ლექსი თვით მეფეს ჩაერთო)! ღმერთმან მამათა ჩვენთა, ინება და მომცა ტახტი ქართველთა მეფობისა, გაოხრებულისა მტერთაგან, აკლდა ახალი რაიმე წყალობა, სასოება და ნუგეში. პაპისა და მამისა ჩემისა თხოვითა დავურთავ ვედრებასა ჩემსა: მოანიჭეთ ჯვარი წმიდისა ნინასი,—საუნჯე ქართველთა ქართველთავე; ჰქმენით სახელი და საჩუქარითა ამით დაასაჩუქრეთ ეკკლესია წმიდა ჩვენი. განსვენებულმან გიორგი პაპამან თქვენმან მოსცა ხატი მვირიასი ღვთის-მშობლისა სიონისა და გვაქვს სიქადულად. ნუ მიხედავთ დროთა წარსულთა და ოჯახისა შფოთსა: თუ ინებებთ და თვით მობრძანდებით, როგორც იწერება გაზეთს ასტრახანიდგან, დიდად მოხარული ვიქმნები, ვეცდები გასიამოვნო და გაამო ვითარცა ძმასა ძმამან და ბიძასა ძმის-წულმან. ინებოს ღმერთმან ეს აღსრულდეს მობრძანებამდე თქვენისა, ინებეთ ბოძება ხატისა, აკურთხეთ მით კვალი გზისა თქვენისა რუსეთით ქვეყანასა ჩვენსა და განუსვენეთ ესრეთ დიდსა დროთა მოლოდინსა. ველით

პასუხსა მეცა და სამღვდელო და საერო და ერიც. მოგითხვას მოგახსენებ სახლობასა თქვენსა სისხლსა და ხორცსა ჩემსა. ამბავი ჩვენის ქვეყნისა მტერთაგან შევიწროებულისა, თქვენც მოგეხსენებათ. რუსეთი თუ არ შეგვეწიოს უჭირს საქრისტიანოსა. მაქვს მიწერ-მოწერა რუსეთის ხელმწიფესთან. სპარსთა ველარ ვენდობით. თურქნი ავის თვალით გვიყურებენ. ლეკი ვერ დასცხრა ავაზაკობისაგან, შინაურის მტერის არ მეშინიან. არიან მჩხავანი კატანი. როინ გქდევნის შვილს უბრძანე მოსვენებით იყოს: ნუ კადნიერობს, ვაითზიც უმადური არის სადმე მისი. იმას ნურას ერწმუნებით. თქვენი ერთ-გული ძმა და მეგობარი გიორგი.

ივნისის 10 დღესა.
1798 წელსა.

მეფე
გიორგი

ეს წერილი იყო უკანასკნელი მეფეთაგან ჯვარისათვის წმიდის ნინასი. მეფის-ძეთა მირიან, ფარნაოზ და სხვათა მიამბეს, რომელ მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა წერილი პავლე იმპერატორთან მისაწერი, და წერილი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული, რომლითაცა ევედრებოდა მას გამოსთხოვოს ივი უსამართლოდ დამპატრონებელთა ჯვარისა, უკეთუ თხოვითა ამითაცა არა ეშველებოდა საქმესა, მაშინ აპირებდა ექმნა კრება სამღვდელოთა და კრებისა განაჩენისა ძალითა მოეთხოვა საუნჯე ქვეყნისა. ექადოდნენ შეჩვენებითისა განჩინებათისა წარვლენასა. ესე და მორიდება რუსთა იყო მიზეზად, რომელ გიორგი ალექსანდრეს ძე დაეჯერა და წარუვლინა იმპერატორსა პავლეს (ალექსანდრეს) და ამან შემდგომ გარდაცვალებისა მეფის გიორგისა წარუვლინა საქართველოსავე 1801 წელსა და დაიდვა საფარველად ერისა სიონის თაღის ეკკლესიასა შინა.

თაყვანის საცემლად ჯვარისა ამის წარვიდოდნენ ქართველთა მღვდელთ-მთავარნი მოსკოვიდამ ნიჟნი ნოვოგოროდშია ს. ლიხტო-

ვის: პაჳნოტი არხიეპისკოპოსი ხოზიაშვილი. 41) იოანე მიტროპოლი-
ტი მროველ მეოველი, ნიკოლოზ თბილელი, ზენონ ალავერდელი და
სხვანი. კათალიკოსი იმერეთისა მაქსიმე დიდად მოსურნე ჯვარისა
ხილვისა წარვიდა მოსკოვით და თაყვანი-ჰსცა მას. მღვდელიცა ნაწი-
ლი მისი, წარმოიღო, მითხრა არხიმანდრიტმან გენათისა მოხუცე-
მან სვიმონ წულუკიძემან, — ესე მიამბო, მეტყოდა, ჯერეთ ყმაწვილს
სოფრონიოს რინკორ წმინდელმან წულუკიძემანვე გვარად, არხიეპის-
კოპოსად იმერეთისა გარდაცვალებულმან 1844 წელსა მეფისა გიორგისა.
ნინასაგან, მეუღლისა გრიგორი დადიანისა ასულისა ვიცი ესეცა რომელ
მოსკოვასა მიტროპოლიტსა პლატონს, მოეწადინა ხილვა ჯვარისა ამის
დროსა ხილვა ჯვარისა ენება იმპერატრიცა ეკატერინესსა და ოდეს უჩვენეს

---

41) პაფნოტი არქიეპისკოპოსი მოქვისა (სამურზაყანოს ანუ აფხაზიისა)
გვარით ხოზიაშვილი, ძე მეკონდახისა და თვითცა იცოდა ხელობა ესე. 24
წლოიდგან შედგა ბერად და ახლდა კათოლიკოსსა ანტონის დიაკვნად. შემ-
დგომად გარდაცვალებისა გიორგი მეფისა, ბატონის შვილის იოანეს თხოვი-
თა 1802 წელსა აკურთხეს იგი არხიმანდრიტად თირის მონასტრისა დიდ-
ლიახვზედ. შემდგომად გარდავიდა მეგრელიაში დედოფალს ნინასთან, რო-
მლისა ქმარმან დადიანმან გრიგორი წარავლინა დესპანად რუსეთსა. ჯილ-
დოდ ესრეთისა დესპანობისა მიუბოძეს არქიეპისკოპოსობა მოქვისა. 1811 გარ-
დაჰყვა დედოფალს ნინას რუსეთსა და დაშთა რუსეთსავე მოსკოვის ჩუდოვის
მონასტერში: აქა გარდაიცვალა 1823 წელსა 50 წლისა და მუნვე დაეფლა.
მოსკოვისა არქიეპისკოპოსსა ავგუსტინეს დიდად არ უყვარდა იგი მეშურნეო-
ბითა, რამეთუ დიდად პატივ სცემდენ მას მოსკოვისა მცხოვრებნი. იყო კაცი
მოხუმარი, მხიარული, პურადი და ყოველთადმი სიყვარულითა აღსავსე. მთა-
ვარმან საქართველოისა ციციანოვმან წარგზავნა იგი კაიშაურისა მთიულთა და-
სამშვიდებელად. აქა იტყოდა თვით, 40 ხანჯლითა მიჩხვლიტესო და დამი-
ფარაო სიკვდილისაგან და სირცხვილისა მეფის ძემან ფარნაოზ. 1815 მოვი-
და დროებით თბილისსა და ექსარხოსმან ვარლამ ქსნის ერისთვის შვილმან
არ აწირვინა სიონში მტერობითა. ესე იწყინა მან და ჰყვედრიდა მას ესრეთსა
მისდამი მოქცევასა, ოდეს მოვიდა თვით მოსკოვსა, სადაცა გარდაიცვალაცა,
ვითარცა გადაყენებული ექსარხოსობიდამ.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

იგი მას მოსცოდს ერჩივა მეპატრონეთათვის წარგზავნა მისი საქართველოდგე, მიეცათ მათცა პირობა და ვერ გაიმეტესო შემდეგ. ეს ამბავი ვიცი იონა მროველ მიტროპოლიტისაგანაო შემდეგ დღეთა დაგვირგვინებისა ალექსანდრე პირველისა. ოდეს წარვდეგით მიტროპოლიტთან პლატონთან, მე და ძმა ბაგრატ, მეტყოდა მეფის-ძე მიხაილ, მოგვილოცა ჩვენ ჯვარისა წარგზავნა ხელმწიფისა ალექსანდრისაგან საქართველოდ, დიდად იამა მასცა ესრეთ სიყვარულითი მიხედვა იმპერატორისა ქართველთადმი.

## XG

მფარველობა რუსეთისა, 1783 წლიდგან დამტკიცებული ტრაქტატითა, აქვნდა იმედათ პირისპირ სპარსთა. ამისთვის სწერდა წერილითა ელჩსა თვისსა გარსევან ჭავჭავაძეს და მათ არწმუნებდა რუსეთსა თვისსა ერთ-გულებას. გარსევან ჭავჭავაძე, სათნო და საიმედოი მეფისა გიორგისაგანცა ჰსძულობდენ მას, მეშურნეობითა რავდენნიმე პირნი კარის-კაცნი; გარნა ვერ გაბედავდენ მეფესთან რასამე მათზედ უშვერისა თქმას. ელიაზარ ფალავანდოვსა ჰსურდა დანიშნულიყო ნაცვლად მისსა რუსეთისა კარზედ: მოახსენეს ესე მეფესა და დიდად შორს დაიჭირა. ერთ-გულობაზედა გარსევანისა სრულიად იყო მეფე დარწმუნებული. და მისისა შვილისა ალექსანდრესაგან ვიცი არა ერთგზის თქმულად, რომელ მამა-ჩემი გარსევან იყო შემადგენელი ტრაქტატისა მის, რომლითაცა შეკრა რუსეთსა მეფე გიორგი 1799 წელსა. მამასა ჩემსაო, მეტყოდა ალექსანდრე, ჰსძაგდენ მეფისა ძმანიო და თუმცა არ უყვარდა მეფე გიორგი, სუსტად დროთა ამათთვის გასაჭირთა საგონებელი ძმათაგან, გარნა დიდად ესვიდა, ვითარცა კაცსა სვინიდისიანსა, ქვეყნისათვის მზრუნველსა და გონიერსა ჰაზრითა და მოქმედებითა. ორმოცამდინ მეფის წერილი, რომელნიც აქვნდენ ალექსანდრესა, მიწერილი მამისა მისისადმი, დიდად მოწმობენ მეფისა გონიერებასა და სამეფოისა თვისისა დაწყებასა და გან-

გებასა.“ წერილნი ესენი აღარა არიან შემდგომად აოხრებისა წინანდელს მისისა სახლისა ლეკთაგან, რომელნიცა 1855 წელსა დაუწვეს სახლი და წარასხეს სახლობა ჭავჭავაძისა. ხშირად განმხნევდებოდა მეფისაგან, რათა ჰპატრონობდეს მისსა სამკვიდრებელსა კახეთსა დრომდე შესრულებისა საქმეთა რუსეთისათანა. მეფემან დღესა ერთსა უბრძანა ავალის-შვილსა; ეტადე, იყო ერთ-გულად სიძისა შენისა გარსევანისათ. შემეწიე მეცა და ნუ დამზოგავ, თუ ვიქმნები საჭირო შენთვის. გარსევან ჩვენთვის ჭირნახულობს რუსეთში და ჩვენ მისთვის ვიჭირნახულოთ აქა. იმას იქ არა უჭირს რა. შვილი მისი ალექსანდრე, ნათლული იმპერატრიცა ალექსანდრასი და კეთილად აღზრდილი, შვილია ჩემიცა და გამოსადეგი ქვეყნისათვის. მოუწერია ვგზავნიო საქართველოდ, დიდად მიამება მისი ნახვა.—ეს ამბავი მიამბო თვით გიორგი ავალი-შვილმან მოსკოვს. იყო მეგობარი მამისა ჩემისა, და აქვნდა მასთან მიწერ-მოწერა სიკვდილადმდე და იამა ჩემი ნახვა, ჩემთან საუბარი და გაცნობა. იყო თვით მწერალი და გადმომღები რუსულითა ქართულად წიგნთა მრავალთა. ამავე დროსა ვნახე პირველად და უკანასკნელად მასთან სანახავად შემოსული გიორგი ალექსანდრესძე გრუზინსკი, რომელმანცა მიართვა ჯვარი წმინდის ნინასი იმპერატორსა პავლეს, ალექსანდრეს და კონსტანტინე პატრონის-შვილს, მე იმერთა მეფისა დავითისა,—მეფისა ირაკლისაგან იმერეთით განდევნილისა.

## XGI

მოუთმენლად ელოდა მეფე გარსევანისა წერილთა. მეფე გიორგი ეტყოდა დავით თარხნის-შვილსა: როდესაც მოვიდოდა მისი წერილი, შეჰკრიდა მდივან-ბეგთა ეგნატი თუმანის-შვილსა, თეიმურაზ ციციშვილსა და მდივანთა რომელთა შორის იყო ერავ ბეგათ-ბეგიშვილი სომეხი და დიმიტრი (ქართველი) თუმანის-შვილი მოლექსე. ესრეთმან მლოდებიდგან მარადის მეფისაგან, გარსევნის წერილთა მი-

ღებასა, მიაწერდეს სხვანი მიუნდობელობასა და შიშსა განცემითსა გარსევანისაგან. მეფე ფრთხილი და მღვიძარე საქმეთა შინა, არასა ჰგონებდა ცუდად ელჩისათვის თვისისა და ამისთვის ოდესმე დროთი-დროთ შეჰყვანდა სირცხვილსა და გდემაში. გარსევანისა მტერთა სურდათ, მეფისა მიმალულთა წინა-აღმდეგთა, დაეშორებინათ გარსევან მეფისაგან, რომლისაცა გული ვერ გაიგრილეს მასზედ, ვერცა გარისკაცთა, ვერცა ძმათა, ცუდად მისთვის მოსაუბრეებმა, ვერც დედოფალმან დარეჯან, რომელიცა ჰსწყალობდა მას წყალობითა გამო მეფისა ირაკლისა და ჰგონებდა, რომელ შეარჩენდა მას და შვილთა მისთა ერთ გულად დროთა შფოთისა და ამბოხთა, რომლითაცა ამწარებდენ მეფესა გიორგის. გარსევან, უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა, მეტის მნახავი და უკეთ მზრახველი, იყო მტკიცედ და შეურყევლად თვისსა მოვალეობასა ზედა. ჰაზრი მისი იყო ემსახურნა მამულისათვის, ჰფიქრობდა მეფისათვის და დამშვიდებისათვის აღრეულთა ქართველთა, მოკლედ იცნობდა მეფის ძმათა და შვილთა; ოდესმე ასმენდა მათ და ამხილებდა. თვით დედოფალსა დარეჯანს, მწყალობელსა თვისსა, მოჰსწერა წერილი მკვახე სადმე შფოთთათვის დაუცხრომელთა და დიდად არა მოეწონა არცა ანდერძი მეფისა ირაკლისა, არცა მეცადინება თვით დედოფლისა, რათა აღვიდეს ტახტსა და მეფობდეს მაგალითისა მებრ ეკატერინასსა. წერილისა ამის პირი თვით გარსევანმა წარუდგინა მეფესა და ოდეს ჰსცნო ესე დედოფალმან, დიდად იწყინა და დააბრალა პირ-მოთნეობასა. მხლებელნი დედოფლისა ეცინოდნენ გარსევანსა, ჰყვედრიდნენ მას და ოდესმე ურიგოდცა მოიხსენებდენ.

დროდ არხივი რუსეთისა გამოაჩენს, რაოდენს მაღლად იდგა გარსევან გონიერებითა და საქმითა სხვათა ზედა ქართველთა. რაიცა მე ვიცი არხივისა საქმეთაგან, რომელთაცა მე აღმწერელი მეფისა ცხოვრებისა არა შევეხები — ვიტყვი გარსევანისათვის, რომელ დროთა ამათ იყო იგი სვეტად მტკიცედ მეფობისა, ერთ-გულად მეფისა და მამულისა. მგმობელი მის ჰსცოდავს.

## XCII

გამეფებულმან გიორგი, მრავლად მწუხარემან ძმათაგან შფოთი-სათვის, ჰსცნო სიტყუა, თქმული მღვდლისა იოსებ თურქის-ტანის შვილისაგან საცინელად მეფეზედ: ეს აბაზიც ყალბიაო! — მეფემან მეო-რეს დღესა დაიბარა მღვდელი, მოიკითხა, გამოჰკითხა ამბავი ქალაქისა და უბძანა მიუტანოს და მიართოს ოქმი რავდენთამე კომლთა კაცთა, ბოძებულთა წინათ მეფეთაგან, რათა დაამტკიცოს მანცა ვითარცა ახალმან მეფემან. — ჩვეულებითისა წერით, მეორესა დღესა მიართვა ოქმი, აიღო მეფემან ოქმი და უგუაგდო ცეცხლსა, რომელიცა ენთებოდა ბუხარში, და დაუმატა სიტყუა მისივე მღვდლისაგანვე თქმული: ეს აბაზიც ყალ-ბიაო! მრავალნი მრავლად ბოროტად ანუ უშვერად განმარტებენ მე-ფისა ესრეთსა მოქმედებასა. საქმე ესე იქმნა საჰსჯულად ღვთისა, უშვე-რად მეფისა მოხსენებულისა. რა უწესობაა ესე დროთა მიხედვითა? ნუ უკვე სხვებრი ჰსჯულისა მებრ სასჯელი, განკიცხვისათვის მეფისა იქმნებოდა უმეტეს მსუბუქი? განიხილონ ესე მკითხველთა და მსმენელთა

შემდეგ რავდენისამე ჟამისა მასვე მეფესა შეეწყალა მღვდელი იგი თურქისტანისშვილი ხუმარი და ადრითვე მეფესთან დახლოებული და უბოძა ახალისა ოქმითა ყმანი და მამულნი ძველსა წერილში მოხსე-ნებულნი. — მაშინ მღვდელმან გამხიარულებულმან მოახსენა სი-ტყვა ფსალმუნისა: „წყალობასა და სამართალსა გაქებდე შენ, უფალო."

მღვდელი ეს ღრმად მოხუცი გარდაიცვალა 1820 წელსა, თბი-ლისს, და მარადის კეთილად მომხსენებელი მეფისა აკურთხევდა მე-ფობასა მისსა და შვილთა მისთა.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

## XCIII

ოკტომბრის თვეს სვეტი ცხოველობისა დღესასწაულობისა გამო მიბრძანდა მეფე ქ. მცხეთას, ჩამოხდა ცხენიდამ და იხილა კაცი ცხენოსანი, რომელიცა მოაჭენებდა შორით მცხეთისაკენ. — მოახსენეს მეფესა, მუხრან ბატონი მობძანდებაო. შემოსხურებისა აიაზმისა შევიდა დიდსა ეკკლესიასა და ხმითა მაღლითა წარმოსთქვა: სვეტო ცხოველო! შენ მიაგე მტერთა ჩემთა; შენდა დამიცს ყოველი სასოება ჩემი. — იწყეს მწუხრი და შემდგომად მწუხრისა მოვიდა კაცი და მოახსენეს: ცხენიდამ გადმოვარდა და გარდაიცვალა მუხრანის ბატონიო! შესწუხდნენ მეფე და კათოლიკოსი, დაიწერეს პირჯვარნი და ევედრებოდნენ ესრეთსა უეცარსა ამბავსა.

კაცთა მოსრულთა და მოამბეთა მოახსენეს: ფონთხელას რომ გამოსცილდა ბატონი იოანე მუხრანის ბატონი, დაიძახეს მდევარიო. 50 კაცითა მხლებელითა, გამოუდგნენ ლეკთა არაგვის პირზედ მიმალულთა და ოდეს მიახლოვდნენ, დაუწყეს თოფითა სროლა. უკუ ქცეულთა არაგვისაკენ მდინარისა გზითა. მაშინ დაბრუნებული მუხრანის ბატონი გადმოვარდა ცხენიდამ, წვეთითაო ვნებული, და მსწრაფლ განუტევა სული. — მუხრანის ბატონმა არა იცოდა მიბრძანება მეფისა მცხეთასა და არცა გონებდა ჯერეთ მეფისა ნახვასა, რომელიცა მას არა სწყალობდა. მან სცნო ესე უკუნქცეულისა კაცისაგან, რომელიცა წინათ იყო გამოგზავნილი მოსამზადებელად ბინისა მისთვის მცხეთას. ზოგთა მიაწერეს ესე უმკაცრი და მოულოდებელი სიკვდილი, ძლიერსა წყენასა, მოულოდინებელად მეფისა მიბრძანებისა გამო მცხეთას, ზოგთა მეფისაგან წყევითისა წართქმულთა სიტყვასა და ზოგთა დალალვა დევნისაგამო ლეკთა დასისა და ვითარცა ბრძესა, სისხლ ჭარბსა კაცსა, მარადის ეშინოდის სადმე დამბლისა.

მასვე დროსა არლა მოასვენეს მცხეთას გვამი, წაასვენეს იგი მუხრანსა; თვით მეფემან მისწერა, სამძიმრისა წერილი დასა თვისა,

მეუღლესა მისსა ქეთევანს და შემდგომად სამისა დღისა მოიტანეს გვამი და დაასაფლავეს მცხეთას, ვითარცა სამკალეთსა მათსა. მუხრან ბატონობა უბოძა და დაუმტკიცა შვილსა მისსა კონსტანტინეს.

შეწუხებული მეფე სამეფოსათვის დაუწყნარებლობისა შინა შფოთ-თაგან და მტერთა ლეკთაგან გაქცევისაგან. — ჰფიქრობდა და განიზ-რახვიდა რუსეთისადმი ქვეყნისა გარდაცემასა. პატრმან ნიკოლა გვარით რუტილიანოზ „(ესე განამეეს ქართლით მინისტრის ბრძანებითა 22 ნოემბერს 1801 წელსა.) მოახსენა მეფესა: ევროპისა მეფეთა ვერ უძლებს სამეფო შენი ტკბილი. წესდება მათი და ჩვეუ-ლება იქმნება სამძიმო თქვენთვის. დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის საწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვე-ყანა იქმნების დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრო-ნად ქვეყნისა მოყვანილი, შეექმნის ერსა მტერად და მდევნელად, და მაწუხებელად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, გარდაიქცევა მამინა-ცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისა-გან არაოდეს აღსარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმეს უღელსა და დასდებენ ქვეყნისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარჯთა რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენნი მამულნი და ყმანი გაის-უიდებიან ბარაბანით და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუზიკითა.“

დღესაცა სიტყვასა ამას პატრისაგან თქმულსა მოიგონებენ თბი-ლისისა მცხოვრებნი, ოდეს მუსიკითა უძღვიან საფლავამდე მიცვალე-ბულთა.

ჩემო პატრო! უპასუხა მეფემან, დავსუსტდით, გაქრება ქრის-ტიანობა აქ ურუსოდ. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი! ქრის-ტესი. თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა ვერ ვინ დაიცვამს საქრის-ტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედ ბრძანებლობისა. რა ვქმნა ვის მივმართო? რა პასუხი გავსცე ქრისტესა! ვერ წავიწყმედ სულსა. შევსწირავ ცოლშვილსა და შეუდგები ქრისტესა და ჯვარისა თაყვანის-მცემელად მოვიყვან მწედ ქვეყანასა. ესე იყო სურვილი ძველთა მამა-

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

პაპათა ჩემთა; და ესე იყო ჭაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადგრები მასზედ ჩემი პირობაები რუსეთისა მეფესთან, — საკუთილონი არიან ქვეყნისათვის."

მაშინ ათანასი ჯვარის მამისამან, რომელიცა შემდეგ იქმნა პატრიარქად იერუსალიმისა, დასამტკიცებელად პატრისა რჩევით. ბრძანა: მოიტანონ დაბადება და წარიკითხონ ისაია წინასწარმეტყველისა თავი 3 და იხილონ რას იტყვის ღმერთი წინასწარმეტყველისა პირითა ერისათვის, რომელიცა ესრეთ დამოკიდება უცხოს ნათესავისა უფლებასა. ეგნატი იოსელიანმან, ჯერეთ ერისკაცმან და მამამან ჩემმან, წარიკითხა იგი.

აჰა მეფე უფალი საბაოთ მოსპოვლას იერუსალიმისაგან და იუდისაგან ძალსა დაურღვნომელსა, პურისა ძალსა და წყლისა ძალსა, გმირსა და მძლესა, და მსაჯულსა და მდიდარსა და წინასწარმეტყველსა და მოაზრესა და მოხუცებულსა და ერგასისა თავსა და საჩინოსა თანამზრახველსა, და ბრძენსა ხუროდ მოძღვარსა და გულის ხმიერსა მოძღვარსა მსმენელსა. დავადგენ ჭაბუკთა მთავრად მათთა, და ყრმათა უფლად მათთა......... ყრმასა დაუდგენ რათა უბრძოდეს მოხუცსა და დრკუსა კაცსა მეწინააღმდეგესა კაცისა პატიოსნისა........ შეიპყრას კაცმან ძმა თვისი ანუ სახლეული მამისა თვისისა, მეტყველმან: შესამოსელი გააქუს, იყავ ჩვენდა წინამძღვარად და ჭამადი ჩემი მანსა ვითარცა გვნებოს. და პასუხად რქვას დღეთა ამათ: არა ვიქმნები თქვენდა წინამძღვარად. არცა არს სახლსა ჩემსა პური, არცა სასმელი რამეთუ დატევებულ იქმნა იერუსალიმი და იუდა დაეცა, რამეთუ ენანი მათნი და ქცევა მათი არიან წინააღმდეგ უფლისა და აღაშფოთებენ ღვთისა დიდების თვალთა.......ერო ჩემო, კაცნი, რომელნიცა მთავრობენ შენზედა მატყუებენ შენ, დაგკარგვენ გზისა შენისა კვალთა...... დროთა ამათ უფალი მოუღებს სამკაულთა, და სარკეთა და შემოსავს სავლოვნელსა სამოსსა, მოხსნის სარტყელთა, მოხდის ქუდთა და ქაჩლად სახილველ ჭკოთვის თავისა მათისა თხემთა; განასწორებს მათ მიწას-

თან. სწუხნა მეფე ამოიოხრა და ბრძანა: „ღმერთო დაგვიფარე; ღმერთო დაგვიცვე; ღვთისა დედაო, ნუ მიგვცემ ჩვენ კაცობრივსა განზრახვასა, არამედ წილ ხდომილთა შენთა გვექმენ პატრონი და მფარველი; ევთიმისა წინამძღვარსა და მოძღვარსა მოახსენეს ესე ამბავი. მოვიდა მონასტრიდამ და კვალად განამხნევებდა მეფესა, რათა არა ჰსცვალოს ჯვარი თვისი პირველი და მისცეს სამეფო რუ-სეთისა ხელმწიფეეთა მფარველობასა. დამყარდა მეფე მისსა რჩევა-ზედ და ჰსთქვა: სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ გარდა მისთა ხელ-მწიფეეთა.“

## XCIV

შემდეგ გარდაცვალებისა მეფისა რუსთა დაივიწყეს ევთიმი, ჰყვანდათ უპატიოდ და ვერცა დაიცვეს დევნათაგან, რომელნიცა აღუდგი-ნეს მას ძმათა. გაგზავნილმან ჩინოვნიკმან საჩივართა გამო მასზედ მრავალ საყიო და უპატიო ჰყო, ჰსტუქსა უშვერად, მოიხსენა მწარედ და განაჩინა განშორება მისი წინამძღვრობისაგან უდაბნოისა. ევთიმი არ იგლოვდა ესრეთსა განჩინებასა, მოიხსენებდა პატრონსა და ათა-ნასისა სიტყვათა და იტყოდა: ჭეშმარიტად ღირს არს მუშაკი სასყი-დლისა; მომეგო მე ჯვრისაებრ. საფლავსა შინა მყოფსა მომხვდა მე სოფლისა მათრახი, ღმერთო ჩემო, ნუ მიმცემ მე უმეტესსა სასჯელსა; მოქმედება ჩემი და მეცადინება რუსთა მოყვანისა არა იყო ორგულე-ბა ქვეყნისა.

1844 წელსა ს.-პეტერბურღსა ყოფნასა ჩემსა მეფის-ძემან ფარ-ნაოზ არა კმაყოფილმან, რომელ არ ვადიდე ჩემგან დაბეჭდილისა მუნ ისტორიასა ეკლესიასა მეფე, — გიორგი მიმცემი რუსეთისადმი სა-ქართველოისა, მიბრძანა: ჩემო პლატონ, მეფე გიორგი და ძმა ჩემი არ არის საგმობელი შენგან. შენ ჰხადი მას მიმცემელად ქვეყნისა. არა? იგი ვერ გასცემდა ქვეყანასა; ვერ განსყიდდა მას; ვერ შეექმნე-

ბოდა ორგული ტახტსა და სკიპტრასა. შეიმეცნე სიტყვანი ესე ჩემნი და თვით დაამატე, ვითარცა მეისტორიემან, ჰაზრი შენი. — სიტყვათა ამათ ზედა მე ვსდუმნე: ვიხილე რომელ, მრისხანედ მიბრძანა ესე...

## XCV

მეორესა დღესა შემდგომად მეფისა ირაკლისა გარდაცვალებისა, მეფემან გიორგი ბორჩალოდამ მიუწოდა ჩოლაყაშვილსა დავით ჯიმშერისა-შვილსა კაცსა სიტყვა მარჯვესა დაკვალად ატტიკურად მწერალსა და უბრძანა ოქმისა ზედა წარწერა ბეჭედსა მისსა მეფობისა. დღისა მეორისა თვისა უქმნა მას წარწერა ბეჭდისა ოქმთა და ბრძანებათა თვის შემდეგი: სიმდაბლით გარდამოსრულსა იესოს ჰაქებ ღმერთი ჰკაცსა სრულსა. მუნიდგანვე წარმოგზავნა კაცი თბილისს და ოქრო მჭედელსსა კოსტას... ამოაჭრევინეს ვერცხლზედ. მიერთვა მეფეს თელავს და მოეწონა. ამა ბეჭდით გამოვიდა პირველი ოქმი მეფისა, რომლითაცა მეფემან გიორგი მიართვა მღვენად თელავისა კარის ეკკლესიასა ორი კომლი კაცი მათის მამულითა და ზვარითა. მასვე დროსა უქმნეს დედოფლობისა ბეჭედი მეუღლესა მისსა მარიამს მარტივითა ზედა წარწერითა; „დედოფალი მარიამ."

## XCVI

მოსრულსა ქალაქად თბილისად მეფესა ეახლნენ თბილისისავე მცხოვრებნი თავადნი, აზნაურნი და სამღვდელონი, რომელთაცა მოსვლადმდე მისსა დაეფიცნათ ერთ-გულობათა ზედა სასახლისა ეკკლესიასა, რომელიცა იყო ნაკურთხი კვართისა საუფლოისა სახელზედა. დიდად ერთ-გულად შერჩნენ მეფესა იოანე ჯანდიერიშვილი, რომელსაც უბოძა მოურაობა კაკაბეთისა და იყო მასთან თან-მეზდილი.—

შემდეგ უბოძა ბორჩალო და ქთვლისი. შემდეგ მისსა იყვნენ ერთ-გულადვე და თავ-გამოდებულად პაატა ჭავჭავაძე და სვიმონ ჯანდიე-რის-შვილი, როცა უბოძა მოურაობა გორის ციხისა

მასვე დროთა თავადთა და აზნაურთა ცოლნი მიულოცავდნენ დედოფალსა მარიამს. მეორესა დღესა წარდგნენ სომხეთა ვართაპეტი ვანქისა ოჰანეზ, სამღვდელოითა, მელიქი ქალაქისა და სხვანი მოხე-ლენი ქალაქისავე, კათოლიკოსმან და არსენი ობიელმან და რუს-თველმან სტეფანემ სწირეს სიონის ეკლესიასა, თანა დასწრებითა მე-ფისა დედოფლითა, სამეფოისა სახლისა წევრთა და ქალთა წარჩინე-ბულთა და დიდებულთა; გარდაიხადეს პანაშვიდი გარდაცვალებულის ირაკლისათვის. მეფე სტიროდა და ვითარცა აქვნდა ჩვეულება ცრემ-ლითა მოსმენა წირვისა. იტყოდიან ვიეთნიმე არა კეთილთა სიტყვა-თა მეფისათვის, რეცა სახილველად მგლოვარისა. გარნა მეფე იყო ნამდვილი კეთილ-მსახური და მორწმუნე. მოვიდა ლმობიერებასა და გამოვიდა ეკლესიიდამ მწუხარე.

## XCVII

მეორესა დღესა მიიბრძანდა მუხრან-ბატონი იოანე, წარსდგა მე-ფესთან და მეფემან ცნობილმან, რომელ არა არის მისგან კმაყოფი-ლი და არცა მისდა კერძოდ, არამედ ძმათადმი უმეტეს განწყობილი, —უბრძანე სიტყვანი ტკბილნი და დიდად დაჰყვედრებითა, —იყოს მის-და ერთ-გული მოვალეობისა მებრ მისისა მეფისადმი. მუხრანის ბა-ტონმან აღიარა ნამდვილი მოვალეობა თვისი და დაამტკიცა ფიცითა, რომლითაცა მასვე დღესა იოვილისა მოსვლისა მისცა ფიცითი ერთ-გულობა სხვათა შორის. მეუღლესა მისსა მეფისა ირაკლის ასულს ქეთევანს, აქვნდა დიდი რიგი მისიცაო მეფისა მისსა სახლზედ მაიჭვრა-ნებულისაო, მეტყოდა მოხუცი გიორგი ერისთავი, —მოჰყვა თან ქმარსა თვისსა მუხრანის ბატონსა იოანეს; წარვიდა და წარდგენ მერ-

კელად დედოფალთან და შეუგზავნა კაცი მოკითხვისა მეფესა. მეფე თვით მიბრძანდა და ნახა დაი თვისი, ორნივე სტიროდენ და ორთავე ატირეს მუნ მყოფნი ქალნი და კაცნი. ესრეთ ამა დროთაგან უკანასკნელადმდე ქმარიცა და ცოლიცა იყვნენ მარადის დუმილითა, ფრთხილნი არა აწყინონ რა მეფესა, თუმცა გულითა არ აქვნდათ მეფისა სიყვარული, — იტყოდა იგივე ერისთავი გიორგი.

## XCVIII

მასვე დღეს წარგზავნა ეპისტოლენი მონასტერთა და უდაბნოთა, რათა უწირონ გარდაცვალებულსა მეფესა, წესისაებრ ეკკლესიისა ორმოცი და წლის წირვა და აღუთქვაცა სანუგეშოდ ძმათა თვისთა დროსა საწირავი ესრეთი ოქმი, მიწერილი ეპისტოლედ მეფისაგან ბეჭედ დასმული, სახელსა ზედა ათანასი შიო მღვიმელისა წოდებითა ხოლო და არა ნამდვილ წინამძღვრობითა, მაქვს მეცა. აჰა პირი მისი.

„შიო მღვიმის წინამძღვარო ათანასი და უდაბნოის მამანო! ინებეთ გარდაცვალებულისა მეფისა ერეკლისათვის შვიდისა, ორმოცისა, — და წლის წირვა გარდაიხადეთ, თვისსა დროსა ეს ჩვენი ოქმი წარმოგვიდგინეთ, რომ ძმათა სანუგეშო აღვასრულოთ. წელსა 1798 აპრილის 30 დღესა.

მეფე
გიორგი

ეს ათანასი იქმნა შემდეგ არხიმანდრიტად; იყო კაცი განსწავლული ანტონისაგან პირველისა კათოლიკოსისა; გვარით მიქელისშვილი კახელი. 1802 კვალად შევიდა შიო მღვიმეში ლეკთა შიშითა გაოხრებულსა. 1803 ოდეს მოეგება მემკვიდრესა დავით ქ. მცხეთას თებერვლის 19 ჯსთხოვა თანა წარუგეს მას რუსეთს ათანასი

მასვე დღესა თანა ჰყვა მას და წარიყვანა რუსეთსა კერძო დააკონად მომზადებული შიო მღვიმეს ზაქარია იოსელიანი, ბიძა ჩემი, გარდაცვალებული ღენერალ-მაიორის ჩინითა 1865 ს.-პ. ბ. თვით ათანასი უკუ-მოიქცა მერით და დასაფლავდა კახეთს.

## XCIX

დღესა მას ოდესცა იქმნა დაფიცება თავადთა და აზნაურთა და ფიცითსა ფურცელზედ ხელის მოწერა მეფისა ერთ-გულობასზედ, მაშინ დავით რექტორმან თელავისა სემინარიისა შემდგომ წირვის აღსრულებისა მოახსენა მეფესა ამბიგოდ ლექსი წარკითხვით. თვით რექტორმან წარსთქვა ესე და მერეთ იგალობა რვათა თვისთა მოწაფეთა თავადთა ჯერეთ ყრმათა. კიდურ წერილობა ანუ აკრო-სტიხი ამბიგოთა იყო: „მეფეს გიორგის უგალობს რექტორი დავით.“

მეფემან პატივი-ჰსცა მას მადლობითა და ამცნო ერთ გულობისა მოვალეობა მეფისადმი: „ცხებულიაო მეფე ღვთისაგან; პატივ-მცემელი მეფისა, პატივ-იცემების ღვთისაგანაო. ორ-გული მეფისა არ იქმნების არაოდეს ერთ-გული ღვთისა — თვალნი მეფისა არს თვალი ღვთისა; გული მეფისა ხელთა-შინა უფლისათა — მეფე, რომელიცა, ვიტყვი ამას უშიშრად, — მიენდობა ღმერთსა, მტკიცედ იქმნება თვისსა ტახტზედ და იკურთხევა ღვთისაგან, ვინ უნდა მყვანდეს ღმერთზედ მეტი პატრონად მფარველი მე მეფესა, რომელზედაც დამიძს სასოება ჩემი.“

ვიეთამე ლექსთა ამათ-თვის წართქმულთა დავით რექტორისაგან, ჰგმეს იგი დედოფლისა დარეჯანისა მხლებელთა და შვილმან მისმან ფარნაოზ მუნ მყოფმან თელავს აიგდეს მასხარად. მეფემან ჰსცხო-ვსე და ბრძანა: დედოფალი დედა ჩემია, — ვალი მაქვს დუმილისა. ხოლო სხვათა კადნიერად მოუბართა, პასუხს უგებს მეფე გიორგი“ — იტყოდა თავისა თვისსათვის.

ცხოვრება მეფის გიორგის XIII-სა

C

მასვე დღეს ხოდაშნისა წინა-მძღვარი იოანიკე ბერძენი, თაზოს
ჭალაკელი და მხნე და მეომარი და ამისთვის პატივ-ცემული გადაც-
ვალებულისა მეფისაგან, მოვიდა თელავსა და მოართვა სეფის-კვერი.
განმხიარებულმა მეფემა მიიღო ხელთაგან მისთა კურთხევა და ჩვეუ-
ლებისა მეფისა შემდგომად სიტყვათა: სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა თვით იტყოდა და ბრძანა: „ამინ" ხმითა დი-
დითა.
მიიწვია წინამძღვარი სადილად და ესაუბრა მრავლად ბრძოლათათვის
მისგან ნახულთა პირის-პირ ლეკთა. 25 წელიწადს სადმე იმყოფებოდა
კახეთსა და იყო ყოვლად ქართველი. მამაო იონიკე, უბრძანა მეფემან,
იყავ ერდგული ჩემიცა, ვითარცა იყავ მამისა ჩემისა არა ვინ გამოგიც-
ვალოს გული ჩემზედა; ნუ მიეტაცნები მტერთა ჩემთა.

მწუხრის შემდგომად წარვიდა იოანიკე და იხილა დედოფალი
დარეჯან ძაძითა მოსილი და მგლოვარე მეფისათვის. დედოფალმან
უბრძანა უკედრებად საგონებელი სიტყვა დავიწყებისათვის მეფისა გარ-
დაცვალებულისა წყალობითა; და იგი იმართლებდა თავსა და მოახსე-
ნებდა სიტყვათა შესაბამთა, ერთ-გული მეფისა ირაკლისა ჩემისა წყა-
ლობელისა, იტყოდა იოანიკე, ვარ ერთ-გული პირმშოისა მისისა შვი-
ლისა: პატრონო დედოფალო, ნუ ამღვრევთ მეფობასა, მოგახსენებთ
ერთ-გულობით: მეფობა არის პირმშოისა შვილისა, ესრეთ ყოფილა
და არის ყოველგან, როგორ გნებავსთ უმცროსი ძმა იქმნეს მეფედ და
უფროსსა წაერთვას.—მტერი გარეგანი კარსა გადგიან და ახლა ავი-
რებ, მტრობა და შფოთი შინაცა დამალონ:—ესენი მარჩევლნი არიან
ცუდნი კაცნი. ინებეთ და დატუქსეთ იგინი.—საუბარსა მისსა ზედა
იყო დუმილი ქალთა და კაცთა. დედოფლისა მეინახეთა და თვით დე-
დოფალმან არა ბრძანა არა რაიმე წინა-აღმდეგი მეფისა გიორგისა-
თვის.

## CI

1798 წელსა ივლისის თვეში ნიქოზისა ეპისკოპოსმან ათანასი, ჭკონბენ, იმერელმან უბრძანა დაუსვენოს ეკკლესიაში ძელი ჭეშმარიტი, — სიდიდით განთქმული ყოველგან, რათა დააფიცონ იმირექვიბანი თავადნი და მოდავენი მათნი მოსაზღვრენი. აღიღეს ტრაპეზიდან ძელი ჭეშმარიტი ესე ოქროსა ბუდეში ჩადებული მკლავისა სიგრძე და ალავერდისა ძელისა ჭეშმარიტისა მიხედვათა ორ-გზის და დაასვენეს გარე ეკკლესიისა საწიგნესა ზედა. შემდგომად ფიცისა და შფოთისა შორის გლეხთა და თავადთა დაივიწყეს ეკკლესიისა მცველთა აღება ძელისა ჭეშმარიტისა საწიგნოდამ და დაკრძალვა ტრაპეზთა ზედა. მწუხრისა შემდეგ ჰსცნეს, რომელ საუნჯე ესე არღა არცა საწიგნეზედა და არცა ტრაპეზზედა. მოახსენეს მღვდელ-მთავარსა, შეუდგა მრავლად ძიება, გარნა ვერ ჰპოვეს იგი. ჰსცნო ესე კათოლიკოსმან და აცნობა მეფესა გიორგის: იწყეს ახლად ძიება; წარგზავნეს კაცი იმერეთად და ჰსთხოვეს წერეთელთა და აბაშიძეთა მოიძიონ მათ ღვთის პატივისათვის და წმიდისა ეკკლესიისა, რომელთაგანცა საუკუნოებითა დაცული აწ მათთა მიზეზთა გამო მიეტაცა, ჰსწამებდენ მიტაცებასა მისსა წერეთლისა და აბაშიძისა გლეხთა, მუნ ფიცისა დროსა მყოფთა და მათთაგან მოპარვასა. მეფემან მწუხარემან დაკარგვისათვის ესრეთისა ქვეყნისა სიმდიდრისა, ბრძანა გამოდევნონ მღვდელ-მთავარი კათედრიდამ. გამოიყვანეს მუნით და წარუდგინეს ექსორიად ნათლის-მცემლისა უდაბნოსა გარესჯას.

ძვირფასად შემკულსა ჯვარსა აქვნდა წარწერა ოქროსა უკანა ფიცარზედ შემდეგისა ჰაზრისა: „მე დედოფალმან რუსუდან, ავაზაკთაგან გამარცვილი ძელი ჭეშმარიტი კვალად შევამკევ სულისა ჩემისა სახსრათ.“ ესე მიამბო სვიმონ არხიმანდრიტმან წულუკიძემან გელათის წინამძღვარმან (1847 წელსა). იტყვიან დღესაც აბაშიძიანთ

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

აქვსთ მაღლად სიწმიდე ესეო; რომელთა იგულისხმებდა ასაშიძიანთა-მომთხრობი ამბავისა ამისა არა მახსოვს.

შემდგომად ნიქოზელისა ათანასისა გადევნისა, იშუამდგომლეს მიეცეს მას ეპარხია დიონოსის ილუმენს [42]) გვარით არა აზნაურთა-განსა, მეფემან ბრძანა უარი და განმარტა, რომელ სამეფოისათვის მისისა სარგებლობისათვის საჭიროა გვარით განთქმულისა კაცისა, დასნიშნა და ინება მიეცეს ეპარხია ესე სხვასა, რომელსაცა ექმნება ხმა დიდი და კავშირი. „ბრძანა მეფემან სამღვდელო-მთავრო ადგილი არის ერთი ქვეყნისათვის მისაყრდნობელი სვეტი დიონოსი არს ღირსი და მუდაბნოე, და არა მცოდნე-

42) ესე დიონოსი იყო თავადთა ციციანთა ყმა სოფლისა ხვედურეთიდამ. ახლდა მეფის-ძეს იულონს: ამისავე თხოვნითა უბოძა ილუმენობა მას კათოლიკოსმან ანტონი. შემდგომად წარსვლისა რუსეთად იულონისა დაშთა უადგილოდ და იყოფოდა მეფის ასულთან მარიამთან ს. ქარელს. ამან დიონოსიმ მეფის ასულისა მარიამისა თხოვითა დაასაფლავა ყინწვისის წმინდის ნიკოლოზის გაუქმებულისა მონასტერსა მძოვრეთისა ხეობაში მეფის-ძის იულონისა ძე ლევან, რომელიცა დარჩა საქართველოს, ებრძოდა რუსთა და მოიკლა ზაკვით და მოსყიდვით ოსისაგან, მისდა და მისთანა ყოფილისა. ესე იყო 1810 ანუ 1811 წელსა. ესე ლეონ იყო უფროსი შვილი იულონისა მხნე, გამბედავი და გულადი; ათსა წელსა მდევნელი ბედისა და ვერ ღირსებული ბედის მოლალატისა.—მეფენი არა ადვილად უბოძებდენ გლეხთა და აზნაურთაგანსა კათედრათა სამღვდელთ-მთავროთა. მარადის მოიძიებდენ თავადთა სახლთაგან, დამოკიდებულთა დიდ ოჯახობით დიდთა კაცთა თანა, უფრო პურადთა, უხვთა, გამცემთა და კარისა მექონთა გამოჩენილისა პატივად მაღალისა ხარისხისა. ესე იყო მიზეზი რომელ ძველადვე ითქვა ლექსად სიტყვა ეპისკოპოსთათვის არა ღირსთა გვართაგან და ოდესმე ვერ შეფერებულთა ერისაგან ნაკლულევანობათა გამო მათთა. აჰა შაირი, თქმული გ(:) საგინაშვილისაგან.

თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, წინა-მძღვრის-შვილი მროველი,
ან გლეხი-კაცი ნიქოზლად. ცოდნა იცოდეს ყოველი,
ან ბეზირგანი მდიდარი, ჭიორელი და გლოველი,
ან კარგი დარბაისელი, მაჩაბელ წინ წყაროელი.

საერთო საქმეთა. ეპისკოპოსი უნდა იყოს სარდალი ქვეყნისა, მძლიე-რი საქმითა და მორჩილებასა შინა მომყვანი დიდთა და მცირედთა, ჯვარით ესრეთი გვინდახან კაცნი; დამშვიდებისა დროთათვის მეუდაბ-ნოენი და მოღვაწენიცა ადვილად განაგებდენ ეკკლესიათა.“

ამისთვის არა დანიშნა მან ნიქოზელად არა-ვის და ელოდა, რა-თა ჰპოვოს კაცი ღირსი მღვდელ-მთავრობისა; მოვიგონე დიდი საფ-რანგეთის ორატორი და მქადაგებელი, რომელსა დიდმან ლუდოვიკე XIV არ გამოუთხოვა რომისა პაპას კარდინალობა, რადგანაც არა აქვნდა ღირსება დიდთა გვართაგან შთამომავალთა და არცა უბოძა მას პარიჟისა კათედრა: რადგანაც არ იყო დიდთა გვართა შვილი. დროთა მიხედვით განმართლდებიან მეფე და მხლებელნი მისნი ჭაზ-რნი და მოქმედებანი მათნი.

შემდგომად მეფისა გიორგისა, ძმამან მისმან დავით 1802 წელ-სა უკუ-აქცია თვისსა კათედრად ათენასი, რომელიცა გარდაიცვალა მუნვე ნიქოზსა და დასაფლავდა მუნვე ეკკლესიასა 1810 წელსა; შემ-დგომად მისსა კათედრა ესე გაუქმდა და აწ არის სოფლისა ეკკლე-სიად.

## CII

მეფის-ძე ილია იქმნა დიდად შეწუხებული სნეულებისა გამო სა-ხადისა: მკურნალთა გამოაცხადეს სნეული უკურნებელად, მოახსენეს მეფესა და მან ბრძანა: მივენდოთ ღმერთსა და წმინდასა იოანე მან-გლელსა; გახსენით საფლავი მისა და ამთხვიეთ სნეული შვილი ჩემი მეოხისა ჩემისა ძვალთა. აღასრულეს სურვილი მეფისა შემდგომად პარაკლისისა და ოდეს თბილისის სიონის ეკკლესისა ამოღებული ლუსკუმიდამ თითი ძვალი წმინდისა დასდვეს პირსა და თვალთა სნეულისა, მასვე ჟამსა, გასაოცებელად თვით მხილველთა, განიკურნა სნეული იგი. იხარებდა მეფე, დღესასწაულებდა სამღვდელონი, იშვებ-დენ კარისა კაცნი, განცვიფრდებოდნენ ქალაქისა მცხოვრებნი, ეკვირ-

ვებოდენ მაჰ-მადიანი დაკრძალული. გვამი წმინდისა ლუსკუმასა შინა მდე-ბარე კვალადცა მეორესა წელიწადსა განაღეს მისვე ბრძანებითა ხნეულებისა გამო მეორისა მეფისა მისისა მეფის ასულის თამარისა, რომელ-მანცა მიიღო კურნება პირველისა-მებრ მსწრაფელი და საკვირველი კაცთათვის და თვით მკურნალთათვის არა მართლ მადიდებელთა. ესე-ნი იყვნენ ოსკეთა ფარავეგი ფრანგი, თათული ექიმი სომეხთა სარწმუ-ნოებისა და პატრონი ნიკოლა და შემდეგი მისი ფილიპე, ათანასი ჯვარის მამისამან, დროთა ამათ აქა მყოფმან, მახლობელმან მეფისა და შემდეგ პატრიარხად იერუსალიმისა დადგინებულმან, — აღსწერა ორივე ესე საოცარი ამბავი და სასიქადულოდ ქრისტეს ეკკლესიისა წარუვლინა მოხსენება იერუსალიმსა პატრიარხს, ესე მიამბო იორ-თეოს თაბორისა მიტროპოლიტმან და აწ დღეს ანტიოხიის პატ-რიარხმან 1849 წელსა დროსა ყოფნისა ჩემისა კონსტანტინოპოლეს სტუმრად მასთან მისსა მონასტერსა სალვისა ჭალაკსა. დიდად გამაკ-ვირვა მოთხრობამან ათანასისაგან აღწერილმან; ვერ ვპოვე თვით ეპის-ტოლე ესე მის, სახმარი ჩვენ ქართველთა ისტორიისათვის. ხშირად და განცვიფრებით მესმოდა საუბარი ამისა შემთხვევისათვის. იოკიმე ეპისკოპოსისაგან ახტაისა, ბერძნისა კვირიიდამ და ვიიარმელ შეყვა-რებულისა მეფისაგან გიორგისა, რომლისა დროსაცა იყო დღისათვის ლუსკუმასა შინა ძვალთა ამათ წმინდისა და კრძალვისა დეკანოზმან და მეცნიერმან იოანე იოსე-შვილმან წარმოსთქვა სიტყვა ქადაგებითი: „საკვირველ არს ღმერთი წმინდათა შორის მისთა“ და უკანასკნელ ჰრქვა მეფესა: მეფევ კეთილ-მორწმუნეო, იხარებდ სულითა, განიფ-რთხევ გონებითა, იშვებდი გულითა; აჰა მე შენი რომელიცა მოგა-ნიჭა შენ წმინდამან.

„აჰა სასწაული დროთა ჩვენთა. აჰა უღირსებისაგან ჩვენისა ღირ-სებად მომყვანებელი ნიში სასწაულისა, გჰყალობდეთ გალობათაგან სიონისათა და გჰსვამდეთ წყაროთაგან დაბეჭდილისა და გჰსჯამდეთ მტილისაგან შეღობილისა და მტკიცედ დაცულისა, ჩვენთანა არს ღმერ-

თი, ჰსცანთ წარმართთა და იძლიოდენ, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“

განმხიარულებულმან მეფემან, მხნედ და მაღლისა ხმითა, ჩვეულებისა-მებრ მისისა მოხდენილისა სახითა ვითარცა მარადის იყოფოდა მეფე ერგე და მაღალი მღიერისა ბაგეთა ბგერითა პასუხ-ეგო მქადაგებელისა: „ჭეშმარიტად, მამაო, საკვირველ არს ღმერთი წმინდათა შორის მისთა. შევიქმენით ღირსი ღვთისა წყალობისა, ზეგარდამო მოხედვისა და კურთხევისა, იკურთხოს სახელი მისი“ ამა შემთხვევისათვის შეჰსწირა მეფემან ხატი წმინდისა ვერცხლით მოჭედილი და ოქროთ ცურვილი ზედა წარწერითა: განკურნებისათვის შვილისა ჩემისა... შემოგწირე წმინდა იოანე მანგლელო სულთა ჩვენთა მეოხი ხატი სახისა შენისა, წელსა 1799 თვესა აპრილის 7. ხატი ესე დაიკარგა 1804 წელსა სიონისა მხატვრობათა განახლებისა დროსა კნიაზ ციციანოვისა ბრძანებითა, ვითარცა მიამბო დეკანოზმა სიონისა გაბრიელ ქართველოვმან, გარდაცვალებულმან 1866 წელსა.

## CIII

მეფესა გიორგის დიდად უყვარდა კოვალენსკი, რეზიდენტი და მინისტერი რუსეთისა თბილისში. იყო კაცი ტკბილი, სათნო და ნამდვილ ერთ-გული მეფისა, შეჩვეული ქართველთა წესთა. ამანვე მოართვა მას სამეფო რეგალია ანუ ნიშანი მეფობითნი პეტერბურღიდამ თბილისსა წარმოვლენილი პავლე იმპერატორისაგან: გვირგვინი, ხმალი, პორფირი, სკიპტრა. ტრონი, დროშა და I ხარისხისა წმინდისა ეკატერინესი დედოფალსა მარიამს. ამისთვის აჩუქა და მიუბოძა მას ბაღი ყაბახისა თავსა ჩრდილოეთით მდებარე, რომელიცა ძველად ეკუთნოდა იასე მეფესა და რომელსაცა შინა თვით იასე ვითარცა მაჰმადის სარწმუნოებისა მექონი, ჰმარხია. აწ ბაღსა ამას ეწოდების ბაღი ინჟენერთა. ვითარ მიიღო მას ესე ციციანოვისა დროთა, რომელმანცა განაძია იგი საქართველოდამ ვითარცა ბოროტ მომხმარებელი

თავისის წოდებისა,—არა ვუწყი. მხოლოდ მახსოვს ცოლი მისი, მოხუცი ქვრივი მოარული ხშირად მემკვიდრის დავითის მეუღლისათანა ელენე მეფისა რძალთან 1821 და 1832 წელთა შინა ქ. ს.-პ. ბ.

## CIV

მახსოვს მე სალდათი ერთი სახელით თეოდორე, რომელიცა იყო დანიშნული მეფის კარზედ ყარაულად ანუ ორდინარცად. ესე ესრეთ შეიყვარა მეფემან, რომ ინება ყოველთვის მისი თავისთან ყოფნა. გოვალენსკის სთხოვა, რათა, გამოყვანილი პოლკიდამ, ახლდეს მეფესა, ესე ვერ იკისრა თვით მინისტერმან და ჰსთხოვა ღენერალსა ლაზარევსა და რადგან ამანაცა ვერ გაბედა დაუკითხავად ლინიაზედ თავისსა უფროსისა. მაშინ იყო კნორინგი, ამისთვის უარი მოახსენეს მეფესა. შემდეგ თვით მეფემან მისწერა წერილი და მან მოსცა ბრძანება აახლონ, ვითარცა სალდათი ორდინარცი და არა ვითარცა კერძო პირი, ჰსურდა მეფესა ებოძებინა მისთვის აზნაურობითი ღირსება, სახლისა ადგილი ქალაქსა და მიბარება საჭურჭლისა თვისისა. თეოდორე იყო ყმაწვილი-კაცი 29 წლისა, ტანმოკელი და მალე შეისწავა ქართულიცა ენა; იყო ცქვიტი და ფთხილი. შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა, 1824 წელსა ვხედავდი მას ხშირად ანჩის-ხატისა უბანში მცხოვრებად მოხუცად; შემოვიდოდა წმინდის გიორგის კარისეკკლესიასა და ალანთებდა სანთელსა ხატისა წინაშე, და მარადის დაუკლებლივ მოახსენებინებდა კვეთისა დროსა შესრულისა სამკვეთლოსა მეფესა გიორგის და დაადებინებდა მოხსენებითსა ნაკვეთსა ცრემლით და ვედრებით ღვთისადმი. ქართულიცა იცოდა მიქცევით რუსულის გამოთქმისა. 1831 წელიწადიდამ, ერთთაგან წარსულისა ჩემისა რუსეთად სასწავლებელში, ველარსად ვნახე იგი და ვერცა გამოვიკითხე სადაობა მისი. წყალობასა არა მოაკლებდნენ მას ქველნი კაცნი მეფობისა ნეშტნი დავით მინბაში, სოლომონ მეითარი და დიმიტრი თარხნის-შვილნი დავით, და გიორგი თუმანის-შვილნი, შანშე ერისთვის-შვილი, მეფის ასული თეკლა, ზურაბ ყაფლანის-შვილი, მუხრანის-

ბატონი კონსტანტინე, თავადი იოანე აფხაზი [43]) და სხვანი, მეფობისა ჟამსა მცნობნი მისნი. დიდად უყვარდა იოანე ეპისკოპოზსა, ალავერდისა, რომელიცა მეფის დროსა იხილვიდა მას ხარებისა ეკკლესიასა, სადაცა მიჰყვებოდა მეფესა გიორგის წირვისა მოსასმენად და სადაცა მამა ეპისკოპოზისა ამის იყო დროთა მათ მღვდელი ხარებისა

[43]) თავადსა იოანე აფხაზის-შვილსა, კარდანახელსა, მეფისა გიორგისაგან მიჩნეულსა და პატივ-ცემულსა, ხშირად წარმოათქმევინებდა ლექსთა ძველად გოჩასაგან თქმულთა, ოდეს დაესწრობოდა თბილისს და ეახლებოდა მეფეს.

### 1.

განთქმულა პირველ ბრძენთაგან, სიდარბაისლე მესხისა,
ომი და შებმა კახელთა, მოსანდომია არ სხვისა,
ჩუქება პირველ კარგობა, ქართველთა არ ეძრახვისა.
არიან ზრდილნი იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა.

### 2.

მთიულნი ცხენსა მოგპარვენ, თუ თვალი დაიხუჭია,
მიბრძანდი სატიტიანოს, მოგართვან ბატის კუჭია.
საამილახვრო ბიჭები, მკერდ-ზრქელნი, შიგნით ფუჭია,
დიანთ ბარათიანთა, ხმალზედ აცვდებათ მუჭია.

მეფე ათქმევინებდა ამას გასამხნევებელად კახთა ომისა და ბრძოლისათვის, მიამება, როცა შენ წარმოსთქვამ ლექსთა ამათო, მიბრძანებდა მეფეო; მსუქნათ იტყვი ხოლმეო და მადიანად.—ესე მოთხრობა თვით იოანე აფხაზისაგან მაქვს გაგონილი ჩემსა სიყრმეში. იყო მეგობარი და მწყალობელი მამისა ჩემისა და ხშირად ვხედავდი მას თბილისს მოხუცებულად მავალსა. იყო 78 წლისა და გარდაიცვალა 1829 წლისა შემდეგ. დაესწრო აღამამად-ხანისა ომში თბილისის აღების დროსა 1795 წელსა. ვითარცა კეთილ მორწმუნემან კაცმან 1797 წლიდამ შესწირა ნათლის-მცემლისა უდაბნოსა ყოველ-წლივ ზედაშედ და ნუგეშად ძმათა-მოღვაწეთა თვითო ურემი ღვინო. შვილი მისი განაგრძობს შეწირულობასა ამას დღეინდელად დღედმდე.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

ეკკლესიისა ფრანგთაგან მოღებულისა მეფის თეიმურაზ მეორისაგან (1755 წელსა).

## CV

თბილისისა აოხრებისა დროსა გაუქმდა სტამბაცა სამეფოისა პალატისა. მეფემან გიორგი ბრძანა განახლება მისი: კვალად იწყეს სახლისა სტამბისა შენება, დაიბარეს ქაღალდი ოსმალოდამ ახალ-ტანი-ს გზით და სპარსეთის სამზღვრიდამ; შეუდგნენ ასოთა ჩამოსხმასა დაზგებისა კეთებასა, დამბეჭდავთა შეკრებასა. შფოთთა თბილისსა, ქართლსა და კახეთსა შინა აღდგენილთა ძმათაგან მეფისა, დაგვიანებამან ქაღალდისა, მოუცლელობამან თვით მეფისა სნეულებისაგან, რომელიცა მოუერია მას და განუძლიერდებოდა დღე ყოველ, დააბრკოლეს საქმე: სტამბა დაშთა უქმად და მბეჭდავნი უსაქმოდ. მეფემან ვერ იგდო დრო, რათა შესდგომოდა საქმესა ამას და სიკვდილმან მეფისა მოუღო ბოლო წიგნთა-ბეჭდვისა ჴაზრსა მისსა: ამ სტამბაში დაიბეჭდა შემდეგ მხედრულისა მოკლე საქართველოს ისტორია, რომელსა ეწოდა ნარკვევი ქმნილი ბატონის-შვილისა დავითისაგან და მერეთ ღენერალისა კნორინგისაგან მეფობისა გაუქმებისა-გამო განცხადება ქართველთადმი.

## CVI

მეფე, მზრუნველი მონასტერთათვის, მეცადინეობდა რათა ძველთა წესთა ზედა ყოფილიყვნენ მამანი და ძმანი მათნი. 1800 წელსა თებერვლისა 7 ჰსწერს მეფე შვილს თვისსა იოანეს შემდეგსა ბძანებასა: წინამძღვარი იკორთისა მონასტრისა ჩივის მეზობლებზედ ეკკლესიის მამულებსა არ გვანებებენო. მიბრძანდი და შეიტყე სადაო: გამამძიებელიც მანდ მობძანდება და ოქმებსაც და მეფეთა წყალობებსაც განახლებს. გალავანიც დაქცეულა, უბრძანე სახასო გლეხთა შენობაზედ

გაისარჯნენ, რადგანაც მათი სალოცავი არის. გამლიილ შეუწუხებიათ და წინამძღვრობაზედ ხელს იღებს, გამოცვლა ამისი არ იქმნება, საჭირო კაცი არის ესე და დიდად მცდელი. ეხადე დაამშვიდო“.—მეფის ძმამან იოანე სრულ ჰყო ესე საქმე და განუსვენა წინამძღვარსა მადლობითა აღვსილმან გამლიილმან მოართვა მეფეს ხატი ღვთისმშობლისა, შემკული მეფისა ირაკლისა მის ვახტანგისაგან შობილისა პირველისა ცოლიდამ და გარდაცვალებულისა უშვილოდ [44]) აქ სათქმე-

44) ესე ვახტანგ იყო პირმშო ძე მეფისა ირაკლისა, პირველისა ცოლიდამ განდევნილისა და მომკვდარისა 1744 წლისა. ამას მოჰგვარეს ცოლად ქეთევან დაი კონსტანტინე მუხრან ბატონისა რომელიცა იყო დანიშნული მესამესა წელსა ცხოვრებისა თვისისა, და ვითარცა მშვენიერსა ზრდიდა თვით თამარ დედოფალი, დედა ირაკლისა. დასწერეს ჯვარი ოდეს შეიქმნა ქალი 13 წლისა და თვით ვახტანგ იყო 16 წლისა. ამავე წელსა შეეყარა ყვავილი და მორჩენილი სენისაგან, წარიყვანეს აბანოდ შევდგომად 40 დღისა. ესრეთმან გაუფრთხილებელმან ბანვამან, შეაქცია და გარდაიცვალა თფილისს. მეფე ირაკლი მიეცა დიდსა შეწუხებასა და თეიმურაზ მეფე მამა ირაკლისა, ესრედ შესწუხდა, რომ დაჰკრა თავი კუბოსა და გაიტეხა, დაასაფლავეს მცხეთას. მეშვიდესა დღესა ოდეს ჩვეულებისა მებრ მიუტირეს ცოლსა ქეთევანს, მაშინ იხილა ცხენი ქმრისა და მტირალი მივიდა ცხენთან და ცხენისა კისერსა შემოახვია თმა თავისა თვისისა გრძელი და მშვენიერი.—ქეთევან დარჩა ქვრივად და შემდეგ როდესაც ეყოლა მეფეს ირაკლის შვილი მესამისა ცოლიდამ, უწოდეს თხოვისა მებრ ქვრივისა რძლისა ქეთევანისა, სახელი ქმრისა მისისა ვახტანგ ალმასხანად წოდებული. ამან იშვილა იგი და ჰსცხოვრებდა მასთან. 1803 წელსა გარდაჰყვა რუსეთს და ჭლექობისა სენითა გარდაიცვალა 1808 წლსა ს. პ. ბ.

ვახტანგ პირმშოსა, მეტყოდა მეფის ძე მიხაილ, მიუჩინეს ლალად გივი გურამიშვილი, კაცი ზრდილი და ვაჟკაცობითა გამოჩენილი. ოდეს ზრდიდა იგი მას, დღესა ერთსა შეეშინა ცოცხალისა თევზისა. გივი განრისხდა და ჰრქვა: როგორი შვილი ხარ მამისა! ალიღე თევზი ეხლავე. ესრეთ შეაჩვია უშიშოებასა და სიყრმითგანვე გულოვნობასა მეფეთათვის საჭიროსა.

ხატი მისი ნაქონი, აქვნდა მეფის ძეს მიხაილს და შემდგომად გარდაცვალებისა მისისი ხვდა წილად მეფის ძის ბაგრატის ძეს ალექსანდრეს და აქვსთ სახლობასა მისსა აქა ქ. თფილისს.

ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა

ლის ქსეცა საცნობელად შემდეგოთათვის. იგორთისა ანუ ვირშისა მო-
ნასტერი მთავარ ანგელოსთა, სამარხი წმინდათა მოწამეთა ესრე იყო
ძველად მიჩნეული, რომელ მეფენი უნიშნავდენ განმგედ წინამძღვარსა,
მაშინაც, ოდეს ერისთავთა ეპყრათ ქსანი და ჯერეთ არ ჰქონდათ მათ
ჩამორთმეული ერისთაობა ქსნისა. არ არის დიდი ხანი ვჰსცან რო-
მელ დავით ჯორჯაძე წინათ გამლიელისა იყო სადმე წინამძღვარად
მუნ დანიშნული, თვით იგი დავით, რომელსაც მისცეს შემდგომად
ბოდბელობა. ამავე მონასტრისა მამა მთავარი განაგებდა ქსანზედ ორთა
სხვათა მონასტერთა ესე იგი ლარგვისისა და ალევისა. ესე უკანასკნე-
ლი დავით აღმაშენებლისა დროთაგან იყო საზღვარი არაგვსა და
ქსნისა საერისთავოთა. აქა ვიტყვი მამა მთავრობისა მნიშვნელობასაცა.
მამა მთავარი მარადის იქმნოდა ერისკაცთაგანი და მოვალეობა მისი
იყო ძველად განეგო ყმა და მამული მონასტრისა და ეზრუნვა ეკკლე-
სიისა უნჯთათვის, ჰმართებს მწირალსა და მკითხველსა არა აღრიოს
მნიშვნელობა ესრეთისა წოდებისა ლექსისა თანა „პატრიარხი“. რო-
მელთაცა ნიშნავს მასვე და ითარგმანების ბერძულიდამ ესრეთ: „მამა
მთავრად“, მეფემან გიორგი რუსეთის მხრით განღებული კარი და
ჯვართალისა ჩაბარა მეფის ძეს ვახტანგსა და უბრძანა არა ვითარცა
მამამან, არამედ ვითარცა მეფემან ბრძანებელმან, იყოს მზად და ფხი-
ზელად, — რათა არა აწყინონ რუსთა ჯართა გზაზედ და აძლიონ უო-
ველივე შემწეობა ურმითა და ცხენითა და კაცითა ყოველთავე მუნით
მიმავალთა და მომავალთა. ესრეთი ბრძანება მეფისა მეფისძისადმი
მსწრაფელ განითქვა, და თვით ვახტანგ ანუ ალმასხან, სუსტი სული-
თა, დამორჩილდა დამორჩილებითა თვისითა, და დასდვა შიში და
დუმილი მხლებელთა თვისთა ზედა. მეშფოთი არაგვი, დაუცხრომელი
და გაუმაძღარი ომითა, ვითარცა დღესაცა ძველიდგან იმღერის არაგვისა
კაცი დახუმდა, და იყო მოლოდებასა, მზაკვარსა იგდოს დრო მარჯვე
და მიუდგნენ ერთგულობითა მეფის ძეს იულონსა, რომელიცა იდუ-
მალ არა დასცხრებოდა წინააღმდეგობითა მეფისადმი, და ჰგონებდა
გამეფებასა ვითარცა უფროსი შვილი ირაკლისა მეორისა ცოლიდამ

მაშინ მეფემან მოიწადინა თვით წარსვლა არაგვზედ და ქსანზედ ჯაზრით მით, რათა გამოდევნოს იულონ და ვახტანგიცა, სნეულობამან არ მისცა დრო თავისუფალი და ვერ შეასრულა ჯაზრი თვისი დასამშვიდებლად სამეფოისა.

## CVII

ვახტანგ მეფის ძე აღმასრულებელი მეფისა ბრძანებათა, უგზავნიდა შემოდგომას და გაზაფხულს ხევის ბერთა ფშავიდამ ხევსურამდინ, თრუსოს ხეობამდინ, ხევიდამ და მთიულეთიდამ და მეფე მადლობელი ძღვენითა მათგან მორთმეულთათვის მოძღვრებდა იყვნენ ერთგულად მეფისა და არა დაივიწყონ მათ მოვალეობა მათი. მეფე მეცადინებდა რუსთა სიყვარულსა და აგონებდა მათ შეწევნასა, რომელსაცა მოელის მათითა მოყვასითა მტერთა ზედა საქრისტიანოთა. ესრეთისა ჯაზრისა განთვენისათვის მთათა შინა ავად რუსთათვის მოსაუბროთა,—ორგზის წარავლინა [illegible] შორის პაფნუტი არქიმანდრიტი. ეს პაფნუტი იყო თვით იგი, რომელიცა შემდგომად კნიაზმან ციციანოვმან შეგზავნა მთათა შინა დასამშვიდებლად და კავშირსა. აღშფოთებულთა მთიულთა ჰსცეს 40 გზის თუმცა ნელიად ხანჯალი და უბრძანებდნენ მას რუსისა ერთგულსა და ქვეყნისა ორგულსა, შეჯდეს ვირსა მიგვრილსა მისდა საკიცხველად. ამ დროსა მივედ მე მუნ კაიშაურსა, მიბრძანა მეფის ძემან ფარნაოზ, დევნულმან რუსთაგან და ვიხსენ იგი განსაცდელისაგან და დავაბრუნე ანანურისაკენ. ეს პაფნუტი იქმნა შემდეგ არხიეპისკოპოსი, და გარდაიცვალა მოსკოვს 1823 წელსა.

## CVIII

ამავე დროსა მიეწერა მეფისა ბრძანება მეფის ძეს ვახტანგს, რათა დაწესებული 1 იანვარს 1774 წელსა ირაკლისავე დროსა მორიგეთა

კანონნი აღსრულდებოდეს ეგრეთვე ფიცხლად, ვითარცა მამისა მისი-სა მეფობასა. ამავე ბრძანებითა, დასდვა მას ვალად მეფემან შეჰყა-როს, ვითარცა კარისა მისისა მოხელენი სალთ-ხუცესი, ამილახვარი, ბოქაულთ-ხუცესი ეგრეთვე, მოურავნი, ხევის ბერნი და სხვანი და გა-მოუცხადოს მათ ესრეთი მოვალეობა მათი. ესრეთმან მეფისა ბრძანე-ბამან დიდად შეაშინა მეფის მეცა და თვით ჩვენცაო, იტყოდნენ მოხუცნი დუშეთში ჩემთან დაახლოებულნი გოშძარ კობიაშვილი და იასე ყარანგოზიშვილი, რომელთაგან პირველი გარდაიცვალა 112 წე-ლისა 1862 წელსა და მეორე 87 წლისა 1864 წელსა.

## CIX

1809 წელსა გაჩნდა ჭირი ქალაქს. შემოიტანეს ესე ახალციხი-სა მხრით: რუსთა ჯარისა შეფთა და თვით კოვალენსკიმან ჰსთხოვეს მეფესა, მიიღოს ზომა და ღონე კარანტინებისა. მეფემან, წერილითა უწყებულმან, წერილითავე აცნობა: ყარანთინსა უნდა ყარაულებითო და ძნელია შოვნა ესოდენთა ყარაულისა რიცხვთა, რომ ვერ ვინ შემოვი-დეს შენით აქეთ ჩემსა სამეფოშიაო. ამისთვის კმარა ეს ზომაო. მე მივჰსწერე ახალციხისა ფაშასა გამოუცხადოს ვაჭართა ყოველგან აქეთ მავალთა: თუ შემოვა ვინმე ჩემს სამძღვრებში არავის მივიღებთო სა-ვაჭროსა წავართმევთო და თვით მასცა თავსა ჰკვეთო". გაიცინეს შეფთა ესრეთისა პასუხზედ; გარნა მეფემან ჰქმნა ესე; აცნობა ფაშასა ბრძანება თვისი და ნამდვილ არავინ შემოვიდა და ექვს თვეზედ ჭი-რიც გაჰქრა და შემდეგ ვაჭრობაცა კვალად გაიმართა. იტყვიან მომსწრე-ნი დღეთა ამათ მწარეთა: მართლად ერთმან კაცმან ვერ გაბედა შე-მოსვლა სოფლებშიაცაო; მიწერილი ბრძანება ესრეთ აღსრულდა მტკი-ცედ, რომელ არავინ უნახავთ არავის მისრული სამძღვრებისა სოფ-ლებშიც კაცი ოსმალთა ადგილებიდამ. გაგზავნილთა ამ სოფლებში კაცთა აზნაურთა მოხელეთა აღსრულებისათვის ბრძანებისა, მოახსენეს მეფესა: „ვხედავთ მხოლოდ ლეკთა გუნდ-გუნდსა მიმავალთ. შორით

ჯილ 5 იანვარს 1793 წ., მეორე ძმამ მიშელმა კი მიიღო კონვენტისაგან საპატიო ხმალი ვაჟ-კაცობისათვის, რომელიც გამოიჩინა ომში საფრანგეთის მტრებთან. ამ უკანასკნელისაგან იყო შთამომავალი ჩვენი ოსკარ ვერშემონი, რომელსაც უფლება ჰქონდა გრაფობით ეხსენებინა თავი, მაგრამ არ ნდომულობდა, რადგანაც მისი წინა-პარი მიშელი დემოკრატი იყო გულით და არ ხმარობდა მაგ ტიტულს.

ოსკარ ვერშემონს მისცეს გამომძიებლის თანამდებობა პარიჟში დედის სიკვდილის შემდეგ. მილიონერის სახელი ჰქონდა დავარდნილი და უმაღლესის თანამდებობის მიღებაც დაპირებული ჰქონდა.

შინ რომ მოვიდა ოსკარი იზას სახლიდამ, ცდილობდა მოესაზრა რამ ლეა მედანის საქმის თაობაზედ, მაგრამ იზას სახე თვალ-წინ ედგა და მისი გონების თვალი გაჩერდა ხელ-ახლად ამ მშვენიერს სულიერზედ, რომლისათვისაც მზად იყო ენაცვალებინა ყოველის ფერი და თითქმის სიცოცხლეცა.

„ახ ნეტავი მაშინ შემხვედროდა იზა, როცა ბიძამ მოიყვანა პარიჟში უმანკო და წრფელი,—ფიქრობდა ოსკარი: სულ ის ფიქრი მიკლავს გულს, რომ ჩემამდე სხვა ყოფილა, რომლისათვისაც უალერსნია, უკოცნია იზასა... მაგრამ რა სულელი ვარ!.. განა უმაღლესი ნეტარება არ არის რომ ეხლაც იყოს კაცი იმისაგან შეყვარებული?.. აი რასა ვიქ; პატარა სახლს ვიყიდი, ძალიან მდიდრულად მოვრთავ და მოვაწყობ და თუ მე მართლა ვეყვარები, დავაბინავებ იმ სახლში, მაშინვე გამოვაცვლევინებ ეხლანდელს ტანისამოსს და ჩავაცმევ ახალს, რომელსაც მე თვითონ ვაჩუქებ. მე მინდა, რომ ყველაფერი კაბიდამ წუღებამდე მარტო ჩემგან ჰქონდეს. ნებას მივცემ რაც ეხლა აქვს ყველაფერი გაჰყიდოს და ის ფული როგორც უნდა ისე მოიხმაროს, ხოლო რა კი ფეხს ჩემს სახლში შემოდგამს მას დღეს აქედ ყოველისფერი საკუთრივ ჩემგან ექნება... და თვითონ იზაც ჩემი იქნება, მარტო ჩემი...“

აქ გაურბინა გულში იმ ფიქრმა, რომ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სიზმარია. დაეცა დივანზედ, თავზედ წაივლო ორივე ხელი და ჰკითხა თავის-თავს ხმა-მაღლა:

— ნეტა რა უნდა იმ ქალს ჩემგან? ნეტა სიყვარულის ნიშნად რა საბუთი ჰსურს მომთხოვოს? რა დანაშაულობაში უნდა გამრიოს?

თუმცა ეხლა დანაშაულობაში გარევის ფიქრი ისე აღარ აშინებდა, მაგრამ მაინც ტანში ჟრჟოლად გაურბინა.

— საშინელი რამ არის! დაიძახა ოსკარმა: მარამ მე იმ ქალისათვის რას არ ვიზამ, რას; რა მართალია ეს ნათქვამი: „ყველაზედ უწინარეს ქალი მონახეთო!“

გადაწვა დივანზედ, წარმოიდგინა თვალ-წინ იზა და ნებივრობას მიეცა, თუმცა იწოდა კი.

## თავი V

## ქალი მონახეთ

მეორეს დღეს ვერშემონი დაპირებისამებრ წავიდა იზასთან და თან წაიღო ლეა მედანის საქმე. იზამ მადლობის ნიშნად ტუჩებში აკოცა. ამ კოცნამ ჭკუა და გონება აურია საწყალს გამომძიებელს, და ჩამოჯდა თუ არა საწერს სტოლთან, იზა თავს დაადგა და ისე გადმოეყუდა, რომ მისი თმები ვერშომონის შუბლს ეხებოდა. იზას მომხიბლავ თვალთა მოქმედებით გონება ატაცებულმა ოსკარმა მაშინვე უამბო ყოველივე რაც იცოდა ლეა მედანის საქმის თაობაზედ და თავის სიტყვა ამით დაასრულა:

— ნამდვილ დამნაშავეთ მე ანდრე გუდარი მეგონა, თუმცა კი უნდა გჰსთქვა, რომ მის გასამტყუვნებლად გულ სადები საბუთი არა არის რა, თუ საბუთად არ ჩავთვლით იმ ბანკის ბილეთებს, რომელიც მას ვუპოვეთ და რომელიც შესაძლოა ისე ჩავარდნოდეს ხელ-

ში როგორც თვითონ ამბობს. იქნება მართალიც იყოს. ჩვენ არაფე-რი უეჭველი საბუთი არა გვაქვს დავამტკიცოთ, რომ ის ბილეთები სწორედ ლეა მედანისა ყოფილიყოს. გუდარი იმ ქალის საყვარელი ყოფილა, გუდარს ის ღამე, როცა ლეა მედანი მოჰკლეს, იმ ქალთან გაუტარებია. აი მარტო ამაზედ არის დამყარებული გამომძიება.

ეს რომ მოისმინა ყურადღებით, იზა სკამზედ ჩამოჯდა ოსკა-რის პირ-და-პირ და ჩაფიქრდა.

— საწყალი! ჰსთქვა იზამ დაღონებულის ხმით.

— მორისი? ჰკითხა გამომძიებელმა.

— არა, ანდრე, უპასუხა იზამ: საწყალი ანდრე, რომ თავისის სიყვარულის სხვერპლად შექმნილა. ეგ ცხადია. საწყალს ჰსდევნიან და აწამებენ იმისთვის, რომ თავის საყვარელთან ყოფილა, სხვა არაფერი საბუთი გქონიათ მის წინააღმდეგ.

— კარგო იზავ! თქვენის ტრფიალის ბუნების ბრალია, რომ ეგრე გული შეგტკივათ მაგ შეყვარებულ კაცისათვის. მაგრამ აქ ეჭვი კი უადგილოა. სწორედ ის არის დამნაშავე.

— ჰსტყუვდებით. ჩემი აზრი საბუთიანია... რა უნდა ჰქონოდა აზრად რომ საყვარელსა ჰკლავდა? თქვენ ამბობთ: ბანკის ბილეთების გულისათვისაო. ხომ არ იცით, რომ ის ბილეთები სწორედ იმ ქა-ლისა იყო. განა ჭკუას ახლოა არ არის, რომ იმ კაცს ბირჟის მაკლე-რების ცნობა არა ჰქონია, ჰსცოდნია, რომ მისი საყვარელი ქალი ბირჟაზედ დიდის ხერხით აღებ-მიცემობს, აუღია და თავისი ფულები იმისთვის მიუნდვია საწარმოებლად. აქ დაუჯერებელი რა არის? უკე-თესს მისანდობს კაცს ვის იპოვიდა, თუ არ თავის საყვარელსა... სხვა უკეთესად ვინ გამოადგებოდა, თუ არ საყვარელი...

— თქვენ მართალი ხართ... თქვენ შეუდარებელი ამხანაგი ხართ გამომძიებლისათვის. მართალია, საყვარელი ქალი ყოველთვის უკეთესი მრჩეველია საყვარლისათვის.

— რომ სიმართლით გსაჯოთ, ყოველთვის ჩვენ ჩვენი თავი იმათ ადგილას უნდა დავაყენოთ სოლმე, რომელთა ზედაც ჩვენა

ვჰსჯით... მე ჩემი თავი ლეა მედანის ალაგას წარმომიდგენია. აბა იფიქრეთ: მე მყავს არშიყი, რომელიც ძალიან მიყვარს... ხოლო მე სხვა კაცისაგანაც დავალებული ვარ, იმ კაცისაგან, რომელიც მე მაცხოვრებს. რომ ის კაცი ხელიდამ არ წამივიდეს, მე უნდა ჩემი სიყვარული დამეფარა. ამის გამო ვიჭერ ცალკე სახლს სადად, მაგრამ ლამაზად კი მოწყობილს. საცხოვრებლად ხომ არ მინდა, მარტო სიამოვნებისათვის. ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ როცა კი იმ სახლში წავიდოდი ჩემს საყვარელთან საქეიფოდ, თან წავათრევდი ბანკის ბილეთებს ოთხმოცის ათასის ფრანკისას. რა ჭკუაში მოსასვლელია.

— მაგაშიაც მართალი ხართ... მე ქედს ვიხრი თქვენის გონიერების წინაშე, გულ-მართლად უპასუხა გამომძიებელმა და თითქო შერცხვაო, დაუწყო ქაღალდებს შლა. იზამ ძალიან კარგად შეამცნივა, რომ მისმა სიტყვებმა ჯეროვანად იმოქმედეს ვერშემონზედ.

— ლეა მედანისათვის მოუპარავთ ძვირფასი ბრილიანტები და თქვენ ერთი იმათგანიც ვერ გიპოვიათ, რომ იმით გეში რამ მიიტანოთ მაინც. ლეა მედანი მოუწამლავთ; უეჭველია, მოსჩხრეკდით სახლს იმ კაცისას, რომელსაც თქვენ ეძახით...

— ანდრე გუდარს.

— დიახ, ანდრე გუდარის სახლს. თქვენ იმას ვერა უპოვეთ-რა, არც საწამლავის ნიშანი რამ, არც კაცი, რომელსაც მისთვის ღვინო მიეყიდნოს.

— ეგ მართალია.

— ერთი ამას მაინც იკითხავდით: რის გულისათვის მოსწამლავდა საყვარელს ქალსა. გაჭირებული ცხოვრება ჰქონდა, თუ რა?

— შეძლების შესამენად მოახდენდა მაგ ავ-კაცობას.

— ტყუილია, თქვენისავე სიტყვით, მეორე დღეს ჯვარი უნდა დაეწერა... ერთი აფთარი რამ უნდა იყოს ადამიანი, რომ წინა ღამით ერთი ქალი მოჰკლას და მეორეს დღეს კი მეორე შეირთოს. თუ გუდარს წინადვე გამოუტანია თავისი ბილეთები, ეგ იმიტომ—რომ სიმამრის საქმეს ჰსჭირდებოდა და იქ უნდა მიეშველებინა ფული. განა

ერთხელ და ორჯერ სასიმამროს უსესხნია თავის სასიძოსაგან ფული... ცხადია, რომ ქურდობის მოსახდენად გუდარი იმ ავ-კაცობას არ ჩაიდენდა.

— ყოველი თქვენი სიტყვა მაოცებს მე, იზავ! მარტო დედაკაცისაგან თუ გაიგონებს ადამიანი მაგისთანა ცხადსა და მართალს მსჯელობასა... უგანასკნელ დასკვნას მაინც თქვენგან მოველი... მიბძანეთ.

— მე არა მგონია, რომ ლეა მედანი გასაქურდლად მოეკლათ. ამბობენ, ლეა მედანი საპოლიტიკო აგენტათ ჰყოლია ერთს უცხო ქვეყნის მთავრობასა. იქნება, რაც საჭიროა, იმაზედ მეტი რამ შეტყობილი ჰქონდა ლეა მედანს და საჭიროდ დაინახეს იმისი თავიდამ მოშორება. სინიდისზედ პატარა შემომწყრალი მკვლელი, რასაკვირველია, ბრილიანტების ჩაჯიბვასაც არ ითაკილებდა.

— ვჰსთქვათ ეგრე იყო, მითამ აქედამ რა გამოგყავთ?

— ის გამომყავს, რომ თქვენ ტყუილს კვალში ჩამდგარხართ. გუდარი აქ არაფერს შუაშია. ციხეში ჩასმით თქვენ იმას დიდი ზიანი მიაყენეთ.

— ეგ მაგდონი არაფერია, უპასუხა ვერშემონმა არხეინად.

— ნამდვილი დამნაშავე, ჩემის აზრით, მორის-ფერანია. უნახავთ, რომ იმ ღამეს თავის ოთახიდამ გასულა და შესულა. ღვინის გამსყიდავი ამოწმებს, რომ ფერანს უყიდნია იმისაგან შამპანსკი; თვითონ მორისვე ამბობს თავის პირით, რომ ღვინოში საწამლავი მე ჩავასხიო, დასასრულ ვერა უთქვამს-რა მასზედ, თუ ის ღამე სად და როგორ გაატარა.

— იმავ საათს, როცა გუდარი, მისისავე სიტყვით, ლეა მედანთან ერთად მოდენილან, მორისი უნახავთ სხვა ქალთანა.

— უეჭველია, ის ქალიც ამხანაგად ჰყოლია. აბა ვინ გაამბედვინებდა მაგისთანა ავ-კაცობას, თუ არ ქალი? უსათუოდ ქალმა გააზრახა და ამის დასამტკიცებელიც ბარათია, რომელიც საქმეში გაქვთ ჩაკერებული, ის ქალი დაჰყოლია ფერანს მხოლოდ იმ პირობით, რომ

ლეა მედანი მოეკლა და ლეა მედანის სიკვდილი საჭირო ყოფილა იმ ქალისათვის რომელიმე მიზეზის გამო. თუ ამაში ბრალი არა ჰქონდა, ლეა მედანის სიკვდილის შემდეგ, მეორეს დღესვე რად გადიკარგა პარიჟიდამ.

— თქვენი მსჯელობა სწორეთ თავ-ზარსა მცემს, იზავ! თქვენ ახალის შუქით გამინათეთ ყოველივე გარემოება საქმისა. თქვენ მართალს ამბობთ; ის ბარათი სულ სხვა საბუთია, თუ კაცი კარგად დააკვირდება.

— აბა ერთი ხელმეორედ გადიკითხეთ.

ოსკარმა მონახა ქაღალდებში სესილასაგან მორისთან მოწერილი ბარათი, ამოიღო და ხმა მაღლა გარკვევით კითხვა დაიწყო. მინამ ბარათს კითხულობდა, იზა ფეხზედ იდგა, ხელი ოსკარის მხარზე ებჯინა და თავი ისე დაეხარა, რომ ლოყით ვერშემონის თმას ზედ ეხებოდა. რაღა თქმა უნდა, რომ გამომძიებელის გონება იზამ გაიტაცა და ამიტომაც ბარათი უგულის-ყუროდ გადიკითხა.

— მაინც კიდევ წინანდელს აზრზედვე დგეხართ? ჰკითხა იზას ოსკარმა.

— საყვარელო ოსკარ, ნუ თუ არ იცით, რომ მაგის დამწერი ვიდრე ერთს სიტყვას დაჰსწერდა ათ ჯერ მოიფიქრებდა. რომ მაგ ბარათის ნამდვილი აზრი გამოიცნოს კაცმა, პირდაპირ კი არ უნდა წაიკითხოს, უნდა ჰსთარგმნოს, ერთის სიტყვით, იმოდენა დრო მოანდომოს, რამოდენაც საჭიროა ახლად მოგონილის ასოებით დაწერილის წასაკითხავად... მე მხოლოდ ორიოდე სიტყვას განიშნებთ რომელნიც ჩემთვის ეხლაც მეტად ცხადნი არიან.

იზამ ხელი გაიწოდა ბარათისაკენ ისე, რომ კინაღამ ოსკარის ტუჩებს არ შეახო და უჩვენა ბარათში შემდეგი სტრიქონი: „აი უკანასკნელი წყალობა, რომელსაც მე შენა გთხოვთ მორის,“ და შემდეგ: მორის, შემომფიცე, რომ ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში ამაზედ იდგები, რომ მე არა ვყოფილვარ შენთან ოცს ივნისის ღამეს; რომ იმ დღეს მე შენ არ გინახივარ.... და სხვანი.“

— მე მგონია, ეს ცხადი საბუთია, ჰთქვა იზამ.

ოსკარმა ჰოს ნიშნად თავი დაუქნივა.

— ყური მიგდეთ, დაიწყო ისევ იზამ: მე მომანდეთ, მე ეგ ბარათი; მე ნამდვილს აზრს მაგ ბარათისას შეგიტყობთ და ნახავთ მას მერმედ, რომ გამოსაძიებელიც აღარა დაგრჩებათ რა... მე დარწმული ვარ, რომ ამ ბარათშია ამ საქმის გამოცანა.

ვერშემონმა ჭოჭმანი იწყო იმიტომ-კი არა, რომ ვერ ენდობოდა იზას, არამედ იმიტომ-რომ არ უნდოდა ამისთანა უსიამოვნო საქმით შეეწუხებინა საყვარელი ქალი. იზა ამის ჭოჭმანმა შეაწუხა და არ იყო რომ ცოტა გულნაკლულად არა ჰკითხა:

— ნუ თუ შიშობთ, რომ მე თქვენის ნდობის ღირსი არ ვიყო?

— რას ბრძანებთ! მე მარტო ის მაწუხებს, რომ თქვენ თქვენს გონებას ამისთანა უსიამოვნო საქმეზედ მოაცდენთ.

— პირიქით, მე დიდის სიამოვნებით მოვეკიდები მაგ საქმეს. თუ მე რამდენიმე საათის ჯაფით გიპოვით დანაშაულობის საბუთს, რომელსაც თქვენ ამოდენა ხანია ეძებთ და ვერ გიპოვიათ, განა თავმოსაწონებელი არ იქნება ჩემთვის? თუნდ ეგ არ იყოს, მე მგონია საკმაო საბუთები წარმოგიდგინეთ, რომ ნამდვილი დამნაშავე ის არის, ვისიც განთავისუფლება თქვენ გინდათ და ის უბედური ლეტარდ ევარია თუ ვიღაცა სხვის მაგიერად იტანჯება.

იზა განგებ გადაასხვაფერებდა ხოლმე გუდარის სახელს, ხან ივიწყებდა, მითამდა იმისი ცნობა არა აქვს. სხვა გამომძიებელი ვერშემონსავით შეყვარებული რომ არ ყოფილიყო, მაშინვე მიხვდებოდა, რომ აქ იზა რაღასაც ეშმაკობს. მაგრამ ვერშემონი კი სრულებით გაბრუებული იყო იზას სიყვარულითა და ვერაფერს მიუხვდა. ამ სახით ორივე შეწამებულის ბედი ეხლა იზას ხელში იყო. შეყვარებული გამომძიებელი სრულად დატყვევებული იყო იზასაგან. რასაც იზა იტყოდა,

ამას შეურყეველი ჭეშმარიტება ეგონა. ვერ მიუხვდა, რომ აქ იზა გუდარის სარჩლს ეწევა. ოსკარს ის უხაროდა, რომ საყვარელი ქალი კისრულობს გამომძიებლის მოვალეობას, ამხანაგად უხდება. ამან წააქეზა, აიღო და ბარათი გადაჰსცა იზას.

ოსკარმა ვერა შეამცნივა რა. სიხარულმა გაუნათა თვალები იზას. რა კმაყოფილების ღიმილმა გაურბინა ტუჩებზედ, როცა იზამ ბარათი ჩამოართვა და დაუყოვნებლივ ჯიბეში უკრა თავი!

— ეს ბარათი ქალის დაწერილია, ჰსთქვა იზამ: და ქალის ეშმაკობას ქალი უფრო მალე მისვდება, ვიდრე კაცი. ზოგიერთი სიტყვები სწორედ საქალო გამოცანა არის. საყვარელს კაცთან მიწერილს ბარათში ბევრი გაუგებარი სიტყვებია სხვისათვის, მაგრამ თვითონ საყვარელ კაცისათვის კი ცხადია ხოლმე. აი სწორედ მაგისთანა სიტყვებს მე უნდა გამოუნახო აზრი. იმედი მაქვს ნამდვილს კვალში ჩავდგები და თქვენც ჩაგაყენებთ... დიახ, ჩემო კარგო გამომძიებელო, მე დაგიმტკიცებთ თქვენ, სადამდი მიახწევს ხოლმე დედაკაცის ხერხიანობა. მე დიდის გულმოდგინებით დავაკვირდები ამ ბარათს, რომელსაც თქვენ, როგორც გეტყობათ, დიდს მნიშვნელობას არ აძლევთ.

უკანასკნელი სიტყვები უფრო რიხიანად ჰსთქვა და თვალი დააშტერა ოსკარსა.

— ოო, ეხლა მაგ ბარათს სულ სხვა თვალით ვუყურებ, ჰსთქვა გამომძიებელმა: წინად არცკი მინდოდა საქმიანს ქაღალდებში გამერია, მეგონა გარეშე საიდუმლოა მეთქი და ვაი თუ გამომჟღავნებით ვისიმე ოჯახის მშვიდობიანობა დაირღვეს მეთქი. მე გადაწყვეტილი მქონდა ხვალ მორის ფერანი განმეთავისუფლებინა და ეგ ბარათი დამებრუნებინა.

— ხვალ უნდა განგეთავისუფლებინათ? დახე, რა რიგად იმუშავა თქვენმა ბედმა, რომ ეგ საქმე აქ მოიტანეთ... ეს ბარათი თვითონ ნამდვილი ბარათია თუ ნამდვილიდამ გადმოწერილი?

— ნამდვილია. კოპიო არ გადმომიღებინებია.

— მართლა! დაიძახა იზამ და ცოტად ამოიოხრა. დაებჯინა სტოლს და პირ-და-პირ თვალებში ყურება დაუწყო ახალ გაზდა გამომძიებელს და გამომძიებელი კიდევ ტროფიალებით შეჴდიმოდა.

— აბა ერთი გაბედეთ და ჰსთქვით კიდე რომ აქ ჩემთან საქმის გაკეთება არ შეიძლება, განაგრძო იზამ: აბა ერთი კიდევ გაბედეთ და ჰსთქვით რომ მე ამ საქმეში ცუდი სეკრეტარი ვარ და მაშინ მე ვიცი.

— ძალიან მარჯვე და მშვენიერი სეკრეტარი ხართ, იმისთანა სეკრეტარი, რომელიც მთელს გამოძიებას თვითონ ჰკისრულობს დ რომელთანაც დროც სიტკბოებით მიდის და საქმეც კეთდება. ახლა ერთი ეს ვიკითხოთ: ჩემი მშვენიერი სეკრეტარი კი კმაყოფილია ამ საღამოსი?

— მითომ რატომო? მე ჭეშმარიტი გამოვიცანი, მე, იქნება გადავარჩინო მართალი კაცი სასჯელს... მე ძალიან მოხარული ვარ, იმიტომ რომ მე მგონია კეთილი საქმე ვქენ.

— რაღა თქმა უნდა, რომ უკეთესი სიტკბოებაა მართალის კაცის დახსნა.

— ეგ ეგრეა, მაგრამ მე ერთი რამ მინდა შემეტყო...

ეს რომ უთხრა, იზა დააცქერდა ვერშემონსა და მერე ჰკითხა:

— ეგ იქნება თქვენ ჩემის პატივისცემით მოგდით, რომ ნათქვამს მიწონებთ?

— თქვენც არ მამიკვდეთ...

— მაშ თქვენც ჩემსავით დარწმუნებული ხართ, რომ მართალია ის ვიღაცა...: ვიღაცა... რამ დამავიწყა!..

— ანდრე გუდარი.

— დიახ, მაშ ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაგიჯდათ.

— სწორედ. ეს კი უნდა მოგახსენოთ, კარგო იზავ, რომ

მაგისათვის დიდი ჯაფა არ იყო საჭირო. მე თვითონ არ გითხარით, საქმე ისე ძნელია რომ სწორე აზრი ვერ შემიდგენია მეთქი. ამიტომაც ვაგვიანებდი გამოძიების წარდგენას სასამართლოში. მე მარტო ერთი საბუთი მეჭირა ხელში: ეგ ბანკის ბილეთები იყო, რომელიც გუდარის ხელში აღმოჩნდა. ბირჟის მაკლერმა გვიმოწმა, რომ ეგ ბილეთები ლეა მედანისათვის მე თვითონ ვიყიდეო. მაგრამ მესმოდა კი რომ მაგისთანა საბუთი მეტად მჩატე რამ არის და ამიტომაც ეჭვში ვიყავი. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საქმე პირველია, რომელიც მე შემხვდა გამოსაძიებლად პარიჟში და მძიმე საქმეც არის. ძალიან ცუდი რამ იქნება, რომ ამ გამოძიებაში თავი შევირცხვინო მით უფრო რომ ყველგან გულ დაჯერებით ვიძახოდი, დამნაშავე ხელში მყავს მეთქი. განა მადლობელი არ უნდა ვიყო თქვენი, რომ შეცდომა ჩემი დამანახვეთ და გამისწორეთ. დედა-კაცებრივის გულთა მხილაობით პირუთვნელად — თქვენ ხომ არც ერთს შეწამებულს იცნობთ, არც მეორეს — თქვენ მეუბნებით: „აი ნამდვილი დამნაშავე ვინ არის.“ ყოველივე სიტყვა მოწმებისა და პოლიციელებისა, რომელიც მე თქვენ წაგიკითხეთ, თქვენ დიდის ჭკუით გასინჯეთ და ასწონეთ და მაშინვე საქმესაც სწორეს თვალით დაუწყეთ ყურება. ბარათს რომელსაც არაფრად ვაგდებდი, თქვენის გამოძიებით დიდი მნიშვნელობა მიეცა ეხლა. მე ეგ ბარათი მორისის გასამართლებელ საბუთად მიმაჩნდა, თქვენ კა პირიქით მაგით ამტკიცებთ მორის ფერანსს, რომელმაც, გაგიტყდებით, ძალიან მომაწონა თავი, მაშინ როდესაც მეორემ შემაძულა თავი თავის უწმაწურის ქცევითა და ლაპარაკითა.

— მაშ ეხლა თქვენ სწორედ დარწმუნებულნი ხართ?

— დიახ, ჩემო კარგო, და ამასთანაც ჩემის თავისა მრცხვენიან. თქვენ ერთს საათში იპოვეთ ის, რასაც ჩვენ მთელი ექვსი თვე ვეძებდით და ვერ ვიპოვეთ.

— აი ეხლა კი სრულებით კმაყოფილი ვარ, ჰსთქვა გახარებულმა იზამ.

მას შემდეგ ჩაჩუმდა და რამდენსამე წუთს ორივე დაჩუმებულნი იყვნენ. ოსკარი გულ-აღელვებით თვალს ადევნებდა იზას.

— რამ დაგაფიქრათ, იზავ? ჰკითხა ოსკარმა.

— მე ერთი თქვენი ნათქვამი მომაგონდა და იმაზე ჩავფიქრდი.

— რომელი?

— თქვენა ჰსთქვით, რომ „სრულის მიუდგომელობით ჰსჯითო, რადგანაც არც ერთს იცნობთ და არც მეორესაო“.

— დიახ ვჰსთქვი, მაგრამ ამით მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ თვითონ პირ-და-პირ არ გამოგიკითხავთ შეწამებულნი, როგორც მე გამოვკითხე და მაშასადამე იმათი მოხერხებული სიტყვა-პასუხი თქვენზედ ვერ იმოქმედებდა.

— ტყუილად თავს მართლულობთ, მეც სწორედ ეგრე ავუხსენ ჩემს თავს თქვენი ნათქვამი. ეს კი უნდა იცოდეთ, რომ მე ერთი იმისთანა ნიჭი მაქვს, რომლის მოწყალებით ჩემ წინ ვერა ჰსჭრის ვერც მოხერხებული სიტყვა, ვერც სასიამოვნო, თუ უსიამოვნო სახე. მე სახის მეტყველი ვარ: თვალი კი მოვკრა და უმალვე ყველაფერს გავუგებ ხოლმე კაცსა. დღეის აქამომდე არ მახსოვს, რომ მე ერთხელ მაინც მოვტყუებულვიყავ.

— ძვირფასი ნიჭი გქონიათ.

— და მე მინდა ის ნიჭი გამოვიყენო ამ ჩვენ საქმეშიაც ჰსთქვა იზამ და გაიღიმა: ნებას მომცემთ?

— რა ნებას?

— შეიძლება ვნახოთ ამ საქმეზედ დაჭერილები?

— მესმის. ვერ ვიტყვი რომ კანონი მაგის ნებას გვაძლევდეს, მაგრამ შეიძლება კანონს გვერდზედ ავუაროთ... რაიმე პატივ-სადების მიზეზის სახელითა.

— თუ შეიძლება, მე და თქვენ ერთად უნდა წავიდეთ.

— თუ ერთად წავალთ, მაშინ კი კანონიც ვერ დაგვაშორკოლებს.

— მაშ, საყვარელო ოსკარ, ისე მომიხერხეთ, რომ ორივე შეწამებული ვნახო.

— ძალიან კარგი. ძალიან საინტერესო იქნება შევიტყო, თვითეული მათგანი როგორ კაცათ გეჩვენებათ.

— იმის ნებასაც ხომ მომცემთ გამოველაპარაკო?

— ეგ კი ცოტა საძნელოა, მაგრამ რაკი ჩემთან ერთად იქნებით, მაგის ნებასაც მოგცემთ. მარტო რომ წახვიდეთ, ციხის უფროსები სალაპარაკოთ არ მიგიშვებდნენ, თუნდა ნახვის ნება გქონოდათ კიდეც.

— ლაპარაკი საჭიროა. თქვენ ხომ იცით მე ბუშის ჯიშისა ვარ და ჩვენის ჯიშის ადამიანმა ცოტაოდენად მკითხაობაც იცის. სახეზე, ხმაზე, ხელებზე შევატყობთ ხოლმე ვინ როგორი კაცია. რომ უფრო კარგად გამოვიცნათ, გამოლაპარაკება ფრიად საჭიროა.

— რაკი გსურთ, ბატონი ბრძანდებით.

— როდის?

— იმედი მაქვს, ეხლავე არ მოინდომებთ წასვლას.

— არა, ხვალ წავიდეთ.

— ძალიან კარგი, ხვალ წავიდეთ, უთხრა ოსკარმა და თვალი თვალში გაუყარა იზასა.

— თქვენ რაღაცა გინდათ მითხრათ და ყოყმანობთ, შენიშნა იზამ.

— ნუ თუ ამას თქმა უნდა, რომ მე მარტო ამ საქმემ არ მომიყვანა თქვენ სახლში. ყველაზე უწინარეს, რასაკვირველია, თქვენი ნახვა მინდოდა, თქვენთან ლაპარაკი თქვენზედვე... ნუ თუ ჯერ კიდევ არ მოსულა ის დრო, რომ ჩემის გულის პასუხს ველოირსო...

— ეხლა გვიან არის, უთხრა იზამ სიცილით: ეხლა მეტად დაღალული ვარ და ამასთანაც ჩვენის საქმისათვის კიდევ შრომა-მოშელის... ხვალამდის.

— რა ბძანეთ?

— დროზედ ჩამოაგდეთ ლაპარაკი და მომაგონდა რომ ეხლა მეტად დაგვიანებულდია...

მივიდა და ზარი დააწკარუნა.

— ჟუსტინა გაგაცილებთ, განაგრძო იზამ.

— ჰოი, ბოროტო!

— ნახვამდის! ხვალამდის!

იზამ მიუშვირა თავისი მშვენიერი ტუჩები; ოსკარმა აკოცა და მორჩილებით უკან გაჰყვა ჟუსტინას, რომელიც ამ წუთში ოთახში გამოცხადდა.

იზა მარტოკა რომ დარჩა, კარები კლიტით ჩაიკეტა, მიუჯდა სტოლს, ამოიღო სტოლის უჯრიდამ პატარა ყუთი და ხმა მაღლა ჰსთქვა:

— დიახ, უნდა ვისაქმოთ.

ყუთი სავსე იყო შუშებითა, ბალახ-ბულახეულებითა და სხვა ამგვარებითა. თვითონ ბუშმა და ბუშთა შორის გაზდილმა იზამ იცოდა წამლებისა და საწამლავების შედგენა და კეთება. სხვა-და-სხვა შუშიდამ თვითო-ოროლა წვეთი დაასხა ლანბაქზედ და ერთმანეთში აურია. მერე აიღო სესილას ბარათი, ფთხილად გადაჭიმ-გადმოიჭიმა, გულ-მოდგინებით გადიკითხა, მერე ამოაწება ფრთას წამალში და ზოგიერთს სტრიქონებს წაუსო. ეს რომ გაათავა, აანთო პატარა კანდელი და იმის ალზედ გააშრო ბარათი. როცა აშრობდა, ოთახში სასიამოვნო სუნი დადგა. ეს საქმე რომ სრულებით გაათავა, იზამ დახედა ბარათს და ძალიან მოიწონა თავისი ნაკეთები. არავის არ მოუვიდოდა ფიქრად, რომ ეს ბარათი განგებ წაუხდენია ვისმე. ყველას ის ეგონებოდა, რომ ბარათზედ დაღვრილა სურნელი წყალი რამ და იმას ამოუჭამია ზოგიერთი სტრიქონები და სიტყვებიო. ხოლო ხელ-უხლებლად დარჩა იმისთანა სიტყვები, რომელთაც ნამდვილი აზრი ველარ გაიგებოდა, რაკი წინა და უკან ზოგიერთი სტრიქონები და სიტყვები ამოჭმული იყო წამლითა. ამოჭმულზედ შეიძლებოდა რაც უნდა ის დაეწერა კაცს, თუ კი ხელს მიამგზავსებდა.

ეს ფიქრი მოუვიდა იზას, როცა სიამოვნებით დაჰყურებდა თავის ნამუშავარს.

— თუ საჭირო იქნება ჩაწერა წაშლილის სიტყვების სამაგიეროდ, შეიძლება ჩაიწეროს, ჰსთქვა იზამ და ეშმაკურად ჩაიცინა.

აიღო ბარათი და ჩაჰსდვა მარმარილოს სტოლში სადაც პირის საბანის და პირის საკეთი იარაღი იყო. ამ სტოლზედ ბევრი შუშები იყო სხვა და სხვა გვარ სურნელიანის წყლითა. ერთის შუშის ქვეშ ამოსდო ის ბარათი, მითომ იმისათვის, რომ მერე ოსკარ ვერშომონი დააჯეროს, შუშა გადმოვარდა, გატყდა და სურნელი წყალი დაესხა ბარათსაო. როცა ეს გაათავა, იზა ტანისსამოსის გახდას მოჰყვა, მოახლე აღარ შეაწუხა. ჩამოიშალა თმები, რომელნიც გადმოეფინნენ ტიტველა მხრებზედ. იზამ ჩაიხედა სარკეში და თავის თავს თვალი ვეღარ მოაშორა. უნდა გვჰსთქვათ, რომ თვითონ იზა ტრფიალი იყო თავის მშვენიერებისა.

— დროა, ჰსთქვა მან ღიმილით: ხვალ მთლად ჭკუაზედ შევშლი და რაც მინდა, იმას ვაქნევინებ.

მეორე დილას იზა მოირთო და დანიშნულს საათზედ მოუთმენლად ელოდებოდა ვერშემონსა. როცა ოსკარის ეტლი მოგრიალდა კარების წინ, ჟუსტინა გაეგება და უთხრა, ნუღარ შეჰსწუხდებით, ეტლიდამ ნუ გამოხვალთ, ქალბატონი ეხლავ თვითონვე ჩამობძანდებაო. მართლადაც, იზამ დიდხანს არ ალოდინა. ჩამოვიდა, ჩაუჯდა ეტლში და წავიდნენ.

იზა ძალიან მხიარულად იყო, მთელი გზა სულ იცინოდა, ძალიან უხაროდა, რომ ჯერ არ მინახამს ციხე და ეხლა ვნახავო.

— მართლა, ბევრი ისაქმეთ წუხელის, ჩემო პაწია სეკრეტარო? ჰკითხა ხუმრობით ვერშემონმა.

— რაზედ უნდა მესაქმა? ჰკითხა იზამ თავის რიგზედ, მითამ და არაფერიაო.

— როგორ თუ რაზედ? ბარათის წაკითხვას არ აპირობდით!?

— მართლა! მაგრამ სულ გადამავიწყდა, ფიქრად აღარ მამსვლია. რა წამსაც თქვენ წახვედით, მალიან მოშლილი ვიყავ დაღალულობით და მაშინვე დავწექი.

— იმედი მაქვს ბარათი არ დაგიკარგავთ.

— ჩვენ არა ფერი არ დაგვეკარგება... დღეს საღამოზედ მოგართმევ იმ ბარათსა... მე ჩვეულებათა მაქვს ბარეთებს ხოლმე სატუა ლეტო სტოლზედ ვინახამ, რა თქმა უნდა, რომ ის ბარათიც იქ იქნება... ღმერთო! რა უცნაური ხასიათი მაქვს. გუშინ ის ბარათი მალიან მენატრებოდა, ეხლა კი სულ გონებიდამ ამომეცალა, არც კი მაგონდება.

— მოიმედე ვარ, რომ არის თქვენთვის ზოგიერთი იმისთანა საგანი, რომელიც არ გავიწყდებათ ხოლმე თავის დღეში.

— მაგალითებრ, რომელი?

— თქვენი დაპირება.

— ჩემი დაპირებაო? ჰსთქვა იზამ, მისწვდა და ნაზად ჩამოართვა ხელი: ჩემს აღთქმას ჩემს დღეში არ დავივიწყებ ხოლმე.

— როდის ასრულდება?

— რაწამსაც მივიღებ საბუთს, რომელსაც მე მოვითხოვ.

— როდისღა?

— ეგ თქვენზედ არის დამოკიდებული.

— მართლა! ჰსთქვა ვერშემონმა იმისთანა ხმითა და თვალებიც ისე აუბრიალდა რომ იზა პატარა აქედ მოეცალა. იზამ შეატყო, რომ ოსკარი გაითამამდა, შეეჩვია და ეშინოდა არა გაბედოს რაო.

მივიდნენ კონსიერჟერს. იზამ მკლავი მკლავში გაუყარა ოსკარს და ისე შევიდა ციხეში. ციხეში რომ შევიდნენ, იზამ შეწუხებულის სახე მიიღო. ოსკარი ჰგრძნობდა, რომ მკლავი უკანკალებს იზას და ცდილობდა კარგს გუნებაზედ მოეყვანა. როცა გუდარის სენაკის კარი გაუღეს და გამომძიებელმა ჰსთქვა:

— გუდარ, თქვენ...

ერთი კივილი მოისმა. იზამ შეხედა გუდარს თუ არა, გულს შემოეყარა. მოცვივდნენ ციხეში მოსამსახურენი და ყველანი გარს შემოეხვივნენ გონება მიხდილს ქალს. ბოლოს ხელით ჩაიყვანეს კანტორაში და იქ მოასულიერეს.

— მალე წამიყვანეთ შინ, უთხრა იზამ ოსკარსა: მერე როცა მოიცლით, მოდით ჩემთან, მე ერთი იმისთანა სათქმელი მაქვს, რომელსაც აქ ვერ ვიტყვი. ოსკარი დაემორჩილა. უბძანა თავის მოსამსახურეს, ეტლი მოართვითო და ქალი თავის სახლში წაიყვანეთო. მერე ეტლი ისევ აქ მომართვითო. როცა ეტლი თვალიდამ მოჰშორდა, ოსკარმა აღარ მოიცადა და პირ-და-პირ თავის სახლში წავიდა.

გუდარი რაღას ჰფიქრობდა? რაკი კარი გააღეს და იზა გამომძიებელთან დაინახა მკლავი მკლავ გაყრილი გაუკვირდა. უფრო გაუკვირდა და შეაშინა კიდეც იზას კივილმა. რამდენსამე ხანს ისე გაშრა, რომ თითქო გაქვავდაო. როცა კარები ისევ მოუხურეს და დაუკეტეს, მიიხედ-მოიხედა და იატაკზედ ბარათი დაინახა, სწრაფად დაჰსწვდა, გაიცინა და ჰსთქვა:

— ეს ძალიან კარგია!.. აქედამ ყველაფერს შევიტყობ...

გახსნა ბარათი, მიიხედ-მოიხედა ხომ არავინ მათვალიერებსო და დაიწყო კითხვა.

## თავი VI

### ძმა დამიხსენი და მე შეგიყვარებ.

იზასთან რომ მოვიდა ოსკარი, ჟუსტინას მწუხარე სახეზედ შეატყო რომ აქ რაღაც ცუდი ამბავია.

— რა ამბავია? ჰკითხა ჟუსტინას.

— ქალბატონი ძალიან ცუდ გუნებაზედ მობძანდა. ძლივ-ძლივს გადმოვსვით ეტლიდამ. მე და ჩემმა ქმარმა ხელით ამოვიყვანეთ საწოლამდე. მაშინვე გულს შემოეყარა და ექიმი დავიბარეთ.

— ექიმმა რა თქვა?

— ჯერ შეშინდა ავათმყოფი რომ ნახა, მერე გამოჰკითხა ქალბატონს და მარტო მაშინ მიჰხვდა რითაც არის ავად. უთუოდ შეჰშინებია რისამე. თქვენ გეცოდინებათ იქ რა მოხდა?

— მეც ის ვიცი, რაც თქვენ.

— ექიმმა წამალი დაუწერა და ძალიან არგო. ეხლა ჰძინავს.

— მაშ უკეთ შექმნილა.

— დიახ, ეხლა ლამაზათ ჰსძინავს. მე მიბძანა თქვენი, რომ რა წამსაც მობძანდებაო, მაშინვე გამაღვიძეო. მაგრამ ძალიან დასუსტებულია, ჰსჯობს რომ ცოტა მოსვენებით იყოს.

— რასაკვირველია. მაგრამ რა მიზეზი შეემთხვა მაგისთანა? ნუ თუ ციხის ნახვაზედ მოუვიდა? ან იქნება დამნაშავის დანახვა იყო მიზეზი? მაშინ შემოეყარა გულს როცა იმას თვალი მოჰკრა...

— როცა ქალბატონი შინ მობძანდა იმ ყოფით, ჩვენ გვეგონა, რომ თქვენ შეგემთხვათ რამე და იმაზედ შეწუხებულა. ყველამ იცის რომ ქალბატონს თქვენ ძალიან მოჰსწონხართ.

ოსკარი ცოტად წამოწითლდა, ჟუსტინამ კი განგებ დაუწყო ლაპარაკი, რომ ქალბატონს მოჰსწონხარო და მერე დაუმატა:

— იმედი მაქვს მომიტევებთ, რომ თქვენი ამბავი გამოვკითხე თქვენს მსახურს. მიპასუხა რომ არა ვიცი რაო. ქალბატონი რომ მარტო მობძანდა, საკვირველი არ არის, რომ მე და ჩემს ქმარს თქვენი ფიქრი მოგვეცა, ხომ არა შეემთხვა რაო.

— მაშ თქვენ სწორედ დარწმუნებული ხართ, რომ ძარღვების სისუსტე მოუვიდა...

— დიახ, ბატონო. მე მგონია, იმისაგან არის ეგრე, რომ ამ უკანასკნელს დროს ძალიან მოკრძალებით ცხოვრობს, თითქო მონასტერშიაო. აი სულ ამ მოკლე ხანში შეიცვალა. ამას წინად მხიარულად იყო ხოლმე, თვითონ დადიოდა სტუმრათ და თავისთანაც იწვევდა. ეხლა კი სულ სხვაა. მარტო თქვენზედ ჰფიქრობს; როცა თქვენ მოგელით, არ იცის რა ქმნას ხოლმე მინამ თქვენ მოხვალთ. რადგანაც

მეტად გულ-დახურულია და არ უნდა რაც გულში აქვს, სხვას შეატყობინოს, ამიტომაც ძარღვების სისუსტე მოჰსდის ხოლმე. იქნება არ ვარგოდეს, რომ ამისთანაებს ვუბედობ, მაგრამ მე ძალიან მაფიქრებს ქალბატონის ავათმყოფობა. ამისათვის თუნდა დამძრახონ კიდეც, ოღონდ ქალბატონი კი კარგად მყავნდეს.

ყურებამდი წამოწითლებულმა ოსკარმა ორმოც-და-ათ ფრანკიანი ბილეთი ჩაუდო ხელში ჟუსტინას და უთხრა:

— ფიქრი ნუ გაქვსთ, ჟუსტინავ! თქვენ ძალიან კარგათა ჰქმენით, რომ ყველაფერი მითხარით.

ჟუსტინამ თავი ისე აჩვენა, თითქო არ მინდაო ფულის გამორთმევა.

— ოჰ, ბატონო! თქვენ კეთილის-გულისა ბძანებულხართ, მაგრამ ეს კი საჭირო არ არის...

— ინებეთ, ჟუსტინავ, ინებეთ. იზა ქვეშაგებათ არის?

— არა. როცა წამალი დალია და არგო, ქვეშაგებიდამ აბძანდა, ექიმის რჩევით იბანა ცივ წყალში, მერე ტანთ ჩაიცვა, მიწვა პატარა ტახტზედ და ჩაეძინა.

— მაშ ეხლა კარგად არის?

— დიაღ, მიბძანდით, იქნება ეხლა ღვიძავს კიდეც.

— ერთად წავიდეთ.

შევიდნენ ორნივ იზას საწოლში ფეხ-აკრეფით; ეშინოდათ არ გამოეღვიძებინათ იზა, რომელიც ჯერ კიდევ ძილში იყო, თუ ძალად იმძინარებდა თავსა.

— თქვენ წადით, უთხრა ოსკარმა ჟუსტინას: მე აქ მარტო დავრჩები მინამ გამოიღვიძებს.

ჟუსტინა გავიდა. მარტო რომ დარჩა ოსკარი, ჩამოჯდა იზას პირ-და-პირ და ისე დააშტერდა თითქო თვალებით შეჭმა უნდა იმ მშვენიერის მძინარის ქალისაო.

ოთახში არც ბნელოდა არც სინათლე იყო და ამ შუქიან-სიბნელეში იზა საუცხოვო რამ იყო. თეთრი აბრეშუმის კაბა ეცვა ოქრომ-

კედით მორთული და ისე მშვენივრად გადაწოლილიყო, რომ სიტურფე მის თვალ-ტანადობისა კალმით ნახატი გეგონებოდათ. გულთან კაბის ღილები გახსნილი ჰქონდა და გული ცოტად გადაღეღილი. ოსკარს ამის დანახვაზედ გონება დაუბნია და რაღაც გაგიჟებით დაჰსცქეროდა ლამაზს ქალსა. სწორედ დნებოდა. უნდოდა მივარდნოდა, გულში ჩაეკრა და კოცნით და ხვევნით გაეღვიძებინა, მაგრამ ადგილიდამ ვერ დაიძრა: სიყვარულმა და გულთა-თქმამ იქავ ადგილზედ დალურსმა. ბოლოს იზამ თვალი აახილა. მიმოიხედა გაოცებით გარშამო, თითქო ვერ მიმხვდარაო სადავარო და ოსკარი რომ დაინახა, თვალებზედ ხელები აიფარა და ტირილი დაიწყო.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! იძახოდა იზა.

გაოცებული და შეშინებული ოსკარი მივარდა მაშინვე.

— იზა, ჩემო პაწაწავ, რა დაგემართათ? რა გატირებთ? მითხარით, ნუ მკლამთ. ეს ორი უკანასკნელი საათია მე მკვდარი ვარ, არ ვცოცხლობ კი, ვიტანჯები. მე ხომ არა გაწყინეთ-რა? მითხარით, ნუ-ღარ მაწვალებთ.

იზა ტახტიდამ ჩამოვიდა, ხელი მოჰკიდა ოსკარს და გვერდთ მოისო. თვალები ცრემლითა ჰქონდა სავსე.

— არა, ჩემო მეგობარო, არა, თქვენ არა ხართ მიზეზი, უპასუხა იზამ: პირიქით, თვენგან, როგორც ჩემს კეთილის მყოფელისაგან, მოველოდები შველას და ხსნასა!.ა ოჰ, რომ იცოდეთ, რა უბედური ვარ!

— ნუ სტირით, იზავ, ჩემო ლამაზო, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

ამ სიტყვებზედ მოეხვია. იზამ თავი იმის მკერდზედ მოიხარა და გულ ამოჯდომით ტიროდა. ოსკარს სისხლი თავში აუვარდა და სრულებით დაიბნა.

— კმარა იზავ, უთხრა მან ათრთოლებულის ხმითა; ერთი თქვენის მწუხარების მიზეზით მითხარით... იზავ, გესმის. მე მსურს ყველაფერი შევიტყო... მითხარ შენ გეთაყვანე, შენ!..

— ვერ გეტყვით, ვერა. ვიცი გიყვარვართ და მე მეშინიან თქვენი სიყვარული არ დამეკარგოს.

— ხომ იცი, რომ მე შენს სიყვარულს გულიდამ ვეღარ ამოვიღებ, მითხარი....

— რომ იცოდე რა ცეცხლი მიგიდია გულში. ის მერჩივნა მომკვდარვიყავ. სინიდისი, სინიდისი მამხილებს მე და მეუბნება: ეგ სულ შენი ბრალიაო...

— ნუ სტირი, იზავ, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო!

ეუბნებოდა და ჰკოცნიდა თვალებში, თითქო თავისის კოცნით უნდა ცრემლები მოჰსწმინდოსო.

— მომხედე მე მაგ მშვენიერის თვალებითა, განაგრძო ოსკარმა: გული დაიმშვიდე და მითხარი, რა გაწუხებს. შენ თვითონ არ იცი რას ლაპარაკობ; მეც ვერა გავიგე რა... გონება მოიკრიფე... მითხარ, ისეთი რა მოხდა?

— თქვენ არ მომიძულებთ, რომ მე უღირსი რამ მომეხდინოს... თქვენს სიყვარულს არ მომაკლებთ რაც უნდა დამმართოდეს?

— ღმერთო ჩემო! გულს მიხეთქამ... ნუღარ მაწვალებ, მითხარი ჩქარა.

— მაშ ყური მიგდეთ.

ხელიდამ გამოუსხლტა, დაეცა ოსკარის წინ მუხლებზედ და მოჰყვა ხელების მტკრევას.

— ახა ღმერთო ჩემო! აღარ იტყვი, ქალო, რა ამბავია? დაიძახა ბოლოს ოსკარმა სრულად შემკრთალმა და შეშინებულმა.

— ოსკარ, დაიწყო იზამ კედრების ხმითა, თითქო რაშიმე დამნაშავე არისო: ის დაჭერილი კაცი, რომელიც დღესა ვნახეთ, ჩემი ძმა არის. ანდრე გუდარი კი არა ჰქვიან, გიორგი გრეგოროა. დიახ, ჩემი ღვიძლი ძმაა და მე უმადურმა როცა ბედნიერებაში ჩავვარდი დობა აღარ გავუწიე და დავიწყებას მივეც.

— მაშ ეგ არის! ეხლა მესმის თქვენი მწუხარება, უთხრა ოს-

კარმა და ფეხზედ წამოაყენა: ნუ ჰსტირი საყვარელო მეგობარო. ეხლა ვიცი რა მიზეზითაც შემოგეყარათ გული. ოჰ, თქვენმა გულისშემოყრამ რა რიგად შემაშინა.

იზამ ისე აჩვენა თავი მითამ არა მესმის-რაო, იდგა ისე, ხელებს იმტვრევდა მწუხარებით და დუდუნებდა მითამ-და თავის თავს ელაპარაკება:

— ჩემი ძმა! ჩემი... ციხეში ჰზის!

— ნუ გეშინიათ, იზავ! გამომძიებლის განკარგულებით ციხეში ჯდომა უპატიურობა არ არის. თქვენ თითქო წინადვე იგრძენით, რომ მახლობელ კაცს ესარჩლებით, გუშინ რომ ისე ჭკვიანურად მიმტკიცებდით მის სიმართლესა.

— ოჰ, ეხლა უფრო მეტად მჯერა, რომ გრიგორის მაგაში ერთი ბეწვი ბრალიც არა აქვს.

— ჩემო საყვარელო იზავ, გამიგონეთ. მე გუშინვე დავრწმუნდი, რომ მართლა უბრალოა და მინდოდა კიდეც გამომეშვა, მაგრამ დღეს სხვა ახალი საბუთი ჩაგვივარდა ხელში... ფიქრი კი ნუ გაქვთ, ერთი ორიოდე დღე კიდევ მოუგვიანდება ციხეში, სხვა არაფერი... მე ბძანებას მივცემ, რომ დღეის იქით კარგად მოეპყრან.

იზას კანკალი მოუვიდა, ოსკარმა რომ თქვა ახალი საბუთი ჩაგვივარდა ხელშიო.

— კიდევ ბრალს რასმეს ჰსდებენ? ოსკარ, მითხარით, რა ახალი ცილი შეუწამებიათ.

— ნუ ჰსწუხართ, ჩემო კარგო; მე გეუბნებით, რომ ყველაფერი გარიგდება მეთქი.

— მაინც მინდა ყველაფერი ვიცოდე.

— თქვენ ხომ იცით, იზავ, რომ ანდრე გუდარი არაფერს პასუხს არ იძლევოდა, როცა პირში წავუყენებდით ხოლმე მოწმებსა; ცუდის ყოფა-ქცევის კაცი ყოფილა თურმე; გუდარი ამტკიცებს, რომ ბანკის ბილეთები ჩემი არისო, თქვენ კი ამბობთ, ჩემი ძმა ღარიბიაო...

— მე ეგ არ მითქვამს; მე მარტო ის გითხარით, რომ ერთი დამთხვეული რაღაც რამ არის-მეთქი, გზა-კვალ არეული. საშინელი მოთამაშეა ქაღალდისა, მაგრამ თუნდა დავიფიცავ, რომ ავ-კაცობას კი არ იქმოდა თავის დღეში. აბა მითხარით, სხვა რა საბუთი უპოვნეთ?

ოსკარმა ამოიღო უბიდამ ბარათი, გიურესაგან ხელ-მოწერილი და წაიკითხა შემდეგი: „დღეს სასამართლოში ვერ გიახლებით; ჩვენ ახალს გეშს წავაწყდით; თუ არა ვცდებით, ჩვენ შეურყეველი საბუთი გვექნება გუდარის გასამტყუნებლად. გუდარიც მაგას უარს ვერა ჰყოფს. იმედი მაქვს, საბუთი ხვალ წარმოგიდგინოთ.“

— ჭკუაზედ შეშლილან.

— ხვალ ყველაფერს შევიტყობთ, უთხრა ოსკარმა: კმარა მაგაებზედ ლაპარაკი. თუ როგორც იმედი მაქვს შესაძლო იქნება, ხვალვე გამოვუშვებ.

ორივე ჩაჩუმდნენ კარგა ხანს.

— ჩემო კარგო და ძვირფასო იზავ, განაგრძო მერე ოსკარმა სატრფიალო ხმით: რა საშინელი მწუხარება გამოვიარე მე დღეს. რომ იცოდეთ რა ტანჯვაში ვიყავ თქვენს ცრემლებს რომ ვუყურებდი... რა რიგად მიყვარხართ მე, იზავ! ოჰ, რა გიჟური გულის თქმა მწვავს და მდაგავს. უნდა იცოდეთ რა ცეცხლი მეკიდება როცა გულზედ მიგიკრავთ ხოლმე...

ამის თქმაზედ გადეეხვია იზას და ცეცხლ-მოკიდებულ ტუჩებით ზედ დააკვდა იზას ლოყასა. გონება სრულიად გამოეცალა.

— თავის დღეში, იზავ, მე არ მიგრძნია ის, რასაც ეხლა ვგრძნობ შენს ახლოს. როცა გეუბნები „მიყვარხარ“, მე მგონია, რომ ეს სიტყვა უღონოა გამოჰხსთქვას ის, რასაც ვგრძნობ. იზავ, შენ მე არაფერს მეუბნები პასუხად. იზავ, მომხედე და მითხარ რამე... იზავ, გონებიდამ ვიშლები...

იზა თითქო ეხლა გამოფხიზლდაო, შეხედა ოსკარს გაოცებულმა, თითქო უკვირს, ეს როგორ მოხდა, რომ მე ოსკარი მეხვე-

ვაო. სწრაფად გამოეცალა ხელიდამ, ორივე ხელი ჩამოართო, ისე მოიხარა თავი, რომ პირის-სახე ოსკარის პირის-სახეს დაუსწორა, თვალები აუბრიალდა, ტუჩებმა თრთოლა დაუწყეს და ისეთის სიგბედლუცით უთხრა, რომ კაცი ვერ გამოჰსთქვამს:

— მართლა გიყვარვართ კი?

— მართლაო!.. მიყვარხართ გაგიჟებით, აღტაცებით!..

— თუ მოინდომებ, მეც მეყვარები. მე იმას აღარ გამოუდგები რა ბოლო ექმნება ჩემს სიყვარულს. მე თუ შევიყვარებ კაცს, მთელის გულით შევიყვარებ, მერე იმისთანა სიყვარულით, რომელიც არასდროს და არასფერში ადამიანს თავს არ აზოგვინებს... ხოლო მოიგონე კი რა გითქვამს შენ ჩემთვის...

— რაღა მოგონება უნდა... მიბძანე და აღსრულებული იქნება.

— ამ რამოდენიმე დღის წინად, შენ მე მითხარი: ოღონდ კი შემიყვარეო და რასაც მთხოვო, ყველას აგისრულებო.

— ეხლაც მაგასვე გეტყვი.

განგებ, თუ შემთხვევით იზამ ერთი ხელი განუთავისუფლა ოსკარსა და ოსკარმა ლამაზი იზა გულზედ მიიკრა.

— მეც ჩემის მხრით გითხარი: მე მარტო იმისთანა სიყვარული მჯერა-მეთქი, რომელიც ყოველსფერზედ მზად არის კაცს თავი გააწირვინოს.

— მიბძანე ჩემო სალოცავო იზავ... მიბძანე, ყველას აღგისრულებ, იმიტომ, რომ მიყვარხარ.

ჰსთქვა ეს და დაუწყო კოცნა.

— მე გითხარი მაშინ შენ, იმისთანა საქმეს დაგავალებ-მეთქი, რომ როცა ჩვენი სიყვარული განელდება, შენ გახსოვდეს, რომ ჩვენ შორის საერთო საიდუმლოა, რომლის მიზეზით განუყრელად უნდა ერთად ვცხოვრებდეთ.

— მითხარ რაღა, რა გინდა. ჯერ კი ჩემი კოცნა უკანვე დამიბრუნე.

— აჰა, კარგი, უთხრა იზამ და აკოცა: თუ მოინდომებ შენი ვიქნები... მე შენ მიყვარხარ, ოსკარ.

ვერშემონი სიხარულისაგან სულ გადირია. მაგრამ ამ დროს იზა ხელიდამ გამოუსხლტა, ერთი-ორი ფეხი უკან დაიწია და უთხრა:

— წადი და ეხლავ გამოუშვი გეორგი...ანდრე გუდარი... და მერე ისევ ჩემთან მოდი... მაშინ საუკუნოდ შენი ვიქნები.

— რას ამბობ, რას?

— ეგ ის სხვერპლია, რომელსაც სიყვარულის სახელით მე შენგან ვითხოვ, ძმა დამიხსენი და მე შეგიყვარებ.

ოსკარმა გონება-დაბნეულსავით შეხედა იზას, თითქო ვერ მიმხვდარა ეს რა ამბავი დაემართაო. ქალი ითხოვდა სწორედ იმას, რის აღსრულებაც შეუძლებელი იყო.

— გამიგონე, ოსკარ, განაგრძო იზამ: დღეს დილით შენა მკითხე, როდის აღსრულდება შენი პირობაო. მე გიპასუხე, მაშინ მეთქი, როცა რაც მინდა აღმისრულებ. შენ მითხარი, ვინიცის როდის იქნება ეგაო. რომ შორს არ გადაგვედვა მე პასუხად მოგეც, რომ შენზედ არის დამოკიდებული მეთქი. ოსკარ, თუ მე შენ მართლა გიყვარვარ, დღესვე გამოუშვებ ჩემს ძმას ციხიდამ.

— შეუძლებელია.

— მაშ შვიდობით

— იზავ, თქვენ ჩემგან უნამუსობას თხოულობთ. განა შეგიძლიანთ უნამუსო კაცი შეიყვაროთ!..

— მე იმას შევიყვარებ, ვისაც მე ვუყვარვარ. ან მშვიდობით, ან ნახვამდის, ოსკარ... თუ გიორგის გამოუშვებ, დღეს საღამოზედ ისევ ჩემთან მოდი... მაშ ეგრე საღამომდინ...

იზამ კეკლუცად და სანდომიანად გაუღიმა და უცებ გავარდა ოთახიდამ.

— საშინელებაა! დაიძახა ოსკარმა, წამოხტა სკამიდამ, ყელსახვევი მოიგლიჯა, თითქო ყელში რაღაცამ წაუჭირაო. ბარბაცით მთვრალსავით მივიდა, დაავლო ხელი ქუდს და წავიდა შინ. მიმავალი ქუჩა-ქუჩა მიიძახდა:

— არას ოდეს! არას ოდეს!

ამასობაში იმისი ცეცხლ მოკიდებული ტვინი სხვა ფრივ მოქმედებმდა: იზას საწოლი, ხვევნა, კოცნა — ყოველივე ეს წარმოუდგა თვალწინ საუცხოვოს შუქით გაბრწყინვალებული; მერე მოეჩვენა სენაკი ტუსაღისა. ამ სენაკიდამ ტუსაღი რომ გამოუშვას, სამაგიეროდ მიიღებს ტრფიალებას მშვენიერის ქალისას. ეს ფიქრები მოაწვა გულზედ, ჰკვიჯგნიდა გულს და გამწარებული თან და თან ფეხს უჩქარებდა ასე რომ ვერც კი ამჩნევდა, რომ გამვლელ-გამომვლელი ამის დანახვაზედ შედგებოდნენ ხოლმე და უკვირდათ ამ კაცს რა ემართებაო.

შემოდგომის ბოლო იყო; ციოდა და ოსკარი კი გულ გადაღეღილი, უყელსახვევოთ მიეშურებოდა. წამდა-წუმ იხდიდა ქუდს და შუბლიდამ ოფლს იწმენდა. საკვირველი არ არის, რომ გამვლელს-გამომვლელს ჭკუაზედ შემცდარი ეგონათ.

ბოლოს შედგა და გონება მოიბრუნა. ოჰ, არა. გულმა სრულიად დაჰსძლია და დაიმორჩილა. უფრო გულ დამშვიდებული კი წავიდა, მაგრამ აი რა ფიქრებმა დაუწყეს თავში ტრიალი: „უბედური! ჰფიქრობდა იგი: ძმა რომ ნახა დატუსაღებული ციხეში და საშინელს ბრალში გარეული, ელდა ეცა... თავის თავს აბრალებს ძმის ამ ყოფას, მე ავიღე ჩემს ძმაზედ ხელიო. გულ ჩჩვილია როგორც ყოველი ქალი და მარტო გულის მგერას აჰყოლია. უნდა ძმა ციხიდამ დაიხსნას და ამით შეიმსუბუქოს თავისი დანაშაული მის წინაშე. ჰსცოდნია რომ კაი კაცი ყოფილა და არა ჰსჯერა ეხლა იმისი ავ-კაცობა. მაგრამ საძაგელი რამ კია... მართალია, ქალი იმის ხელით არ უნდა იყოს მოკლული, მაგრამ მაინც საძაგელი რამ არის... ახლა მართლა რომ ვჰსთქვათ იმისთანას მითამ რას ითხოვს ჩემგან იზა? მარტო სამართლიანობას, სხვას ხომ არაფერს. მე ხომ არა ვითარი უეჭველი საბუთი არ მიჭირავს ხელში მის გასამტყუნებლად. ჩემი ვალია ციხიდამ განვათავისუფლო და მარტო პოლიციის ზედა-მხედველობის ქვეშ დავაყენო. რაკი არაფერი საბუთია, მე ცუდად ვშვრებოდი რომ ციხეში მეჯდა აქამდი-

ნაც... ან საიდამ მამივიდა ფიქრად, რომ რაც იზამ მთხოვა უკადრისი საქციელია... სადა მქონდა გონება? ისე როგორ მოვდორდი, რომ იზას უთხარი: „შეუძლებელია“ მეთქი. აქ შეუძლებელი რა არის, რომ თვითონ სამართლიანობა ითხოვს უსაბუთოდ კაცი არ იტანჯებოდეს. იზა მართალია დღესაც, როგორც გუშინ. თავის პატიოსანის გულით გამოიცნო მართალი და ეხლა ითხოვს ჩემგან ცუდ-კაცობას კი არა, კარგს საქმეს, სამართლიანობას.“

„იზას სურვილი რომ ავასრულო, განაგრძო ოსკარმა ფიქრი: ის კაცი განვათავისუფლო და ხვალ გამოჩნდეს რომ კაცის მკვლელია მერე... მერე რა? ხვალინდელი დღე ჩვენ არ გვეკუთნის. უსაბუთოდ დატყვევება ციხეში კაცისა ბოროტ-მოქმედება იქნება ჩემის მხრით მით უფრო, რომ გუშინ დავრწმუნდი, დამნაშავე სულ სხვა კაცია... ამას გარდა ანდრე გუდარი სხვა ქვეყნის კაცია, იმისი დატუსაღება ერთს ალიანქოთს ასტეხს. ყოველივე ეგ საჭიროა ცნობაში მოიყვანოს კაცმა.“

ამ ფიქრებში მყოფი ოსკარი შედგა და გადაეყუდა წყლის პირს გავლილს მუაჯირსა და ხმა მაღლა ჰსთქვა:

— საწყალი იზა! რა რიგად უნდა ჰწყენოდა ჩემი მკვახე სიტყვა! რით უნდა გავისწორო ჩემი დანაშაული? იმით რომ უნდა სურვილი აღვუსრულო... მაგრამ განა ეგ იკმარებს კი...

თვალი აუყოლა წყალს და სახეზედ სიამოვნება გამოეხატა: წარმოუდგა თვალწინ იზას სიყვარული და ოსკარის ნეტარებას სამზღვარი არა ჰქონდა.

ბოლოს გაიფიქრა: ერთი კარგად უნდა გადავსინჯო კიდევ საქმე და რაც საჭიროა იმისთანა განკარგულებას მოვახდინო.

ეს რომ გადაჰწყვიტა, სრულად დადინჯებულმა გაჰსწია სასამართლოსაკენ. ეგრე გვიან მისვლამ გააკვირვა მოსამსახურეები. რაც მოხელენი იყვნენ თითქმის სულ წასულიყვნენ შინ. სეკრეტარი ოსკარის ჯერ არ წასულიყო და ეს ძალიან იამა ვერშემონსა.

— ძალიან მიხარიან, რომ აქ დამხვდით, უთხრა სეკრეტარს: დაწერეთ...

ამ სიტყვაზედ ცოტა შედგა და იმწამსვე დაუმატა:

— თქვენ წინ, მგონი, გუდარის საქმეა.

— დიახ.

— მე მომეცით... მე ახალი ცნობები მივიღე... ეგ კაცი შეცდომით ჩაგვიგდია ამ ყოფაში... ერთი ჩქარა დაწერეთ ბძანება, რომ გამოუშვან.

— გამოუშვანო? ჰკითხა გაოცებულმა სეკრეტარმა.

— დიახ, აუჩქარეთ. თუ ღმერთი გწამთ.

ეს რომ ჰსთქვა, გამომძიებელი წამოწითლდა: სეკრეტარისა შჰრცხვა და ქაღალდებს შლა დაუწყო. სეკრეტარმა ბძანება მოამზადა. გამომძიებელმა ხელი მოაწერა და უთხრა:

— თქვენ თვითონ წაიღეთ, თორემ ხვალამდე არ გამოუშვებენ და თვითონ გუდარიც აქ მომიყვანეთ.

სეკრეტარმა თავის ქნევით გამოვიდა ოთახიდამ. ამისთანა ამბავი თავის უფროსის წინდაუხედაობად ეჩვენა.

მარტო რომ დარჩა ოსკარი მოაგროვა ქაღალდები რაც გუდარის საქმეს ეკუთვნოდა და პორტფელში ჩაიწყო.

— მტყუანია თუ მართალი — ეგ მე არ ვიცი. ჰსთქვა თავის-თავად ოსკარმა: იმ წამს კი როცა მე ხელი მოვაწერე, ჩვენ მისი გასამტყუნებელი საბუთი ხელში არა გვქონია..

ამით დაიმშვიდა გული, გაალო ფანჯარა და ჩაფიქრდა. ფეხის ხმა მოისმა და უკან მოიხედა. სეკრეტარმა გუდარი შემოიყვანა ოთახში. ვერშემონმა მაშინვე მიკეტა ფანჯარა და უთხრა გუდარს:

— რად დაგვიმალეთ, გუდარ, თქვენი ნამდვილი სახელი?

— საფრანგეთში ანდრე გუდარის სახელით ვიმყოფებოდი. ჩემი ნამდვილი სახელი კი გიორგი გრეგორია.

თვენ იცნობთ გრაფინას სეგლინ—ზინსკისას?

— ჩემი მწყალობელია.

— იმის წყალობითა ხართ დღეს თავისუფალი.

— თავისუფალიო! მადლობელი ვარ, ძლიერ მადლობელი!

— გრაფინამ იმისთანა საბუთები წარმომიდგინა თქვენზედ, რომ მიზეზი აღარა გვაქვს ციხეში გამყოფოთ.

— მოგახსენებდით რომ მართალი ვარ მეთქი. თუმცა მაწუხებდა ციხეში ჯდომა, მაგრამ იმედი მქონდა მალე გამიშვებდი.

— მე გირჩევ ეხლავ წახვიდეთ და გრაფინას მადლობა გადუხადოთ.

— ყველაზედ უწინ იმას ვიახლებით.

გუდარი გამოვიდა, გამომძიებელმა ამოიოხრა და თვალები დაბლა დაიღო. სეკრეტარმა, გაოცებულმა გუდარის გამოშვების გამო, მოაგროვა ქაღალდები და დააპირა შინ წასვლა.

— გამოძიება მაგ კაცზედ უმაღლესის მთავრობის ბძანებით მოისპო? ჰკითხა მან გამომძიებელს.

გამომძიებელმა უფრო ძირს ჩაჰკიდა თავი, რომ თავის სახის სიწითლე არ შეემჩნივებინა.

— არა, მე სრულებით დავრწმუნდი, რომ სხვა არის დამნაშავე. გიურე შეჰსცდა, ბოიე კი მართალი გამოდგა.

— დამნაშავე—მორის ფერანია?

— სწორედ. მე ხელში მაქვს ბარათი ქალისა, მისის ამხანაგისა და ის ბარათი ამტკიცებს იმის დანაშაულობას. ხვალ იმ ბარათს თქვენ გადმოჰქცემთ... ეხლა კი შეგიძლიან შინ წახვიდეთ. მე კიდევ ცოტა ხანს დავრჩები აქ, მინდა ბარათი დავწერო.

სეკრეტარი წავიდა. ოსკარმა ბარათი დაწერა, დაბეჭდა და ზედ დააწერა: „გრაფინას სეგლინ — ზინსკისას, ფერინდლანდის ქუჩა.“ მოსამსახურეს უბძანა ბარათი წაიღეო და თვითონ შინ წავიდა.

გზა და გზა, რაღა თქმა უნდა, სულ გუდარის განთავისუფლების ამბავი მოსვენებას არ აძლევდა. ჯერ გაიფიქრა, აჩქარდიო, მერე კი თავის თავი დაარწმუნა, რიგიანად და კაცთ მოყვარებით მოვიქეციო

და ლეა მედანის მკვლელი ფერანია და სხვა არავინაო. მას მერმედ თვალ-წინ წარმოუდგა გონების მიმტაცებელი სახე იზასი და ლეა მედანის სახე დავიწყებას მიეცა.

სრულად დარწმუნებული იყო, რომ ეხლა იზა ამისია, რადგანაც გუდარი განათავისუფლა. ამ იმედით ერთი პატარა ლამაზი სახლიც იყიდა იზასათვის შალიოს ქუჩაში და აპირებდა იქ დგომას იზასთან ერთად, თუმცა საქვეყნოდ კი სურდა თავის უწინდელს სახლშიაც ბინა არ მოეშალა.

ახლა გუდარის ამბავს მოვყვეთ. როცა შეიტყო გამომძიებლისაგან ციხიდამ გამოშვების ამბავი, მაშინვე მიხვდა რომ ეს იზას საქმეა. არც აქამდინ ჰქონდა ეჭვი, რომ დღეს იქნება, თუ ხვალე ციხიდამ გამოუშვებდნენ და სასამართლომდინ მისი საქმე არ მიახწევდა. ეს იყო მიზეზი, რომ ყურსაც არ იბერტყამდა და პასუხს არ აძლევდა ხოლმე გამომძიებელს. თვითონაც მტკიცეთ იყო დაჯერებული, რომ გასამტყუნებელ საბუთებს ვერ უპოვიდნენ. თუ იმ ბანკის ბილეთებს იტყვიანო, ფიქრობდა გულში: მე მოწმებს ვიშოვნიო, რომ მე და ლეა მედანი ერთად აღებ ვმიცემობდითო ბანკის ბილეთების შესახებო. მარტო ეტლის პატრონი ალა რომელიცა მოწმობს, მოკვლის ღამეს მე და ლეა მედანი მიუყვანივართ. მეც უარს არ ვამბობ, მეც ვამტკიცებ რომ იმ ღამეს ლეა მედანთან ვიყავ, აქ იმისთანა რა საბუთიაო. ჰგრძნობდა კი რომ ყოველივე ეს ვერაფერი პასუხია და გულში მაინც შიშობდა. გამომძიებელს ლაპარაკში შეატყო, რომ გულში დარწმუნებუ-ლია ამის დანაშაულობაზედ. მაშ რატომ ჩვეულებისა მებრ არ მითხრა, რომ ვწუხარ, უბრალო კაცი ამდენს ხანს დაჭერილი მყავნდიო. ჰსჩანს სხვა მიზეზით გამომიშვაო და არა იმიტომ რომ მართალი ვეგონეო. მე ლაპარაკში შევატყეო, რომ მირჩევდაო, რაც მალე წასვალ პარიჟი-დამ და გადიკარგები უფრო უმჯობესი იქნებაო. მაგრამ ხვალისათვის რაღა დროს ფიქრი იყო, საქმე ის იყო, რომ გუდარი დღეს თავისუ-ფალია.

— თავისუფალი ვარ! თავისუფალი! იძახოდა გულში გზა და გზა. როცა იზასთან მივიდა და კარის ზარი ჩამოაწკარუნა, ყიუსტენა მიეგება, იცნო და უთხრა:

— ჩქარა აღით, გრაფინა გელით.

შევიდა იზას ოთახში და ორივე ხელი გაუწოდა იზას. იზამ ძალიან ცივად ჩამოართვა ხელი, მაგრამ გუდარმა იცოდა იზას უხიაკობა და არ იწყინა ამისთანა დახვედრა.

— მე ციხიდამ გამომიშვეს და მოველ მადლობა გადაგიხადო.

— ხომ ხედავ აღთქმული აგისრულე. შენმა გაუფთხილებლობამ კინაღამ ბოლო არ მოგიღო.

— მართალია.

— ტყუილ უბრალოდ დროს ნუ ვკარგავთ. აქ მალე ერთი კაცი უნდა მოვიდეს და არ მინდა შენ აქა გნახოს. როგორც დაგარიგე წიგნში სწორედ ისე მოიქეცი, თუ არა? გამოგკითხეს რამე?

— თითქმის არა გამოუკითხავთ რა. მარტო მკითხა, შენი ნამდვილი სახელი რა არისო. როგორც მოგეწერა, მეც ისე უთხარი. სხვა პასუხებიც მზათა მქონდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მალე უნდოდა თავიდამ მოვეშორებინე და ასე გამოვიდა, თითქო ჩემი მადლობელი დარჩა, რომ ისე მალე მოვშორდი.

— შენ უნდა იცოდე, რომ შენმა სიმართლემ კი არ დაგიხსნა ციხიდამ. არც ერთი საბუთი არა გაქვს თავი იმართლო. დღეს, ხვალ და ზვალ ზევით შიში ნურაფრისა გაქვს. გამომძიებელი დღეს აქ მეუღლებაა დამწყვდეული. ხვალ ზევით კი კვირაა. მაშასადამე შენს ხელთ არის თითქმის სამი დღე. რაც შეიძლო აჩქარდი და ამ სამს დღეში გადიკარგე სადმე პარიჟიდამ. ფული გაქვს?

— თითქმის არაფერი.

— მე მოგცემ. აი სამი ათასი ფრანკი. გასწი და მომწერე სადმე... ნემეცურად.

იზამ ფული ჩააბარა.

— გმადლობ! უთხრა გუდარმა და ფული ჯიბეს იკრა.

— წყნარად იყავ. ამაღამვე თავს უშველე. მერედ, თუ ისევ ხელში ჩაუვარდი, ვეღარ დაგიხსნი.

— მშვიდობით, იზავ. ერთს არ მაკოცნინებ?

— აჰა, ოღონდ კი მალე წადი... მაშინვე წიგნი მომწერე... მე გული არ მომისვენებს, მინამ არ შევიტყობ, რომ სამშვიდობოში ხარ.

გამოესალმნენ ერთმანეთს და როცა გუდარი გადიოდა იზამ უთხრა:

— შინ ნუ შეხვალ... ყველაზედ უარესი მტრები შინა გყავს.

— მაგას მეც დავიფიცავ.

გუდარი წამოვიდა იზას სახლიდამ მალიან ავ-გუნებით. იმას აგონა რომ იზა ტრფიალებით მიიღებდა. ამის მაგიერ იზა ძლივს ხერხებდა, რომ თავისი ზიზღი არ გამოეჩინა.

— იზავ, დამაცა, მაგ გვარ დახვედრისათვის როცა იქნება პასუხს მამცემ, ბუდღუნებდა გზა-და-გზა გუდარი: მაგას კალად დაგაწერ. ჯერ რაც შეიძლება ბლომად დავტყუებ ფულებს, მერე ვიფიქრებ როგორ გადავიხადო სამაგიერო. მწარედ ინანებ, რომ უმადურად მომექეცი.

გუდარი პარიკმახერთან შევიდა, წვერი მოიპარსა, თმა გაიკრიჭა, მერე წავიდა ტიუსსოს სახლისაკენ.

„რატომ არ უნდა წავიდე იქ, ფიქრობდა გზა-და-გზა: იქ ანგარიშები მაქვს გასასწორებელი.“

ათი წუთი არ გასულა გუდარის წასვლის შემდეგ, რომ მოსამსახურემ ოსკარის ბარათი მოუტანა იზას.

— პასუხს თხოულობენ? ჰკითხა ჟუსტინამ მოსამსახურეს.

— არა, ბატონო, უპასუხა მოსამსახურემ.

მოსამსახურე წავიდა და ჟუსტინამ ბარათი ქალბატონს წაუღო. იზამ სანთელი მოიდგა ახლო, წაიკითხა ბარათი თუ არა, მოჰყვა ერთს საშინელს ხარხარს. მიაწოდა ბარათი ჟუსტინას და უთხრა:

— ერთი წაიკითხე, ჟუსტინავ, სულ გადარეულა. ხა, ხა, ხა! მოახლემ წაიკითხა და ისიც მოჰყვა ხარხარს.

— ხა, ხა, ხა! აბა ჭკუა ეგ არის აი! ჰსთქვა ჟუსტინამ: ხა, ხა! ღამის სიცილმა დამაოსოს. ქალბატონო, ამას კი სწორედ ჰყვარებიხართ.

— მართალია, მაგრამ ცოტა ჭარბათ მოსულია.

დაეცა ტახტზედ და დიდხანს სიცილი არ მოუშლია.

— აბა, ჟუსტინავ, უნდა მოვემზადნეთ, ჩემო კარგო! მე პირობა მივეც და უნდა ავასრულო. ხვალ ჩვენ მდიდრები ვიქნებით.

## თავი VII

### აყალ-მაყალი ოჯახში.

მას მერმედ, როცა კლოდ ტიუსსომ ლუი პალიარი ნახა და სხვა ახალის პირობით შეეკრა, სახელდობრ, როცა უნდოდა და რამდენიც უნდოდა ცოტ-ცოტაობით შეეძლო გადაეხადა ვალი და სარგებელიც ცოტა იყო დანიშნული, მას მერმედ-მეთქი, ტიუსსოს სახლში ისევ მხიარულება დატრიალდა. სესილას თხოვნამ ქმართან განქორწინების შესახებ გაჰსჭრა; მშვიდობიანობა ჩამოუვარდათ სახლში, სიძეს ყველამ ზურგი შეუქცია და თითქმის მისი სახელის ხსენებაც აღარ იყო ხოლმე. როცა სესილაზედ ლაპარაკობდნენ მამის გვარით ახსენებდნენ ხოლმე. ტიუსსომ რამდენჯერმე ინახულა გიური, ეხმარებოდა კიდეც საქმეში და ბევრი ავ-კარგობა შეიტყო თავისის სიძისა. ტიუსსოს უხაროდა, რომ მისი სიძე ისე გაბმული იყო დანაშაულობაში, რომ ხსნა აღარსაიდამა ჰქონდა.

იმ საღამოს, როცა გუდარი გამოუშვეს და როცა ჩვენ გვინდა შევიყვანოთ მკითხველი ტიუსსოს სახლში, ტიუსსო დიდს წვეულებას აპირებდა. ის დღე სესილას სახელ-წოდების დღე იყო. რაც ავი დღეები იყო, როგორც იყო გადურჩნენ ეხლა. უხაროდათ კიდეც, რომ

შემთხვევა მიეცათ პატარა ემხიარულნათ და გაერთოთ საწყალი სესი-ლი. მორისის თაობაზედ კაი ამბები მოსდიოდათ. დილით ამელი ყოფილიყო და ეამბნა, რომ სეკრეტარი ვნახეო გამომძიებლისა, მხია-რულად დამიხვდაო და მითხრაო, ამ ორიოდ დღეში გამართლებულს მორისს განათავისუფლებენო. სესილი დედ-მამის სახლში თავის ჩვეულებრივს ცხოვრებას მიეცა. რაკი ქმარს მოშორდა სამუდამოდ, გადმოიტანა დედ-მამასთან თავისი მზითევი, სამკაულები და წინან-დელი ოთახი დაისაკუთრა. ნელის სიხარულით უცემდა გული ამ ახალ-გაზრდა ქალს, რაკი ხედავდა რომ დედ-მამის სახლში აღარაფრის შიში არა აქვს; რომ საუკუნოდ მოშორდა თავის მტანჯველსა; რომ ყველა თავს დაჰსტრიალებს და ყველა პატივს ჰსცემს. რა სიამოვნებით უყუ-რებდა ეხლა თავის მომავალ დღეებსა. შვილს გავზდიო, მოტყუებუ-ლის ქმრისა აღარ მეშინებაო. სესილი გულ-მავიწყი არ იყო, რომ მოაგონდა რა უბედურებაც გადასდა, უკვირდა ცოცხალი როგორ გადავრჩიო. მაშინ მოაგონდა თავ-გამომეტებული ყმაწვილი-კაცი, რო-მელიც ხიდიდამ გადავარდა წყალში და სესილა წყლიდამ გამოიყვანა. მოაგონდა და იმისი ნახვა მოუნდა. მოუყვანეს შადი. როცა შადიმ ნახა რომ მეორედ მადლობას უხდიან, სიამოვნებით წამოწითლდა, ვეღარ უთხრა უარი ტიუსსოს და ამის ქარხანაში ქარგლად გადმო-ვიდა. მოკლე ხანში ეს ვაჟკაცი ყმაწვილი ბიჭი თითქმის შვილად გახდა ტიუსსოს ოჯახში. ისე მიენდებენ, რომ მთელი ქარხანა ამას ჩააბარეს, ამას მიანდეს ფულის მიღება და დარიგება. ძალიან მოჰს-წონდა შადის ეს თანამდებობა, იმიტომ-რომ მის ცოცხალს და მკვირცხლ ბუნებას ძალიან შეეფერებოდა ეს ხელ-ფეხის დაუწყნა-რებლობა.

სასადილო ოთახი ბრწყინვალეთ იყო გაჩაღებული. თოვლსავით თეთრს სუფრაზედ ელვარებდა სუფრის სამკაული. ყვავილების კონე-ბით მორთული იყო ყოველი კუთხე და მშვენიერი სურნელება მო-ფენილი იყო მათგან მთელს ოთახში. ყველანი მოისწრაფოდნენ სესი-ლას მოსალოცავად და ანუგეშებდნენ, რომ თქვენის ქმრის უბედურება

თქვენს სახელს ჩირქს არ მოაცხებსო. ყვავილებით აავსეს მთელი ოთახი. სესილი ჩავიდა ქარხანაში და მადლობა გადუხადა ქარგლებს და მუშებს, რომელთაც თვითო ყვავილების კონა მიართვეს „პატარა ქალბატონსა“, ტიუსსომ კიდევ ფუნჯი დაალევინა თავის მუშებსა. სესილამაც ყველას სადღეგრძელო დალია და ძალიან მხიარულად იყო, რომ ყველას ასე ჰყვარებია. სადილი მზად იყო და ყველანი დასხდნენ.

მარტო მახლობელნი იყვნენ სადილად მოწვეულნი. მათ შორის იყო ლუი პალიარი, რომელიც ყოველთვის ეუბნებოდა ხოლმე ტიუსსოს: „თუ ფული გნებავთ, ნუ დამერიდებით, მე თავისუფალი ფული მაქვს.“ მოწვეული იყო აგრეთვე ამელი, მორისის და და შადი, რომელმაც უთხრა ტიუსსოს:

— მე ღვინოები ჩამაბარეთ და რაც ბოთლებია მე მომიწყვეთ ასლო. აი ნახავთ როგორ გამოვიყენებ. იმედი მაქვს ნაზშირი არ გაწვევინოთ.

სესილი ლუი პალიარის და შადის შუა იჯდა, ტიუსსო თავის ქალის პირ-და-პირ ცოლისა და ამელის შორის. როცა სამზარეულოდამ კარი გამოაღეს და საჭმელები შემოიტანეს, საჭმლების სუნმა დაავიწყათ სურნელება ყვავილებისა.

— კატერინავ, ჰსთქვა მხიარულებით ტიუსსომ: ემაგ სილამაზესთან რომ სიმღერაც გცოდნოდა, ქვეყანაზედ ვერავინ ვერ შეგედარებოდა.“ აბა ჩემო გრიტებო, იმედია, კარგად შევექცევით.

ტიუსსომ მსუნაგსავით ტუჩები გაილოკა ენით.

მინამ წვენსა ჰსჭამდნენ, ხმა არავინ ამოიღო. წვნიანის შემდეგ შადი წამოდგა, გამოიჭიმა როგორც ძელი, აიღო ჭიქა ხელში და ჰსთქვა:

— მოწყალენო ხელმწიფენო, ქალნო და კაცნო! წმინდა სესილას დღეგრძელობისათვის იყოს!

— ღმერთმა აცოცხლოს წმინდა სესილ! განიმეორეს ყველამ.

— ღმერთმა ჩვენს პატარა ქალბატონს ძეობა მშვიდობიანად გადაასხდევინებინოს, განაგრძო შადიმ.

ჭიქები დაცალეს და ტიუსსომ უთხრა ჩუმად პალიარს:

— უბედურებაა, რომ იმ საძაგლის ჯიშისა იქნება... საწყალი ჩემი ქალი!

სესილმა და ადელმა ერთმანეთს შეხედეს და ჩუმად ჩაიცინეს. ტიუსსოს ფიქრად არ მოსვლია, რომ სესილი დიდ ბედნიერებათ ჰსთვლიდა შვილის ყოლასა.

შადი თამადობას ძალიან კარგად ასრულებდა. ხუმრობას და მასხარობას დასასრული არა ჰქონდა. ტიუსსოს ცოლმა სიცილით უთხრა შადის, ფთხილად იყავიო; პალიარი დიდის ყურადღებით ექ-ცეოდა კდემა-მოსილს ამელის, რომელიც გვერდით ეჯდა. ტიუსსომ დაიმკლავა ხელები, როცა მზვარეულმა მოუტანა და წინ დაუდგა მთელი ინდოური.

— ას ნეტავი! დაიძახა აღტაცებით შადიმ და თვითო ხელში თვითო ბოთლი აიღო: ას ნეტავი ქუჩები ამისთანაებით იყოს მო-კირწყლული, მაშინ მე კბილებით ვივლიდი.

ტიუსსო ამდროს ჰსჭრიდა ინდოურსა და ჩაჰსცა თუ არა ჩან-გალი მკერდში, შედგა და ჰსთქვა:

— შვილებო, იცით ამას ინდოურს რად ეძახიან? არა განა? იმიტომ-რომ ქათამია...

— ხა, ხა, ხა! ჩაიხარხარა შადიმ.

— რას იცინი? აქ სასაცილო არა არის-რა. სიტყვა გამაწყვე-ტინე. მე მინდოდა მეთქვა, რომ ეგ ქათამია ინდოეთისა, იქიდამა არის პირველად მოყვანილი; ჯერ ინდოურს ქათამს ეძახდნენ, ეხლა მარტო ინდოურს ეძახიან.

ზარის წკარუნი მოისმა.

— ასე გვიან ვინ უნდა იყოს, იკითხა ტიუსსომ: ნეტავი კარე-ბი დაკეტილი ყოფილიყო. აბა, ნახე, შადი!

შადიმ დააპირა გასვლა თუ არა, კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ვიღაც კაცი. თითქო გველმა უკბინაო, სესილამ ისე დაიკივლა:

— აქ ვინ მოგიყვანათ? აქ რა გინდათ?

ტიუსსო, მისი ცოლი და ამელი კარებისკენ ზურგ შექცეულები ისხდნენ, სესილას პირ-და-პირ. შადის და პალიარს, სესილას გვერდთ მსხდომარეებს, პირი კარებისაკენა ჰქონდათ. ამათგან მარტო სესილა იცნობდა ახლად მოსულს ანდრე გუდარსა, რომელიც ქუდ-მოუხდელი, გულ-ხელ-დაკრეფილი მიეყრდო ზურგით კედელს და იქ გაჩერებულმა მკვახედ და კადნიერად წამოიძახა:

— ეს კაი ამბავია! მე ციხეში სული ამომდიოდა და ესენი კი ქეიფობენ!

ეს ხმა რომ გაიგონეს, ადელმა და ტიუსსომ მოიხედეს უკან. ყველანი წამოხტნენ ფეხზედა. ტიუსსომ გულზედ-მოსულმა შეჰყვირა:

— შენ აქა ხარ... გამოქცეულხარ განა, არამზადავ... ეხლავ გაეთრიე, თორემ დაგაჭერინებ... შადი, წადი პოლიციას შეატყობინე.

— რაებს ჰბოდავ, შე სულელო, შენა!.. მე ჩემს ცოლეურისასა ვარ, მე სათქმელი მაქვს და ვიტყვი კიდეც. აბა ვნახავთ ყურს როგორ არ დამიგდებთ... მე ყველაფერი ვიცი, რაც ჩემზედ საქმე ჩაგიდენიათ, ყველაზედ მძიმე საბუთები ჩემს წინააღმდეგ თქვენ წარგიდგენიათ. მე აქ არ მოგიჯდებით... ნუ გეშინიანთ. მაგრამ აქედამ ისე ფეხს არ მოვიცვლი, რომ თქვენ სამაგიერო არ გადაგიხადოთ. მე აღარაფრის შიში მაქვს; რაც დამემართა, უარესს ვეღარ მიზამთ, მე...

სესილი მიუხვდა რასაც აპირობდა ის უბედური, აჩქარებით მივარდა, მკვახედ და მოკლედ უთხრა:

— აღარა გაბედოთ-რა და გადით აქედამ...

ანდრემ ჩაიხარხარა,

— ის გირჩევნიათ, ბატონო გუდარის ცოლო, ხმა ჩაიწყვიტოთ, უთხრა პასუხად გუდარმა: თქვენ, რომელიც ცოლად არ მყოლიხართ თავის დღეში... რამდენიც გსურდეთ შვილები იყოლიეთ... თუ შენ ცოლობა არ გაგიწყვია, დედა-შენი ხომ...

მინამ სიტყვას დაასრულებდა, სესილამ დაავლო სუფრიდამ უშველებელს დანას ხელი და მივარდა გუდარს. დანა მოუღერა, თითქო დაკვრას უპირებსო და შეჰყვირა:

— აბა ერთი სიტყვაც და აქავე სულს გაგაფთხობინებ.

რომ სესილა მუქარას აასრულებდა, ამაში ეჭვი არ იყო. გუდარმა ამაზედ გული დაარწმუნა, რაკი სესილა ისე გააფთრებული დაინახა. სიტყვა შეჰსწყვიტა და უნებლიედ უკან დაწეულმა, ხელები მოიშველია, რომ დანა აიცდინოს.

ადვილად მისახდომია რა ალიანქოთი შეუდგათ აქ დამსწრეთა. მარტო ადელი დაეცა სკამზედ, თავი ჩაჰკიდა და თრთოლამ აიტანა, როცა გუდარის უკანასკნელი სიტყვები მოესმა. შიშით გული მოსდიოდა, აი ან ეხლა დაასრულებს სიტყვებსაო, ან ეხლაო. ტიუსსოკი ვერაფერს მიმხვდარიყო. რაკი დაინახა თავისი ქალი დანით ხელმოღერებული, სხვებთან ერთად მივარდა ქალს და ხელი დაუჭირა. ყოველივე ეს ისე უმალ მოხდა, რომ უკანასკნელმა სიტყვებმა გუდარისამ მის ყურამდინ არ მიაღწია. ეგონა, სესილა გააფთრდა იმიტომაო, რომ ქრმის დანახვა ეზიზღაო. შადი და პალიარი ცდილობდნენ დანა წაერთმიათ, მაგრამ სესილა არა ნებდებოდა, იცოდა რომ გუდარი მარტო ამ დანის შიშით ვეღარ ბედავს ლაპარაკსაო. ამიტომაც უთხრა შადის:

— დანას ნუ მართმევთ! ეგ უზრდელი გააგდეთ აქედამ, თორემ აქავ მოვკლავ. მოვკლავ, თუ ერთი კიდევ ხმა ამოუღია.

— ეგ ადვილია, უპასუხა შადიმ. მაგის აქედამ გაგდება ჩემი კისერი იყოს...

მინამ პალიარი დაჰსტრიალებდა სესილს, რისხვით გააფთრებულს, შადი გუდარს ეცა.

— თავი დამანებეთ, რაც თქვენი საქმე არ იყოს, ნუ ერევით, დაუყვირა გუდარმა: მე ჩემს სახლში ვარ. მე აქ მინდა ყოფნა, და მინამ წავალ, მინდა რომ ამ სულელმა იცოდეს...

სესილმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა იხმარა, გამოუსხლტა ხელიდამ პალიარს, მივარდა გუდარს და შეჰკივლა:

— უსიკვდილოდ ვერ მომრჩება...

— არ გეყურება, ხმა არ უნდა ამოიღო... ხმა გაიკმინდე-მეთქი... და აქედამ გაეთრიე, უთხრა შადიმ გუდარს და ასეთი მუშტი უთავაზა შიგ პირის-სახეში, რომ გუდარი კინაღამ გადიქცა. შეეჭიდნენ ესენი ერთმანეთს და ძიძგილაობა დაიწყეს. პალიარი მივარდა, ორივეს ჰკრა ხელი, გარედ გაყარა და კარები მოიკეტა.

გუდარმა როგორც იყო თავი დაახწია შადის, გავარდა ქუჩაში და დაიძახა:

— მობძანდი, მობძანდი, თუ კაცი ხარ...

— შენ თუ არ მითხარ, მე კი გაგექცევოდი განა! უპასუხა შადიმ და გამოუდგა.

აქ ისევ ერთმანეთს ეცნენ. თუმცა ერთნაირის ღონითა ჰსცემდნენ ერთმანეთს, მაგრამ შადის როგორც უფრო ყმაწვილ-კაცს თითქო ღონე თან-და-თან ემატებოდაო, გუდარს კი აკლდებოდა. ბოლოს გუდარი ისე დაოსდა, რომ შადის ცემაზედ მარტო ღრიალებდა და ილანძღებოდა.

— ეშმაკმა წაგიღოს, შე არამზადავ! ყვიროდა შადი: მე გიჩვენებ შენს თამაშას. მაგ შენის დინგისაგან თხლე შეჭამადს გაგიკეთებ.

ეს რომ უთხრა, ხელ-ღონიერმა შადიმ, ჰკრა მოგვერდი, არხში გადუმახა გუდარი და მუხლი გულში დააჭირა

— დაბნებდები, თუ არა, ხომ ხედავ ქვეშ ამოგიდე და რომ მოვინდომო, სულს აქავ დაგალევინებ, უთხრა შადიმ.

უეცრად შადიმ იგრძნო, რომ გუდარმა წამოიწია და კინაღამ ქვეშ არ ამოიდო თვითონ შადი. თვითონ შადიმაც არ იცოდა როგორ

მოხდა ეს ამბავი. უმალ წამოხტა ფეხზედ და მოემზადა ხელ ახლად ჰსცემოდა, მაგრამ წამოდგომისვე უმალ გედარმა მოჰკურცხლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ცხვირ-პირი დამტვრეულმა მელიამ პატარა შორს გაიგულა თავი თუ არა, მობრუნდა, შადის მუშტი მოუღერა და შემოჰძახა:

— დამაცა, შე არამზადავ, მე შენ ამას არ შეგარჩენ...

ტანისამოსს რომ ისწორებდა, შადიმ თვალი შეასწრო, რომ მიწაზედ რაღაც ბარათი გდია კარგად დაკეცილი. დაჰსწვდა და აიღო.

— ეს რა უნდა იყოს... წიგნია. თუ საჭიროა, ხომ მოვა კიდევ წასაღებათ და მაშინ ვნახოთ... ჯერ ჩვენი ანგარიშები არ გაგვისწორებია.

ყველა გაიგვირვებს, რომ ორი კაცი ერთმანერთს ჰსცემდენ და სხვა ორნი კი არ ჩამოეშველნენ. მაგრამ როცა პალიარმა ხელის კვრით ორნივ გარედ გამოაგდო და მიუკეტა კარები. სესილი შეეხვეწა:

— გევედრებით, ნუ მიეშველებით, ბატონო პალიარ, აქ დარჩით დ მამაჩემ ნუ გაუშვებთ.

ბევრი ცდა მოუნდა პალიარს, რომ ტიუსსო შინ დაეყენებინა.

— მე მინდა თვითონ დავუხვდე იმ საძაგელს. ოჯახის უფროსი მე ვარ, ამბობდა ტიუსსო: ჩვენ გაგვაუპატიურა და ჩემი ვალია გადუხადო სამაგიერო. გამიშვით, პალიარ, გამიშვით.

— ნუ, ბატონო ტიუსსო, ნუ ინებებთ. მაგისათვის თქვე როგორ შეგაწუხებთ. თუ შადი ჭკუას ვერ ასწავლის როგორც რიგია, მაშინ მე აქ არა ვარ. მე იმან გამქურდა, დედა ჩემი მოატყუა და მე უნდა მოვჰსთხოვო პასუხი, მე...

— მაშ ერთი მივხედოთ მაინც რა ყოფაში არიან, ჰსთქვა ტიუსომ.

მაშინ სესილამ ხელი მოჰკიდა მამას და თითქმის ტირილით უთხრა:

— მამი, მე არ მინდა რომ შენ წახვიდე... გეხვეწები.. განა არა ხედავ რა რიგათა მწყინს მაგისთანა ამბები... ნუ წახვალთ, შენიჭირიმე! ნუ თუ გინდა რომ ავად გამხადო!..

— არა, ჩემო პაწაწავ, რასაკვირველია, არ მინდა. ბატონო პალიარ, ერთი გაისარჯეთ და გახედეთ რა ამბავშია შადი...

ამ დროს კარიც გაიღო და შადი შემოვიდა მწუხარე სახით, ცხვირ-პირ დასისხლიანებული, ტანისამოს დაგლეჯილი და გასისხლიანებულის ხელებითა თუმცა გაფუსაჭნულიც არსად რა ჰქონდა. შადის მარღვიანი მკლავი და მუშტი ჰქონდა და კარგადაც იცოდა იმათი ხმარება.

— რა ჰქენ, ჰკითხეს შადის.

— თუ ეხლაც ისე მირბის, როგორც ჩემგან მოჰკურცხლა, ეხლა ცხრა მთას იქნება გადაცილებული. თუ სურდა რომ რამდენსამე დღეს არავის ეცნო, ეხლა ხათრიჯამი უნდა იყოს, ისე ლამაზად შევუმაღე ცხვირ-პირი რომ თქვენი მოწონებული.

— ჩემო საწყალო ბალღო! უთხრა ტიუსსომ და მადლობით ჩამოართვა სისხლით მოსვრილი ხელი.

— ეს არაფერია! სამზარეულოში წავალ, თავ-პირზედ ცოტა ცივს წყალს შევისხამ, გავგრილდები და ამით გათავდება ყველა. მე კარი ჩავკეტე, რომ პურის ჭამა აღარ დაგვიშალონ.

— მართალი ხარ, ჰსთქვა ტიუსრომ: რაც იყო, იყო. არა ღირს ამაზედ თავი შევიწუხოთ. დროა პურის ჭამას დავუბრუნდეთ. ხვალ ვნახოთ რაუნდა ვიმოქმედოთ.

ყველანი ისევ სუფრაზედ დასხდნენ. სესილი გვერდთ მოუჯდა დედას და ეალერსებოდა.

— ჩემო კარგო შვილო! მე მეგონა, რომ აი ეს ეს არის ცოცხლები დავიმარხებით მეთქი, უთხრა დედამ ჩუმად.

— ნუღარ გეშინიან, დედი! ყველაფერი ამით გათავდა.

— ჩემო საყვარელო, რა გინდოდა გექმნა?

— მოვკლავდი ერთი სიტყვა კიდევ რომ ეთქვა. ჩემს დღეში ისე არ გამხვდარვარ, როგორც იმ წუთს ვიყავი... აი გამიშინჯე ხელები, თითქო ცეცხლი მიკიდიათ.

— ჩემო საწყალო სესილ, სულ ანთებული ხარ და კანკალებ. რა გემართება, გეთაყვა?

— არა ფერი. მშვიდობით გადვურჩით... გამხიარულდი, მამა გვიყურებს.

— მართლა და ტიუსსო შეწუხებულის სახით მოვიდა ამათთან.

— რა ამბავია? ავათ ხომ არახარ, სესილ?

— ფიქრი ნუგაქვს, მამი... მე ცოტათ აშფოთებული ვარ.

— ჩემო კარგო და ვაჟკაცო შვილო, ასაშფოთებელი მიზეზი კი გაქვს. ჩემს დღეში ისე გაშმაგებული არ მინახვიხარ. სწორედ მოგახსენოთ, შენს მეგობრობას უფრო ვირჩევდი, ვიდრე შენს მტერობას. საშინელი რამა ჴყოფილხარ.

შადი პირდაბანილი და გაფაქიზებული შამოვიდა. თუმცა თვალი ცემისაგან დალურჯებოდა, მაგრამ მაინც კარგს გუნებაზედ იყო და ქეიფიანად, როგორც ყოველთვის.

— ბატონო ტიუსრო, ჰსთქვა მან სიცილითა: სულ მარტო თქვენ არ მიირთოთ, თორემ ომ გადასდილსა ასეთი მადა მაქვს რომ კამეჩიც არ მეყოფა.

— მობძანდი, რაც იყო ნუღარ მოვიგონებთ, ამბობდა ტიუსსო: სვალ ვეცდები რომ ამისთანა ამბები ჩემს სახლში აღარ მოხდეს. აბა დავსხდეთ რაღა!..

ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა. მაგრამ ისეთი მხიარულება აღარ იყო როგორც თავ-დაპირველ. ამელიმ ნახა რომ სესილიას ფერი წასვლია, მივიდა და ჰკითხა დაბლა ხმით:

— ავათ ხომ არა ხარ?

— ჰო, ცოტა ავ გუნებათ შევიქენ. ნუ რა გჭირს კი რა. ცოტა ხანს კიდევ, და მერე ერთს რასმეს მიზეზს მოვიდებ და ნებას მოვჰსთხოვ სუფრიდამ ადგომისას. შენ ამაღამ ჩვენთან დარჩი. მეშინიან, ღამე უფრო ცუდად არ შევიქმნე და დედისჩემის შეწუხება არ მინდა.

ტიუსსოს ცოლი შიშით და შეწუხებით უყურებდა თავის ქალსა.

— რა ამბავია, ამელი? ჰკითხა მან.

— მე სესილას ვუთხარ, რომ უსათუოდ ამ შფოთისაგან დაიღალებოდი და ურიგო არ იქნება მეთქი ცოტა მოგესვენა.

— ამელი მართალს ამბობს, ჰსთქვა ტიუსსომ.

სესილას ნება მიჰსცეს ადგომისა. სესილა და მისი მეგობარი ამელი ერთად გამოვიდნენ ოთახიდამ. დანარჩენთა განაგრძეს სადილი კარგა მხიარულად.

შუაღამე იყო, ჯერ სადილი არ გაეთავებინათ რომ ამელი ჩამოვიდა სესილას ოთახიდამ და უთხრა, სესილა ცუდად შეიქმნაო და ექიმია საჭიროვო.

— ათი წუთი და ექიმს აქ დავბადავ, ჰსთქვა შადიმ.

— სწორედ ამ ალიაქოთის ბრალია, ჰსთქვა ადელმა: საცოდავ ჩვენი ქალი!... ტიუსსო, იმისი ყოფა მე ძალიან მეფიქრება.

— რას ამბობ, დედა-კაცო! დაიძახა ტიუსსომ და დაჰკრა ხელი სტოლს: თუ სესილას დაემართა რამ, მე ტიუსსო არ ვიქნები, თუ იმ არამზადას გუდარს ჩემის ხელით არ მოვკლავ.

ექიმი მოვიდა და დიდხანს არ მოუნდა ავად მყოფის სინჯვას, დედას გამოუცხადა, რომ ალიანქოთს და შფოთს ძალიან შეუწუხებიაო ქალი და ამის გამო წინა დღით მშობიარობა მოსალოდნელიაო და ამიტომაც ამაღამ ავათ მყოფს ვერ მოვშორდებიო. ტიუსსომ ჰკითხა, ხომ საშიში არა მოელის რაო. ექიმმა უპასუხა, ჯერ მაგის თქმა არ შემიძლიანო. თუმცა ესკი მგონებსო, რომ ძლიერი სიცხე აქვს და მეტად აღელვებულიაო, მაგრამ მე აქ ვეყოლები და თქვენ ნურას

ფასი 2 მანეთი

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ თ. ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.